

K 216.123
3



მ. სოსელია

ნაჩვენებები
ფორმალური ხანის
დასავლეთ საქართველოს
სოციალურ-პოლიტიკური
ისტორიიდან



0000000000
1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ო. სოსელია

ნარკვევები ფეოდალური ხანის
დასავლეთ საქართველოს
სოციალურ-პოლიტიკური
ისტორიიდან

(ს ა თ ა ვ ა დ ო მ ბ ი)

II



გამომცემლობა „მცხეთა-მთიანეთი“

თბილისი

1981

9 (C 41)
63 . 3 (2 Γ)
9 (47 . 922)
ს 703

ავტორის კვლევის ობიექტია სათავადოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. ნაშრომში წარმოდგენილია 8 სათავადოს თანმიმდევრული კონკრეტული ისტორია. ნაჩვენებია სათავადოთა ისტორიული როლი იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომს ბოლოს ერთვის სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების მოკლე დახასიათება და განხილულია ამ დამოკიდებულების ძირითადი ფორმები.

ს $\frac{10604}{M 607 (06) - 81}$ 170—81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981



წი ნ ა ს ნ ი ტ უ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 1973 წელს ამავე სათაურით გამოქვეყნებულ ჩვენი I წიგნის გაგრძელებას. მხედველობაში გვაქვს პრობლემური გაგრძელება: ეს II წიგნიც იმავე პრობლემას — სათავადოების ისტორიას ეძღვნება. ქრონოლოგიურად კი ორივე ნაშრომი ერთსა და იმავე პერიოდს — XVI-XVIII საუკუნეებსა და XIX ს. დამდეგს მოიცავს არსებითად.

ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, რომ ამით ამოიწურა დასავლეთ საქართველოს სათავადოების კვლევის საკითხი. აქ არაა წარმოდგენილი აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროთა სათავადოები, რომელნიც ლიხთ-იმერეთის სხვა კუთხის სათავადოებისაგან განსხვავებით გარკვეული თავისებურებით ხასიათდებიან. მაგრამ ეს ხარვეზიც მომავალში უთუოდ შეივსება...

ნაშრომში შესწავლილია დასავლეთ საქართველოს 8 სათავადოს კონკრეტული ისტორია. ისე როგორც I წიგნში, ამაშიც დადგენილია თითოეული მთავანის წარმოქმნა-განვითარებისა და დამოუკიდებლობის დრო და პირობები, ტერიტორია, საზღვრები, ადმინისტრაციული ცენტრი, სამმართველო აპარატის შემადგენლობა, ყმა გლეხთა და აზნაურთა რაოდენობა, მათი გვარები; გარკვეულია თავადური სახლის წევრთა შორის დამოკიდებულება და ამა თუ იმ სათავადოს დამოკიდებულება მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან; ნაჩვენებია სათავადოთა ისტორიული როლი ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომს ბოლოს დართული აქვს სიუჟეტურულ-ვასალური დამოკიდებულების მოკლე მიმოხილვა ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. დახასიათებულია ეს დამოკიდებულება და წარმოდგენილია მისი ძირითადი ფორმები.

სათავადოების ისტორიას როგორც I წიგნში, ისე აქაც განვიხილავთ მათი ჩამოყალიბებისა და გაუქმების ფარგლებში. მაგრამ სურათის სისრულისათვის ხშირად ადრინდელი და ნაგვიანვეი ხანის ფაქტებსაც მივმართავთ.



ეს ნაშრომიც ეყრდნობა პირველწყაროებს — დოკუმენტურ წყაროებს — სალებს, თავადთა საგვარეულო საბუთებს, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ჩვენ მიერაა გამოვლენილი საქართველოს სხვადასხვა არქივში დაცული ფონდებიდან. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე ნარატული წყაროები და ადგილებზე პერიოდული მოგზაურობისას ჩვენ მიერვე შეგროვილ-ჩაწერილი ზეპირი და საველე-გეოგრაფიული მასალები.

უნდა ითქვას, რომ მასალათა არათანაბარი რაოდენობისა და შინაარსობრივი ღირსების გამო ამ წიგნშიც ყველა თავადური გვარის ისტორია თანაბარი სისრულით არ არის მოცემული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული სათავადოს ჩამოყალიბება-განვითარება-დაქვეითებისა და დაშლის უწყვეტი ისტორია მაინც აქაც არის წარმოდგენილი.

განხილულ სათავადოებს გარდა, აღებულ პოლიტიკურ ერთეულებში (იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებში) არსებობდნენ აგრეთვე სხვა წვრილი სათავადოებიც: ჯაფარიძეთა, ინასარიძეთა¹, გუგუნავათა, ქორთუათა (ქორთოძეთა), აფაქიათა (აფაქიძეთა), დგებიათა (დგებუაძეთა) და სხვ. მაგრამ ამ თავადურ საგვარეულოთა შესახებ მასალები მეტად მცირედ ან თითქმის სულ არაა შემონახული და მათზე გაბმით მსჯელობა არ ხერხდება.

ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის შესწავლილი დასავლეთ საქართველოს 23 მეტ-ნაკლებად მსხვილი სათავადო (15—I წიგნში, 8—II-ში) ამ ქვეყნის ძირითადი სათავადოების კონკრეტულ ისტორიის ერთგვარ მთლიან სურათს, ვგონებთ, მაინც ჰქმნის.

რაც შეეხება სათავადოთა წარმოქმნის წინამძღვარი მოვლენების ახსნას, სათავადოთა შინაგანი ორგანიზაციის ზოგად დახასიათებას, მათი დაშლის მიზეზების განხილვას და სხვ., ეს საკითხებიც მონოგრაფიულად დამუშავებულია და ამის შესახებ გამოკვლევა კარგა ხანია გამოქვეყნდა (იხ. ო. ს. ო. ს. ე. ლ. ა. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა). თბილისი, 1966). სათავადოს ზოგადი არსი კი მოკლედ ჩვენი „ნარკვევების“ I წიგნის შესავალშია განხილული.

¹ ინასარიძეთა თავადური საგვარეულოს ერთი აღრიხნდელი (XVII ს. 70-იანი წლების) წარმომადგენლის წარმომავლობა-მოღვაწეობა საფუძვლიანადაა განხილული და „საინასარიძის“ შესახებ საინტერესო დაკვირვებებია მოცემული მიხეილ ალავეძის მიერ. იხ. მისი, ცხოვრება გიორგი ინასარიძისა. ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, გვ. 121—128; მისივე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა. თბილისი, 1951, გვ. 16—18, 131—136.

როგორც ჩვენი „ნარკვევების“ ორივე წიგნში განხილულ კონკრეტულ-ისტორიული ფაქტებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მეფესა და თავადებს შორის განუწყვეტელი ბრძოლაა, რომ სათავადოები დამოუკიდებლობა-ხელმწიფობისაკენ მიისწრაფვიან და ზოგჯერ მეტ-ნაკლებად მიზანსაც აღწევენ, მაინც შესაძლებელი ხდება მეფესთან თუ მთავართან მათი თანაცხოვრება-თანამშრომლობა. ამის მიზეზი ფეოდალური საზოგადოების ბუნებაშია.

თუ ფეოდალი, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, მეფის ხელისუფლების მიმართ დეცენტრალიზატორად გამოდის (ფ. ენგელსი) და ამ ნიადაგზე მისი ინტერესები მეფის თუ მთავრის ინტერესს ეჯახება, მეორე მხრივ, იგი ხშირად ზურგს უმაგრებს მათ და, ამრიგად, მათ ხელისუფლებას ამტკიცებს. ამას უქარნახებს მდგომარეობა — ფეოდალთა შორის განუწყვეტლივ შუღლი და მტრობაა, არაიშვიათად ნამდვილი ომიც წარმოებს. ფეოდალი იძულებული ხდება ხშირად მეფეს თუ მთავარს მიმართოს: მათი დახმარებით მტრისაგან თავი დაიცვას ან მტერი დაიმორჩილოს: მეფე თუ მთავარი სჭირდება თავადს გარეშე მტრისაგან დამცველადაც. ასე იყო ეს ყველგან...

თუ თავადისა და სათავადოსათვის საჭირო იყო მეფე თუ მთავარი, უკანასკნელთათვისაც საჭიროა გარკვეულ დრომდე თავადი და სათავადო. სათავადოსაგან მეფე თუ მთავარი მატერიალურ სახსარს ლეზულობს; მათი სამოხელეო აპარატი და ამაღა უმთავრესად თავადებისაგან შედგება. საგარეო გართულების — ომის შემთხვევაში სამხედრო ძალას მათ სათავადო აწვდის; ერთ სათავადოს მეფე თუ მთავარი მეორე სათავადოს მოსათვინიერებლად იყენებს. სათავადო ის ძირითადი ორგანიზმია, რომლის საშუალებით ხორციელდება სამეფოში თუ სამთავროში მართვა-გამგეობა, ე. ი. გაბატონებული კლასის მიერ ყმა გლეხობის ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, რაც, უთუოდ, მეფის ინტერესსაც შეეფერება.

ლიხთ-იმერეთის სათავადოების ისტორიამ ნათლად გამოავლინა ქართულ სინამდვილეშიც სიუზერენულ-ვასალურ ურთიერთ დამოკიდებულებაში საუკუნეთა მანძილზე მოქმედი ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც ფ. ენგელსი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ასახელებს: ვასალთა „მოზიდულობის ცვალებადი ძალა“ სამეფო ცენტრისაკენ, რომელსაც „ერთადერთს“ შეეძლო ვასალთა დაცვა გარეშე მტრისა და ერთიმეორისაგან და საწინააღმდეგო ძალა — „ცენტრისაგან... განმზიდველი ძალა“. რომელიც გამომდინარეობდა დამოუკიდებლობისაკენ ვასალთა მიწრაფვები-



საგან². ამ ორი ძალის ჭიდილის საილუსტრაციო ფაქტობრივად
„ნარკვევების“ I-სა და წინამდებარე II წიგნში უხვადაა მოცემული.
ასე რომ, ქართული სათავადო, როგორც სოციალურ-პოლიტიკური
ინსტიტუტის თვალსაზრისით, ისე სიუზერენულ-ვასალური დამო-
კიდებულების მხრივაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების სენიორიე-
ბის ანალოგიურია.

² ფ. ენგელსი. ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ. იხ. გლეხთა ომი გერმანიაში. თბილისი, 1956, გვ. 189—190.



საგან². ამ ორი ძალის ჭიდილის საილუსტრაციო ფაქტებში
„ნარკვევების“ I-სა და წინამდებარე II წიგნში უხვადაა მოცემული.
ასე რომ, ქართული სათავადო, როგორც სოციალურ-პოლიტიკური
ინსტიტუტის თვალსაზრისით, ისე სიუზერენულ-ვასალური დამო-
კიდებულების მხრივაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების სენიორიე-
ბის ანალოგიურია.

² ფ. ენგელსი. ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა
წარმოშობის შესახებ. იხ. გლეხთა ომი გერმანიაში. თბილისი, 1956, გვ. 189—190.

ჩიჯავაძეთა სათავადო

ჩიჯავაძეთა გვარი მეგრული წარმოშობისა უნდა იყოს. იგი ჩიჩუათა საგვარეულოს ერთ-ერთ შტოს უნდა წარმოადგენდეს¹. ჩიჩუას გაჩიჯავაძება, ალბათ, მისი საცხოვრისი ადგილის გადანაცვლებასთანაა დაკავშირებული. ჩიჩუას ქართული გაფორმება უნდა იყოს ჩიჯავაძე². ამ მხრივ საინტერესოა, რომ გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში ჩიჩუას გვარი ჩიჯავაძედ არის დასახელებული³. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამეგრელოში ჭანისწყლისა და ხობისწყლის ქვემო წელზე დღესაც არის სოფელი, რომელსაც „საჩიჯაო“

1 თ. ჟორდანიას ჩიჯავაძეს გაბელისძეთა გვარისად თვლის (იხ. მისი ჭრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეყრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფილისი, 1897 (ქვემოთ: ქრონიკები), გვ. 214—215). მაგრამ ნ. ბერძენიშვილის აზრით, „თითქოს ცხადი უნდა იყოს ამ ორი გვარის სხვადასხვაობა“ (იხ. მისი ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაევ. I, 1937, გვ. 65, შენიშვნა 3). ჩვენც ეს სწორედ ასე გვეჩვენება.

დ. გერიტიშვილი კიდევ შეეპყვებულა ორბოძლელთა და საზუერელ-ჩიჯავაძეთა ერთი გვარის შვილობაში: „ხომ არ არიან ისინი ერთი სახლის შვილებიო?“ (იხ. მისი ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, სახელგამი, 1955, გვ. 126). მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები არ მოიპოვება.

2 უნდა აღინიშნოს, რომ XIII ს. მეორე ნახევრის (პ. ინგოროყვას დათარიღებით) „მატიანე სუანეთისა კრებისაიში“ მოხსენიებულია „ჩიჯივა“, „ჩიჯაძე“ (იხ. პ. ინგოროყვა. სუანეთის საისტორიო ძეგლები, ნაევ. II, თბილისი, 1941, გვ. 137, 156), მაგრამ მათ ჩიჯავაძესთან რაიმე კავშირი არ უნდა ჰქონდეთ.

3 ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1922, გვ. 143. შდრ. იქვე, გვ. 91. ჩიჩუას ჩიჯავაძედ გაფორმებასთან უნდა გვეკონდეს საქმე აგრეთვე ლევან II დადიანის დის მარიაშის XVII ს. პირველი ნახევრის მზითვის წიგნში, რომელშიც ნათქვამია: გაგაყოლეთ „ქარის მწირველად თავადის შვილი ჩიჯავაძე სერაპიონ, მისის მსახურითაო“ (იხ. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები),



პქვია⁴. ეს ის სოფელია, რომელიც ფეოდალურ ეპოქაში ჩუების მფლობელობაში იყო და რომელსაც აგრეთვე „საჩიხოს“ ან „საჩიხოს“ ეძახდნენ⁵. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ჩიჯავაძე ზოგ წყაროში „ჩიჯავაძედა“ წოდებული⁶. კერძოდ, ქართველ თავადაზნაურთა გვარების „აღწერაში“ იგი ზოგჯერ „ჩიჯავაძედ“, ზოგჯერ კი „ჩიჩავაძედ“ არის ფიქსირებული⁷. სხვა წყაროებში კიდევ ეს გვარი „ჩიჯავაძედაც“ იწოდება⁸.

როდის მოხდა ჩიხუათა გვარის წევრების ერთმანეთისაგან გამოყოფა და მათი ერთი ნაწილის ოდნიშიდან საქართველოს სხვაკუთხეში განსახლება, ძნელი სათქმელია. უნდა ვიფიქროთ, ეს მოხდა იმ დროს, როცა „დასავლეთიდან წამოსულმა ფეოდალურმა ექსპანსიამ აღმ. საქართველო სხვადასხვა დროინდელი, მეტ-ნაკლები სიმაღლის და განსხვავებული ხასიათის, ტალღებით დაფარა“⁹. ეს „ექსპანსია“, როგორც ს. ჯანაშიამ გაარკვია, დაიწყო აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდიდან (VIII—IX სს. მიჯნა) და აღნიშნულ

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა, თბილისი, 1974, გვ. 9). ლევან დადიანი თავის დას მზითვეში იმერელი „თავადის შვილს ჩიჯივაძეს“ ვერ გააყოლებდა უბრალოდ იმის გამო, რომ იგი მისი ყმა არ იყო. ცხადია, აქ დადიანის ყმა „თავადის შვილი“ ჩიხუა ჩიჯავაძედ არის ჩაწერილი.

⁴ ზობის რაიონში.

⁵ იხ. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). I. თბილისი, 1973, გვ. 299, შენიშვნა 3 (ქვემოთ მოკლედ: ნარკვევები...).

⁶ იხ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბუთი № 310 (ქვემოთ: ქუთ. მუზ. საბ.); Д.м. Бакрадзе. Археологическое путешествие по Грузии и Адчаре. Спб., 1878, с. 192 (ქვემოთ: АПГА).

⁷ იხ. იოანე ბატონიშვილი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა..., ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S № 3729, გვ. 100 r, 101 v (გამოქვეყნებულია 1884 წ. „ივერიის“ დამატებაში, №№ 4, 5-6, 7-8, 9-10, 11-12).

აღსანიშნავია, რომ ამავე წყაროში იხსენიება აგრეთვე „ეჩივაძე“, რომელიც ასე იწოდა „ეჩივაის ადგილის გამო“. ეს ადგილი კი არის თურმე „გურისის კერძო“ (იხ. იქვე, გვ. 111 v.). მაგრამ გეარსახელი „ეჩივაძე“ ჩიჯავაძეს არ გულისხმობს.

⁸ ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II. 1924, გვ. 25; ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 50, 51.

⁹ ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები. II. თბილისი, 1952, გვ. 477.

ექსპანსიას უკავშირდება „საზუერელი აზნაურების, ჩიჯავაძეების დასმა თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში“, სადაც „ეს დიდი აზნაურები ...უკვე მე-10 ს. პირველ ნახევარში ჩანან“¹⁰. ს. ჯანაშიას ეს მოსაზრება სავსებით მართებული ჩანს.

აღნიშნულ პერიოდში ამ აზნაურებს შემდეგ ვითარებაში ვხვდავთ: გიორგი აფხაზთა მეფეს აუჯანყდა საკუთარი შვილი ქართლის ერისთავი კონსტანტინე. მას მეფობის მიტაცება უნდა. მის მხარეზეა „ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი“¹¹. იწყება ბრძოლა მამასა და შვილს შორის. მაგრამ უფლისციხეში გამაგრებულ ერისთავს მეფე „ვერა რას ავნებდეს“. ამ კრიტიკულ მომენტში მეფე უკავშირდება „საზუერელ“ აზნაურებს: „აბირნა აზნაურნი საზუერელნი“, ე. ი. მიიმხრო ისინი და მათი „ზაკველობის“ წყალობით ბოლოს „შეიპყრეს და მოგვარეს“ მეფეს უფლისწული¹².

ამ ცნობას ეყრდნობა ს. ჯანაშია, როცა იგი X ს. შუა წლებში ჩიჯავაძეებს ზემო ქართლში დამკვიდრებულად მიიჩნევს. მართალია, აღნიშნულ ცნობაში გვარსახელი ჩიჯავაძე არ იხსენიება, მაგრამ ს. ჯანაშია, ისე როგორც ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა „საზუერეში“ გეოგრაფიულ სახელს ხედავს¹³, მისგან ნაწარმოებ „საზუერელს“ სადაურობის აღმნიშვნელად თვლის, ხოლო ზემოდასახელებულ „საზუერელ“ აზნაურებს — ჩიჯავაძეთა გვარისად¹⁴. სხვა მოსაზრებასთან ერთად მკვლევარს ასეთი დასკვნისკენ მოუწოდებს ისიც, რომ ჩიჯავაძეების ფეოდალურ გვარში საზუერელი ერთ-ერთი საგვარეულო სახელია¹⁵.

სიტყვა „საზუერეს“ გეოგრაფიული მნიშვნელობა და ერთდროს ჩიჯავაძეთა გვარის იქ ბინადრობა, დღეს ქართულ ისტორი-

¹⁰ იხ. იქვე, გვ. 478.

¹¹ იხ. მატჩანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1955, გვ. 267.

¹² იქვე.

¹³ „საზუერე“ ძველად საბაჟო დაწესებულებას ეწოდებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I. ქუთაისი, 1919, გვ. 32). ამ დაწესებულების სახელისაგან წარმოსდგა შემდეგ გეოგრაფიული სახელი „საზუერე“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი. ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბილისი, 1964, გვ. 189).

¹⁴ იხ. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 478; ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში..., მსალაბი საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 67, შენიშვნა 3.

¹⁵ ნ. ბერძენიშვილი. ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. გვ. 191.



ოგრაფიაში უცილობლად არის მიღებული¹⁶. თუ ს. ჯანაშია¹⁷ და
ძეების საზუერეს ალის მიდამოებში ეძებდა¹⁷, ნ. ბერძენიშვილმა მი-
სი ადგილი „გალმა მხარში“, ანუ შემდეგი დროის „საციციანოში“,
ძამის ციხის არეში განსაზღვრა¹⁸. ნ. ბერძენიშვილის ამ განსაზღვრამ
შემდგომ დაზუსტება ჰპოვა დ. გვრიტიშვილის გამოკვლევაში, სა-
დაც ჩიჯავაძეების საზუერე და „საზუერის ღვთის მშობელი“ ძამის
ხეობაში, კეხიჯვრის სამხრეთით და ორბოძლის მთის ჩრდილო-და-
სავლეთით არის მითითებული¹⁹.

უჭკველია, რომ XV ს. დამდეგშიც „გალმა მხარის“ გარკვეული
ნაწილი ჩიჯავაძეებს უჭირავთ. კახაბერ ამირეჯიბის შვილი საზუე-
რელ ჩიჯავაძე ამ დროს აქ ხვედურეთს ფლობს²⁰. ხოლო აღნიშნული
საუკუნის „40—50-იან წლებში ჩიყავასძენი „გალმა მხარს“. საერ-
თოდ, და ატენის მოურაობას, კერძოდ, ეცილებიან ამ მხარეში ახ-
ლად ფეხმოკიდებულ ციციშვილებს²¹.

ამგვარად, აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდში, თუ უფრო
გვიან, დასავლეთ საქართველოდან ზემო ქართლს გადმოსული და
„გალმა მხარში“ დამკვიდრებული ჩიჯავაძეები რჩებიან აქ XV ს.
შუა წლებამდე, სანამ ტაოდან მოსული ციციშვილები არ დაისა-
ცუთრებენ „გალმა მხარს“ და არ გამოაძეებენ მათ იქედან.

ქართლში ამირეჯიბად და ატენის მოურავად დაწინაურებული
ჩიჯავაძეები ასე კარგავენ აქ თავიანთ ადგილ-მამულსა და სახელო-
ებს.

¹⁶ იქვე, გვ. 189; ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან
XV საუკუნეში..., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 67,
შენიშვნა 3; დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური
ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 126.

¹⁷ „თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში, იმერეთ-ამერეთის ყველაზე
სამხრეთით მდებარე გზაზე“. იხ. ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრ., გვ. 478. იხ. აგრეთვე
ნ. ბერძენიშვილი. ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის
საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. გვ. 191.

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 189—193.

¹⁹ დ. გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 126.

²⁰ იხ. ქრონიკები. II. გვ. 213; ნ. ბერძენიშვილი. ერთი უძველესი
საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. საქართველოს ისტორიის
საკითხები. I. გვ. 191; მისივე, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუ-
ნეში. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 66, შენიშვნა 3;
დ. გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 126.

²¹ ნ. ბერძენიშვილი. ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობი-
სათვის საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. გვ. 191—192.

აღნიშნულ საუკუნის შუა წლებში ეს უკვე მომხდარი ფაქტი „წყალს იქით“ („გალმა მხარი“) ჩიჯავაძეებს აღარ ეკუთვნის²².
ეს ის დროა, როცა იმერეთის სამეფო ყალიბდება. მიმდინარეობს ბრძოლა ლიხთ-იმერეთისა და ამერეთის მეფეებს შორის. ქართლში შევიწროებული ჩიჯავაძეები, საფიქრებელია, ამ ბრძოლაში იმერთა მეფეს მიემხრნენ და ასეთ ვითარებაში გადმოვიდნენ იმერეთში.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ფაქტი: იმერთა მეფე ბაგრატ II (1462-1478 წწ. ვახუშტის ქრონოლოგიით) „ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა“²³. რატომ აირჩია მან დასალაშქრად მაინცდამაინც საციციანო? იმიტომ ხომ არა, რომ მის ლაშქარში იყვნენ ციციშვილებისაგან დევნილი ჩიჯავაძეები, რომელნიც იქეთკენ მოუწოდებდნენ მეფეს!

უდავოა, რომ „გალმა მხარიდან“ წამოსული ჩიჯავაძეები იმერეთში დამკვიდრდნენ. შეიძლება აქ დამკვიდრებულ ჩიჯავაძეთა მამამთავარი როსტომ ჩიჯავაძე იყო, რომელსაც ალექსანდრე მეფე თავის „კარის ვაზირთა“ შორის მოწმედ იხსენიებს 1413-1444 წლებში შედგენილ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში²⁴, ან კიდევ — „ჩიჯავასძე კახაბერი“, რომელიც მღვიმის მონასტრის კარის ჩარჩოს წარწერაში გვხვდება²⁵.

22 იქვე, გვ. 192; ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 66—67, შენიშვნა 3; დ. გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

23 ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში..., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 51.

24 საქართველოს სიძველენი. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1909, საბ. № 28, გვ. 37.

თ. ჟორდანია თოფურიძეთა სასისხლო სიგელს 1426—1430 წლებით ათარილებს (იხ. ქრონიკები, II, გვ. 232—233), ს. კაკაბაძე კი — 1490 წლით (იხ. მისი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თფილისი, 1920, გვ. 76; მისივე, სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. 1924, გვ. 65). ჩვენ ე. თაყაიშვილის დათარილება უფრო სწორად გვეჩვენება (იხ. და შდრ. მისი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, „ივერია“, 1891, № 213; საქართველოს სიძველენი. II. საბ. № 28-ის ლეგენდა).

25 ამ წარწერაში ვკითხულობთ: „ჩიჯავასძესა კახაბერსა გაუმარჯოს ღმერთმა, ამინ“. იხ. Г. Церетели. Археологическая прогулка по квирильскому ущелью. Материалы по археологии Кавказа, вып. VII. Под ред. Уваровой, М., 1898, с. 93.

აღსანიშნავია, რომ გ. წერეთელი ზემოხსენებულ კახაბერს რაჭის ქრისთავად თვლის და მის ზეობას XV ს. პირველ ნახევარს მიაკუთვნებს (იხ. იქვე, გვ. 93—94). მაგრამ ამ წარწერიდან სრულებით არ ჩანს, რომ კახაბერი რაჭის ერისთავი იყო.



ამიერიდან ჩიჯავაძეები ხშირად ჩანან იმერეთში: 1488 წ. ვხე-
დავთ საზვერელ და ვამიყ ჩიჯავაძეებს²⁶. ამავე ხანში (1486-1488 წწ.)
ვხვდებით აგრეთვე გიორგი ჩიჯავაძეს²⁷. 1565-1587 წლებში კი გი-
ორგი იმერთა მეფის მიერ კლდიაშვილებისათვის ბოძებულ წყალო-
ბის წიგნში ჩიჯავაძე „იმერელთ დარბაისელთა“ შორის არის დასახე-
ლებული²⁸: ე. ი. იმერეთში ფეხმოკიდებული წარჩინებული თავა-
დია. სწორედ ასე იცნობს გვიან ხანაში ჩიჯავაძეს ვახუშტი ბატო-
ნიშვილიც²⁹.

ჩიჯავაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XV—XVI საუკუნეთა
მიჯნაზეა სავარაუდებელი. ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნის
მიწურულს მთელი „საჩინო“ (ახლანდელი ვანის რაიონი) ჩიჯა-
ვაძეების ხელშია³⁰.

ჩიჯავაძეების სათავადოში, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შემ-
დეგი სოფლები შედიოდა: 1. დაფნარი, 2. დაბლა-გომი, 3. გომი
(მუხალრუა||მუხაყრუა), 4. მთისძირი, 5. შუამთა, 6. სებეკა, 7. ცი-
ხესულორი, 8. ვანი, 9. სალხინო, 10. ტობანიერი, 11 დიხაშხო (ნაწი-
ლობრივ), 12. საპრასია, 13. ისრითი, 14. დვალიშვილები (ნაწილო-
ბრივ), 15. ზენობანი, 16. ციხისუბანი (ნაწილობრივ)³¹, 17. გადი-

²⁶ ს. კაკაბაძე. სასისხლო სიკვლების შესახებ. საისტორიო მოამბე.
11. 1924, გვ. 25.

²⁷ იქვე, გვ. 21.

²⁸ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამ-
თავროებისა (1466—1770 წწ.). წ. I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებ-
ლები დაუთმო შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1958, საბ. № 3, გვ. 18 (ქვემოთ: ისტო-
რიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... გამომცემლის დაუსახელებლად).
გამომცემლისეული თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ.

²⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა.
ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1973, გვ. 36
(ქვემოთ: ვახუშტი, აღწერა...). ჩიჯავაძე აქ ვაკის მხარის წარჩინებულ თავადურ
გვარებს შორის არის მოხსენიებული.

³⁰ იხ. იქვე, გვ. 821.

აღსანიშნავია, რომ ჩიჯავაძეებზე ადრე ამ კუთხეს თურმე ქვაბულიძეები
ფლობდნენ (იხ. ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV
საუკუნეში..., მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 65, შე-
ნიშვნა 3; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII. 1975,
გვ. 651). მათვე ეჭირათ ძველად საჯავახოც (იხ. Д. М. Бакрадзе. АПГА,
с. 229; ო. სოსელია. ნარკვევები..., I, გვ. 278).

³¹ დიხაშხოს, დვალიშვილებისა და ციხისუბნის ნაწილი თავად ლორთქიფა-
ნიძეებს ეკუთვნოდათ (ქუთ. მუზ. საბ. № 317; ფილიპონ ივანეს ძე ნადირაძისა
(სოფ. ციხესულორის მკვიდრი, დაბადებული 1879 წ.) და იაგორ კოსტანტინეს ძე

დი, 18. ბზვანი (ნაწილობრივ), 19. ინაშაური (ნაწილობრივ)³²,
20. ყუმური (საკაპაო), 21. საყულია (ნაწილობრივ)³³, 22. ონჯო-
ხეთი³⁴.

ჩიჯავაძეთა სათავადოს საზღვარი დასავლეთით საჩავახომდე
აღწევდა, აღმოსავლეთით — ქორისწყლამდე³⁵, ჩრდილოეთით —
მდინარე რიონამდე და სამხრეთით — ახალციხემდე. უკანასკნელი-
საგან საჩიჯავაძეს ჰყოფდა საძოვარი მთები: ლამაზ-მთა, საბულ-
ჩაო და სხვ.

XVIII ს. მეორე ნახევარში ზემოდასახლებული სოფლებიდან
ჩიჯავაძეებს ჩამოერთვათ ოთხი: გომი ანუ მუხალრუა, დაბლა-გომი,
დაფნარი და ტობანიერი. ეს სოფლები სოლომონ II-მ გელათის მო-
ნასტერს შესწირა³⁶.

შეწირული სოფლები მეფის განკარგულებით ჩიჯავაძეთა და
სხვათა სამფლობელოთგან გამოიხსნა იქნა წარწერიანი სამანი ქვე-
ბით³⁷, რომელთაგან რამდენიმე დღემდე შემორჩენილია და რომ-
ლებზედაც ვკითხულობთ: „მეფემან სოლომონ გაენათს შეგწი-
რე“³⁸.

მესხის (იმავე სოფლის მკვიდრი, დაბადებული იმავე წელს) ცნობები. ჩივიწერეთ
აღნიშნულ სოფელში 1959 წ. აგვისტოს).

32 ბზვანისა და ინაშაურის ნაწილი იმერეთის ერისთავების იყო (ფილიმონ
ნადირაძისა და იაგორა მესხის ცნობები). გიულდენშტედტი ამ სოფლებს რაჭის
ერისთავებისად ასახელებს (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმა-
ნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკლევა აღურთო
გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 305). სწორედ მათგან მომდინარეობდნენ
იმერეთის ერისთავები (იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I. გვ. 89). იმე-
რეთში გიულდენშტედტის ყოფნის დროს (1772 წ.) ჩიჯავაძეებს მათი ადგილ-
მამული საერთოდ ჩამორთმეული ჰქონდათ, მაგრამ ამავე ქვემოთ.

33 ნაწილს თავადი ნივარაძეები ფლობდნენ (იაგორ მესხის ცნობა).
აღსანიშნავია, რომ „საყულია, რაც რომ ჩიჯავაძეს... წყალობით მიცემული
ჰქონდა“, სოლომონ I-მა 1770 წელს ქაიხოსრო აბულაძეს უბოძა (იხ. ს. კაკა-
ბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. V. გვ. 173,
№ 6. იხ. იქვე აგრეთვე, გვ. 199, № 39).

34 ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 59, 312, 326; ვახუშტი. აღწერა..., გვ. 821;
ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 173, № 6; ფილიმონ ნადირაძისა და იაგორ
მესხის ცნობები.

35 ქორის-წყალს ხშირად კორის-წყალსაც ეძახიან (იაგორ მესხის ცნობა).

36 ქუთ. მუზ. საბ. №№ 910, 1492; ფილიმონ ნადირაძის ცნობა.

37 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1492.

38 ერთი ასეთი ქვა (მეტრი-მეტრ-ნახევარამდე სიმაღლის) დასობილია სოფ.
ტობანიერში, „მოსაყართან“ (გზაჯვარედინთან), გიორგი მინაშვილის ეზოსთან;
მეორე — აგრეთვე ტობანიერში, ჭოვლიძის ეზოში, „მოსაყარდინან“ ჩრდილოეთით
ერთი კილომეტრის სიშორეზე.



ამიერიდან საჩივადეოს დასავლეთის საზღვრად სტფ. გორაზე (მუხალრუა) და კაპტონის ლელე დაწესდა³⁹.

ზემოჩამოთვლილ სოფლებს გარდა, ჩიჯავაძეები ადგილ-მამულს ფლობდნენ ჭყვიშს, მულრუნეთს, მაჭარეთს, ამაღლებას⁴⁰, ბელოლნარსა და ზამთაროულში⁴¹.

ვრცელი მიწა-წყლის მქონე ჩიჯავაძეები მისი უფრო მეტი გაფართოებისაკენ მიილტვოდნენ: მეზობელ ერისთავებს (იმერეთისა) ავიწროებდნენ, „სამანსა და ჭადარს შუა“ ადგილსა და „მთაშილ“ პარტახებს ეცილებოდნენ. ამ ნიადაგზე მათ შორის დავა იყო⁴².

ჩიჯავაძეების რეზიდენცია სებეკაში იყო. აქ იჯდა სათავადოს უფროსი⁴³. აქ ჰქონდა მას სასახლე, ციხე-სიმაგრე და კარის ეკლესია⁴⁴. სასახლე აგებული იყო მაღალ გორაზე⁴⁵, მდ. სულორ-რიონის შესართავთან ახლოს და გადაყურებდა ამ მდინარეთა ხეობას.

ჩიჯავაძეთა სახლიკაცები განლაგებული იყვნენ ვანს, ჭინჭველაურს („ზზვანის თავზე“), ისრითსა და ამაღლებაში⁴⁶.

სებეკას ციხის გარდა, ჩიჯავაძეები ფლობდნენ აგრეთვე ციხესულორის, ქვედა ვანისა და საპაიჭოს (ყუმურის) ციხე-სიმაგრეებს⁴⁷.

ამ სამან ქვებზე მიგვიითთა და მათი წარწერის ამოკითხვაში დახმარება გაგვიწია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა მ. ნიკოლეიშვილმა, რასაც მაღლობით აღვნიშნავთ. ასეთი წარწერიანი ზოგი სამანი ქვა დაკუთვლია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

39 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1492.

40 ეს სოფელი უმეტესად იმერეთის ერისთავებს ეკუთვნოდათ (იავორ მესხის ცნობა).

41 ქუთ. მუზ. საბ. №№ 46, 53, 226, 283, 419; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II. ტფილისი, 1921, გვ. 168—169 (ქვემოთ: დას. საქ. საეკლ. საბ. გამომცემლის დაუსახელებლად); ფილიმონ ნადირაძისა და იავორ მესხის ცნობები.

42 იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 623, 2019.

43 ვახუშტი. აღწერა. გვ. 821.

44 ამ ეკლესიის ნანგრევები ახლაც დარჩენილია.

45 იქ, სადაც ახლა საგრუნაეო ქარხანაა.

46 ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 59; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საბუთი № 59; მარიამ (მაშოკო) ბეგლარის ასულ ახვლედიან-ჩიჯავაძის (რაფიელ ჩიჯავაძის ქვრივი, ქვედა ვანის მცხოვრები, დაბადებული 1885 წ.) ცნობა. ჩაეწერეთ იქვე, 1959 წ. აგვისტოს.

47 П. Гилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении. Кавказский календарь, на 1859 г., с. 437; ფილიმონ ნადირაძისა და იავორ მესხის ცნობები.



საგვარეულო სასაფლაო ჰქონდათ მათ ვანის ეკლესიაში, რომელიც მთავარანგელოზ მიქელის სახელზე იყო აშენებული. ეს ძველი ეკლესია, რომელიც საჩინოში ჩიჯავაძეების დამკვიდრებამდე იყო აგებული, ამ საგვარეულომ თავის სამარხად გაისაკუთრა. ჩიჯავაძეებმა მას ჩრდილოეთით ეკვდერი მიაშენეს, სადაც „ყოფილა დახატული მაშენებელი ეკვდრისა და სხვა პირნიც ჩიჯავაძეების გვარისა, მაგრამ მათი წარწერები აღარ ჩანან“⁴⁸. ეს ეკვდერი იყო ჩიჯავაძეების საძვალე.

ჩიჯავაძეები ერმრავალი ფეოდალები იყვნენ. XVIII ს. მეორე ნახევრის ერთი ცნობით, საჩინოს მხარეში, რომელიც ჩიჯავაძეებს ეკუთვნოდათ, 1000 კომლი ითვლებოდა⁴⁹. აქედან თუნდაც 200-300 კომლი მეფის, ეკლესიისა და სხვა მფლობელთა ყმებად რომ მივიჩნიოთ, ჩიჯავაძეების ყმათა რიცხვი მაინც საკმაოდ დიდი — 700-800 კომლი რჩება.

ჩიჯავაძეთა ყმა-გლეხები იყვნენ: ნიკოლეიშვილები, ტყემელაშვილები, ხუბუშვილები; მყავანაძეები, ნიკოლაძეები, აბრამიძეები, ჯულაყიძეები, მხეიძეები, გურძენაძეები, ქამუშაძეები, ცხადაშვილები, ნამიჭვიშვილები, გიორგაძეები, ბაღდავაძეები, მორჩილაძეები, ჩხირაძეები, გოგაძეები, კორძაძეები, ჩუბუნძიძეები, ბურკაძეები, მახარაძეები, კალმახელიძეები, ხატისკაცი, გაბუნია, ფანცულაია და სხვ.⁵⁰

ჩიჯავაძეების აზნაურები იყვნენ: ზაალიშვილები, ფარემუზაშვილები, მაკარიძეები, გოგორიშვილები, რატიძეები, ჩხეიძეები, ლორთქიფანიძეები, შათირიშვილები, ახვლედიანები (ვანის), ჩახუნაშვილები, სანადირაძეები, ყვანიები და სხვ.⁵¹

ჩიჯავაძეთა სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მობოვებული. 1810 წ. ცნობით, საჩინოს მთელი მოსახლეობიდან, რო-

⁴⁸ იხ. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ტურ. „მოამბე“, 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 7—8.

⁴⁹ Jacob Reineggs. Allgemeine historisch—topographische Beschreibung des Kaukasus. II. Spb, 1797, S. 40.

⁵⁰ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 227 (2), № 91 (ქვემოთ: სსცია); ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 59, 252, 312, 313, 321, 328; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. № 66; ფილიმონ ნადირაძისა და იაგორ მესხის ცნობები.

⁵¹ ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 46, 226, 313, 354, 601, 685; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. № 24; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 126—127; ქრონიკები, II, გვ. 130.



მელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVIII ს. მეორე ნახევარში, 1799 წელს კომლს უდრიდა, სამეფო საურს იხდიდა მხოლოდ 10 კომლი⁵², სანაღობო დიეროს — 20 კომლი⁵².

ზოგი სხვა სამეფო ვალდებულება („მესადგომობა — შინ ცხენისა და კაცის ჩადგომა“) მართებდათ მდივანბეგ ვახუშტი ჩიჯავაძის „სახასო კაცებს“: ბზვანის წმინდა გიორგის ეკლესიის „შემავალს... ერთობით ტყეშელაშვილებს და ერთობით გურულებს — მჭავანაძეებს“. მაგრამ 1808 წელს სოლომონ II-მ ამისგანაც გაანთავისუფლა ისინი⁵².

სათავადოს მართვის საქმეში ჩიჯავაძეები თავიანთ აზნაურებს იყენებდნენ. მაღალი თანამდებობები ჩიჯავაძეების კარზე აზნაურებს ეჭირათ. მაგალითად, სახლთხუცესის სახელო 1811 წ. დათუნა ახვლედიანს ჰქონდა⁵⁴, მოურავის — 1798-1811 წლებში — ოტია, ქაიხოსრო, როსტომს და პააუნა ლორთქიფანიძეებს⁵⁷, ნაცვლისა — 1808-1823 წლებში — დათუნა და ვახტანგ ჩახუნაშვილებს⁵⁶.

უფრო დაბალ, ხელოსნის თანამდებობაზე გლეხები ჩანან — აბრამიძეები და ნიკოლეიშვილები⁵⁷: 1808 წ. — დავით აბრამიძე⁵⁸, 1809, 1810, 1811 წლებში კი — გიორგი (გიორგელა) ნიკოლეიშვილი⁵⁹.

ჩიჯავაძეების ერთი გვიანდელი ხანის (1827 წ.) საბუთში იხსენიება აგრეთვე მათი ტყის მცველი⁶⁰.

საეკლესიო მსახურთაგან ჩიჯავაძეთა სათავადოში ვხედავთ მხოლოდ მათ „კარის წინამძღვარს“ მაკარიოზს 1731 წ. და ხუცესს ამავე წელში⁶¹.

XVI ს. მიწურულს ჩიჯავაძეები აქტიურად მონაწილეობენ იმ ბრძოლაში, რომელიც როსტომ იმერთა მეფესა და მის წინააღმდეგ ამხედრებულ გიორგი გურიელს შორის წარმოებს. ამ ბრძოლაში

52 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, том IV, Тифлис, 1870, с. 256 (ქვემოთ: Акты).

53 ქუთ. მუზ. საბ. № 312.

54 იხ. იქვე, საბ. №№ 46, 283.

55 იქვე, საბ. №№ 46, 266, 283, 313, 326.

56 იხ. იქვე და აგრეთვე ქუთ. მუზ. საბ. № 252; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. № 66.

57 ქუთ. მუზ. საბ. №№ 266, 283, 313, 326.

58 იქვე, საბ. № 326.

59 იხ. იქვე, საბ. №№ 226, 283, 313.

60 იქვე, საბ. № 53.

61 დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 126; ქრონიკები, II, გვ. 130.

ერთი ჩიჯავაძე როსტომის მხარეზე ჩანს, მეორე⁶² — გურიელისა და მის მიერ იმერეთის ტახტის პრეტენდენტად წამოყენებულ ბაგრატი თეიმურაზის ძისა⁶³.

როცა გურიელმა გაიმარჯვა, მეფესთან ერთად მისი მომხრე ჩიჯავაძეც განდევნა და სათავადოს უფროსად „სხუა ჩიჯავაძე“ დასვა⁶⁴. არ ვიცით რა დღე დაადგა გურიელის მომხრე ჩიჯავაძეს, როცა 1590 წ. როსტომმა ტახტი დაიბრუნა.

ამ ორი ჩიჯავაძედან შეიძლება ერთი იყოს ის საზვერელი ჩიჯავაძე, რომელსაც XVII ს. დამდეგს ვხედავთ. ეს ის დროა, როცა ბაადურ არაგვის ერისთავს ერისთავობას ეცილება მისი ძმა ზურაბი. უკანასკნელისაგან ქართლიდან გამოდევნილი ბაადური თავის ოჯახით საზვერელ ჩიჯავაძემ შეიფარა. მაგრამ იგი ბაადურის ცოლს „ეტრფილა“, მოკლა ერისთავი და ქალი თვითონ შეირთო. ზურაბმა ძმის სისხლი არ შეარჩინა საზვერელ ჩიჯავაძეს: წამოვიდა არაგვის ერისთავი „ფერსათის მთით“, მოულოდნელად თავს დაესხა საზვერელს საჩინოში, მოკლა იგი და ასე გადაუხადა სამაგიერო მას⁶⁵.

K 216.123

ამის შემდეგ ჩიჯავაძეები ერთ ხანს არ ჩანან წყაროებში. XVII ს. შუა წლებში კი ეს საგვარეულო ფრიალ დაწინაურებულია. ამ დროს იმერეთის თავადურ გვართა შორის მას თავის ღირსებით მეოთხე ადგილი უჭირავს. ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენელი საზვერელ III იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის მიერ რუსთ ხელმოწიფისათვის გაგზავნილ 1651 წ. ფიცის წიგნში მეოთხე ადგილზე იხსენიება⁶⁶. სათავადოს უფროსობაც საზვერელს აქვს (გვარში ის პირველობს).

საზვერელ III-ის თანამოგვარეებს ვხედავთ აგრეთვე იმავე ალექსანდრე III-ის მეფობის (1639-1660 წწ.) უკანასკნელ წლებში. ისინი იმ ლაშქარში არიან, რომელიც ვამეყ დადიანმა, დასახელებულ მეფესთან შეთანხმებით, ქაიხოსრო გურიელს შეუსია „შუა გურიისში“. ქაიხოსრომ ეს ლაშქარი დაამარცხა. თავდამსხმელთაგან ბევრი ტყვედ „დაირჩინა“. ტყვეთა შორის იყვნენ ჩიჯავაძეებიც⁶⁷. უურაღლებას იპყრობს ერთი ტყვე ჩიჯავაძის საომარი იარაღ-

62 სახელი არც ერთის არ იხსენიება.


63 იხ. ვახუშტი. აღწერა. გვ. 821.

64 იხ. იქვე.

65 იქვე. გვ. 428—429.

66 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველივის ელჩობა იმერეთში, 1650—1652. საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლოვექტოვმა, ტფილისი, 1926, გვ. 193 (ქვემოთ ყველგან მითითებულია ეს გამოცემა).

67 Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 192. სახელები არ იხსენიება.





ბი: „ჯაჭვი, ხრმალი, ლახტი“, რომელიც იმდენად ძვირფასია გურიელი მათ თავისი გამარჯვების აღსანიშნავად აქის წმინდა გიორგის საყდარს სწირავს⁶⁸.

ალექსანდრე III-ის მემკვიდრის ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის ალექსის სახელზე გაგზავნილ წერილშიც საზვერელ III ჩიჯავაძე მეფის დიდებულ თავადთა („დიდ ბოიართა“) შორის არის წარმოდგენილი⁶⁹.

იქვე მეორეხარისხოვან თავადთა („ბოიართა“) რიგებში იხსენიებიან საზვერელის სახლიკაცები: როსტომ, ლომკაცი და ლიპარი ჩიჯავაძეები⁷⁰.

იმავე ბაგრატ IV-ის დროს საზვერელი დიდ წარმატებას აღწევს. 1673 წ. მას სახლთუხუცესის თანამდებობით ვხედავთ⁷¹. ეს ის საზვერელ ჩიჯავაძე უნდა იყოს, რომელიც შემდეგშიც ბაგრატ IV-ის მხარეზე ჩანს და მის მეტოქე არჩილთან ბრძოლაში იღუპება 1679 წ.⁷² მეფის ერთგულ თავადს, უნდა ეიფიქროთ, სახლთუხუცესის სახელო სიკვდილამდე ჰქონდა⁷³.

იმ პოლიტიკური აშლილობის დროს, რომელიც ალექსანდრე III-ის გარდაცვალებიდან იმერეთში დაიწყო, ჩიჯავაძეები ერთხანს გურიელის გავლენის ქვეშ მოექცნენ. 1661 წ. ქართლის მეფე

⁶⁸ Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 192—193.

⁶⁹ Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г. Под ред. Броссе, Спб., 1861, с. 83 (ქვემოთ: Переписка...).

⁷⁰ იხ. იქვე.

⁷¹ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I. გვ. 38, საბ. № 28.

აღსანიშნავია, რომ პ. გნილოსაროვის ცნობით, ჩიჯავაძეებს ძველად ციხისთავის თანამდებობაც ეკავათ (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 438). ამ ცნობაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძე ვარაუდობს: „შესაძლებელია „იმერეთში“ ციხისთავობა რამოდენიმე ხანს მართლაც ჩიჯავაძეთა გვარეულობაში იყო დამკვიდრებული“ (იხ. მისი იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში. საისტორიო მოამბე. I. 1925, გვ. 86—88). მაგრამ პ. გნილოსაროვის ცნობა და ს. კაკაბაძის ვარაუდი სწორი არ უნდა იყოს.

⁷² ვახუშტი. აღწერა. გვ. 843.

⁷³ საზვერელის უმცროსი თანამედროვენი ჩანან მისი სახლიკაცები ვახუშტი და პატა ჩიჯავაძეები, რომელნიც 1696-1714 წლების ერთ ფიცის წიგნში იხსენიებიან (იხ. საქართველოს სიძველენი. ტ. I. გამოც. მეორე, წ. I, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1920, გვ. 44, საბ. № 16. ამ საბუთის ე. თაყაიშვილისეული თარიღი — 1680—1710 წწ. (იხ. იქვე, საბუთის ლეგენდა) შესწორებულია ჩვენ მიერ მისი მიმღები კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ზეობის დასაწყისის — 1696 წლისა და მასში მოხსენიებული გიორგი III ლიპარტიანის დატყვევების — 1714 წლის მიხედვით).



ვახტანგ V-მ (შაჰ-ნავაზმა) იმერეთი რომ დალაშქრა, საჩიჯავაძე მომიჯნავე საჯავახო გურიელს გადასცა⁷⁴. ქართლის მეფის ეს ღონისძიება იმერეთის კანონიერ მეფესა და გურიელს შორის განწყობილების გამწვავებას და არჩილის მოწინააღმდეგეთა გაფანტვას ისახავდა მიზნად.

მართლაც, გურიელის ხელში საჯავახოს გადასვლას მოჰყვა ის, რომ „ჩიჯავაძენი მარადის იყუნენ წინაშე“ გურიელისა⁷⁵. შეიძლება ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე V-ის ძმამ მამუკა ბატონიშვილმა წაართვა ბეჟან ჩიჯავაძეს საჩიჯავაძეთა და თვითონ „დაიპყრა“ იგი. ეს მოხდა 1734-1735 წწ.⁷⁶.

გურიელის „წინაშე“ ყოფნისა თუ სხვა მიზეზის გამო ჩიჯავაძეები ამაზე ადრეც დაქვეითებული ჩანან. მაგალითად, „ჩინებულნი თავადის“ ლომკაც ჩიჯავაძის თანამეცხედრე ანიკა 1731 წ. ჩივის: „ემთა ვითარებისაგან ჩვენი სახლი დამცირებულ იყო“⁷⁷.

უკეთეს მდგომარეობაში არ არიან ჩიჯავაძეები სოლომონ I-ის დროშიც. ამ მეფემ, როგორც ზემოთ ითქვა, ჩამოართვა „საყულია, რაც რომ ჩიჯავაძეს წყალობით მიცემული ჰქონდა“ და 1770 წ. ქაიხოსროსა და პაპუჩა აბულაძეებს უბოძა. მეტიც: სოლომონ I-ის მეფობაშიც ჩიჯავაძეებს მთლიანათ ჩამორთმეული აქვთ მათი საგვარეულო სამფლობელო „საჩინოს მხარე“ და 1772 წ. ის მეფეს უქირავს⁷⁸.

მართალია, 1789 წლის ერთი დოკუმენტის მიხედვით, მამუკა ბატონიშვილის მიერ „გალარიბებული“, „ობლად დარჩენილი“ ჩიჯავაძეები სოლომონ I-ს „დაეზარდა“ და მათი „რჩენა ნდომოდა“

74 იხ. ვახუშტი. აღწერა. გვ. 867.

75 იქვე.

76 იხ. იქვე, გვ. 888—889.

მამუკა ბატონიშვილის მიერ საჩიჯავაძეთა დაპყრობის შესახებ ვახუშტის ცნობის სისწორეს ადასტურებენ დოკუმენტური მონაცემები (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 103; ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. თბილისი, 1960, გვ. 119, საბ. № 100. ქვემოთ: მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის... გამომცემლის დაუსახელებლად).

77 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 126; ქრონიკები. II. გვ. 130.

78 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. II. გვ. 305.

გიულდენშტედტის ცნობით, „მას შემდეგ რაც თავადები (იგულისხმება ჩიჯავაძეები, ო. ს.) დაიხოცნენ, საჩინოს მხარე... მეფეს ეკუთვნის“ (იხ. იქვე). ეს ცნობა მთლად ზუსტი არ არის. გიულდენშტედტის იმერეთში ყოფნის დროს (1772 წ.) არაერთი თავადი ჩიჯავაძე ცოცხლობდა.



ოლონდ „დროს არ მიეცა“⁷⁹... მაგრამ ამასთან ისიც ფაქტობრივად ჩიჯავაძეების სამფლობელო სოლომონის ხელშია და მათი ზემოხსენებული საყულიაც მან სხვებს მისცა!

მძიმე მდგომარეობაში რჩებიან ჩიჯავაძეები სოლომონ II-ის მეფობამდე. ერთხანს მათ დავით გიორგის ძის ტახტზე მომაგრება აღიდად შეუწყვეს ხელი⁸⁰, მაგრამ ამას მათი მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. ეს იმიტომ, რომ მალე ისინი მის წინააღმდეგ მებრძოლ დავით არჩილის ძეს (გამეფებიდან სოლომონ II) მიემხრნენ.

ჩიჯავაძეების გასაპირი კარგად არის ასახული ვახუშტის, ქაიხოსროს, გიორგისა და მათ სახლიკაცებს შორის დადებულ XVIII ს. მიწურულის პირობის წიგნებში, სადაც ისინი აცხადებენ: „ჩვენი ოჯახი დამდაბლებული, წამხდარი იყო... ჩვენი სამკვიდრებელი-საგან უნაწილო ვიყავით და სხვადასხვა ადგილას განზნეულსავით ვიყავითო“⁸¹.

ჩიჯავაძეების „წამხდარი“ საქმე გამოასწორა ამ საგვარეულოს ენერგიულმა წარმომადგენელმა ვახუშტიმ, რომელმაც თავის „ცდით“ და სოლომონ II-ის „შეწყნარებით“ მიიღო ჩიჯავაძეთა აღრინდელი „სამკვიდრებელი“⁸². ეს მოხდა დავით არჩილის ძის გამეფების (1789 წ.) შემდეგ ამავე წლის 8 დეკემბერს⁸³.

ვახუშტი ჩიჯავაძე უთუოდ დიდად გამოადგა დავით არჩილის ძეს იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი ტახტზე ასვლისათვის აწარმოებდა. გამეფებისთანავე მის მიერ ვახუშტის „შეწყნარება“ ამით აიხსნება.

ამგვარად, „უამთა ვითარებისაგან... დამცირებული“ ჩიჯავაძეთა სახლი სოლომონ II-ის დროს ისევ აღზევდა. მაგრამ ვახუშტიმ თავისი საგვარეულოს ძველი სამფლობელო მთლიანად მაინც ვერ დაიბრუნა. ჩიჯავაძეების ოთხი სოფელი (დაფნარი, გომი, დაბლა-გომი, ტობანიერი), როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფემ გელათის მონასტერს უბოძა.

მეფემ არ მისცა ჩიჯავაძეებს აგრეთვე მათი ყოფილი აზნაური

79 ქუთ. მუზ. საბ. № 103.

80 იხ. სსცია, ფ. 2, საქმე 256 (ახალი აღწ.), ფურც. 22.

81 ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 59.

82 იხ. იქვე.

83 სოლომონ II-ის მიერ ვახუშტი ჩიჯავაძისადმი ბოძებული წყალობის წიგნი 1789 წ. 8 დეკემბრითაა დათარიღებული (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 103).

„ოტიელა ლორთქიფანიძე და მისი სახლიკაცი“ და ზოგი
ყმა-მამული⁸⁴.

1734-1735 წლებიდან 1789 წ. დასასრულამდე ჩიჯავაძეთა გვა-
რი, როგორც ვნახეთ, თავის „სამევიდრებელისაგან უწილა“ და
„სხვადასხვა ადგილას განზნეულსავეთ“ არის. ცხადია, ამ დროს
ჩიჯავაძეთა სათავადო არ არსებობს. ამ სათავადოს გაუქმება ალექ-
სანდრე V-ის (1720-1752 წწ.) ადმინისტრაციული ღონისძიების შე-
დეგი უნდა იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩიჯავაძეების გვარში „სათავისთა-
ვო“, ინდივიდუალური საკუთრებისაკენ ლტოლვა ადრევე დაიწყო
და საკუთრების ამ პროგრესულმა ფორმამ ადრევე დაძლია საგვა-
რეულო საკუთრება. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ გვიან. მაგ-
რამ იმერეთის თავადებიდან ერთ-ერთმა პირველთაგანმა, სწორედ
ჩიჯავაძემ მოაწყო სასაქონლო ხასიათის მეურნეობა⁸⁵. ყოველ
შემთხვევაში, ვახუშტიმ საჩიჯავაძეო ადგილ-მამული რომ მიიღო
(1789 წ. მიწურულს), სახლიკაციებს შორის ერთობის შესახებ „ლა-
პარაკი“ იყო, მაგრამ „ერთად დგომა აღარ მოხდა“ და გვარის წევ-
რები „ცალკე გვიდნენ“. 1790-1791 წლებში ვახუშტიმ მისცა თა-
ვის თანამოგვარეებს, რაც „სამართლით“ მისგან ერგებოდათ „კა-
ციცა და მიწა-წყალიც“ (ჩიჯავაძეთა თავაკაცი ამ დროს ვახუშტი
იყო)⁸⁶.

ამრიგად, საგვარეულო სამფლობელოს დაბრუნების შემდეგ,
მოკლე ხანში, ჩიჯავაძეები გაიყარნენ, გაინაწილეს საერთო ყმა-მა-
მული და ამიერიდან ერთ სათავადო სახლად არ გაერთიანებულან.

ვახუშტი ჩიჯავაძეს ამის შემდეგაც ჰქონდა წარმატება: 1799-
1801 წლებში სოლომონ II-მ მას მღვიანბეგის თანამდებობა მის-
ცა⁸⁷, რომელიც სიკვდილამდე ეჭირა (იხ. ქვემოთ, ვახუშტი II).

ვახუშტი მეფესთან ფრიად დაახლოებული იყო. მეფესაც მისი
„ძმობის“ იმედი ჰქონდა⁸⁸. მათი კეთილი დამოკიდებულება ნათე-
საობითაც იყო შემტკიცებული. ვახუშტი დაქორწინებული იყო და-
დიანის ასულ მარიამზე, რომელიც სოლომონ II-ის თანამეცხედრის

⁸⁴ იხ. იქვე.

⁸⁵ იხ. დ. გოგოლაძე. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურ-
ნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდე. საქართველოში (1930—1864 წწ.),
თბილისი, 1959, გვ. 74—78.

⁸⁶ ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 59.

⁸⁷ 1798 წ. ვახუშტი თანამდებობის გარეშეა დასახელებული (იხ. ქუთ. მუზ.
საბ. № 357). 1801 წ. 1 მაისს კი მღვიანბეგად იხსენიება (იხ. იქვე, საბ. № 13).
ე. ი. მღვიანბეგობა მას 1799—1801 წლებში მიუღია.

⁸⁸ ქუთ. მუზ. საბ. № 13.



აგრეთვე დადიანის ასულ მარიამის ახლო ნათესავი იყო. ამრქვემსწლი ბიზანტიისა და სპარსეთის რომ დედოფალი ვახუშტის „ფრიად საყვარელ სიძესა უწოდებს“. უთუოდ ამ ნათესაობამაც შეუწყო ხელი მის დაწინაურებას.

საგვარეულო მიწა-წყლის განაწილების შემდეგ ჩიჯავაძეები ჩანან როგორც ცალკეული მემამულეები. ერთი მსხვილი მემამულე ამ საგვარეულოში, და მთელ იმერეთში XVIII ს. დასასრულს და XIX ს. დამდეგს იყო იგივე ვახუშტი. გვიან კიდევ — მისი მემკვიდრე ნიკოლოზ ჩიჯავაძე (იხ. ქვემოთ), რომელსაც კაპიტალისტურ საწყისებზე გამართული დიდი მეურნეობა ჰქონდა⁸⁹.

* * *

XVII-XVIII საუკუნეებსა და XIX ს. პირველ ნახევარში მეტწილად ცნობილია ჩიჯავაძეთა საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენლები⁹¹:

ვახტანგ I. თავის თანამეცხედრესთან, მიქელაძის ასულ ხვარამზესთან ერთად იხსენიება XVII ს. პირველ ნახევარში⁹².

ეს ვახტანგი და მისი მეუღლე ხვარამზე დახატული არიან მთავარ-ანგელოზ მიქელის სახელზე აშენებულ ვანის (იმერეთში) ეკლესიის ჩრდილოეთის ეკვდრის სამხრეთის კედელზე⁹³.

სვიმონ მთავარეპისკოპოსი. ჩანს XVII საუკუნეში⁹⁴.

⁸⁹ იხ. ქუთ. მუხ. საბ. №№ 260, 326.

⁹⁰ ნიკოლოზ ჩიჯავაძის მეურნეობაზე და ამ მეურნეობის ხასიათზე იხ. დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 74—78; ს. ბერაძე. ქართული ეკონომიური აზრის განვითარება XIX საუკუნის 50—60 წლებში. ეკონომიური ინსტიტუტის შრომები, XI. 1959, გვ. 346.

⁹¹ უფრო ადრინდელი ხანის ჩიჯავაძეები იხ. ზემოთ.

⁹² ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.). თბილისი, 1962, გვ. 83, აღაპი 51; გვ. 132, კომენტარი 51 (ქვემოთ: მასალები...).

⁹³ E. Такайшвили. Церковь в Ване, в Имеретии и ея древности. Известия Кавказского историко-археологического института, т. II. 1917—1925, с. 87—88; შდრ. მისივე, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ეურ. „მოამბე“, 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 7—8; მისივე, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I. ტფილისი, 1907, გვ. 7—8.

⁹⁴ ზონის საყდრის დავთარი. გამოც. ს. კაკაბაძისა, ტფილისი, 1913, გვ. 17.

აღსანიშნავია, რომ 1627—1654 წწ. საქართველოში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მისიონერის კრისტოფორო დე კასტელის ცნობებში მოხსენიებულია „დავით ჩიჯავაძე, ანაკოფის ციხე-სიმაგრისა და ნავთსაყუდარის მფლობელი შავ ზღვაზე“ და „კარის ეპისკოპოსი ელია ჩიჯავაძე“ (იხ. დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. ტექსტი



ვახუშტი I. გვხვდება 1696-1714 წლების ფიცის წყევლის დროს. ეს ის ვახუშტი უნდა იყოს, რომელიც ვანის ეკლესიის მთავარანგელოზისა და ღვთისმშობლის ხატების წარწერაში იხსენიება⁹⁶. პირველი ხატი მოაქედინა „ახალ მიცვალებულისა“ მისი „მეუღლისა... ღობობერიძისა მარუხისა სალხინებლად“, ხოლო მეორეს ამკობს იგი თავის მეორე თანამეცხედრესთან, კილაძის ასულ ანასთან ერთად⁹⁷.

II ვახუშტის, რომელიც უფრო გვიან მოღვაწეობდა, არც ღობობერიძის ასული ჰყოლია ცოლად და არც კილაძისა (იხ. ქვემოთ, ვახუშტი II).

პ ა ა ტ ა. ვხედავთ, ვახუშტი I-თან ერთად, 1696-1714 წლებში⁹⁸. შეიძლება პაატა ვახუშტის ძმა იყოს.

ს ა ზ ვ ე რ ე ლ ი IV⁹⁹. სიძე ქართლის ჯანიშინის ვახტანგ VI-ისა. 1708 წ. 23 იანვარს საზვერელი ცოცხალი არ არის. მისი გარდაცვალება ამ თარიღს უნდა ემთხვეოდეს. მკვდრად იხსენიება იგი ვანის ეკლესიის მთავარანგელოზთა ხატის წარწერაში. რომელიც მოუქედინებია „საქართველოს ჯანიშინს“ 1708 წ. 23 იანვარს, „მას ემს ოდეს სულკურთხეული“ მისი „სიძე ... ჩიჯავაძე საზვერელი მიიცვალა“¹⁰⁰.

გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976, ჩანახატი 27, გვ. 82, 100). მაგრამ, ჩვენი აზრით, ესენი ოდიშელი თავადი ჩიჩუბი არიან. მათ გვარსახელი (ჩიჩუა) კასტელს, ისე როგორც კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს (იხ. ზემოთ), ქართული ფორმით უნდა ჰქონდეს მოცემული. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დავითის ხელშია „ანაკოფია“, რომელიც სინამდვილეში ანაკლია უნდა იყოს. ანაკოფია, ან თუნდაც ანაკლია კი ჩიჯავაძის მფლობელობაში არასოდეს ყოფილა.

⁹⁵ საქ. სიძე., I, გვ. 44, საბ. № 16 (თარიღი, როგორც ზემოთ ითქვა, შესწორებულია ჩვენ მიერ).

⁹⁶ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ეურ. „მოამბე“, 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 10—11, 13; მ ი ს ი ვ ე, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I. ტფილისი, 1907, გვ. 10—11; მ ი ს ი ვ ე, Церковь в Ване..., Известия кавказского историко-археологического института, т. II. 1917—1925, с. 91—92.

⁹⁷ იხ. იქვე.

⁹⁸ საქ. სიძე., I, გვ. 44, საბ. № 16. (თარიღი შესწ. ჩვენ მიერ. იხ. ზემოთ).

⁹⁹ იმერეთში ჩიჯავაძეების დამკვიდრების დროიდან I საზვერელია ის, რომელიც 1488 წ. იხსენიება, II — ზურაბ არაგვის ერისთავმა, რომ მოკლა XVII ს. დამდგეს, III — სახლთუხუცესი იყო და 1679 წ. დაიღუპა (იხ. ზემოთ).

¹⁰⁰ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ეურ. „მოამბე“, 1900, № XII (დეკემბერი), გვ. 11.



ლომკაცი. „ჩინებული თავადი“ დასახელებული საბუთში¹⁰¹. მაგრამ ამ დროს ის მკვდარია. მისი თანამეცხედრე აბაშიძის ასული ანიკა და სამი ვაჟი — გიორგი, ვახუშტი II და ილარიონი გვხვდებიან ამავე წელს¹⁰². უკანასკნელი აღნიშნული წლის შემდეგ არ ჩანს.

ლომკაცის შვილი იყო აგრეთვე საზვერელი („საზორელი“) V. 1798 წ. ერთ პირობის წიგნში ვახუშტი ჩიჯავაძე საზვერელს თავის ძმად ასახელებს¹⁰³. ამ დროს და შემდეგაც ჩიჯავაძეთა გვარში მხოლოდ ერთი ვახუშტი II არის (იხ. ქვემოთ), რომელიც ლომკაცის შვილია. თუ საზვერელი ამ ვახუშტის ძმა იყო, ცხადია, იგიც ლომკაცის შვილი ყოფილა.

საზვერელ V 1798 წ. შემდეგ არ გვხვდება.

ლომკაცის შვილი ჩანს ანტონიც (იხ. ქვემოთ). იგიც ზემოდასახელებულ ვახუშტის ძმად იხსენიება¹⁰⁴.

გიორგი I. ლომკაცის ძე, ძმა ვახუშტი II-ის, ილარიონის, საზვერელ V-ის და ანტონისა. მოხსენიებულია 1731 წ. საბუთში¹⁰⁵. ეს გიორგი უნდა იყოს 1764-1770 წლების პირობის წიგნის „გამრიგედ“ დასახელებული და 1775 წლის 22 ივნისის ნასყიდობის წიგნის გამცემი გიორგი ჩიჯავაძეც¹⁰⁶.

ვახუშტი II. ლომკაცის ძე, ძმა გიორგი I-ის, ილარიონის, საზვერელ V-ის და ანტონისა (იხ. ზემოთ ლომკაცი). მდივანბეგი, წიგნიერი, კანონმცოდნეობის საქმეში ფრიად გაწაფული¹⁰⁷, ჩიჯავაძეთა გვარის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ვხვდავთ 1731, 1776, 1786 (დაახლოებით), 1789, 1790, 1791, 1796, 1798, 1801, 1808, 1809, 1810, 1811 წლების საბუთებში¹⁰⁸.

101 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 126; ქრონიკები. II. გვ. 130.

102 იხ. იქვე.

103 ქუთ. მუზ. საბ. № 357.

104 იქვე, № 103.

105 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 126; ქრონიკები. II. გვ. 130.

106 სსცია, ფ. 227 (2), საბ. № 91; საქ. სიძვ. II. გვ. 522, საბ. № 495.

107 იხ. 3. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ. დასახ. ნაშრ., გვ. 433.

108 ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 13, 34, 46, 59, 101, 103, 226, 283, 312, 313, 326, 357; დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 126; II, გვ. 58, 168—169; ქრონიკები. III. გვ. 130; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. ტ. III. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. ისტორიული დოკუმენტები, ტექსტი შენიშვნებითა და სამიუზეუმოთურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1953, გვ. 12, საბ. № 4 (ქვე-



1809 წ. 30 დეკემბერს მდივანბეგი ვახუშტი ჩიჯავაძე იმერეთის სამეფოს „რჩევის“ წევრ თავადთა შორის არის მოხსენიებული¹⁰⁹.

ვახუშტი II, როგორც ზემოთ ითქვა, დადიანის ასულ მარიამთან იყო დაქორწინებული. ჰყავდა სამი ვაჟი: ვახტანგი, ნიკოლოზი და გიორგი¹¹⁰. მათგან უფროსი ვახტანგი უნდა იყოს: საბუთში პირველ რიგში ისაა დასახელებული¹¹¹.

ვახუშტი II-ეს ქალიშვილებიც ჰყოლია: ერთი მათგანი მიქელაძეზე ყოფილა გათხოვილი, მეორე — თავად ბეჟან ლორთქიფანიძეზე. უკანასკნელი თავის თავს ნიკოლოზ ჩიჯავაძისადმი (ცოლის იმისადმი), გაგზავნილ ერთ უთარაილო წერილში მის „უმცირეს სიძეს“ ეძახის¹¹² (იხ. ქვემოთ ნიკოლოზი).

ბ ე ე ა ნ ი. ვახუშტი II-ის ბიძაშვილი¹¹³. გვხვდება 1734—1735, 1736, 1738, 1790, 1791 წლებში¹¹⁴. შეიძლება ეს ბაეანი იყოს. 1817წ. საბუთში მოწმედ მოხსენიებული თავადი ბეჟან ჩიჯავაძეც¹¹⁵.

დ ა ვ ი თ ი. მოწმედ იხსენიება 1768 წლის ერთ წყალობის წიგნში¹¹⁶.

ა ნ ტ ო ნ ლომკაცის ძე (იხ. ზემოთ ლომკაცი), ძმა ვახუშტი II-ისა, ხონის მთავარეპისკოპოსი. ჩანს 1770, 1771, 1776, 1777, 1778, 1779, 1780, 1789, 1790, 1795, 1802, 1806, 1807, 1811, 1812, 1814, 1819, 1820, 1821 წლებში¹¹⁷.

შოთ: საქ. საბ. მუზ. ინსტ. დოკუმენტები და არქივები გამომცემლის დაუსახელებლად); ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 190, საბ. № 23.

109 ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). თბილისი, 1956, გვ. 416, საბ. № 28.

110 იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 35, 313, 326.

111 იქვე, საბ. № 313.

112 იქვე, საბ. № 100; მარიამ (მაშვიკო) ახვლედიან-ჩიჯავაძის ცნობა.

113 ქუთ. მუზ. საბ. № 10.

114 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. № 6117; ქუთ. მუზ. საბ. № 10, 59; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 63, საბ. № 62; ვახუშტი. აღწერა. გვ. 888—889.

115 მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 69, საბ. № 76.

116 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. № 15011.

117 ქუთ. მუზ. საბ. № 103; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 46, 86, 97, 123—124, 151, 157, 168—169, 176—179; 180; ქრონიკები III, გვ. 286, 324, 433; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია. ტ. I. თბილისი, 1959, გვ. 328, ანდერძი I; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგ-



1770 წ. ანტონ ჩიჯავაძეს უკვე ხონის მთავარეპისკოპოსის რისხით ვხედავთ¹¹⁸. მონაწილეობდა 1819-1820 წწ. იმერეთის აჯახებაში. „ის იყო პირველი მიზეზი“ უკმაყოფილო ხალხის თავმოყრისა ვაკის ოლქში¹¹⁹.

ანტონი თავის დროისათვის ფრიად ნაყოფიერ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი „ბრძანებითა და წარსაგებლითა“ „ალიწერა“ მრავალი „სამღვდელმთავრო“ და „საფილოსოფოსო“ წიგნი¹²⁰.

გარდაიცვალა იგი 1822 წ. 17 ივლისს¹²¹.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ვახუშტი II-ის ძმისწული, ძმა გიორგი II-ისა (იხ. ქვემოთ). იხსენიება 1789, 1790, 1791 წლებში¹²².

ქაიხოსრო ჩიჯავაძე იმ იმერელ „დესპანებს“ შორის იყო, რომელნიც იმერეთის ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთების წინადადებით ერეკლე II-ეს ეახლნენ 1789 წ.¹²³

გ ი ო რ გ ი II. ვახუშტი II-ის ძმისწული, ქაიხოსროს ძმა. ვხედავთ 1790, 1791, 1811, 1821, 1826 წლების დოკუმენტებში¹²⁴.

შეიძლება ეს გიორგი და 1801 წლის ერთ „საუღდო წიგნში“ მოწმედ დასახელებული გოგია ჩიჯავაძე¹²⁵ ერთი და იგივე პირი იყოს.

კ ა ც ი ა. ბეჟანის ძმა (?). ჩანს 1790 წ.¹²⁶

ვ ა ხ ტ ა ნ გ II. ვახუშტი II-ის ძე. ძმა გიორგი III-ის და ნიკოლოზისა (იხ. ქვემოთ). ვხედავთ 1810 წ.¹²⁷

რელოში. ძველი საქართველო. III. გვ. 283, 289—290, 294, 300; Акты, т. VI, в. I, с. 419; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. III. 1942, გვ. 145.

¹¹⁸ იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, გვ. 328, ანდერძი I.

¹¹⁹ ნ. შახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 145.

¹²⁰ ე. თაყაიშვილი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. III. გვ. 283, 285, 289—290, 292, 294; ქრონიკები. III. გვ. 286, 324, 433.

¹²¹ ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 290, შენიშვნა 1; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 337; ქრონიკები. III. გვ. 324.

¹²² ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 59; პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელისა შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ფედერაცია, 1936, გვ. 15—18.

¹²³ იხ. პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 15—18.

¹²⁴ ქუთ. მუზ. საბ. №№ 10, 46, 59, 354, 711.

¹²⁵ იქვე, საბ. № 13.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ იქვე, საბ. № 313.



ნიკოლოზ ვახუშტი II-ის ძე. ძმა ვახტანგ II-
გიორგი III-ისა. პირველად მოხსენიებულია 1810 წ. საბუთში¹²⁸.
ამის შემდეგ განუწყვეტლივ გვხვდება XIX ს. პირველ ნახევარში
და უფრო გვიანაჲ¹²⁹.

1831-1841 წლებში ნიკოლოზ ჩიჯავაძე პრაპორშჩიკის ხარისხს
ატარებს¹³⁰. 1845-1846 წლებში პოდპორუჩიკად არის წოდებული,
ხოლო 1862 წ. იგი შტაბს-კაპიტანი¹³¹. 1869 წ. 15 იანვარს ის ჯერ
კიდევ ცოცხალია და ხელწერილს აძლევს თანდილა დვალი-
შვილს¹³².

ნიკოლოზ ჩიჯავაძე, როგორც ჩანს, მონაწილეობას ლებულობ-
და საქართველოს თავადაზნაურობის 1832 წ. შეთქმულებაში¹³³.

იგი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველად — გურიელის
ქალთან, მეორედ — წულუკიძის ასულთან. შვილი არც ერთთან
არ ჰყოლია. ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი უძ-
რავ-მომრავი ქონება მიიღეს მისმა დისწულებმა — კირილე და გრი-
გოლ ლორთქიფანიძეებმა და ბიჭია მიქელაძემ¹³⁴.

გიორგი III. ვახუშტი II-ის ძე. ვახტანგი II-ისა და ნიკო-
ლოზის ძმა¹³⁵. გვხვდება 1827, 1828, 1831, 1833 წლებში. ამ დროს
იგი პოდპორუჩიკი და მოურავია¹³⁶. ისიც გარეული იყო საქართვე-
ლოს თავადაზნაურობის 1832 წ. შეთქმულებაში¹³⁷.

¹²⁸ ქუთ. მუზ. საბ. № 313.

¹²⁹ იქვე, საბ. №№ 35, 49, 53, 252, 265, 310, 328, 329, 354, 617, 678, 685, 687; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. №№ 24, 33, 66; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 79, საბ. № 85; გვ. 120, საბ. № 100.

¹³⁰ ქუთ. მუზ. საბ. №№ 35, 49, 600, 678.

პრაპორშჩიკობა ნიკოლოზ ჩიჯავაძეს შეიძლება 1831 წელზე ადრეც ჰქონოდა. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთი № 600, სადაც მას პრაპორშჩიკის წოდებით პირველად ვხვდავთ. უთარიღოა. 1831 წელი ამ საბუ-
თის რეგისტრირების დროა, რომლის შემდეგ ის არ შეიძლება დაწერილიყო, მაგრამ ადრე — კი.

¹³¹ ქუთ. მუზ. საბ. №№ 685, 687; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. № 24.

¹³² ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. № 33.

¹³³ იხ. გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილი-
ნი, 1935, გვ. 407, 446—448.

¹³⁴ მარიამ (მაშვიკო) ახვლედიან-ჩიჯავაძის ცნობა.

¹³⁵ ქუთ. მუზ. საბ. №№ 35, 313.

¹³⁶ იქვე, საბ. № 1692; ვანის მხარეთმცოდნეობის მუზ. საბ. № 59; გ. გო-
ზალიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 407, 445 (მისი სამოურავო ადგილი დასა-
ხვლებული არ არის).

¹³⁷ იხ. გ. გოზალიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 407, 445.



გარდაიცვალა 1834 წ. ივლისს¹³⁸.
მ ა ნ უ ჩ ა რ გიორგი III-ის ძე. ძმისწული ნიკოლოზისა.
ვაძისა. ვხედებით 1828, 1834, 1849 წლების დოკუმენტებში¹³⁹.

თ ა ვ ი II

ლოლობერიძეთა სათავადო

ლოლობერიძეთა საგვარეულოს შესახებ საისტორიო წყარო-
ებში მეტად მცირე ცნობებია შემონახული, ამიტომ ჩვენი მსჯე-
ლობა ამ საგვარეულოზე ფრაგმენტულია, ზოგჯერ მხოლოდ ზე-
პირგადმოცემაზე და ვარაუდებზეა დამყარებული. მაგრამ, ვფიქ-
რობთ, ის მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა აღნიშნული
გვარის ისტორიაზე.

იოანე ბატონიშვილი თავის ქართველ თავად-აზნაურთა გვა-
რების „აღწერაში“ ამბობს: „ლუბილხან ანუ ლულილხან იყო თა-
თარი წელსა 1253-ს ... ამათ გუარნი დაშთენ იმერეთს შ(ინ)ა და
მიიღეს ლოლობერიძეობა სახელის გამო მათისაო“¹.

ლოლობერიძეთა წარმომავლობის შესახებ იოანეს ცნობა რეა-
ლურ საფუძველს მოკლებულია. ამ ცნობაში სინამდვილესთან ახ-
ლოსაა მხოლოდ მათი შორეულ წარსულთან დაკავშირება.

როგორც ა. შანიძე შენიშნავს, გვარსახელ ლოლობერიძეს „სა-
ფუძვლად უძევს პირის სახელი ლოლა², რომლისგანაც ნაწარმოებია
გვარები: ერთი მხრით ქართ. ლოლაჲს ძე ... და მეორე მხრით
ქანური ლოლა(აშ)ბერე. უკანასკნელ გვარს გაქართულების პრო-
ცესში დაპრთვია ქართული გვარების დაბოლოება ძე და იგი გა-
დაქცეულია ლოლაბერი(ს)ძე-დ, შემდეგ კი — ხმოვანთა ასი-
მილაციის გამო — ლოლაბერიძე-დ“³.

¹³⁸ ქუთ. მუხ. საბ. № 35.

¹³⁹ იქვე; სსცია, ფ. 226. საბ. № 7946; ვანის მხარეთმცოდნეობის მუხ. საბ. № 59.

¹ იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. S, № 3729, გვ. 112.

² აქ და ქვემოთ ხაზი ავტორისაა.

³ იხ. ა. შანიძე. ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის წაკითხვა-
გაგებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XVII. № 9,
1956, გვ. 858.

„ლოლაძე“ თუ „ლოლაძე“ („ლ^დძთა) დასახელებული მარმარილოს ქანდაკების ასომთავრულ წარწერაში⁴, რომელსაც ე. თაყაიშვილი საეცებით მართებულად „ლოლობერიძეთა“-დ კითხულობს⁵. წარწერა XI ს. მიეკუთვნება⁶. ამავე საუკუნეში მოღვაწეობენ მასში მოხსენიებული ლობობერიძეები: ზვიადი და მისი ძმა თუ თანამოგვარე გიორგი⁷. ესენი არიან ლობობერიძეთა გვარის პირველი ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენელი, რომელთაგან ზვიადს, როგორც აღნიშნული წარწერიდან ვგებულობთ, ფრიად მაღალი საერო ხელისუფლება — ერისთავთერისთავობა აქვს⁸. მაგრამ ამის შემდეგ სხვა წყაროებში ლობობერიძეთა სახლის წევრი არც ერისთავთერისთავად იხსენიება და არც ერისთავად. არ იხსენიება ამის შემდეგ ლობობერიძე საერთოდ დიდხანს.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ლობობერიძეს იმერეთის „აწინდელთა ქამთა“ (საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლილობის პერიოდის) იმ „უწარჩინებულეს“ გვართა შორის ასახელებს, რომელნიც იყვნენ „მთავრობით პატივცემულ მეფეთაგან“⁹. („მთავარს“ ვახუშტი აქ, და სხვაგან, თავადის სინონიმად ხმარობს).

იოანე ბატონიშვილის შემოხსენებულ „აღწერაშიც“ ნათქვამია: „ლოლობერიძე თავადი იმერეთისაო“¹⁰. ერთი გვიანდელი ხანის (1819 წ.), საბუთის ენით რომ ვთქვათ, ლობობერიძის „თავადობა მთელმან იმერეთმან იცოდა“¹¹.

4 ამ წარწერას ა. შანიძე ასე კითხულობს: „წმიდაო გიორგი მთავარ მოწამეო, გუიოხე წინაშე ღმრთისა ლოლაძეთა ერისთავ ერისთავსა ზვადსა და უღირსსა გიორგის“ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 858. შტრ. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. „მოამბე“, № XII, 1900, გვ. 8; მისივე, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ტფილისი, 1907, გვ. 8; მისივე, Церковь в Ване, в Имеретии и ея древности. Известия Кавказского историко-археологического института, т. II, 1917—1925, с. 88—89. შტრ. აგრეთვე რ. შმერლინგი, მარმარილოს ქანდაკება სოფ. ვანიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XVII, № 2, გვ. 188.

5 იხ. ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრომთა მითითებული გვერდები.
6 რ. შმერლინგი. დასახ. ნაშრ., გვ. 191.
7 იხ. ა. შანიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 859.
8 იხ. ზემოთ, წარწერის ტექსტი, შენიშვნა 4.
9 იხ. მისი, აღწერა..., გვ. 36.
10 ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 100 გ.

11 იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 196, № 34.



ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის შემდეგ რიძეთა ანუ ლოლაბერიძეთა¹² საგვარეულოს წარმომადგენელი პირველად ჩანს XV ს. პირველ ნახევარში, თოფურიძეთა 1413—1444 წწ. სასისხლო სიგელში ალექსანდრე მეფის „კარის ვაზირთა“ შორის მოწმედ იხსენიება „ხაფილანდრო ლოლაბე“¹³, რომელიც უთუოდ ლოლაბერიძეა¹⁴.

უფრო გვიან, 1486—1488 წლებში ვხედავთ დავით ლოლაბერიძეს¹⁵. ამ დროს მას დიდი თანამდებობა — მებაჯრეთხუცესობა უჭირავს¹⁶ და წარჩინებული პირია.

დავითზე უფრო დაწინაურებულია მისი სახლიკაცი ესტატე, რომელიც ამავე ხანში, 1488 წ. ციხისთავად არის დასახელებული¹⁷.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ციხისთავობა ძველად (XV—XVI სს.) „სავაზირო თანამდებობას შეადგენდა“ და „წინათ იმერეთში იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი“ სახელო, რომელიც თვით „სახლთუხუცესის თანამდებობაზედაც მაღლა იდგა“¹⁸, ცხადი გახდება თუ რარიგ დიდი გავლენა ჰქონდა ამ ხელის მფლობელ ესტატე ლოლაბერიძეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ლოლაბერიძე თავადი არ იყო. ამ გვარს ატარებდნენ აზნაურები და გლეხებიც. ლოლაბერიძე გლეხი იხსენიება, მაგალითად, 1569 წ. დოკუმენტში (იხ. ქრონიკები. II, გვ. 412). ასე იყო ეს ბევრ სხვა გვარშიც (იხ. ამის შესახებ ო. სოსელია. ევოლუციური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადობის სისტემა). თბილისი, 1966, გვ. 47—48).

¹² ლოლაბერიძეთა გვარი დოკუმენტებში ხშირად „ლოლაბერიძედ“ იხსენიება. იხ., მაგალითად, საქ. სიძვ. I, გვ. 20, 46; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 196—197.

¹³ ხოფილანდრეზე ადრე, თ. ყორდანიას ვარაუდით, 1401—1413 წლების „მცხეთის გუჯარში“. იხსენიება ერთი „ლულაბერიძე“, რომელიც ლოლაბერიძე უნდა იყოს, მაგრამ — უსახელოდ (იხ. ქრონიკები. II, გვ. 205).

¹⁴ იხ. ქრონიკები. II, გვ. 234; საქ. სიძვ. II, გვ. 37; ს. კაკაბაძე. კვლევებიანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თფილისი. 1920, გვ. 74.

¹⁵ ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. წ. II. 1924, გვ. 21.

¹⁶ იხ. იქვე. ლოლაბერიძეზე ადრე, 1325 წელს ეს თანამდებობა ჩხეტიძეთა ანუ ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენლის გოგატის ხელშია (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები..., I, გვ. 31—33).

¹⁷ ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 25. ესტატე ლოლაბერიძეზე წინათ (1486—1488 წწ.) ციხისთავობა თუქლამ ჭილაძეს ჰქონდა (იხ. იქვე, გვ. 21).

¹⁸ ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში. საისტორიო მოამბე. წ. I, 1925, გვ. 86—87; П. Гнилосо́ров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении. Кавказский календарь, на 1859 г., с. 438.



ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის შემდეგ არაა დადგენილი რიგითა ანუ ღოღობერიძეთა¹² საგვარეულოს წარმომადგენელი პირველად ჩანს XV ს. პირველ ნახევარში. თოფურიძეთა 1413—1444 წწ. სასისხლო სიგელში ალექსანდრე მეფის „კარის ვაზირთა“ შორის მოწმედ იხსენიება „ხაფილანდრო ღოღობე“¹³, რომელიც უთუოდ ღოღობერიძეთა¹⁴.

უფრო გვიან, 1486—1488 წლებში ვხვდავთ დავით ღოღობერიძეს¹⁵. ამ დროს მას დიდი თანამდებობა — მებაჯრეთხუცესობა უჭირავს¹⁶ და წარჩინებული პირია.

დავითზე უფრო დაწინაურებულია მისი სახლიკაცი ესტატე, რომელიც ამავე ხანში, 1488 წ., ციხისთავად არის დასახელებული¹⁷.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ციხისთავობა ძველად (XV—XVI სს.) „სავაზირო თანამდებობას შეადგენდა“ და „წინათ იმერეთში იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი“ სახელო, რომელიც თვით „სახლთუხუცესის თანამდებობაზედაც მაღლა იდგა“¹⁸, ცხადი ვახდება თუ რარიგ დიდი გავლენა ჰქონდა ამ ხელის მფლობელ ესტატე ღოღობერიძეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ღოღობერიძე თავადი არ იყო. ამ გვარს ატარებდნენ აზნაურები და გლეხებიც. ღოღობერიძე გლეხი იხსენიება, მაგალითად, 1569 წ. დოკუმენტში (იხ. ქრონიკები. II. გვ. 412). ასე იყო ეს ბევრ სხვა გვარშიც (იხ. ამის შესახებ ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა). თბილისი, 1966, გვ. 47—48).

¹² ღოღობერიძეთა გვარი დოკუმენტებში ხშირად „ღოღაბერიძედ“ იხსენიება. იხ., მაგალითად, საქ. სიძე. I. გვ. 20, 46; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 196—197.

¹³ ხოფილანდრეზე ადრე, თ. ჟორდანიას ვარაუდით, 1401—1413 წლების „მცხეთის გუჯარში“. იხსენიება ერთი „ღღაბერიძე“, რომელიც ღოღობერიძე უნდა იყოს, მაგრამ — უსახელოდ (იხ. ქრონიკები. II. გვ. 205).

¹⁴ იხ. ქრონიკები. II. გვ. 234; საქ. სიძე. II. გვ. 37; ს. კაკაბაძე. კვლევები ბანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თფილისი. 1920, გვ. 74.

¹⁵ ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო შოამბე. წ. II. 1924, გვ. 21.

¹⁶ იხ. იქვე. ღოღობერიძეზე ადრე, 1325 წელს ეს თანამდებობა ჩხეტიძეთა ანუ ჩხეიძეთა გვარის წარმომადგენლის გოგატის ხელშია (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები..., I. გვ. 31—33).

¹⁷ ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 25. ესტატე ღოღობერიძეზე წინათ (1486—1488 წწ. შუა) ციხისთავობა თუქლამ ჭილაძეს ჰქონდა (იხ. იქვე, გვ. 21).

¹⁸ ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში. საისტორიო შოამბე. წ. I. 1925, გვ. 86—87; П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении. Кавказский календарь, на 1859 г., с. 438.



ციხისთავის თანამდებობით ლოღობერიძე უკანასკნელად 1914 წელს 15-45 წელზე ცოტა ადრე, მაგრამ მისი სახელი არ იხსენიებენ. ნიშნულ წელს ციხისთავი ლოღობერიძე ცოცხალი არ არის. „უშვილოდ“ გადასულს მას თავისი მამული „ნაშვილეობით“ ბაგრატი იმერტა მეფისათვის მიუცია და უკანასკნელი ამ მამულს გელათის წმინდა გიორგის სწირავს¹⁹.

XVII ს. ციხისთავობა ომათმათიძეთა (შემდეგდროინდელ სახელწოდებით აგიაშვილთა) საგვარეულოს აქვს²⁰ და ლოღობერიძეები უკვე დაქვეითებული ჩანან.

ამ საგვარეულოს აღზევების ხანში (XV ს. მიწურულიდან მომდევნო საუკუნის 60-იანი წლების დამლევამდე) უნდა იყოს ჩამოყალიბებული ლოღობერიძეთა სათავადო. რომელიც, გადმოცემის მიხედვით, მოიცავდა ტერიტორიას „გუბის წყლიდან ცხენის წყლამდის“²¹.

აღნიშნულ სათავადოში ამ დროს, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შედიოდა შემდეგი სოფლები: 1. ღანირი, 2. ქუტირი, 3. ივანდიდი, 4. პატარა ანუ გოჩა ჯიხაიში²², 5. მათხოჯი, 6. ნახახულევი²³.

ამავე სათავადოში შედიოდა ხონის დიდი ნაწილიც²⁴.

ლოღობერიძეების სათავადოს აღმოსავლეთით გუბის წყალი საზღვრავდა, დასავლეთით და ჩრდილოეთით — ცხენის წყალი, სამხრეთით — თავად მიქელაძეების სამფლობელო — სოფ. ჭაგანი და ეწერი.

ლოღობერიძეთა რეზიდენცია პატარა ჯიხაიში იყო. იმ ადგილას, სადაც ახლა „ამოკირულას“ ეძახიან, იყო ლოღობერიძეების სასახლე, ხოლო მის ჩრდილო-დასავლეთით — კარის ეკლესია²⁵.

¹⁹ იხ. საქ. სიძვ. I. გვ. 20; ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ტფილისი, 1914, გვ. 67 (ქვემოთ: გამოცემის დაუსახელებლად); ქრონიკები. II. გვ. 340.

²⁰ ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავთა შესახებ..., „საისტორიო მოამბე“, წ. 1, ტფილისი, 1925, გვ. 89; ო. ს. ოსელია. ნარკვევები., I. გვ. 218—219.

²¹ გრიგოლ ნიკოლოზის ძე ლოღობერიძის (პატარა ჯიხაიშის მცხოვრები, 73 წლის) ცნობა (გაუგონია მამა-პაპათგან). ჩავიწერეთ იქვე 1959 წ. აგვისტოს.

²² გრიგოლ ლოღობერიძის ცნობით, გოჩა პრქმევი ლოღობერიძეების წინაპარს, რომელიც თურმე ფლობდა პატარა ჯიხაიშს. მისი სახელის გამო ამ ადგილს გოჩა ჯიხაიში დარქმევი.

²³ გრიგოლ ლოღობერიძის ცნობა.

²⁴ ხონის ნაწილი მეფისა და ეკლესიის იყო. იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 124; აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. გვ. 15—16.

²⁵ გრიგოლ ლოღობერიძის ცნობა.



ციხე-სიმაგრე ლოღობერიძეებს ჰქონიათ „ამოკრებული“ ცოტა დაშორებით, სამბრეთ-დასავლეთისაკენ, იქ, სადაც დღეს ადგილობრივი მოსახლეობა „გორიკას“ ეძახის, მაგრამ ახლა მისი ნანგრევებიც არ ჩანს.

ამ „გორიკაზე, იტყვიან, ძველად ქალაქიც ყოფილა“²⁶.

საგვარეულო სასაფლაო ლოღობერიძეებს ხონის წმინდა გიორგის ეკლესიაში ჰქონდათ²⁷.

ლოღობერიძეების ყმათა საერთო რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მათი ძლიერების ხანაში (XV ს. დასასრულიდან XVI ს. 60-იანი წლების ბოლომდე) ისინი ერმრავალი ფეოდალები უნდა ყოფილიყვნენ. მეტი თუ არა, დაახლოებით 200—300 კომლი ყმა მიანიც უნდა ყოლოდათ.

გადმოცემითა და ზოგიერთი დოკუმენტური მონაცემის მიხედვით, ლოღობერიძეთა ყმა გლეხები იყვნენ: კიკაჩიშვილებიც, ცაგარეიშვილები, ბალანჩივაძეები, ფუტყარაძეები და სხვ²⁸.

ლოღობერიძეების აზნაურები იყვნენ ქუთათელაძეები (ხონის)²⁹.

ლოღობერიძეების სათავადოს ძირითად ნაწილს საგადასახადო შეუვეალობა ჰქონდა: სამეფო საური და საუდიერო არ მართებდა. ამ გადასახადებისაგან განთავისუფლებულ იქნენ ლოღობერიძეთა ყმა გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი XVIII ს. მეორე ნახევარში³⁰. მაგრამ, ფაქტიურად, ლოღობერიძეებს, ისე როგორც სხვა თავადებს, საგადასახადო იმუნიტეტი ბევრად უფრო ადრიდან (მათი ძლიერების ხანიდან) უნდა ჰქონოდათ მოპოვებული³¹.

26 მისივე ცნობა.

27 მისივე ცნობა.

28 დას. საჭ. საეკლ. საბ. II. 84; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. 5. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1953, გვ. 297—298, № 466 (ქვემოთ: დოკუმენტები...); ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 172, № 5; გრიგოლ ლოღობერიძის ცნობა.

29 გრიგოლ ლოღობერიძის ცნობა. ჩუენშელი ქუთათელაძეები კი თავად ლორთქიფანიძეთა ყმა გლეხები იყვნენ. იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 137.

30 იხ. ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 172, № 5; გვ. 180, № 13; გვ. 235, № 29; გვ. 237, № 41; გვ. 239, № 50.

31 თავადების მიერ, საერთოდ, საგადასახადო შეუვეალობის მოპოვების შესახებ დასავლეთ საქართველოში — იხ. ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან... გვ. 180—188.



გვიანდელი (1810 წ.) ცნობით, სამეფო საურს ლოღობერიძეების მხოლოდ 10 კომლი იხდიდა, ხოლო საუდიეროს მიქელაძეების, ნიყარაძეების, ჩხეიძეების, ლორთქიფანიძეებისა და ლოღობერიძეების ყმათა საერთო რიცხვიდან — 100 კომლი³². აქედან ლოღობერიძეთა ყმებად თუ 1/5-ს ვივარაუდებთ, საუდიეროს გადახდელი მათი ყმებიდან მხოლოდ 20 კომლი ყოფილა.

ლოღობერიძეების სათავადოს თავის სამოხელეო აპარატი უნდა ჰქონოდა, რომლითაც იგი ყმა-მამულის მართვის საქმეს აწესრიგებდა, მაგრამ ამის შესახებ ცნობები დაცული არ არის.

როგორც ზემოთ ითქვა, ციხისთავ ლოღობერიძეს წყაროებში უკანასკნელად ვხვდავთ 1545 წელზე ცოტა ადრე. ამის შემდეგ ლოღობერიძეთა ხსენება ერთხანს კვლავ საერთოდ წყდება და ეს საგვარეულო ისტორიის ასპარეზზე სრულებით არ ჩანს.

რით უნდა იყოს გამოწვეული ამ შემთხვევაში ლოღობერიძეთა ასეთი გაუჩინარება?

ამის მიზეზი ლოღობერიძეების საგვარეულოსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის კონფლიქტში უნდა ვეძიოთ: 1587 წ. გიორგი II იმერთა მეფემ „ხონს ხოსროსეული სასახლე“ და ადგილ-მამული დავით წულუკიძეს უბოძა³³. თუ ვინ იყო ის ხოსრო, რომელსაც „ხონს ... სასახლე“ და მიწა-წყალი ჰქონდა, ამაზე წყაროებში ვერაფერს ვპოულობთ. მაგრამ აქ ჩვენ გვაგონდება ის ჩვეულება, რომელიც ხონის წმინდა გიორგის დღესასწაულთან იყო დაკავშირებული და რომლის შესახებ ცნობები ჩავიწერეთ 1959 წ. აგვისტოს პატარა ჯიხაიშში ზემოხსენებული გრიგოლ ლოღობერიძის თხრობის მიხედვით:

32 АКТЫ. Т. IV, с. 256.

33 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 18—19, № 4. მითითებული საბუთი დათარიღებულია 1570 წლით მისი გამცემი გიორგი II-ის გამეფების ვახუშტისეული მცდარი თარიღის — 1548 წლისა და ამ მეფის მეფობის 22-ე ინდიქტიონის საფუძველზე, რომელიც საბუთს თარიღად უხის (1548+22=1570-ს. იხ. იქვე საბუთის ლეგენდა). ეს თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ, რადგან გიორგი II-ის გამეფების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია 1565 წელი (იხ. ს. კაკაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფილისი, 1922, გვ. 31; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973, გვ. 123).



„23 აპრილს, გიორგობის დღეს ხონში ძველად დიდი წაული იმართებოდა. ამ დღეს აქ თავს იყრიდა იმერეთის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა. წმინდა გიორგის საყდრის წინ, წინეთ თვალუწვდენი მინდორი იყო, იცოდნენ ბურთაობა, ჯირითი, სიმლერა, ცეკვა. ბურთაობის დაწყებამდე ეკლესიიდან გამოსვენებდნენ წმინდა გიორგის ხატს. მას წინ დროშით მოუძლოდნენ ჭანტურიშვილები. ბურთი მოჰქონდათ თავად წულუკიძეებს, მათ მთარღამხარ მოსდევდნენ ლოლბერიძეები. დადგებოდნენ დიდი ცაცხვის ძირში. გადაიხდიდნენ პარაკლისს და მერე იწყებოდა ბურთაობა. ბურთის პირველად გაგორების უფლება მხოლოდ ლოლბერიძეთა გვარს ჰქონდა, შემდეგ შეიძლებოდა თამაში სხვები ჩარეულიყვნენ“³⁴.

ამ ჩვეულებაში ჩვენ ვხედავთ ხონისა და მისი მიდამოების მიმართ ლოლბერიძეთა ოდინდელი უფლების გამოვლინებას. ამიტომ, ვფიქრობთ, 1587 წლის წინარე ხანაში ამ ადგილების დიდი ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, ლოლბერიძეებს ეკუთვნოდათ და ხოსრო, რომლის „სასახლე“ ხონს აღნიშნულ წელს მეფისაგან დაეით წულუკიძემ „იქრთამა“³⁵, ლოლბერიძე იყო.

ფეოდალისათვის ყმა-მამულის ჩამორთმევა, როგორც ცნობილია, მეფის ღალატის ან სხვა რაიმე დიდი დანაშაულის შემთხვევაში ხდებოდა. რა დანაშაული ჩაიდინეს ლოლბერიძეებმა? არც ამის შესახებ მოგვეპოვება წერილობითი ცნობა. მაგრამ ამ საკითხსაც რამდენადმე შუქს ფენს თვით ლოლბერიძეთა გვარში შემონახული ზეპირგადმოცემა.

ამ გადმოცემის ერთი ვერსიით, „ერთხელ თავად აბაშიძეს მეფისათვის მოუხსენებია: „ლოლბერიძე ისეთი მდიდარია რომ ესტუმროთ, თავს არ შეიწუხებსო“. მართლაც, მეფე თავის ამალით ლოლბერიძეს სტუმრად სწვევია. მაგრამ იგი მედიდურად მოქცევა მეფეს: ეზოს კარს გარეთ არ მიგებებია; ლოლბერიძის ცოლიც არ წამომდგარა, ისე გაუწოდებია ხელი მეფისათვის. მეფეს ეს სწყენია, მაგრამ არ გამოუმტლავნებია. მასპინძლობის დამთავ-

34 ხონში ამ დღესასწაულს ერთხელ პირადად დასწრებია და ვრცლად აღწერილი აქვს იგი ა. ნ. მურავიოვს (შდრ. მისი, Грузия и Армения, ч. III. Спб., 1848, с. 240—245). ეს დღესასწაული აღწერილი აქვს აგრეთვე ე. თაყაიშვილს (შდრ. მისი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედ. ტფილისი, 1913—1914, გაყოფილება I, გვ. 279—280.

35 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 19, № 4.



რების შემდეგ ლოლობერიძეს მეფე გაუცილებია. სალოლობერიძის საზღვართან, გუბის წყალთან რომ მისულან, მეფეს ლოლობერიძის სათვის თვალების დათხრა და ყმა-მამულის ჩამორთმევა უბრძანებია“.

მეორე ვერსიით, რომელიც სინამდვილეს უფრო უნდა ასახავდეს, „იმერეთის მეფეს ლოლობერიძისათვის ოდიშის მთავრის ლალატი დაუვალებია. ლოლობერიძეს მეფისათვის მთავართან მორიგება შეუთავაზებია. მეფე ამის გამო მასზე განრისხებულა. შემდეგ დადიანის დამარცხება რაჭის ერისთავისა და წულუკიძისთვის მიუხდვია. მათ შეუსრულებიათ მეფის ბრძანება. ხოლო ლოლობერიძის მოქმედებით უკმაყოფილო მეფეს ჩამოურთმევია მისთვის ადგილ-მამული და წულუკიძისათვის უბოძებია. ამის შემდეგ ლოლობერიძეს თავის ძველ სამფლობელოდან მხოლოდ გოჩა ჭიხაიში დარჩენია“³⁶.

ერთი სიტყვით, ლოლობერიძეთა დამცრობის მიზეზი, გადმოცემით, დადიანთან კეთილგანწყობილება ყოფილა, რაც სარწმუნოდ გვეჩვენება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დადიანსა და ლოლობერიძეებს შორის ეს განწყობილება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვიანდელ ხანაშიც გრძელდება. მაგრამ ახლა ისმის კითხვა: როდის მოხდა ლოლობერიძეთა დამცრობა?

ვფიქრობთ, ეს მოხდა გიორგი II-ის მეფობაში (1565—1587 წწ.) იანეთის ბრძოლის (1568 წ.) შემდეგ. ამაზე მიგვანიშნებენ ამ მეფის დროინდელი ფაქტები: ოდიშის მთავარი ლევან I დადიანი და ტახტის პრეტენდენტი გიორგის ბიძაშვილი ხოსრო ბატონიშვილი მეფის სამტროდ ერთმანეთს დაუკავშირდნენ: მის ტახტიდან გადაგდებას ცდილობდნენ. დადიანმა მოიშველია იმ დროს ფრიად გავლენიანი თავადური გვარის მეთაური ვარაზ ჭილაძე „ლიპარტიანით ოდიშრით“ და აღნიშნულ წელს თავს დაესხნენ მეფეს იანეთს, მაგრამ დამარცხდნენ და ილტვოდნენ³⁷.

როცა მეფე ტახტზე მომაგრდა, სასტიკად გაუსწორდა დადიანის „მიმდგომ“ თავადებს. საჯავახოს მფლობელი ჯავახ ჭილაძე მოკლა და მისი მამული თვითონ „დაიპყრო“³⁸.

ზემოაღნიშნული ისტორიული გადმოცემა საფუძველს გვაძ-

36 ჩაიწერეთ გრიგოლ ლოლობერიძის თხრობის მიხედვით.

37 იხ. ვახუშტი. აღწერა... გვ. 815—816. იხ. აგრეთვე, ქრონიკები. II. გვ. 409—410.

38 ვახუშტი. აღწერა... გვ. 816.



ლეგს დადიანის „მომდგომთა“ შორის ამ დროს თავად ლოლობერიძე რიბეებიც ვიგულისხმობთ³⁹. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გიორგი მეფის მიერ „ხონს ხოსროსეული“ (ჩვენი ვარაუდით, ლოლობერიძისეული) მამულების⁴⁰ დავით წულუკიძისათვის ბოძება, დოკუმენტური მონაცემებით, ქრონოლოგიურად სწორედ იანეთს მეფეზე თავდასხმის შემდგომ ხანს (1587 წ.) ემთხვევა⁴¹. გადმოცემით კიდევ დადიანთან კეთილურთიერთობის გამო შერისხული ლოლობერიძეთა მიწა-წყალი, როგორც ვნახეთ, მეფემ სწორედ წულუკიძეებს უწყალობა, რის შემდეგ ლოლობერიძეებს მხოლოდ პატარა ჯიხაიში შერჩათ (იხ. ზემოთ).

ამგვარად, თუ წერილობითი წყაროების ცნობებზე დაკვირვებას ზეპირგადმოცემით შევავსებთ, ლოლობერიძეთა დაქვეითება, მათი ადგილ-მამულის წულუკიძეებისათვის გადაცემა ოდიშის მთავრის მომხრეობის გამო მოხდა ზემოაღნიშნულ დროსა და ვითარებაში. ამას უნდა მოყოლოდა ისტორიის სარბიელიდან ერთ-ხანს ლოლობერიძეების მოცილება.

ამის შემდეგ ამ საგვარეულოს წარმომადგენელს პირველად ვხედავთ XVII ს. პირველ ნახევარში. ესაა ზაალ ლოლობერიძე, რომელიც იხსენიება 1643—1649 წლებში განწყებულ ჯვარის მო-

39 ვახუშტის ცნობაში იანეთს მეფის თავდასხმელთა შორის 1568 წელს ლოლობერიძის მოუხსენიებლობა, ამ ცნობის ნაკლოვანებით უნდა აიხსნას. ეს ცნობა რომ სრული არ არის, ჩანს თუნდაც იქედან, რომ მასში არ იხსენიება იანეთის ბრძოლის აქტიური მონაწილე ბეჟან ნემსაძე, რომელმაც, თვით გიორგი მეფის სიტყვებით, „ულალატა“ მას, თავს დაასხა „იანეთს, საშვილიაშიგან“ ხოსრო ბატონიშვილი და მეფე „სასიკვდილოთ მოინდომა“ (იხ. გიორგი მეფის 1568 წლის შეწირულების წიგნი: ქრონიკები, II, გვ. 409—410).

40 შეიძლება „ხონს ხოსროსეული“ მამული კაცმა ზემოხსენებულ ხოსრო ბატონიშვილის მამულად მიიჩნიოს. მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვება გამორიცხულია: ჯერ ერთი, იანეთის ბრძოლის დროს (1568 წ.) იმერეთის სამეფოში საუფლისწულო მამული სამეფო სახლის საერთო მამულიდან ჯერაც არ იყო გამოყოფილი. ე. ი. ხოსრო ბატონიშვილის მამული ცალკე არ ქმნოდა. ხოლო, როცა საუფლისწულო გამოყვეს (1587 წ.), ტერიტორიულად ის ზემო იმერეთზე მოდიოდა (იხ. ვახუშტი. აღწერა... გვ. 820; გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში. I, გვ. 167, 301—303; ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 206, სქოლიო 22).

41 იხ. ზემოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ლოლობერიძეებს მათი მამულები ბევრად უფრო ადრე, იანეთთან ბრძოლისთანავე — 1568 წ. ჩამოერთვათ. მაგრამ მაშინ ის მეფემ უთუოდ თავის სახალოდ აიღო და წულუკიძეებს დაგვიანებით უბოძა.

ნასტრის აღაპში⁴². ამ მონასტრის სასარგებლოდ მას რაღაც შეუწირავს, რაკი მისთვის აღაპი (მოსახსენებელი ტრაპეზი) გააჩინეს. ამასთან, ეს შეწირულება მის ეკონომიკურ შექლებაზედაც მეტ-პველებს.

ეს ზაალ უნდა იყოს ზომულის ციხის წარწერაში⁴³ მოხსენიებული ზაალ ღოღობერიძე, რომელთან ერთად დასახლებულია აგრეთვე მისი ძმა თუ სახლიკაცი გიორგი⁴⁴. ისინი ამ ციხის აღდგენა-განახლებისათვის იღწვიან⁴⁵.

ზაალ და გიორგი ღოღობერიძეები უნდა იყვნენ გოჩა ჯიხაიშელ თავად ღოღობერიძეთა ერთი შტოს წარმომადგენელი, რომელიც ზომულში დამკვიდრებასა და იქ თავიანთი რეზიდენციის მოწყობას ცდილობენ.

XVII ს. შუა წლებისათვის ღოღობერიძეებმა, როგორც ჩანს, შექლეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან განწყობილების გამოწვრება. იმერთა მეფის ალექსანდრე III-ს 1651 წლის ცნობილ ფიცის წიგნში, მართალია, მეორეხარისხოვან თავადთა რიგებში, მაგრამ მაინც იხსენიება ამ საგვარეულოს წევრი ფაცია ღოღობერიძე⁴⁶.

აღნიშნული საუკუნის 50-იან წლებსა და 60-იან წლების დამდეგს ღოღობერიძეთა სახლის თავკაცი ბეჟან ღოღობერიძეა. იგი ფრიად გავლენიანი თავადია. ეს ჩანს თუნდაც იქედან,

42 იხ. ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.). თბილისი, 1962, გვ. 81, აღაპი 24; გვ. 126, კომენტარი 24.

43 ამ წარწერას მიაკვლია ავთ. იოსელიანმა 1975 წელს. იხ. „საინტერესო მეცნიერული აღმოჩენა“, „ზომულის ციხეზე ახლად მიკვლეული წარწერის ისტორიული მნიშვნელობის გამო“. ავთ. იოსელიანის პასუხი გაზეთ „დროშის“ რედაქციას. გაზ. „დროშა“ (საქ. კომპარტიის წყალტუბოს რაიკომისა და წყალტუბოს შპრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო), 1975 წ. 15 ნოემბერი, № 137 (4697), გვ. 3.

ზომულის ციხის ეპიგრაფიული უცნობი წარწერისა და მისი სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ აგრეთვე მოხსენება წაიკითხა იმავე ავთ. იოსელიანმა 1976 წ. 29 მარტს საქართველოს საისტორიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე.

44 იხ. ზემოდასახელებულ გაზ. „დროშა“-ში ავთ. იოსელიანის პასუხი ამ გაზეთის რედაქციას.

45 იხ. იქვე.

46 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერთში. გვ. 193.

რომ ოდიშის მთავარმა ვამეყ დადიანმა ქართლის მეფესთან მოყვრობას ლოლობერიძესთან მოყვრობა არჩია: ვახტანგ V-ის ძის არჩილისათვის „დაწინდული“ თავისი ასული დადიანმა ბეჟანს მიათხოვა⁴⁷. დადიანის არჩევანს პოლიტიკური ანგარიში ელდა საფუძვლად. ლოლობერიძის მოყვრობაში დადიანი ქვემო იმერეთის შემომტკიცების გარანტიას ხედავდა. მაგრამ ლოლობერიძე ამჯერადაც ოდიშის მთავრის პოლიტიკური ანგარიშების მსხვერპლი გახდა: ვახტანგ მეფემ 1661 წ. მოაკვლევინა „ზემო-მჭრელთა იმერთა“ ბეჟან ლოლობერიძე და, ამგვარად, დადიანს საიმედო მოკავშირე გამოაცალა⁴⁸.

ამ ბეჟანის თანამედროვეა მისი მოგვარე მეორე ბეჟან ლოლობერიძე, რომელიც ბაგრატ IV-ს მიერ რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ 1669 წ. წერილში იმერთა მეფის თავადებს („ბოიარებს“) შორის არის დასახელებული⁴⁹.

აქვე თავადთა შორის დასახელებულია აგრეთვე ლოლობერიძეთა საგვარეულოს მეორე წარმომადგენელი ზაალიც⁵⁰. ვფიქრობთ, ესეც ის ზაალია, რომელიც ჯვრის მონასტრის აღაპში და ხომულის ციხის ზემოაღნიშნულ წარწერაშია მოხსენიებული. იგივე ზაალ უნდა იყოს ბაგრატ მეფის 1673 წ. წყალობის წიგნში მოწმეთ დასახელებული და 1673—1696 წწ. ერთ საბუთში ნახსენები ზაალ ლოლობერიძეც, რომლის „კაცს ... ზობის ღმთისმშობლის ფიცის ტეხა დაედვა“ და რომელიც მან „ხატს შემოსწირა“⁵¹.

აღსანიშნავია, რომ არც ალექსანდრე III-ის 1651 წ. ფიცის წიგნში და არც მისი მემკვიდრის ბაგრატ IV-ის ზემოხსენებულ წერილში ლოლობერიძეთა სახლის წევრები იმერეთის დიდებულ თავადთა („დიდი ბოიართა“) რიგებში არ გვხვდებიან და არც რაიმე სახელს ფლობენ, არამედ მხოლოდ მეორეხარისხოვან თავადებში იხსენიებიან⁵². ჩანს, იმერთა მეფეები ამ საგვარეულოს აღ-

47 ვახუშტი. აღწერა... გვ. 449, 835.

48 იხ. იქვე, გვ. 449, 835—836.

49 იხ. Переписка..., с. 83. ეს ბეჟანი უნდა იყოს ლევან III დადიანის 1675 წ. შეწირულების წიგნში მის მოწმეთა შორის დასახელებული ბეჟან ლოლობერიძე (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ., I. გვ. 77).

50 Переписка..., с. 83.

51 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9388; საქ. სიძვ. I. გვ. 30—31, № 6.

52 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში. გვ. 193—195; Переписка... с. 82—83.

ნიშნულ ხანშიც დიდად არ წყალობენ. მიუხედავად ამისა ლობერიძეთა გვარში დიდებული თავადი მაინც საეკლესიო სფეროშია.

XVIII ს. დამდეგადან ლობერიძეები უფრო ხშირად ჩანან წყაროებში. ნიშანდობლივია ის, რომ აღნიშნულ საუკუნეშიც მათ კარგი განწყობილება აქვთ დადიანთან: ამ საგვარეულოს ზოგი წევრი სწორედ ოდიშის სამთავროში წინააღმდეგობა საეკლესიო სფეროში.

1701 წ. ცაიშელ ეპისკოპოსად სვიმონ ლობერიძეს ვხედავთ⁵³. უფრო გვიან, 1714 წ. ბექან დადიანმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტადაც ევდემონ ლობერიძე დასვა⁵⁴. ამ ხარისხით გვხვდება იგი 1727 წელსაც⁵⁵. ეს ევდემონი უნდა იყოს იმავე დადიანისა და შოშიტა რაჭის ერისთავის მიერ 1717 წ. გრიგოლ კათალიკოსისათვის მიცემულ პირობის წიგნში მოწმედ მოხსენიებული „ლობერიძე წინამძღვარი ევდემონ“⁵⁶. ჩანს, მიტროპოლიტობასთან ერთად, მას მარტვილის მონასტრის წინამძღვრობაც ჰქონდა.

ევდემონის თანამედროვე იყო მისი სახლიკაცი ხახუ ლობერიძე, რომლის ასული (სახელი არ იხსენიება) ოდიშის თავად დეისმა ჯაიანის თანამეცხედრე იყო და რომელიც შემოდასახელებულ გრიგოლ კათალიკოსის 1733 წ. გუჯარშია ნახსენები⁵⁷. მაგრამ არც დეისმა, არც ხახუ ლობერიძე და არც მისი ასული ამ დროს ცოცხალი არ უნდა იყვნენ⁵⁸.

იმერეთის სამეფოშიც გარკვეულ წარმატებას აღწევს ლობერიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი სილიბისტრო ალექსანდრე V-ის მეფობის ბოლო წლებსა და მისი ძის სოლომონ I-ის მეფობაში. აქაც ლობერიძე საეკლესიო სფეროში მოღვაწეობს.

1750 წ. სილიბისტრო ლობერიძე „წმინდის მოწამეთის წინამძღვარი“ და „ხელმწიფის კარის მღვდელია“⁵⁹.

53. საქ. სიძე. I. გვ. 46, № 17.

54. იქვე, გვ. 113, 114, შდრ. ქრონიკები. II. გვ. 70, 124—125.

55. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. ტ. III. გვ. 31. ჭყონდიდელი ევდემონ ლობერიძე იხსენიება გრიგოლ კათალიკოსის 1733 წ. გუჯარშიც (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 145), მაგრამ ცოცხალია თუ არა ის ამ დროს, არ ვიცით.

56. იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 174.

57. დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 143.

58. იხ. იქვე.

59. დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 1.



1755 წ. მას სოლომონ I-ის „კარის წინამძღვრად“ ამ მეფის კარის წინამძღვრობა ჰქონდა სილიბისტროს აღრეც.

უფრო გვიან ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმაც (1757—1788 წწ.) ლეჩხუმის საირმის უდაბნოს „მამად“ „იმერელი“ სილიბისტრო ლოლობერიძე დაადგინა⁶¹. მას არქიმანდრიტის ხარისხიც ჰქონდა⁶².

წინამძღვარი სილიბისტრო ლოლობერიძის მიერ არის დაწერილი იმერთა მეფის სოლომონ I-ის და სხვა პირთა არაერთი სიგელი⁶³.

სილიბისტროს უკანასკნელად ვხედავთ 1786 წ.⁶⁴ ამის შემდეგ ის უთუოდ მალე გარდაიცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ XVII ს. 60-იანი წლების შემდეგ ლოლობერიძეთა საგვარეულოს როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად უმნიშვნელოა. აღრიდანვე მამულდამცრობილი ლოლობერიძეები ქვეითდებიან.

იმერეთის სამეფოში რუსული მმრათველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით ლოლობერიძეთა სათავედ აღმინისტრაცაულად გაუქმდა.



ზემოხსენებულ ლოლობერიძეების გარდა, მეტ-ნაკლებად ცნობილია ამ საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

ს ი მ ო ნ I, დ ა თ უ ა, ბ ე ქ ა ნ III⁶⁵, გ ო გ ი ა, დ ა ვ ი თ, მ ე რ ა ბ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ი ა ნ 1769 წ⁶⁶.

60 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 6.

61 იქვე, გვ. 29—31. სილიბისტროს სიცოცხლეში საირმის უდაბნოს „ზედამდევად“ იხსენიება აგრეთვე არქიმანდრიტი ლაზარე აფაქიძე (იხ. იქვე, გვ. 42).

62 იქვე, გვ. 29—31.

63 იხ. იქვე, გვ. 1, 6, 13.

64 იქვე, გვ. 178.

65 I ბეჯანი არის XVII ს. მეორე ნახევრის მოღვაწე ბეჯან ლოლობერიძე, რომელიც ვაჟე III დადიანის სიძე იყო. II — ამავე ხანის პირი, რომელიც 1669 წ. ბაგრატ IV-ის „ზოიარებს“ შორის იხსენიება (იხ. ზემოთ).

66 იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5, 1950, გვ. 235, № 29; გვ. 237, № 41.



შეიძლება ეს სიმონი იყოს 1819 წ. იმერეთის მმართველ ლომთაძის ზისათვის „მოხსენების“ წარმდგენი „თავადი ლოლობერიძე სვიმონ“⁶⁷.

ბერი. გვხვდება სოლომონ I-ის 1770 წ. წყალობის წიგნში⁶⁸. ამ ბერის „იშოვა“ ოდიშს მახარობელი ფუტყარაძე და ჭიბაიშს სამეფო მიწაზე დაასახლა. მეფემ ბერის „ვედრებით“ ეს მისი გლეხი ყოველგვარი „სახელმწიფო გადასახადისაგან“ გაათავისუფლა⁶⁹.

გოგია ბეჟანის ძე (III-ის?). ვხვდებით 1771 წ. ერთ „სათავადებო წიგნში“⁷⁰.

ლევან I. იხსენიება 1782, 1792, 1819 წლებში⁷¹. მას ორი ძმა ჰყავდა: ქაიხოსრო და როსტომი. ლევანთან ერთად იხსენიებიან ისინი სოლომონ II-ის 1792 წ. სიგელში⁷². ძმები ლოლობერიძეები ამ მეფის ერთგულად ნამსახურნი იყვნენ (უნდა ვიფიქროთ იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაში, ლოლობერიძეები სოლომონ II-ეს უჭერდნენ მხარს). ამის „ნაცვლად“ უკანასკნელმა მათ „კაცებს“ აღნიშნული სიგელით სამეფო გადასახადი—საური და საუდიერო „ამოუკვეთა“⁷³.

ლევან I უკანასკნელად მოხსენიებულია 1823 წ. 4 ოქტომბრის წყალობის წიგნში, მაგრამ ამ დროს იგი ცოცხალი არ არის⁷⁴.

ლევან I-ს ხუთი ვაჟი ჰყოლია: სვიმონ (II), გიორგი, საფრონ, ლევან (II) და სიბიტო. ხუთივე ერთად დასახელებულია დასახელებულ წლის წყალობის წიგნში⁷⁵. მათგან სიბიტო გვხვდება უფრო ადრეც — 1819 წელს⁷⁶, ხოლო ლევან II — გვიან. 1832 წ.

67 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 197, № 36.

68 იბ. იქვე, გვ. 172, № 5.

69 იქვე.

70 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 45.

71 იქვე, გვ. 76; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 180, № 13; გვ. 196, №№ 34, 35; გვ. 197, № 36; გვ. 239, № 50.

72 იბ. იქვე, გვ. 180, № 13; გვ. 239, № 50.

73 იქვე.

74 დოკუმენტები..., II, 297—298, № 446.

75 იქვე.

76 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 196, № 34.



19 აგვისტოს⁷⁷. ამ წელს ლევან II-ეს პრაპორშჩიკის ვახუშტისგან დაეკისრა მისი მოურავობაც აქვს⁷⁸.

ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე. ჩანს 1785 წ. მის მიერ ზონის ტაძრისთვის მიცემულ შეწირულების წიგნში⁷⁹.

ნიკოლოზის მამა ქაიხოსრო არ უნდა იყოს ლევან I-ისა და როსტომ ლოლობერიძეების ძმა ქაიხოსრო, რომელიც მათთან ერთად იხსენიება 1792 წ. საბუთში (იხ. ზემოთ ლევან I). წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საბუთში ჩვეულებრივ ნიკოლოზიც იქნებოდა მოხსენიებული.

გერასიმე. გვხვდება 1807, 1838 წლებში⁸⁰. მისი დაწერილია ხაზუ და სხვა ფაღავეების მიერ ანტონ ზონელისადმი მიცემული 1807 წ. „საუდაო წიგნი“⁸¹. ხოლო 1838 წ. გერასიმე ლოლობერიძე თავის თავს მარტვილის ეკლესიის დასავლეთის მარჯვენა ეკვდრის წინამძღვრად ასახელებს⁸² (ამ ეკლესიის დასავლეთის მარჯვენა და მარცხენა ეკვდრები დადიანების სასაფლაო იყო⁸³).

ოტია. იხსენიება იმერეთის მღვიანბეგთა 1814 წ. განჩინების წიგნში⁸⁴.

სოფრომ მღვდელ-მონაზონი. ვახუშტისგან 1815 წ. დოკუმენტში⁸⁵.

სიკო. გვხვდება 1819 წ⁸⁶.

ბეჟან IV. ვახუშტისგან 1823 წ. წყალობის წიგნში, რომელიც მის მიერაა დაწერილი⁸⁷.

ბესარიონ. „იმერეთის არხიეპისკოპოსის“ სოფრონოსის „სეკრეტარი“. ჩანს 1835 წ.⁸⁸.

77 ქუთ. მუხ. საბ. № 2077.

78 იხ. იქვე.

79 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 84.

80 იქვე, გვ. 157; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. III. გვ. 42.

81 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 157.

82 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 42.

83 იხ. იქვე.

84 ე. თაყაიშვილი. ზონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. III. გვ. 300.

85 დოკუმენტები... II. გვ. 291, № 456.

86 ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. V. 1950, გვ. 196, № 34.

87 დოკუმენტები... II. გვ. 291, № 416.

88 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 302, შენიშვნა 1.

წულუკიძეთა სათავადო

წულუკიძეთა გვარი ერთ-ერთი „უწარჩინებულესი და შემ-
ძლებელი“ ფეოდალური გვარი იყო იმერეთის სამეფოში. ვახუშ-
ტი ბატონიშვილი ამ გვარს სწორედ ასე იხსენიებს¹.

წულუკიძეები ისტორიის ასპარეზზე პირველად ჩანან XV ს.
შუა წლებში. ამ საგვარეულოს პირველი ისტორიულად ცნობილი
წარმომადგენელი არის ვირშელი. აღნიშნული პერიოდისათვის
ვირშელი და მისი ძენი — ვალადემურ, სალუყაზან, ბევროზ, ბე-
ჟან და სიაოშ მეფის წინაშე უკვე „თავდადებით ნამსახურნი“
არიან. ხოლო უფრო ადრე „პაპანი და მამანი“ მათნი ბაგრატიონ-
თა დინასტიის „სამსახურსა და ერთგულებასა შიგან დავოცილან“.
მაშინ მცირეწლოვანი ვირშელი, ოზლად დარჩენილა და იმ ხანში
წულუკიძეთა საგვარეულოს „მკვიდრი და ნასისხლი“ სოფელი
იწა „მეფეთაგან“ სხვას „უშოვნია“².

1451 წელს გიორგი მეფის „ტახტისა უზედაე ყოფისთვის დი-
დად ჭირნანახ“ ვირშელს მისთვის თავის „გუარეულად ... ნაქო-
ნებისა მამულისა“ დაბრუნება უთხოვია. მეფეს შეუწყნარებია მი-
სი თხოვნა და სოფელი იწა ისევ ვირშელისა და მისი მემკვიდრე-
ებისათვის უბოძებია³.

ასე, რომ წულუკიძეთა გვარის ისტორია XV საუკუნეზე ბევ-
რად ადრე დაწყებულა და ამ დროისათვის დიდი ძნელბედობა
პქონია გამოვლილი.

როდის მოხდა წულუკიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება, ზუს-
ტად განსაზღვრა ძნელია. დაახლოებით კი, ეს აღნიშნულ საუკუ-
ნის მეორე ნახევარში, ვირშელის მოღვაწეობის პერიოდშია სავა-
რაუდებელი.

ამის შემდეგ წულუკიძეების სამფლობელო თანდათან იზრ-
დება. იწას გარდა, რაჭაში ნაწილობრივ თუ მთლიანად მათ

1 იხ. მისი აღწერა... გვ. 35—36. იოანე ბატონიშვილიც ქართველ თავად-
აზნაურთა გვარების „აღწერაში“ წულუკიძეს დასავლეთ საქართველოს გამოჩე-
ნილ თავადურ გვარებს შორის ასახელებს (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729,
გვ. 101 v).

2 საქ. სიძვ. I. გვ. 1—3, საბ. № 1.

3 იქვე.

ეკუთვნოდან შემდეგი სოფლები: 1. ხოტევი, 2. წკადისი, 3. ველი-
ეთი, 4. ქეჩია-ლელე, 5. კაჩაეთი, 6. ზნაკვა (ნაწილობრივ)⁴, 7. სხარ-
ტალი (ნაწილობრივ)⁵, 8. უყეში, 9. ამბროლაური (ნაწილობრივ)⁶,
10. პატარა ონი, 11. ნიკორწმინდა (ნაწილობრივ)⁷, 12. სალხინო,
13. აბანოეთი, 14. გორის უბანი, 15. ბარეული, 16. ზედა შავრა,
17. ლადიში, 18 მიქარწმინდა, 19. ცახი, 20. ნაგორევი⁸.

პირდაპირ ცნობათა უქონლობის გამო ძნელია იმის გადაჭრით
თქმა, თუ როდის შეიძინეს წულუკიძეებმა ეს სოფლები. მაგრამ
XVII ს. მეორე ნახევარსა და უფრო ადრეც ისინი რომ რაჭაში
ნრავალ სოფელს ფლობდნენ, ეს კი ცხადია⁹.

⁴ ნაწილი კი ნიკორწმინდის ეკლესიას ეკუთვნოდა (იხ. ქრონიკები. II. გვ. 45—47). ვახუშტის ცნობით, „ზნაკვას არს ციხე შენი და მაგარი“ (იხ. მისი აღწერა..., გვ. 763). ე. თაყაიშვილის აღწერილობით კი, აქ არის „გიორგი წულუ-
კიძისეული ციხის ნანგრევები (იხ. მისი არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 72).

⁵ ნაწილი იმერთა მეფისა იყო. აქ იყო სოლომონ I-ის „საზაფხულო ბანაკი“ (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გვ. 127).

⁶ საბა მერკვილაძისა (სოფ. წესის მცხოვრები, 105 წლის) და ნატალია და-
რახველიძის (ამავე სოფლის მცხოვრები, 98 წლის) ცნობებით (ჩავიწერეთ აღ-
ნიშნულ სოფელში 1945 წ. აგვისტოს), ამბროლაურის ნაწილს რაჭის ერისთა-
ვები ფლობდნენ, ნაწილს — წულუკიძეები, ნაწილს — მახაბლები (უკანას-
კნელთა სამფლობელოს შესახებ ამბროლაურში იხ. გ. ბოჭორიძე.
რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზ. მოამბე. VII. 1931—1932, გვ. 218) და
ნაწილს კიდევ — იმერთა მეფეები. ვახუშტის ცნობითაც, „ამბროლაურს ყოფილა
სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგილის შემკობილებისათვის“ (იხ. მისი აღწერა...,
გვ. 763).

⁷ ნიკორწმინდის ნაწილი თვით ნიკორწმინდის ეკლესიას ეკუთვნოდა, ნაწილს
კი რაჭის ერისთავები ფლობდნენ (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 76,
შენიშვნა 50, 51).

⁸ სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 1—30; ფ. 226 (1), საბ. № 3296; ხელ-
ნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 1278; გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 222 —
223; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 40—42; გიულდენშტედტის მოგ-
ზაურობა საქართველოში. I. გვ. 115, 129; საბა მერკვილაძის ცნობა.

გიულდენშტედტის ცნობით, წულუკიძეების „მხარეში“ 30 სოფელი შედი-
ოდა. მაგრამ მათგან სახელდებით მხოლოდ სხარტალია დასახელებული (იხ. მისი
მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 129). აღნიშნულია აგრეთვე — ხოტევის ციხე;
სოლომონ I-მა გადასცა თავად წულუკიძესო (იქვე, გვ. 115). ეს მოხდა, ცხადია,
მეფის მიერ წულუკიძეთა სამფლობელოს მიმტაცებელ რაჭის ერისთავ როსტომის
დამარცხების შემდეგ (იხ. ქვემოთ).

⁹ იხ. ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 40—42; გ. ბოჭორიძე.
დასახ. ნაშრ., გვ. 222—223.



ზემოჩამოთვლილ სოფლებს გარდა, რაჭაშივე წულუკიძეების ეკუთვნოდათ ბუგეულის, ბაჯის, ქედის უბნის, საკეციის, შაქრის, ჯვარისასა და თლულის ნაწილი¹⁰.

აღნიშნულ საუკუნის მეორე ნახევარში ერთ ხანს წულუკიძეებისა ჩანს ჭრებალო, ზოგიში და „მათს გარდაღმა“ ოკრიბა და ტყიბული („ტყილბური“)¹¹.

წულუკიძეების სათავადო სამხრეთით ნაქერალას ქედამდე აღწევდა, დასავლეთით — ლეჩხუმამდე, აღმოსავლეთით — ერისთავების სამფლობელო ხიმშ-სხვაეა-შხივანამდე. ჩრდილოეთით კიდევ ამ სათავადოს ისევ ერისთავების სოფელი ბოსტანო და იაშვილების სოფელი სადმელი საზღვრავდა.

წულუკიძეების რეზიდენცია ხოტევეში იყო. აქვე იყო მათი ციხე-სიმაგრე და კარის ეკლესია. მეორე ადგილსამყოფი წულუკიძეებს მიქარწმინდაში ჰქონდათ. მესამე კი — ბუგეულს¹².

ხოტევის ციხე-სიმაგრის გარდა, წულუკიძეებს ეკუთვნოდათ აგრეთვე ნაგორევისა და პატარა ონის ციხე-სიმაგრეები¹³.

წულუკიძეებს საგვარეულო სასაფლაო ჰქონდათ ნიკორწმინდის ეკლესიასა¹⁴ და ხოტევის მაცხოვრის ტაძარში. ეს უკანასკნელი ააშენა ამ საგვარეულოს წარმომადგენელმა მერაბმა 1676 წ.¹⁵ იგივე ჩანს სოფ. თლულის ეკლესიის „აღმაშენებელი“ თუ „დამხატვინებელიც“¹⁶.

¹⁰ სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 1—2, 4, 7, 9, 11—14, 16—17, 19—25, 29—30; გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 225—226.

სოფ. ბაჯს, ბუგეულს, ქედისუბანს, ჯვარისასა და თლულს რაჭის საერისთავოს გაუქმებამდე (1769 წ.) რაჭის ერისთავები ფლობდნენ (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I, გვ. 76).

¹¹ იხ. ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 41.

¹² იხ. იქვე, გვ. 40, 65; გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე. V. 1928, ტფილისი, 1930, გვ. 169; იგივე, VII, 1931—1932, გვ. 221; აბელ კიკვიძე. რაჭა., თბილისი, 1976, გვ. 23; ბ. გნიღოსარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 437; საბა მერკვილაძის ცნობა (გაუგონია მამა-პაპათაგან).

¹³ იხ. ბ. გნიღოსარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 437.

¹⁴ დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 85; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 103—104; გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე. V. 1928, გვ. 208—209.

¹⁵ ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 40, შდრ. გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე. VII. 1931—1932, გვ. 220—221.

¹⁶ გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 226.



რაჰის აღნიშნულ სოფლებს გარდა, წულუკიძეების იყო ვრცელი მიწა-წყალი ქვემო იმერეთსა და სხვაგანაც.

ჯერ კიდევ 1587 წ. დავით წულუკიძეს, რომელიც შეიძლება ვერშელის შეილიშვილი იყო, გიორგი იმერთა მეფემ, როგორც ითქვა, „აქრთამა“ „ხონს ხოსროსეული სასახლე და გლეხები“¹⁷. „ამას გარეთ“ იქვე „გოგატაური სასახლე — თბრილს შიგნით და კარს გარდმოღმა მინდორი და ჭალა, საყანეები; ამას გარეთ... სახასო სანადიროები და სასახუნდროები — წყალტუბოს გაღმა, ბოლო მალღაყის საზღვრამდის, თავი ნასაკირალი, ბოლოს განი გასწორებით, ჩიჩას ფონია კუხამდის და თავი სამზღვარი ლოზგოურა, რომელსაც სერი დაიტანს მათხოჯის საზღვრამდის; ამას გარეთ კონტოეთი“ შიგ მოსახლე გლეხებით¹⁸.

ხონის ნაწილსა და მის უბნებს წულუკიძეების ხელში გადასვლის შემდეგ „საწულუკიძო“ ანუ „საწულუკიძევო“ ეწოდა¹⁹. ეს ადგილ-მამული მათ ბოლომდე შეინარჩუნეს.

გვიანდელი (1820 წ.) ცნობით, წულუკიძეები მეტ-ნაკლები რაოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ანთორიაში, ძიროვანში, კითხიჯში, გურნაში, ლოსიათხევში, ნაძვში, ბობოთში, ქორეთში, აბაშაში და სხვ.²⁰

იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წელს ოტია, სეხნია და ხოსია წულუკიძეებმა სოლომონ II-საგან მიიღეს ვრცელი მიწა-წყალი („გამოჩინებულის საწინამძღვრო ადგილ-მამული და შემავალი“) საჯავახოში, რომელიც ეკავა მათ განსვენებულ ძმას გამოჩინებულის მონასტრის წინამძღვარს ნიკოლოზს²¹. ეს მიწა-წყალიც წულუკიძეების მფლობელობაში იყო ბოლომდე²².

XVII ს. მეორე ნახევრიდან წულუკიძეებს ეკუთვნოდათ აგ-

17 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 18—19, საბ. № 4. თარიღი, როგორც ზემოთ ითქვა, შესწორებულია ჩვენ მიერ.

18 იხ. იქვე, გვ. 19.

19 სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 31—32; დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 77.

20 იხ. სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 26—27, 32—33; ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, № 507; ქუთ. მუზ. საბბ. № 1367.

21 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 238—239.

22 იქვე, გვ. 239.



რეთვე გუმტიბის ნაწილი, რომელთანაც სამეფო აზნაურ იოსელიანს „კელი“ არ ჰქონდა²³.

წულუკიძეები ადგილ-მამულს ფლობდნენ „ქუთაისის ქალაქის თავშიც“. აქვე ჰქონდათ მათ „სასახლე“ და დუქანი („ხულეზი“)²⁴.

მათვე ეკუთვნოდათ სოფ. ქარჩხაბი, სადაც ჰქონდათ კიდევ „სასახლე“. სასახლე ჰქონდათ მათ ხონშიც²⁵.

წულუკიძეებისა იყო ერთ დროს სოფ. „თერჯალო“ თუ თერჯოლაც²⁶.

დიდ ადგილ-მამულთან ერთად, წულუკიძეები მრავალრიცხოვან ყმასაც ფლობდნენ. XVIII ს. მეორე ნახევარში ამ საგვარეულოს მფლობელობაში 800 კომლი ყმა ითვლებოდა²⁷.

წულუკიძეების ყმა-გლეხები იყვნენ: გურგენიძეები, ჭელიძეები, აბუთიძეები, ფანჯიკიძეები, სანებლიძეები, დვალეები, გორდიანვილები, მიჭიაშვილები, ქათამაძეები, ნაცვლიშვილები, კველიშვილები, ბაკურაძეები. მურუსიძეები, უთმელიძეები, რუხაძეები, კვახაძეები, ჭოქოსაძეები, ვაჩაძეები, ბუაძეები, ფოფხაძეები, ვახტანგაძეები, ველიაშვილები, გაგოშიძეები, პატარიძეები, კობახიძეები, ნამგალაძეები, სოხაძეები, მომცემლიძეები, ჯალალანიები, უგულავეები, წვერავეები, ძიძიგურები, შანიძეები, დევიძეები, ჭიცმარიშვილები, გეგუჩაძეები და სხვ.²⁸.

23 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 82—83. იხსენიება ამ საბუთში „გუმტიბს სასახლე“, გლეხები და პარტახები წულუკიძისა. 1660—1690 წლებში ეს „სასახლე გლეხებით, მიწა-მამულით“ მერაბ წულუკიძემ ბიჭვინტის ღვთისმშობელს შესწირა (იხ. იქვე).

24 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 148; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1177, 1178; ფ. H, №2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 29.

25 ნაკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1962. გვ. 183 (ქვემოთ ყველგან მითითებულია ეს გამოცემა); ს. კაკაბაძე. გადმოცემა იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი დროის შესახებ. საისტორიო მოამბე. I. 1925, გვ. 251.

1761 წლის წინარე ხანაში ქარჩხაბს თავადი ჩხეიძეები ფლობდნენ აღნიშნულ წელსა და შემდეგ ეს სოფელი წულუკიძეს უპირავს (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები..., I. გვ. 36, შენიშვნა 50).

26 იხ. საქ. საბ. მუხ. ისტ. დოკუმენტები და არქივები... II. გვ. 125—126, საბ. № 107.

27 იხ. ო. რეინგსი. დასახ. ნაშრ., გვ. 38.

28 სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 16—24, 31—33; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. ნ. ბერძენიშვილის რედ., თბილისი, 1953, გვ. 286—287, საბ. № 448.



წულუკიძეების აზნაურები იყვნენ: მდიენიშვილები, გორგოლაძეები, ბიანები, გოცირიძეები, კიკინაძეები, მაჭავარიანები, მომტეხიძეები, დალაქიშვილები, ლევავეები, წერეთლები, წულუკიძეები²⁹, ავალიანები, უგრეხელიძეები, სვანიძეები, კიკნაძეები, მხეიძეები, დარახველიძეები, დაშინიანები, ადამია და სხვ³⁰.

რამდენი იყო წულუკიძეების დამოკიდებულებაში მყოფი აზნაურთა საერთო რაოდენობა, არ ვიცით. ჩანს მხოლოდ, რომ XIX ს. 10-იან წლებში მარტო გიორგი წულუკიძე 74 კომლ აზნაურს ფლობდა³¹.

გლეხები წულუკიძეების წინაშე გარკვეულ ბეგარა-გამოსაღებს იხდიდნენ. აზნაურები კი შეადგენდნენ წულუკიძეების შეიარაღებულ ამაღას და მათ კარზე ასრულებდნენ სხვადასხვა საპატიო სამსახურს.

წულუკიძეთა სათავადოს თავისი სამოხელეო აპარატი ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ მეტად ნაკლები ცნობებია შემონახული. იხსენიებიან წულუკიძეების მხოლოდ მოურავი, მეციხოვნე და ხელოსანი. საეკლესიო მსახურთაგან კი — მოძღვარი, „კარის მღვდელი“ და ხუცი-მდივან-მღვდელი³².

მოურავის თანამდებობა 1799 წ. წულუკიძეების აზნაურს ბეჟანიკა გოცირიძეს აქვს, კარის მღვდლად აღნიშნულ წელს მიქელ კიკინაძე ჩანს³³. მომდევნო წელს კი უკანასკნელის ადგილზე გიორგი მდიენიშვილს ვხედავთ³⁴. მოძღვრად 1660—1690 წლებში დასახელებულია ზებუდე³⁵, ხოლო ხუცი-მდივან-მღვდლად 1793 წ. გვხვდება გიორგი გურგენიძე³⁶.

²⁹ იხსენიება მერაბ წულუკიძის მოურავი გიორგიტა წულუკიძე (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 5181), რომელიც უთუოდ თავად წულუკიძეთა აზნაურია. ჩანს წულუკიძეების გვარში აზნაურებიც იყვნენ. 1810 წლის ერთ დოკუმენტში ვხედავთ კიდევ „აზნაურ მერაბ წულუკიძეს“ (იხ. ს. კაკაბაძე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), თბილისი, 1956 (ამონაბეჭდი „საისტორიო მონაბეჭ“, ტ. მე-9-დან). გვ. 488, საბ. № 80).

³⁰ სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 1, 4, 6—7, 9—14, 17—18, 20—22, 26—27, 31—32; ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 3224; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 111.

³¹ სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 4—7, 9—14, 17—27.

³² დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 83; II, გვ. 102, 116; დოკუმენტები.. II. გვ. 286—287, საბ. № 448; ქუთ. მუზ. საბ. № 726.

³³ დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 116.

³⁴ დოკუმენტები.. II. გვ. 287, საბ. № 448.

³⁵ დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 83.

³⁶ დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 102.

წულუკიძეების მოურავად, როგორც ითქვა, იხსენიება აგრეთვე მათი აზნაური გიორგიტა წულუკიძე.

წულუკიძეების ყმები სამეფო გამოსაღებიდან თავისუფალნი იყვნენ. მთელ რაჭის პროვინციაში, სადაც საწულუკიძეს გარდა, სხვა სათავადოებიც იყო, და, 1768 წ. ცნობით, 5000 კომლამდე ითვლებოდა³⁷, სამეფო გადასახადს საურს იხდიდა მხოლოდ 200 კომლი, საუდიეროს კი — არც ერთი³⁸. საურის გადამხდელი 200 კომლი მთლიანად წულუკიძეებისად რომ ჩავთვალოთ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ საგვარეულოს ყმათა ძირითად მასას გადასახადო შეუვალობა ჰქონდა.

გიორგი იმერთა მეფის მიერ 1587 წ. დიდად „შეწყალებულ“ ზემოხსენებულ დავით წულუკიძის მემკვიდრე იყო ქაიხოსრო წულუკიძე, რომელიც XVI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობს³⁹.

ქაიხოსრო დიდი ქონების პატრონია. ამას მოწმობს მისი სააღმშენებლო და სხვა საქმიანობა იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერში. XVII ს. პირველ ნახევარში აქ მან, „ქრისტეს საფლავთან“, ააშენა ეკლესია სამოცი სახლით და დაიხსნა მონასტრის უძრავი ქონება⁴⁰.

ასეთი ქველმოქმედებისათვის 1643—1649 წლებში ჯვარის მამამ ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა დაახატვინა იგი „ჯვარის მონასტრის კედელზე, დაუკიდა კანდელი ქრისტეს საფლავთან და გოლგოთაზე და ჩაწერა მისი სახელი ყველა მოსახსენებელში“⁴¹.

ქაიხოსროს ესოდენ დიდი ეკონომიური შესაძლებლობა უთუოდ მის ყმა-მამულთა სიმრავლეზე იყო დამყარებული. ამ მხრივ წულუკიძეები, როგორც ვნახეთ, ადრევე დაწინაურდნენ.

37 Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I. Под ред. А. А. Цагарели, Спб., 1891, с. 17.

მოურავოვის ცნობით, 1769 წ. რაჭაში ყმა გლეხთა რაოდენობა 3000 კომლს უდრიდა (იხ. იქვე, გვ. 74).

38 Акты, IV, с. 256.

39 დავით წულუკიძისა და მისი მემკვიდრეების შესახებ დაწერილებით იხ. ქვემოთ.

40 იხ. ე. მეტრეველი. მასალები... გვ. 38, 62 (გამოკვლევა), 88, აღანი № 99; გვ. 144—145, კომენტარი № 99.

41 იხ. იქვე.

წულუკიძეების გვარის მეთაური ამ დროს (XVII ს. ნახევარში) ჭაიხოსრო უნდა იყოს. მისი თანამედროვეა მისი სახელიცაა პაატა⁴², რომელსაც აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯვარის მონასტრის წინაშე და რომელიც, ჭაიხოსროსთან ერთად, ამ მონასტრის კედელზეა დახატული⁴³.

პაატა სხვა მხრივაც ცნობილი პიროვნებაა. იგი მეფე გიორგი III-სთან ცუდ განწყობილებაშია. აღნიშნულ საუკუნის 10-იან წლებში უკანასკნელმა „შერისხნა“ ის „რამდესა ზედა“ და მამულები ჩამოართვა. მეფისაგან შერისხული პაატა ოდიშს გადაიხვეწა⁴⁴. 1622 წ. თუ მის ახლო ხანს, წულუკიძე უკვე აქ არის⁴⁵. ლევან II დადიანმა შეიფარა იგი. უბოძა მას ადგილ-მამული ზუგდიდთან ახლოს, რომელსაც შემდეგ „ნაწულუკუ“ ეწოდა⁴⁶. უბოძა აგრეთვე მიწა-წყალი „ხოფს“⁴⁷ და „ხორგას ნაპარკაოს სასახლე“ მასში შემავალი ყმა-გლეხებით⁴⁸. პაატა მალე დაწინაურდა: მთავრის ნდობა მოიპოვა და მისი „ვეზირი“ გახდა⁴⁹. XVII ს. პირველ

⁴² პაატასა და ჭაიხოსროს წარმომავლობა-ნათესაობის შესახებ იხ. ქვემოთ.

⁴³ ე. მეტრეველი. დასახ. ნაშრ., გვ. 62 (გამოკვეთვა), 144—145, კომენტარი № 99; ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლეა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვეთვა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, გვ. 81—82.

⁴⁴ ვახუშტი. აღწერა... გვ. 825.

⁴⁵ იხ. ილ. ანთელავა. ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის I ნახევარში. საქანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, 1974, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ბიბლიოთეკა, გვ. 85—91.

⁴⁶ „ნაწულუკუ“ სიტყვა-სიტყვით წულუკიძის ნაქონს ნიშნავს (იხ. ამის შესახებ ს. კაკაბაძე. ისტორიულ პირთა სურათები ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობიდან. „საბჭოთა ხელოვნება“, № 8, 1958, გვ. 7). ახლაც ამ სოფელს „ნაწულუკუს“ ეძახიან. შედის რუხის თემში.

⁴⁷ ლევან II დადიანის მიერ პაატასათვის იყო უთუოდ ნაბოძები „ხოფს სოფლად“ ადგილ-მამული, სადაც შემდეგ, XVII ს. მეორე ნახევარში მისმა შვილმა მერაბ წულუკიძემ (იხ. ქვემოთ მერაბ I) თავისი ძმა „დასვა“ (ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. გვ. 41—42).

⁴⁸ იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 87, 101, 103—104. ამ საბუთებში მოხსენიებული „ხორგას ნაპარკაოს სასახლეც“, რომელიც ბეჟან წულუკიძეს ეპირა და 1673—1696 წლებში კათალიკოს დავით ნემსაძეს მიყიდა (იხ. იქვე). ჩვენი აზრით, ლევან II დადიანის მიერ პაატა წულუკიძისათვის იყო ნაბოძები. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილს თავისად ასახელებს მისი მემკვიდრე და ბეჟანის ძმა მერაბ წულუკიძეც (იხ. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. გვ. 42).

⁴⁹ დონ ჭუხუჩუკე ჭუდიჩე შილანელი. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 110.



ნახევარში ოდიშის სამთავროში მოღვაწე წულუკიძის თანამედროვე იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე მას „დადიანის შემდგომი ორე პირად“ ასახელებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პაატა გაკათოლიკებული იყო⁵⁰.

ეს ის პაატა წულუკიძეა, რომელსაც, ვახუშტის ცნობით, „უკმობდნენ წუწკად“, რომელმაც „უშეტესად შთაუღვა“ დადიანს

50 იხ. იქვე. ჯუდიჩეს მიერ აქ დასახელებული მთავრის ვეზირი „პაპუა წულუკია“ პაატა წულუკიძეა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პაატა წულუკიძე ლევან II დადიანის სიგელებშიც მის საპატიო კარისკაცთა შორის იხსენიება (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 51—52; საქ. სიძვ. II, გვ. 75, საბ. № 55).

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: არქანჯელო ლამბერტის თხზულებაში მოხსენიებული ლევან II დადიანის ვეზირი სახელად პაპუნა, რომელსაც მთავრის თანამეცხედრის „ტრფალი“ დაბრალდა და სასტიკად დაისაჯა (იხ. მისი სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1938, გვ. 16—21), „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში „პაპუნა წულუკიძე“ არის მიჩნეული (იხ. თავი V, პარაგრაფი 6, გვ. 303, ავტორი გ. ჭაბუკია; შტრ. დონ. კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბობი საქართველოს შესახებ. გვ. 33, 44, 46, 90—91, შენიშვნა 10). რომელშიც, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ოდიშის მთავრის კარზე XVII ს. მეორე ნახევარში მოღვაწე, დასავლეთ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ზემოხსენებული პაატა წულუკიძეა ნაგულისხმევი (იხ. იქვე). ამგვარად, ლამბერტის მიერ უგვაროდ დასახელებული მთავრის „ვეზირი“ ავტორს წულუკიძე პყავს წარმოდგენილი (იქვე). ჩანს, მკვლევარი ლამბერტის პაპუნას ჯუდიჩეს „პაპუა წულუკიასთან“ აიგივებს. უკანასკნელის გვარს პირველს მიაწერს და, ამდენად, პირველის „დანაშაულსაც“ — უკანასკნელს.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ლამბერტის პაპუნა და ჯუდიჩეს პაპუა წულუკია სხვადასხვა პირია: ლამბერტის პაპუნა დასაჯეს, ჯუდიჩეს პაპუა (Papa) წულუკია, რომელიც, როგორც ითქვა, უეჭველად ქართული წყაროების პაატა წულუკიძეა (წულუკია წულუკიძის მეგრული ფორმაა), დადიანს არ დაუხვია, იგი ოდიშში სიკვდილამდე (1656 წ.) დიდ პატივში იყო. ეს ჩანს იქიდან, რომ მისი შვილი მერაბი (იხ. ქვემოთ მერაბ I) თავის თავს ლევან დადიანის „გაზრდილად“ ასახელებს, ხოლო მას — „სწორუპოველად ხმელეთზე... კვიანად და ხრმლიანად“ (იხ. ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 41). მერაბის მამა პაატა ლევანს რომ დაესაჯა, მერაბი მას არც თავის „გაზრდილად“ დაასახელებდა, არც ქებათა-ქებით მოიხსენიებდა და არც მამულები ექნებოდათ მერაბსა და ბებენ წულუკიძეებს ოდიშის სამთავროში (იხ. ზემოთ).

ბოლოს, ლამბერტის მიერ დასახელებული დადიანის „ვეზირის“ პაპუნას ვინაობა კარგადაა გარკვეული ილ. ანთელავას საკანდიდატო დისერტაციაში და, სავსებით მართებულად, იგი თავად ქორთოქედ არის მიჩნეული (იხ. ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობანი..., ხელნაწერი, 1974, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ბიბლიოთეკა, გვ. 89—92).



გიორგი იმერთა მეფის „მტრობა“ და რომელიც ოდიშის მტრობის მიმართ იმერეთის სამეფოს მიმართ აგრესიისაკენ მოუწოდებდა⁵¹.

წულუკიძე უთუოდ თანაუგრძნობდა დასავლეთ საქართველოში გაბატონების დადიანისეულ გეგმას და მას საამისო რჩევასაც აძლევდა. ჩანს, პაატა იმ ჭკუფში იყო, რომელიც კახთა მეფე თეიმურაზ I-ისა და მის მომხრე მეფის გიორგი III-ის წინააღმდეგ იბრძოდა.

წულუკიძეთა საგვარეულო დიდხანს დარჩა შერისხულ მდგომარეობაში. ამით უნდა აიხსნას ის, რომ გიორგი მეფის მემკვიდრის ალექსანდრე III-ის 1651 წ. ფიცის წიგნში სამეფოს დიდებულ თავადთა რიგებში (სასულიერო პირთა შემდეგ მოხსენიებულ 1—10 თავადში) ამ საგვარეულოს წარმომადგენელი არ იხსენიება⁵². დასახელებულია აქ გიორგი წულუკიძე, მაგრამ მეორეხარისხოვან თავადებში⁵³.

ალექსანდრეს მომდევნო მეფემ ბაგრატ IV-მ (1660—1681 წწ.) შეირიგა წულუკიძეები. რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ მის 1669 წლის წერილში პაატას ძე მერაბ წულუკიძეს უკვე ამ მეფის „დიდ ბაიართა“ (დიდებულ თავადთა) შორის ვხედავთ⁵⁴. მერაბის სახლიკაცს კაციას კიდევ — „ბაიარებში“ ანუ ჩვეულებრივ თავადებში⁵⁵.

მაგრამ მერაბიც ერთ ხანს მეფის მტრობას განაგრძობს. ამის გამო იგი ზაალ ფალავანდიშვილს მეფესთან დაუსმენია. მეფეს წულუკიძე „სასიკვდილოდ და ასაოხრებლად“ გაუმეტებია. მაგრამ ეს ის დროა (XVII ს. 60—70-იან წლები)⁵⁶, როცა იმერეთში მეფის ხელისუფლება ძალზე სუსტია და ცვალებადი და მერაბს ამ უბედურებისაგან თავი დაუღწევია⁵⁷. მისი დამსმენი ზაალ ფალავანდიშვილი კი დიდად დაზარალებულა: მისი „მოიდა-ნახე

51 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 826. იხ. აგრეთვე ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 429.

52 სტოლინი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში. გვ. 193.

53 იხ. იქვე.

54 Переписка... с. 83.

55 იხ. იქვე.

56 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 44, საბ.

№ 37. თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ, რადგან საბუთის გამცემი მერაბ წულუკიძე XVII ს. მეორე ნახევრის მოღვაწეა (იხ. ქვემოთ მერაბ I).

57 იხ. იქვე.

ციხე“ (ზემო იმერეთს) „სისხლშიდ“ მერაბს დაუპერია და შემდეგ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიუყიდა⁵⁸.

ის პოლიტიკური ანარქია, რომელიც იმერეთში ალექსანდრე III-ის სიკვდილის (1660 წ.) შემდეგ დაიწყო, წულუკიძეებისათვის, ისე როგორც იმერეთის სხვა თავადებისათვის, ხელსაყრელი იყო. სწორედ ამ დროს (XVII ს. 60—70-იან წლებში) დაიბრუნეს წულუკიძეებმა თავიანთი საგვარეულო ადგილ-მამული, რომელიც მათ ალექსანდრეს მამამ გიორგი III-მ ჩამოართვა⁵⁹.

აღნიშნულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგვარეულოს თავკაცი მერაბ წულუკიძეა. იგი მეტად მარჯვედ მოქმედებს. გარდა იმისა, რომ მან დაიბრუნა, რაც მის გვარს ჰქონდა „ეს რაჟა მრავალი კიდის კიდებით“, „შემატა“ კიდევ თავის საგვარეულო ყმა-მამულს „მრავალი არც მტერთა გარდაკიდებით“⁶⁰.

თავის საქმიანობას მერაბი ასე მოხაზავს: „პირველ ოდიშსა დავიპყარ მამული მეტად ბევრია, მერმე აქ (რაქას, ო. ს.) ჩემი

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იხ. გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები. საქ. მეზღუდის მოამბე. VII. 1931—1932, გვ. 222—223; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაქაში. გვ. 40—41.

გიორგი III-ის დროს (1605—1639 წწ.) წულუკიძეებისათვის ჩამორთმეულ ადგილ-მამულში იგულისხმება ხოტევიც. არ არის სწორი ვახუშტი, რომელიც მას წულუკიძეების ხელში „ბოროტებათა შინა“ ვაშში (ალექსანდრე III-ის სიკვდილის — 1660 წ. შემდგომ პერიოდში) გადასულად თვლის (იხ. მისი აღწერა..., გვ. 866—867). ხოტევიც ადრიადანვე წულუკიძეთა „სამკვიდრო“ იყო. აღნიშნულ პერიოდში მერაბ წულუკიძემ დაიბრუნა მხოლოდ ჩამორთმეული საგვარეულო მამულები და მათ შორის ხოტევიც (იხ. გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 222—223; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41).

ხოტევიც რომ ძველი დროიდანვე წულუკიძეებისა იყო, ეს კარგად ჩანს ქიტესაძის „კორესპონდენციიდანაც“, სადაც იგი წერს: ხოტევის „უწინ ხევის-უბანი პრქმევიცა“. ხოტევიც ეწოდა მას თურმე შემდეგი შემთხვევის გამო: თავადი წულუკიძეები აქ ციხეს იშენებდნენ. მშენებლობის დამთავრებისას გამოუვლია იმერეთის მეფეს, შესულა ციხეში და წულუკიძეებისათვის უკითხავს: „ხოტევიცართ ამ ციხეშიო?“ ამის გამო თურმე ციხესა და სოფელს „ხოტევიც“ დარქმევიცა (იხ. „ივერია“, 1895, № 119).

იყო თუ არა ნამდვილად ეს ასე, ძნელი სათქმელია. მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ზეპირგადმოცემა ხოტევის ციხეს და სოფელსაც ძველი დროიდან წულუკიძეებისად თვლის.

⁶⁰ გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 222—223; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41.

სამკვიდრო, ყველგან მოვშალე მტერია; იწროთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერია“⁶¹.

მას შემდეგ, რაც მერაბმა „მოშალა“ თავისი მტრები, სააღმ-
შენებლო საქმეს მოკიდა ხელი. 1676 წ. მან, როგორც აღინიშნა,
ხოტევეში ააგო ეკლესია მაცხოვრის სახელზე. მოახატვინა და შე-
ამკო ის „ხატითა, ჯვრითა და წიგნითა“⁶².

ამგვარად, გიორგი III-ის დროს დამდაბლებული წულუკიძე-
ები XVII ს. 70-იან წლებისთვის ისევ აღზევდნენ.

ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ვასალური ერთგულე-
ბა ამ საგვარეულოს ახლაც უმძიმდა. მეტიც: მეფის სამტროდ წუ-
ლუკიძეები ერთხანს თავიანთ ძლიერ მეზობელს რაჭის ერისთავს
დაუკავშირდნენ. გიორგი წულუკიძე შოშიტა ერისთავის სიძე გახ-
და⁶³. ამიტომ იყო, რომ 1709 წ., როცა გიორგი VI-მ შოშიტას
წინააღმდეგ რაჭას გაილაშქრა, გიორგი წულუკიძე ერისთავს მი-
უღდა. „აღუძნდა მეფესა და წარვიდა თვით წულუკიძის ციხე-სი-
მაგრის ხოტევესა ზედა“. მაგრამ „სცნეს რა სიმტკიცე ხოტევესა,
უკმოიქცა მეფე და მოვიდა იმერეთს“⁶⁴. ამგვარად, გამდგარ ვა-
სალს სიუხერენმა ვერარა დააკლო.

ამის შემდეგ, 1712 წ. ჩხარის ბრძოლაშიც გიორგი წულუკი-
ძეს ერისთავთან ერთად ვხედავთ მეფის მოწინააღმდეგეთა მხარე-
ზე და ამ ბრძოლაში იღუპება იგი⁶⁵.

გიორგი წულუკიძის სახლიკაცებიც შოშიტა ერისთავის მხა-
რეზე ჩანან. ამიტომ „მოსწუა საწულუკიძო“ 1725 წ. გიორგი მე-
ფის მემკვიდრის ალექსანდრე V-ის ლაშქარმა⁶⁶.

მაგრამ მალე იწყება წულუკიძეთა საგვარეულოს მობრუნება
ცენტრალური ხელისუფლებისაკენ. საქმე ის არის, რომ განდიდ-
ებული რაჭის ერისთავი ახლა თვით თავის მოკავშირე-მეზობელ-

⁶¹ იხ. იქვე.

უნდა აღინიშნოს, რომ ოდიშს მამულის „დაპყრობა“ აქ ლევან II დადიანის
მიერ ჰაბატა წულუკიძისათვის ნაბოძები მამულების მემკვიდრეობით დაუფლებას
გულისხმობს.

⁶² იხ. გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 221; ე. თაყაიშვილი.
დასახ. ნაშრ., გვ. 40.

⁶³ ვახუშტი. აღწერა... გვ. 869.

⁶⁴ იქვე. იხ. აგრეთვე გვ. 909 (ქრონოლოგიური ცხრილი 1709 წ. ქვეშ).

⁶⁵ იქვე. გვ. 871.

⁶⁶ იქვე. გვ. 883—884.



საც ავიწროებს და აძევებს რაჭიდან⁶⁷. ასეთ ვითარებაში წულუკიერძეშვილი ძეგებს მეფის მფარველობა სჭირდებათ და ამიტომაც 1732 წ. ჩამაგლიძეთანაზორის ომში მერაბ II წულუკიძე ალექსანდრე V-ის მხარეზე იბრძვის გრიგოლ რაჭის ერისთავის, დადიანისა და მეფის სხვა მტრების წინააღმდეგ⁶⁸.

მეფის ერთგულებას მერაბისათვის ამაოდ არ ჩაუვლია. ამ ომის შემდეგ უნდა მიეღო მას დიდი თანამდებობა—ვაკის სარდლობა, რომელიც მერე, იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ პერიოდში, წულუკიძეთა საგვარეულოს ამა თუ იმ წევრს ეჭირა (იხ. ქვემოთ).

1745 წ. მოკრილ ერთ ბეჭდის წარწერაში მერაბი რაჭა-ლეჩხუმის სარდლადაც იხსენიება⁶⁹.

67 Акты, V, с. 91; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 140.

68 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 888; სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, II, გამოც. ჩუბინოვისა, სპბ., 1854, გვ. 337. ვახუშტი ჩიხორის ომის თარიღად 1734 წ. აჩვენებს (იხ. მისი აღწერა..., გვ. 888, 911). ამ ომის თარიღის შესახებ იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 90, შენიშვნა 125.

ჩიხორის ბრძოლის მონაწილე მერაბ წულუკიძეზე და ზოგ სხვაზე ერთი ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ: „ჩიხორს იქნა ომიო; ზაქარს მოხვდა ორიო; წულუკიძეს — სარიო; გოცირიძეს — ცხარიო; ზაქარს — ნიავი და ქარიო“ (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, გვ. 273, მინაწერი 4, შტრ. ქრონიკები, III, გვ. 536, 539).

69 იხ. სსცია, ფ. 1448, № 2205, ბეჭდის წარწერა; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 76, საბ. № 80, ბეჭდის წარწერა. ამ წარწერაში ვკითხულობთ: „მონა ღუთისა, სარდალი რაჭა-ლეჩხუმისა წულუკიძემ მერაბ ჩღმე“ (1745).

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: 1769 წლამდე (რაჭის საერისთავოს გაუქმებამდე) რაჭა ცალკე სასარდლო იყო (იხ. ვახუშტი, აღწერა..., გვ. 770) და მისი სარდლობა რაჭის ერისთავს ჰქონდა. რაჭის სარდალია სინამდვილეში XVIII ს. პირველ ნახევარში „ლიხთ-იმერთა სარდლად“ დასახელებული გრიგოლ რაჭის ერისთავი (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I, გვ. 116, საბ. № 127) და 1759 წ. სოლომონ I-ის მიერ „სპასპეტ-სპასალარად“ მოხსენიებული როსტომ ერისთავიც (ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, ტფილისი, 1913, გვ. 5). ძველი წარმოსადგენია, რომ რაჭის საერისთავოს ძლიერების ხანაში (XVII ს. მეორე ნახევრიდან 1769 წლამდე) რაჭის სარდლად მის ერისთავს გარდა სხვა ვინმე ყოფილიყო.

რაც შეეხება ლეჩხუმს, რომლის სარდლადაც რაქასთან ერთად, მერაბ წულუკიძე იხსენიება, იგი, ოკრიბასთან გაერთიანებული, ცალკე სასარდლოს შეადგენდა (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 775) და მისი სარდლობა ძველი დროიდანვე თავად აგიაშვილთა გვარს ჰქონდა (ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 222—225).



სოლომონ I-მა უფრო დაიახლოვა წულუკიძეები: მეფე ერეკლე II-ის გამთიშველი დიდი ფეოდალების — როსტომ რაჭის ერისთავისა და მისი მოკავშირე აბაშიძის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და მათ მიერ შევიწროებულ თავადებს თავის ირგვლივ იკრებდა. წულუკიძეები ამ მხრივ მეფისათვის დიდად გამოსაადგენი იყვნენ.

მართალია, 1757 წ., ხრესილის ომის დროს სოლომონ I-ის წინააღმდეგ მებრძოლ ოსმალთა და მათ მიმდგომ ერისთავ-აბაშიძის ლაშქარში ერთი წულუკიძე⁷⁰ ერია, რომელიც გამარჯვებულმა მეფემ ტყვედ „დაირჩინა“ თურმე,⁷¹ მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა იყო და ამას მეფის განწყობილება წულუკიძეებისადმი სრულებით არ შეუცვლია. პირიქით, ამის შემდეგ სოლომონის კარზე წულუკიძეები უფრო წინაურდებიან. პაატა⁷², ბერი და გიორგი წულუკიძეები „სამეფოსა პალატსა შინა“ „იზრდებიან“, სოლომონის „სიღუმლოთა განზრახვათა ... მისანდონი“ არიან და ისმალთა „მიერ შეჭირვებათა ... შინა“ იმერეთის განთავისუფლებისათვის, მეფესთან ერთად, თავდადებით იბრძვიან⁷³.

ამგვარად, რაჭა-ლეჩხუმის სარდლად წულუკიძის დადგენა თითქოს გამორიცხულია. ასეთი სასარდლოს არსებობა ზემოაღნიშნულ ბეჭდის წარწერათა გარდა სხვა წყარომ არ იცის. მაინც ფაქტია, რომ იგი ამ კუთხეთა სარდლად დასახლებული. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ თანამდებობით მას ჩვენთვის ცნობილ მხოლოდ ორ საბუთში ვხვდავთ. ამიტომ, ვფიქრობთ, რაჭა-ლეჩხუმის სარდლობა წულუკიძეს დროებით ჰქონდა და თვით ამ სასარდლოს არსებობაც დროებითი მოვლენა იყო.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვაკის სარდლად წულუკიძეები თუმცა სოლომონ I-ის მეფობამდე არ იხსენიებიან (იხ. ქვემოთ), მაგრამ ამ მხარის სარდლობა, როგორც იტყვა, მათ ჩიხორის ომის (1732 წ.) შემდეგ უნდა მიეღოთ (აქ უჩვენა წულუკიძემ იმერთა მეფეს ერთგულება). ამაზე ადრე, თუ გავითვალისწინებთ ცენტრალურ ხელისუფლებასა და წულუკიძეებს შორის დამოკიდებულებას, ეს სახელი მათ არ უნდა ჰქონოდათ (სარდლის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, სურთოდ, 1651—1661 წლებს შორის იქნა დაწესებული (იხ. ო. ს. ო. ს. გ. ი. ა. დასახ. ნაშრ., გვ. 222—223).

⁷⁰ სახელი არ იხსენიება.

⁷¹ ე. თაყაიშვილი. საისტორიო მასალანი. ძველი საქართველო. ტ. II. ტფილისი, 1911—1913, განყოფილება III, გვ. 72, შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. S კოლექცია. ტ. I. გვ. 260, მინაწერი 43.

⁷² ამ პაატას თანამედროვე იყო პაატა II, რომელიც რაჭის ერისთავს როსტომს ემხრობოდა (იხ. ქვემოთ).

⁷³ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd. № 1790 (გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ. იხ. მისი ისტორიული საბუთები. საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 138—141. გამოქვეყნებულია აგრეთვე დ. ფურცელაძის წიგნში: Грузинския дворянския грамоты. Тифлис, 1881, с. 47—49.



წულუკიძეთა ერთგულებამ დიდად შეუწყო ხელი მონს რაჭის ერისთავის საბოლოოდ დამარცხებაშიც. წულუკიძეები სწორედ ამაში ხედავდნენ ერისთავისაგან მიტაცებული თავიანთი საგვარეულო მამულების დაბრუნების გარანტიას. მართლაც, თუმცა რამდენადმე დაგვიანებით (სამი წლის შემდეგ), მაგრამ მაინც უბოძა სოლომონმა 1772 წ. 3 აგვისტოს სიგელით პაატა, ბერი და გიორგი წულუკიძეებს მათი მიმავაპეული მამული „სადიდებულთავადო“ საწულუკიძეო „ყოველთა მეზობელთა და მახლობელთაგან განკიდებული“ (გაცალკეებული)⁷⁴.

მაგრამ დაწინაურებული წულუკიძეები რაჭის ერისთავის გზას რომ არ დასდგომოდნენ, შორსმჭვრეტელმა მეფემ გაუქმებული საერისთავოს ნაწილი თავად წერეთლებს უწყალობა⁷⁵. ამით მან „სახიფათო მეზობელი გაუჩინა წულუკიძეებს“⁷⁶ და შემდგომი გაფართოების საშუალება მოუსპო.

ამის შემდეგაც წულუკიძეები სოლომონ I-ის ერთგულნი ჩანან და მის კარზე პირველი ადგილი უჭირავთ. მათ ხელშია მალაღი თანამდებობები, რომელთაგან, დიდი პატივის გარდა, დიდი შემოსავალიც აქვთ.

ვაკის სარდლობის გარდა, სოლომონ I-ის დროს წულუკიძეებს ეჭირათ კიდევ ბოქაულთუხუცესის, ქუთაისის მოურავისა და ქლიფთართუხუცესის სახელოები.

1770 წ. სარდლის თანამდებობაზე პაატა წულუკიძეს ვხედავთ⁷⁷.

1773 წ. მასვე აქვს ქუთაისის მოურავობაც⁷⁸.

პაატას მომდევნო მმა ბერძენ 1775 წ. დიდ თანამდებობებზე გვევლინება. იგი ბოქაულთუხუცესია. ამასთან ერთად ის აღნიშნული წლიდან მოურავადაც იხსენიება. ხოლო უფრო ადრე, 1757 წ.

74 იხ. იქვე.

75 იხ. ქვემოთ, წერეთელთა სათავადო.

76 შ. ბურჯანაძე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XLII. 1950, გვ. 108.

77 ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 172—173, საბ. № 5.

78 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 46. ამ საბუთში პაატას სამოურავო ადგილი მითითებული არ არის, აღნიშნულია მხოლოდ: „სარდალ-მოურავი წულუკიძე პაატა“. მაგრამ გვიანდელი, 1793 წ. საბუთიდან ჩანს, რომ წულუკიძეები ქუთაისის მოურავებად იყვნენ (ქუთ. მუხ. საბ. № 1035, იხ. აგრეთვე პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 432). მათზე ადრე კი ეს სამოურავო თავად ლორთქიფანიძეებს ეჭირათ (ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 141, 145).



(პაატას სიცოცხლეში) — სარღლადაც⁷⁹. ასევე ბერის სიცოცხლეში, 1782 წ. მოურავად (იგულისხმება ქუთაისის, სხვა სამოურავო წულუკიძეებს არ ჰქონდათ) არის დასახელებული ბეჟან წულუკიძე⁸⁰.

იგივე ითქმის სარღლის სახელობედაც. სარღლობა, როგორც ზემოთ ითქვა, პაატას სიცოცხლეში მის მომდევნო ძმას ბერს აქვს⁸¹. მოურავისა და ბოქაულთუხუცესის სახელობითან ერთად, ეს სახელო უქირავს მას სიკვილაძემდე (1789 წ.)⁸². მაგრამ, მასთან ერთად, 1782 წლიდან სარღლის თანამდებობით იხსენიება აგრეთვე მისი უმცროსი ძმა გიორგიც, რომელსაც 1766 წ. ახლო ხანიდან ქილიფთართუხუცესობაც ჰქონდა⁸³.

ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე თანამდებობაზე, ერთი და იგივე საგვარეულოს რამდენიმე წევრის მოხსენიების შემთხვევები იმერეთის სხვა სათავადოებშიც გვაქვს⁸⁴, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ზოგი თანამდებობა და მისგან მიღებული შემოსავალი საერთო-საგვარეულო იყო⁸⁵.

წულუკიძეთა გვარი თავის ძლიერების ზენიტს აღწევს სოლომონ I-ის დროს. შეიძლება ამას რამდენადმე ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფის მესამე თანამეცხედრე გულქანი წულუკი-

79 იხ. სსცია, ფ. 227 (2), საბ. № 67; ქუთ. მუზ. საბ. № 1437 (ამ ნომრის ქვეშ რამდენიმე საბუთია).

80 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 77.

81 სსცია, ფ. 227 (2), საბ. № 67; ქუთ. მუზ. საბ. № 1437 (ამ ნომრის ქვეშ რამდენიმე საბუთია).

82 იხ. ქვემოთ, ბერი I.

83 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 75; ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11. შემდეგ, სოლომონ II-ის მეფობაში (1789—1810 წწ.) ქილიფთართუხუცესობა როსტომ ნივარაძემ მიიღო (იხ. ქვემოთ, ნივარაძეთა სათავადო). ქილიფთარი „სამეურნეო ფუნქციების მქონე მოხელე იყო“ (იხ. ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. I. თბილისი, 1952, გვ. 217). ქილიფთართუხუცესი ქილიფთარების უფროსად უნდა ვიგულისხმოთ.

3. უმიკაშვილი ქილიფთარს „სალაროს მოლარედ“ თვლის (იხ. დასტურალაშვილი მეფის ვახტანგ მეექვსისა. პ. უმიკაშვილის რედ., ტფილისი, 1886, ლექსიკონი).

ა. სოკოლოვის განმარტებით, სოლომონ II-ის ქილიფთართუხუცეს როსტომ ნივარაძეს ჰქონდა «Смотрение за гардеробом, кухней и столом, а также и должность виночерпия исполняющим» (იხ. А. Соколов. Путешествие мое в Имеретию... М., 1874, с. 46).

84 იხ. ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., გვ. 131—132, შენიშვნა 65, გვ. 227, შენიშვნა 110.

85 იხ. გნილოსართვი, დასახ. ნაშრ. გვ. 432.



ძეთა საგვარეულოდან იყო⁸⁶. იგი იყო კაციას ასული „ბრწყინვალე თავადების“—პაატა, ბერი, გიორგი წულუკიძეებისა⁸⁷. ძმები წულუკიძეები, როგორც ვნახეთ, დიდად დაწინაურდნენ სოლომონ I-ის კარზე. მაგრამ მათგან ყველაზე მეტ წარმატებას ბერმა მიიღწია. ბერი იყო „უზენაესის სათავადოსა და სიმაგრისა მპყრობელი, ყოვლის დიდებით და სიმდიდრით განსრულებული“ მეფის „მისანდო ყმა“ და „თანაგანმზრახი“ (მრჩეველი), მისი „ქარის... განმგე დიდებული თავადი“, რომლის ხელში იყო გაერთიანებულ სარდალ-ბოჭაულთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის თანამდებობები⁸⁸.

იესე ოსეს ძის თქმით, სოლომონს თურმე „საკვირველად უყვარდა“ ბერი. „ასე სადმე ბძანებდა: ბერი არის მეფე, მე არა ვარო“⁸⁹.

ეს მაღალი მდგომარეობა ბერი წულუკიძეს თავის ერთგულებით, ხმლითა და სისხლით ჰქონდა მოპოვებული. უკანასკნელად მან სოლომონ I-ის წინაშე თავისი სისხლი დაღვარა ქობულეთ-ჩაქვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში სარდალი ბერი წულუკიძე „დაკოლდეს“⁹⁰.

XVIII ს. შუა წლებში საეკლესიო სფეროშიც ერთხანს წულუკიძეთა გვარი ბატონობდა: გერმანე წულუკიძე აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად იჯდა. მასვე ჰქონდა „ნიკოლოზწმინდელი მიტროპოლიტის“ ხარისხი⁹¹.

⁸⁶ იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 74, 78.

⁸⁷ გულქანი გიორგი წულუკიძის დად იხსენიება (დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 139). გიორგი კი კაციას ძეა და ძმია პაატა და ბერი წულუკიძეებისა (იქვე, გვ. 12—13). აქედან ცხადია, რომ გულქანი კაციას ასულია.

⁸⁸ დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 75, 81, 83; ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 139; მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა, თბილისი, 1974, გვ. 94.

⁸⁹ იხ. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, ლექსიკონითა და საძიებლებით აეთანდღე იოსელიანმა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 28. 1950, გვ. 87.

ბერის ძმების — პაატა და გიორგი წულუკიძეების შესახებ კიდევ გიულდენშტედტი შენიშნავს: ისინი „ძალიან უყვარს“ სოლომონ მეფესო (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გვ. 129).

⁹⁰ ნიკო და დიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 81.

⁹¹ იხ. ბ. ლომიანიძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 135—137, 139. იხ. აგრეთვე ქვემოთ, გერმანე კათალიკოსი.



სოლომონის გარდაცვალების შემდეგ (1784 წ.) ბერი წულუკიძე, პაპუნა წერეთელთან ერთად, თავადთა იმ ჯგუფის მეთაური იყო, რომელმაც დავით გიორგის ძე დასვა ტახტზე⁹². მაგრამ, ამასთან, იგივე ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი იყვნენ თავადური აშლილობისა და დავით მეფის ტახტიდან გადმოგდების ინიციატორნიც⁹³.

ძლიერი მეფის სოლომონ I-ის დროს თავშეკაცებული თავადი ბერი ახლა, როგორც ჩანს, თვითონ ოცნებობდა ტახტის მიტაცებაზე და 1785 წ. დავით მეფეს თავხედურად უცხადებს: „მეფე მე ვარო და შენ უფლისწულადვე დაგადგინებო“⁹⁴.

წულუკიძის, ისე როგორც წერეთლის, განწყობილება მეფესთან მეტად გაამწვავა მის მიერ ერეკლე II-საგან გამოქცეული ქსნის ერისთავის ძის ელიზბარის დაწინაურებამ⁹⁵. მეფემ დაამდაბლა ბერი წულუკიძე: ჩამოართვა მას ქუთაისის მოურავისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები და ელიზბარს გადასცა⁹⁶. 1787 წ. მას ამ სახელოებით ვხვდავთ⁹⁷.

„სამეფოში ყველაფერს“ ახლა ელიზბარი განაგებდა, რომელსაც ამის უნარი ნაკლებად ჰქონდა. წულუკიძემ და წერეთელმა პროტესტის ნიშნად დატოვეს მეფის რეზიდენცია და ერთხანს თავიანთ მამულებში ჩაიკეტნენ⁹⁸. ბოლოს, 1789 წ. აჯანყებულ თავადთა

92 ნიკო დადიანი. ქართველთა ცხოვრება. გვ. 181.

93 იხ. იქვე, გვ. 183.

94 საქ. სახ. მუზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 11, საბ. № 3; შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ. ხელნაწერთა ინსტიტუტის შოამბე. II. 1960, გვ. 88.

95 ნიკო დადიანი. ქართველთა ცხოვრება. გვ. 183.

ელიზბარი სოლომონ I-ის ასულის მარიამის ქმარი იყო (იხ. იქვე; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 2652; Акты, т. VI, ч. I, с. 602).

96 1785 წ. 19 აგვისტოს ბურნაშევის მიერ პოტიომკინისადმი მიწოდებული ცნობების მიხედვით, ბერი წულუკიძესა და პაპუნა წერეთელს თითქმის თვითონვე განუცხადებიათ უარი თავიანთ თანამდებობებზე (იხ. იას. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. II. 1941, გვ. 52; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. II. СПб., 1886, с. 75). მაგრამ ეს ცნობა სინაშტელეს არ უნდა გამოხატავდეს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ ნიკო დადიანი, რომელიც დავით გიორგის ძის მეფობის დროინდელ ამბებს დაწვრილებით აღწერს, ხსენებული თავადების თანამდებობიდან გადადგომაზე არაფერს ამბობს (იხ. და შდრ. მისი ქართველთა ცხოვრება, გვ. 183—185).

97 დას. საქ. საეკლ. საბ. II გვ. 87.

98 Н. Дубровин. История войны..., т. II, с. 66, 75.



უადებთან ბრძოლაში დავით მეფე დამარცხდა და, როგორც ცნობილია, ტახტის პრეტენდენტი დავით არჩილის ძე გამეფდარიეთში სოლომონ II-ის სახელით.

ამგვარად, წულუკიძეთა სახლმა დავით არჩილის ძის გამეფებისათვის დიდი ბრძოლა გასწია, მაგრამ ამ ბრძოლაში თავი უფრო წერეთლებმა გამოიჩინეს. სამეფო კარზედაც უფრო ისინი დაწინაურდნენ. მართალია, გამარჯვებულმა სოლომონ II-მ ქუთაისის მოურავობა ბერის ძმას გიორგი წულუკიძეს დაუბრუნა და გუბსა და ნამაშვეს („წყალტუბოს ... და ფოთურა შუა ... იოსელიანის საზღვარს დაბლა“) ყმა-მამულიც უწყალობა, მის სახლიკაცს ბეჟანს კიდევ სოლომონ II-ის მეფობაში (1789—1810 წწ.) მდივანბეგის სახელო ეჭირა⁹⁹, წულუკიძეთა გვარს ჰქონდა აგრეთვე ხვეისთავობაც¹⁰⁰, მაგრამ მეფის „კარის განმგე“ ახლა სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი იყო, ხოლო ბოქაულთუხუცესის თანამდებობა, რომელიც ადრე ბერი წულუკიძეს ეკავა, და როგორც სამკვიდრო სახელო ჩვეულებრივ მის ძმაზე ან სახლიკაცზე უნდა გადასულიყო, ვახუშტი წერეთელს ჰქონდა¹⁰¹.

ამრიგად, სოლომონ II-ის დროს იმერეთის სამეფოში პირველობა წულუკიძეებს წერეთლებმა წაართვეს. მეტიც: წულუკიძეები წერეთლების გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია გიორგი წულუკიძის მიერ 1791 წ. ზურაბ და ვახუშტი წერეთლებისათვის მიცემული „ხელწერილი“, რომლითაც იგი მათ აღუთქვამს: „სულით, გულით და გონებით მეფის სოლომონის ერთგული... ვიქმნე... მის განაღვირებას და შესამაბ საქმეს ვეცადო“ „უთქვენოთ არაფერი ვისაქმო¹⁰². ე. ი. წერეთლები კონტროლს უწყევნ მეფის მიმართ წულუკიძის „საქმობას“ და უკანასკნელი მათ უპირატესობას აღიარებს.

ამ „ხელწერილის“ დამდები ქუთაისის მოურავი გიორგი წულუკიძე იყო ბერის შემდეგ (1789 წლიდან) წულუკიძეთა საგვარეულოს მეთაური „დიდებული თავადი“¹⁰³. აღნიშნულ „ხელწერილსაც“ იგი უთუოდ მთელი გვარის სახელით სდებდა. მაგრამ

99 ქუთ. მუხ. საბ. №№ 89, 1035; პ. გნლოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 433.
 100 პ. გნლოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 435.
 101 ქუთ. მუხ. საბ. № 1035.
 102 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 14754. ხაზი ჩვენია. — ო. ს.
 103 ქუთ. მუხ. საბ. № 1035.



მისმა სახლიკაცმა ბეჟანიკამ, რომელიც სოლომონ II-სა და „ნარჩენი“ „გლეხებითა და ადგილ-მამულით“, ეს „ხელწერილი“ დაარღვია. მან მეფის „წყალობა... აღარ მოიგონა“ და მის „სალალატო... საქმეში შევიდა“¹⁰⁴. ამიტომ სოლომონმა ჩამოართვა მას „ზემო მხარეში“ (ზემო იმერეთს) „ადგილ-მამული, სახლ-კარი... გლეხები“ და 1809 წ. თავის ერთგულ ქაქიჩ თამბარაშვილს უბოძა¹⁰⁵.

მიუხედავად ამისა, ბეჟანიკას თანამოგვარეები მეფის წინაშე მაინც ნლობით სარგებლობდნენ. ეს ითქმის განსაკუთრებით ძმები ოტია და სეხნია წულუკიძეებზე. უკანასკნელნი სოლომონ II-ის მეფობის ბოლო წლებში მის იმ უახლოეს „ვაზირთა“ შორის იხსენიებიან, რომელთა „რჩევას“ მეფე „ვერ წინააღმდეგობდა“¹⁰⁶.

მაგრამ ამავე დროს ისინი ადგილობრივ რუს მოხელეებთანაც კეთილგანწყობილებაში იყვნენ და მეფის „მოდრეკაში“ მათ ეხმარებოდნენ¹⁰⁷. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავარმმართველი ციციანოვი სეხნიას დასაჯილდოებლად რუსეთის იმპერატორს მისი უდიდებულესობის სახელით „დამშვენებულ“ ოქროს სათუთუნეს გამოგზავნას თხოვდა. მიიღო კიდევ მთავარმმართველმა სეხნიას სახელზე გამოგზავნილი ეს საჩუქარი, მაგრამ ამასობაში რუსეთის მთავრობის მიმართ მისი ერთგულება საეჭვო გახდა და მას ეს ჯილდო არ მისცეს¹⁰⁸.

ოტია და სეხნია წულუკიძეები სოლომონ II-ის იმ ამაღალიც იყვნენ, რომელიც 1810 წ. მარტში ქართლის საზღვარზე ტორმასოვთან შესახვედრად მიმავალ მეფეს ახლდა.¹⁰⁹ როცა თბილისში პატიმრად ჩაყვანილი მეფე ერთგულმა თავადებმა იხსნეს და მასთან ერთად ახალციხეში ივლტოდნენ, ოტია და სეხნია მათ არ გაყვნენ¹¹⁰. ხოლო როცა რუსეთის მთავრობისაგან გადაყენებულმა მეფემ ამავე წლის ზაფხულში იმერეთის სამეფოს აღდგენისა-

104 იხ. იქვე, საბ. № 1367.

105 ქუთ. მუხ. საბ. № 1367; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 507.

106 ნიკო და დიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 192.

107 АКТЫ, III, с. 127—128, 167.

108 АКТЫ, II, с. 375; III, с. 127.

109 ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), გვ. 481, საბ. № 73.

110 АКТЫ, IV, с. 266—267.



თვის ბრძოლა დაიწყო, მისი „ვაზირნი“ — ძმები წულუკიძეები მის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსთა მხედრობასთან ერთად... იმერეთში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით წულუკიძეთა სათავეად აღმინისტრაციულად გაუქმდა.

ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წულუკიძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მომხდარ იმერეთის 1819—1820 წწ. აჯანყებაში, მაგრამ ამისთვის მკაცრად დაისაჯნენ: ამ დროისათვის უკვე პოლკოვნიკი სეხნია წულუკიძე „წარიყვანეს რუსეთად“¹¹². შეიბყრეს მისი თანამოგვარეები მერაბ კაციას ძე¹¹³ და პოლკოვნიკი გიორგი წულუკიძეები¹¹⁴. უკანასკნელი თბილისს გაგზავნეს და იქვე გარდაიცვალა 1820 წ.¹¹⁵ დაისაჯა ხოსია წულუკიძეც. მას, ისე როგორც გიორგის, ჩამოართვეს ქონება და ხაზინას გადასცეს. თვითონ ხოსია კი სადღაც გადაიხვეწა¹¹⁶.

აჯანყების მონაწილე — დავით, ზურაბ, ივანე; ლევან, მერაბ გიორგის ძე, კიდევ მერაბ და სხვანი წულუკიძეთაგან, ზოგი აჯანყების დროსვე მოკლეს¹¹⁷, ზოგი გაიქცა¹¹⁸, და ზოგი კიდევ დაპატიმრებული თბილისს გაიგზავნა¹¹⁹.

1830 წელს წულუკიძეთა საგვარეულოს წევრები უკვე გაყრილი ჩანან¹²⁰.

111 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 202.

112 იქვე. გვ. 206 (იხ. ქვემოთ, სეხნია).

113 იხ. Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819—1820 гг., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. III. 1942, გვ. 161.

1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყებაში სამი მერაბ წულუკიძე ლეზულობდა მონაწილეობას: ერთი — მერაბ გიორგის ძე, მეორე — მერაბ კაციას ძე, ხოლო მესამე მერაბის მამის სახელი არ იხსენიება (იხ. იქვე, გვ. 157, 160—161).

114 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 208.

115 ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 159; ქრონიკები... III. გვ. 641, შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექცია. ტ. IV. თბილისი, 1954, გვ. 389.

116 ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 161; სსცია, ფ. 46, საქმე № 34, ფურც. 1—33.

117 ლევან მერაბის ძე (იხ. ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 162; ქრონიკები... III. გვ. 597).

118 მერაბ, ივანე (ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 157, 162).

119 ზურაბ, დავით, მერაბ გიორგის ძე (იხ. იქვე, 160). დავით წულუკიძე თბილისში გარდაიცვალა 1820 წ. (იხ. ქრონიკები... III. გვ. 641, შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 389).

120 სსცია, ფ. 226 (1), საბ. № 7128.

XVI—XVIII სს. და მომდევნო საუკუნის პირველ მესამედში ცნობილია წულუკიძეთა საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენლები¹²¹:

ნიკოლოზ I. „ხოპარი“||„ხოფელი“ ეპისკოპოსი. ვხედავთ 1569 წ. მის მიერ ხობის მონასტრისათვის მიცემულ შეწირულების წიგნში¹²².

დავით I. იხსენიება 1581, 1587 წლებში. მისი მეუღლე იყო ლაშხიშვილის ასული ფარსანგიჯავარ. ჰყავდა ორი ვაჟი ივანე და ქაიხოსრო I¹²³. ეს I ქაიხოსროა, ჩვენი აზრით, იერუსალიმის ქართველთა გვარის მონასტრის კედელზე დახატული ზემოხსენებული ქაიხოსრო წულუკიძე.

პაატა I „წუწკი“ (იხ. ზემოთ). ჩანს 1615—1618, 1628—1639, 1628—1656, 1639—1640 წლებში¹²⁴. მას კარგად იცნობენ 1639—1640 წლებში ლევან II დადიანის კარზე მყოფი რუსი ელჩები¹²⁵. იგი უნდა იყოს ნიკორწმინდის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდის აღმოსავლეთ ნაწილში დახატული პაატა წულუკიძე. მისი თანამეცხედრე უნდა იყოს იქვე დახატული თეთრუა. ეს უკანასკნელი და თეთრო ლაშხიშვილის ქალი (ქაიხოსრო წუ-

¹²¹ უფრო ადრე, XV ს. ვხედავთ მხოლოდ ზემოდასახელებულ ვირშელ წულუკიძესა და მის შვილებს: ვალადემურ, სალუყაზან, ბევროზ, ბეჯანსა და სიამოს.

¹²² დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 19—21. იხ. აგრეთვე, ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში... გვ. 87; გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მეზ. მოამბე. V. 1928, გვ. 208.

¹²³ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 18—19, საბ. № 4 (თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ. იხ. ზემოთ); ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 90—91, 96—97; გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 213—214; ს. კაკაბაძე. წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიული მასალის შესახებ. საისტორიო კრებული. IV. 1929, გვ. 106; მ. ნიკოლეიშვილი. ისტორიული მასალები, მასალები. III (ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებული), თბილისი. 1978, გვ. 87—89, № 14.

¹²⁴ ვახუშტი. აღწერა... გვ. 824—826; დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 52; საქ. სიძვ. II. გვ. 74—75, საბ. № 55 (ამ საბუთის თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ მასში მოწმედ მოხსენიებული პაატა წულუკიძის გარდაცვალების — 1656 წ. მიხედვით); С. А. Белокуров. Материалы для русской истории. М., 1888, с. 372—373.

¹²⁵ ს. ბელოკუროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 372—373.



ლუკიძის დედა)¹²⁶ ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. თუ ეს უფრო უფრო სწორია, მაშინ პაატა I-ის შვილები ყოფილან ქაიხოსრო II და მერაბ I (იხ. ქვემოთ). უკანასკნელი რომ ნამდვილად პაატას შვილია, ეს სხვა მასალებიდანაც ჩანს¹²⁷.

ამ პაატას შვილები არიან აგრეთვე ბეჟან II¹²⁸ და სვიმონ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი (იხ. ქვემოთ).

პაატა „წუწკს“ იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის კედელზე დახატულ ზემოდასახელებულ ქაიხოსრო წულუკიძის ძმად თვლიან¹²⁹, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. ქაიხოსრო I-ს ივანეს მეტი ძმა არ ჰყავს (იხ. ზემოთ დავით I-თან). ამ მონასტრის კედელზე, ქაიხოსროსთან ერთად, გამოსახული პაატა (იხ. ზემოთ) ქაიხოსროს მხოლოდ სახლიკაცი უნდა იყოს.

XVII საუკუნეში ჩანს სამი ქაიხოსრო წულუკიძე: I — დავითის ძე, II — პაატა „წუწკის“ ძე (იხ. ზემოთ) და III — მერაბ I-ის ძე (იხ. ქვემოთ). მაგრამ არც ერთი მათგანი პაატას ძმა არ არის.

ლევან II დადიანის „ვეზირი“ პაატა I („წუწკი“) გარდაიცვალა 1656 წ.¹³⁰

გიორგი I დასახელებულია XVII ს. პირველი ნახევრის ერთ შეწირულების წიგნში, მაგრამ ამ დროს იგი ცოცხალი არ არის¹³¹.

¹²⁶ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 84, 89; გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207—208.

¹²⁷ მერაბი ლევან II დადიანის „გაზრდილია“ (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 41; გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, VII, 1931—1932, გვ. 223). ლევან დადიანის „გაზრდილი“ მხოლოდ პაატა I „წუწკის“ შვილი შეიძლება ყოფილიყო: იმერთა მეფისაგან დევნილი ეს პაატა, როგორც ზემოთ ითქვა, დადიანს აფარებდა თავს.

¹²⁸ საბუთებიდან ვიცით, რომ ბეჟან წულუკიძემ კათალიკოს დავით ნემსაძეს მიუიდა „ხორგას ნაპარკოს სასახლე“ (დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 87, 91, 101, 103—104). ხოლო ერთი ვერცხლის ფეშხუმის წარწერიდან ჩანს, რომ მერაბ I-მა (პაატა I-ის ძემ) ერთი თავისი ძმა „ხოფს სოფლათ დასვა“ და მისცა მას აგრეთვე „ხორგას სასახლე“ და სხვ. (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42). აქედან ცხადია, რომ „ხორგას ნაპარკოს სასახლის“ გამოიდევნილი ბეჟან წულუკიძე მერაბ I-ის ძმაა და, მასთანადავ, პაატა I-ის შვილია.

¹²⁹ იხ. ს. კაკაბაძე, ისტორიულ პირთა სურათები..., „საბჭოთა ხელოვნება“, № 8, 1958, გვ. 7; ე. მეტრეველი, მასალები..., გვ. 145, აღაპი № 99-ის კომენტარი.

¹³⁰ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

¹³¹ დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 52—53.



იოსებ გიორგი I-ის ძე. გვხვდება XVII ს. პირველ ნახევარში¹³².

გიორგი II. ვხედავთ 1651 წ.¹³³ შეიძლება ეს ის გიორგი იყოს, რომელიც შემდეგ, 1696—1714 წლებში, იმერეთის სხვათავედებთან ერთად, „საფიცრის წიგნს“ აძლევს კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს¹³⁴.

თუ გიორგი II და ნიკორწმინდის ეკლესიის ჩრდილოეთის აფსიდის რიგში დახატული გიორგი წულუკიძე ერთი და იგივე პირია, მაშინ იგი (გიორგი II) კილაძის ქალ ელენესთან ყოფილა დაქორწინებული¹³⁵.

კაციია I. იხსენიება 1669 წ.¹³⁶

ბეჟან II პაატა I-ის ძე¹³⁷, ძმა მერაბ I-ისა. ჩანს დავით ხემსაძის კათალიკოსობაში — 1673—1696 წლებში¹³⁸. შეიძლება ეს ბეჟანი იყოს ნიკორწმინდის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთის აფსიდში დახატული ბეჟან წულუკიძე, რომელთან ერთად იქვე დახატულია მისი თანამეცხედრე ჩიჯავაძის ქალი საზუა თუ ხაზუა და ძე ვარადებული¹³⁹.

ნიკოლოზ II. ჯვარის მამა იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრისა. გვხვდება 1675 წლის 8 თებერვალს¹⁴⁰. ჯვარის მამათა ელ. მეტრეველისეულ სიაში ნიკოლოზ წულუკიძე არ იხსენიება. მკვლევარს იგი გამორჩენია¹⁴¹.

მერაბ I პაატა I-ის ძე¹⁴². ვხედავთ, თავის თანამეცხედრესთან ჩიჯავაძის ქალ ანა||ანიკასთან და ორ ეყთან—გიორგი და ქაიხოსროსთან ერთად, 1676 წ. მის მიერ აშენებულ ხოტევის მა-

132 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 53.

133 სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერეთში... გვ. 193.

134 საქ. სიძვ. I. გვ. 43—45, საბ. № 16. საბუთის გამოძვემლისეული თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ (იხ. ზემოთ, გვ. 18, შენიშვნა 73).

135 გ. ბოჭორიძე. რაქის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზ. მოამბე. V. 1928, გვ. 206.

136 Переписка..., с. 83.

137 I ბეჟან არის ვირშელის ძე, რომელიც მამასა და ძმებთან ერთად იხსენიება 1451 წ. (იხ. ზემოთ, გვ. 43).

138 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 87, 91, 101, 103—104.

139 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 88; გ. ბოჭორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 206.

140 ქრონიკები... II. გვ. 490.

141 იხ. ე. მეტრეველი. მასალები... გვ. 40 (გამოკვლევა).

142 იხ. ზემოთ, გვ. 65, შენიშვნა 127.



ცხოვრის ეკლესიის წარწერაში¹⁴³. ეს ის მერაბია, რომელიც, გორც ითქვა, ლევან II დადიანის „გაზრდილი“ იყო და ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წ. რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ წერილში „დიდ ბაიარად“ არის დასახელებული (იხ. ზემოთ).

ქაიხოსრო II¹⁴⁴ პაატა I-ის ძე. ჩანს თავის დედასთან, თეთრო ლაშხიშვილის ქალთან ერთად, XVII საუკუნეში¹⁴⁵.

სვიმონ I. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი. მოხსენიებულია XVII ს. მეორე ნახევრის ერთ საბუთში¹⁴⁶. ეს არის მერაბ I-ის (იხ. ზემოთ) ძმა, რომელიც, მისი განცხადებით, „ნიკორწმინდლად დაუსევამს“¹⁴⁷ და, მამასადამე, იგივე პაატა I-ის ძეა.

ბეჟან III კაცია I-ის ძე. XVII ს. მეორე ნახევარში უნდა ეცხოვრა. გამოსახულია ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის ფრთაში, წარწერით: „ბეჟან წულუკიძე კაციას ძე“¹⁴⁸.

გიორგი III მერაბ I-ის ძე. იხსენიება 1676 წელს¹⁴⁹. მისი თანამეცხედრე იყო ჩიქოვანის ქალი ნესტანდარეჯან¹⁵⁰.

ქაიხოსრო III მერაბ I-ის ძე. ვხედავთ 1676 წ.¹⁵¹

მერაბ II ხოსიას ძე, რაჭა-ლეჩხუმის სარდალი¹⁵². პირველად გვხვდება 1696—1700 წლებში თავის თანამეცხედრესთან აბაშიძის ასულ დარეჯანთან ერთად¹⁵³. შემდეგ ვხედავთ მას 1712 წ.¹⁵⁴ 1732 წ. იგი ჩიხორის ომში მონაწილეობს¹⁵⁵. ჩანს ის,

143 გ. ბოქორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მეზ. მოამბე. VII. 1931—1932, გვ. 221—223, 226. შტრ. ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 39—40.

144 I ქაიხოსრო იხ. ზემოთ, დავით I-თან.

145 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 84; გ. ბოქორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მეზ. მოამბე. V. 1928, გვ. 202.

146 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 81—82.

147 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. გვ. 41.

148 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., 87, შტრ. გ. ბოქორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 208.

149 გ. ბოქორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მეზ. მოამბე. VII. 1931—1932, გვ. 221.

150 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 39.

151 გ. ბოქორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 221.

152 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 158; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 76, საბ. № 80; გვ. 77, საბ. № 82.

153 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 85.

154 სსცია, ფ. 227 (2), საბ. № 50.

155 ვახუშტი. აღწერა... გვ. 888.



მამასთან ერთად, 1733—1745 წლებშიც¹⁵⁶. 1745 წ. იგი უკვე
კალენდარის სარდალია¹⁵⁷. ეს ის მერაბ წულუკიძე უნდა იყოს,
რომელმაც 1736 წ. „შეამკო“ „წმინდა“ გულანი და ხოტევის ეკ-
ლესიის მაცხოვარს შესწირა იგი¹⁵⁸.

მერაბ II-ის შვილი იყო გერმანე კათალიკოსი, რომელსაც
ჰყავდა ორი ძმა— პაატა (II) და დავით (II). „სახელგანთქმულ-
მან წულუკიძემ მერაბმა და თანამეცხედრემან ჩვენმან
ბატონმან აბაშიძის ასულმან დარაჯან და ძემან ჩვენმან
პირმშომან კათალიკოზმან გერმანე“¹⁵⁹, პაატამ და
დავითმაც, ამბობს მერაბი 1745 წლის ახლო ხნის ერთ შეწირუ-
ლების წიგნში¹⁶⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ბერი I წულუკიძე (იხ. ქვემოთ) გერ-
მანე კათალიკოსს თავის ძმად იხსენიებს („ძმა ჩ(ვე)ნი (პირველ
კათალიკოზი არქიერი გერმანე“)¹⁶¹, იგი მისი ძმა არ არის. გერმა-
ნე, როგორც ზემოთ ვნახეთ, მერაბის ძეა. ბერი კი კაცია II-ის ძე
იყო¹⁶². მაგრამ თუ ბერი გერმანეს მაინც თავის ძმას ეძახის, ეს
იმიტომ, რომ უკანასკნელი ბერის ბიძაშვილია და, ამდენად, ძმად
ეკუთვნის მას. ე. ი. სიტყვა ძმას გერმანეს მიმართ ბერი ხმარობს
არა მისი პირდაპირი მნიშვნელობით. არამედ ზოგადი გაგებით. ამას
მოწმობს ის, რომ გერმანეს მომდევნო ძმას, პაატა II-ეს (იხ. ქვე-
მოთ) გიულდენშტედტი 1772 წ. ბერი I-ის ძმის გიორგი VI-ის (იხ.
ქვემოთ) „უფროს ბიძაშვილად“ ასახელებს¹⁶³. აქედან ცხადია,
რომ გერმანეც ბერის ბიძაშვილია¹⁶⁴.

¹⁵⁶ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 77, საბ. 82; დას.
საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 157—158.

¹⁵⁷ სსცია, ფ. 1448, № 2205 (ბეჭდის წარწერა); ისტორიული დოკუმენტები
იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 76, საბ. № 80 (ბეჭდის წარწერა).

¹⁵⁸ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში.
ძველი საქართველო. III. გვ. 92—93.

ე. თაყაიშვილი ამ II მერაბსა და ჩიჯავაძის ქალის ანას ქმარს მერაბს (ჩვენი
სათვალაუთ მერაბ I-ს) ერთი და იგივე პირად თვლის. აბაშიძის ქალი დარეჯანი,
მისი აზრით, მერაბის მეორე ცოლია (იხ. მისი არქეოლოგიური მოგზაურობა
რაჭაში. გვ. 40).

¹⁵⁹ ხაზი ჩვენია. — ო. ს.
¹⁶⁰ სსცია, ფ. 1448, № 2205.

¹⁶¹ ს. კაკაბაძე. წვრილი შტუდები... ტფილისი, 1914, გვ. 24—25.

¹⁶² იხ. ზემოთ გვ. 59, შენიშვნა 87. იხ. აგრეთვე ქვემოთაც.

¹⁶³ იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 111—113, 129.

¹⁶⁴ შდრ. ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 25; ბ. ლომიძე. მას-
საღები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისა-
თვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 31. 1954, გვ. 137.

ხო ს ი ა I, მერაბ II-ის მამა. იხსენიება 1736, 1745, 1754—1769 წლების საბუთებში¹⁶⁵.

გ ე რ მ ა ნ ე კათალიკოსი, „ნიკოლოზწმინდელი მიტროპოლიტი“, მერაბ II-ის ძე (იხ. ზემოთ, უკანასკნელთან). კათალიკოსობდა, როგორც ზემოთ ითქვა, XVIII ს. შუა წლებში. ამ ხარისხით პირველად ვხვდებით მას 1745 წ. ახლო ხანს¹⁶⁶. 1756, 1759, 1769 წლებში გერმანე ნიკოწმინდელ ეპისკოპოსად არის მოხსენიებული. 1784 წელსაც იგი ცოცხალია და ეს კათედრა უჭირავს¹⁶⁷.

პ ა ა ტ ა II. მერაბ II-ის ძე, ძმა გერმანე კათალიკოსისა, ბიძაშვილი ბერი I-ისა (იხ. ზემოთ, მერაბ II-სთან). მოხსენიებულია 1745 წ. ახლო ხანასა და 1772 წ.¹⁶⁸ პაატა II, როგორც აღინიშნა, რაჭის ერისთავის მომხრე იყო. მისი დამარცხებისთანავე (1769 წ.) გაიქცა კაცია II დადიანთან. მალე მისი სიმამრი გახდა: მიათხოვა მას თავისი ასული ანა¹⁶⁹.

1772 წ. პაატა უკვე მოხუცებულია¹⁷⁰.

და ე ვ ი თ II, მერაბ II-ის ძე, ძმა გერმანე კათალიკოსისა. იხსენიება 1745, 1760 წლების ახლო ხანებში¹⁷¹.

ბ ე რ ი I კაცია II-ის ძე, ძმა გულქან დედოფლის, პაატა III-ის და გაიორგი IV-ისა¹⁷². „დიდებული თავადი“, სარდალ-მოურავ-ბოქაულთ უხუცესი, „ზნესრული ცხენოსან-მოასპარეზე“¹⁷³.

პირველად ჩანს 1752—1768 წლებში¹⁷⁴. ამის შემდეგ განუწყვეტლივ ვხვდებით მას ხან ძმებთან და ხან ცალკე 1752—1770, 1754, 1757, 1760—1769, 1762, 1763, 1764, 1765, 1770,

¹⁶⁵ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 13823; სსცია, ფ. 227 (2). საბ. № 66; დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 157—158; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 76—77, №№ 80, 81, 82; გვ. 123, № 134.

¹⁶⁶ სსცია, ფ. 1448, № 2205; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 76, № 80.

¹⁶⁷ ს. კაკაბაძე. წერილი შტუდები... გვ. 25—26; ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 135—136.

¹⁶⁸ სსცია, ფ. 1448, № 2205; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 111—113, 129.

¹⁶⁹ ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 179; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 129.

¹⁷⁰ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 129.

¹⁷¹ სსცია, ფ. 1448, № 2205; Д. П. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджары (грамоты). Тифлис, 1881. с. 129—130.

¹⁷² იხ. ზემოთ, გვ. 59, შენიშვნა 87.

¹⁷³ მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის... გამოც. შზია იაშვილისა, გვ. 94, № 15.

¹⁷⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 117, № 128.



1772, 1775, 1776, 1777, 1778, 1779, 1781, 1782, 1783, 1785, 1786, 1786—1788 წლებში¹⁷⁵.

ბერის თანამეცხედრე იყო თავად ლორთქიფანიძის ქალი გულქანი. ჰყავდა ორი ვაჟი — სვიმონი და ქაიხოსრო და ორი ასული: დარეჯან და ხვარამზე. დარეჯანი სოლომონ I-ის მემკვიდრესთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან იყო დაქორწინებული¹⁷⁶, ხვარამზე კი თავად ლევან მიქელაძესთან¹⁷⁷.

ბერის ხსენება 1788 წლის შემდეგ წყდება. 1789 წლის 8 დეკემბერს ის ცოცხალი არ არის. აღნიშნული რიცხვით დათარიღებულ სოლომონ II-ის სიგელში მოწმეთა შორის გვხვდება ბერის უმცროსი ძმა სარდალი გიორგი წულუკიძე, ბერი კი არ ჩანს¹⁷⁸. ცხადია, იგი 1789 წელს გარდაცვლილა.

ეს ბერი არის უთუოდ ის „დიდი ბერი წულუკიძე“, რომელმაც ხონის ეკლესიას შესწირა „საცეცხლური... ჩინებული, ღირებული ვერცხლად 150 მანეთად“¹⁷⁹.

ამ ბერს გულისხმობენ ნიკოლოზ ლოლობერიძის ჩანაწერები, რომლებშიც ნათქვამია: ბერი წულუკიძე „იყო ძლიერი, სასტიკი ... ესახლა ხონს... როცა მის ეზოს წინ გაიარდა ცხენოსანი, არა თუ გლეხი, არამედ თავადნი და აზნაურნი, უნდა ჩამომხტარიყვნენ და ისე გაეველოთ მის ეზოს წინო“.

¹⁷⁵ იქვე, გვ. 108—109, № 118; გვ. 126—127, №№ 139, 141; დოკუმენტები... II. გვ. 280—281, № 441; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 11—12, № 3; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 3, 17—18, 20, 38, 54, 58, 73, 75, 81, 83—84; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 169—170, № 2; გვ. 173—174, № 6; მისივე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11; მისივე, ისტორიული საბუთები. საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 139; იას. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის წაკვ. II. 1941, გვ. 69; ნიკო დადიანი. ქართველთა ცხოვრება. გვ. 181, 183; ქრონიკები. III. გვ. 376—377, 379; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 506, 1790; სსცია, ფ. 227 (2), №№ 63, 68, 73; ქუთ. მუზ. საბ. №№ 720, 1437 (ამ ნომრის ქვეშ არამდენიმე საბუთია), 1767.

¹⁷⁶ მასალები საქართველოს ისტორიისათვის. შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა..., გამოც. მ. ჭანაშვილისა, ტფილისი, 1905, გვ. 26—27.

¹⁷⁷ მასალები საქ. სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის... გამოც. მზია იაშვილისა, გვ. 94—95, № 15.

¹⁷⁸ იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 103.

¹⁷⁹ ე. თაყაიშვილი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. III. გვ. 281.



იქვე მოთხრობილია ბერის სისასტიკისა და ამ „მუშტუკის“¹⁸⁰ მართლის“ ეპოქის დამახასიათებელი ერთი შემზარავი ეპიზოდი: „ერთხელ ბერი ზემო იმერეთში ახლდა მეფეს (სოლომონ I-ს. — ო. ს.) და აზნაურმა ცქიტიშვილმა შესაფერი პატივი არ სცა მის მხლებლებს. უკანასკნელთ ამაზედ ბერს შეჩივლეს. რამოდენიმე წლის შემდეგ ბერმა გაიარა იმ ცქიტიშვილის კარზედ, გაიხსენა ზემოაღნიშნული შემთხვევა და შევიდა მისას. ცქიტიშვილი მიეგება მხიარულათ, დალოცა მისი მობრძანება და უნდოდა მუხლზედ ეკოცა. ამ დროს ბერმა ჰკრა თოფი და მოკლა. ასე დემართება, ვინც ბერ წულუკიძეს პატივს არ სცემსო“¹⁸⁰.

პაატა III კაცია II-ის ძე, სარდალ-მოურავი, უფროსი ძმა ბერი I-ისა. პირველად იხსენიება 1754 წ.¹⁸¹, ხოლო 1755 წ. იგი თავის მამასთან, კაციასთან ერთად, მოწმედ არის დასახელებული მამუკა ბატონიშვილის შეწირულების წიგნში¹⁸². პაატას ვხედავთ აგრეთვე 1754—1769, 1760 წლების ახლო ხნისა და 1766, 1767, 1770, 1772, 1773 წლების დოკუმენტებში¹⁸³.

სვიმონ II. მოწმედაა მოხსენიებული 1754 წ. საბუთში¹⁸⁴.

კაცია II, მამა სოლომონ I-ის მესამე თანამეცხედრის გულქან დედოფლის, პაატა III-ის, ბერი I-ის და გიორგი IV-ისა.¹⁸⁵ გვხვდება 1755, 1759 წლებსა და 1760 წლის ახლო ხანს¹⁸⁶.

180 ს. კაკაბაძე. გადმოცემა იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ დროის შესახებ. საისტორიო მოამბე. I. 1925, გვ. 251.

181 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 3.

182 იქვე, გვ. 8.

183 იქვე, გვ. 12—13, 46; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1790; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 111, № 121; გვ. 113—114, № 124; გვ. 123, № 134; ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 139; მისივე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 169—170, № 2; გვ. 172—173, № 5; გვ. 173, № 6; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 129.

184 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2971.

185 იხ. ზემოთ, გვ. 59, შენიშვნა 87.

186 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 8, 12—13; ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის... გვ. 5.



მერაბ III. ვხედავთ 1759 წ.¹⁸⁷ ეს მერაბი უნდა იყოს 1762 წ. ერთ ნასყიდობის წიგნში მოწმედ დასახელებული მერაბ წულუკიძე¹⁸⁸.

გიორგი (გიტეული|გიტული) IV კაცია II-ის ძე, უმცროსი ძმა ბერი I-ისა¹⁸⁹. მისი გარდაცვალების შემდეგ „დიდებული თავადი“, ვაკის ანუ ქვემო იმერეთის („ივერიის“) სარდალი, ქუთაისის მოურავი.

პირველად ვხვდებით 1760 წლის ახლო ხანს¹⁹⁰. შემდეგ 1763, 1766 წლების ახლო ხანასა და 1770, 1772, 1775, 1776, 1777, 1778, 1779, 1782, 1783, 1784, 1785, 1789, 1791, 1792, 1793, 1794, 1795, 1797, 1798, 1799, 1800, 1802, 1803, 1804, 1806 წლებში¹⁹¹.

გიორგი დაქორწინებული იყო მიქელაძის ასულ ელენესთან. ჰყავდა ორი ვაჟი: დავითი და მერაბი¹⁹².

ეს გიორგი იყო ძმა სოლომონ I-ის თანამეცხედრის გულქან დედოფლისა¹⁹³. გარდაიცვალა 1806 წ. 8 აპრილს. დასაფლავებულია ნიკორწმინდის ტაძარში¹⁹⁴.

187 ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის... გვ. 5. ეს მერაბი ხოსიას ძე არ არის: მითითებულ საბუთში მერაბი და ხოსია ერთად იხსენიებიან. მაგრამ ჯერ მერაბი არის დასახელებული და შემდეგ ხოსია (იხ. იქვე). მერაბი ხოსიას შვილი რომ იყოს, პირიქით იქნებოდა. ამიტომ ამ მერაბს და ხოსიას შვილ მერაბს (იხ. ზემოთ, მერაბ II) სხვადასხვა პირად ვთვლით.

188 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 17.

189 დას. საქ. საეკლ. საბ., II. გვ. 12—13, შპრ. იქვე, გვ. 18, 68.

190 იქვე, გვ. 12—13.

191 იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, №№ 507, 508, 1790, 1193, 1197; იქვე, ფ. Hd, № 14754; სტია, ფ. 227 (2), №№ 52, 67, 73, 76; იქვე, ფ. 226 (1), № 891; ქუთ. მუზ. საბ. №№ 104, 119, 133, 720, 1035, 1492; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 18, 68, 73, 75, 81, 83, 95—96, 99—100, 103—104, 110, 112, 116, 119, 139, 141; დოკუმენტები. II. გვ. 281, № 441; ა. ხახანაშვილი. გუჯრები. ქუთაისი, 1891, გვ. 119—121; საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1910, გვ. 254, № 267; ქრონიკები. I. გვ. 426; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 173, № 5; გვ. 181, № 14; მისივე, ისტორიული საბუთები. საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 139; მისივე, საეკლესიო რეფორმებისათვის... გვ. 11; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 125, № 137; საქ. საბ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 11, № 3; გვ. 14, № 5; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 111, 129; Д. М. Бакрадзе: АИГА, с. 238.

192 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 100.

193 იქვე, გვ. 139.

194 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. გვ. 103; გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზ. მოამბე, V. 1928, გვ. 208.

ბეჟან IV. გვხვდება 1762 წ. საბუთში¹⁹⁵.

კაცია III. სარდალ-მოურავი. ჩანს 1775, 1785, 1793, 1800, 1802, 1804, 1807, 1809, 1810 წლებში¹⁹⁶.

1800 წ. კაცია უკვე სარდალ-მოურავია¹⁹⁷.

1809 წ. კი იგი „იმერეთის რჩევის“ წევრთა შორის გვხვდება¹⁹⁸.

სვიმონ III ბერი I-ის ძე, სარდალ-მოურავი. ვხვდებით 1778—1789, 1784, 1799, 1805, 1809, 1810, 1815, 1818, 1821 წლების დოკუმენტებში¹⁹⁹.

1805 წ. მას უკვე სარდალ-მოურავის თანამდებობა აქვს²⁰⁰. ამ წლიდან დაწყებული სოლომონ II-ის მეფობის მთელ პერიოდში ეს თანამდებობა სვიმონს უჭირავს²⁰¹.

1809 წ. იგი „იმერეთის რჩევის“ წევრია²⁰².

ნიკოლოზ III. გამოჩინებულის მონასტრის წინამძღვარი. იხსენიება 1782, 1790 წლების საბუთებში²⁰³. გარდაიცვალა იგი 1810 წ. დამდეგს ან უფრო ადრე. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ წლის რ თებერვალს ის უკვე მკვდარია²⁰⁴.

მისი ძმები იყვნენ ოტია, სეხნია და ხოსია წულუკიძეები²⁰⁵.

ბეჟან V. მოურავი, მდივანბეგი. პირველად ვხვდებით 1782 წ. ამ დროს ის მოურავია²⁰⁶. შემდეგ იგი იხსენიება 1790, 1799, 1801,

195 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 17.

196 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 1309, 9670; სსცია, ფ. 227 (2), №№ 75, 76; ქუთ. მუზ. საბ. №№ 277, 720, 1492; საქ. სიძვ. III. გვ. 572, № 587; დოკუმენტები... II. გვ. 286—287, № 448; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 103—104, 153; ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28; გვ. 443, № 43.

197 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9670; დოკუმენტები... II. გვ. 286, № 448.

198 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28.

199 სსცია, ფ. 226 (1), № 7675; იქვე, ფ. 227 (2), №№ 75, 76; ქუთ. მუზ. საბ. №№ 89, 617; დოკუმენტები... II. გვ. 291, № 456; დას. საქ. საეკლ. საბ. II გვ. 96, 148; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 416, № 28, გვ. 443, № 43.

200 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 148.

201 იხ. პ. გნოლოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 438.

202 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 416, № 28.

203 სსცია, ფ. 1, №№ 3226, 3228; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 77.

204 Д. М. Бакрадзе. АПГА. с. 238—239.

205 იხ. იქვე.

206 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 77.



1802, 1809, 1810 წლების საბუთებში²⁰⁷, და სხვა უთარიღო დოკუმენტებში²⁰⁸.

1799 წლიდან ბეჟანს მდივანბეგის სახელო აქვს²⁰⁹. 1809 წ. ის „იმერეთის რჩევის“ წევრთა შორის არის დასახელებული²¹⁰. მისი ხსენება 1810 წ. შემდეგ წყდება. იგი უთუოდ ამ წლის ახლო ხანს გარდაიცვალა.

პ ა ა ტ ა IV. ვხვდებით 1788 წლის შეწირულების წიგნში. ჰყავდა ორი ვაჟი: გიორგი (V) და მერაბ (IV). მამა და შვილები ერთად იხსენიებიან აღნიშნულ წელს²¹¹.

და ვ ი თ III გიორგი IV-ის ძე. ვხვდება 1792, 1799, 1809, 1810 წლების საბუთებში²¹². დაქორწინებული იყო სოლომონ II-ის დასთან — ბარბალე ბატონიშვილთან²¹³.

1809 წ. დავითს „იმერეთის რჩევის“ წევრთა შორის ვხვდეთ²¹⁴.

ეს დავითი არის სოლომონ II-ის მიერ 1810 წელს თავის სიძედ დასახელებული „პირველი თავადი იმერეთისა“ დავით წულუკიძე, რომელიც აღნიშნულ წელს რუსმა „საღდათებმა შეიპყრეს ქუთაისს, ათრის“ და სცემეს²¹⁵. იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მონაწილეობას ლებულობდა 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყებაში. დაპატიმრებულ იქნა და გაიგზავნა თბილისს. იქვე გარდაიცვალა 1820 წ. ²¹⁶.

207 ქუთ. მუზ. საბ. №№ 89, 323, 846; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 77, 97; ვ. თაყაიშვილი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. III. გვ. 298; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის... გვ. 32, № 27; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28.

208 ქუთ. მუზ. საბ. №№ 98, 791, 1260, 1777.

209 იქვე, საბ. № 89.

210 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 397, № 11, გვ. 416, № 28.

211 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 93.

212 იქვე, გვ. 100, 116; ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28; გვ. 422, № 32.

213 ვ. გნოლოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 428.

214 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28.

215 იქვე, გვ. 422, № 32.

216 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია. ტ. IV. თბილისი, 1954, გვ. 389; ქრონიკები. III. გვ. 597, 641; Н. Б. Махарадзе. Восстание в Имеретии... с. 160.



მერაბ V²¹⁷ გიორგი IV-ის ძე. იხსენიება 1792, 1793, 1809, 1810 წლებში²¹⁸. მისი თანამეცხედრე იყო აბაშიძის ქალი მათა. ჰყავდა ორი ვაჟი: პაატა (V) და გიორგი (V). უკანასკნელს პოდპორუჩიკის ჩინი ჰქონდა²¹⁹.

ეს მერაბი უნდა იყოს 1814 წ. „რაჰის ოკრუჟენის ნაჩაღნიკის თანაშემწედ“ დასახელებული მერაბ წულუკიძე და აგრეთვე ის მერაბი, რომელიც 1815—1823 წლებში ბარათსა სწერს ნიკოლოზ ქორქაშვილს²²⁰.

მერაბი იხსენიება 1830 წელსაც, მაგრამ ამ დროს იგი ცოცხალი არ არის²²¹.

გიორგი VI²²², სოლომონ II-ის თანამეცხედრის მარიაშ დედოფლის ბიძა²²³. ჩანს 1792, 1806 წლების დოკუმენტებში²²⁴.

სოფრონოს, ნიკოლოზწმინდელი, იმისწული გიორგი IV-ისა. ეხედავთ 1794, 1799, 1805, 1807, 1809, 1810, 1812, 1820, 1822 წლებში²²⁵.

1810 წ. მარტში სოლომონ II მთავარმმართველ ტორმასოვთან იმერეთ-ქართლის საზღვარზე შესახვედრად რომ გაემგზავრა, მას, სხვებთან ერთად, მიყვებოდა ნიკოლოზწმინდელი სოფრონოს²²⁶.

1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების დროს მან დიდად უერთგულა რუსეთის მთავრობას. ამ ერთგულებისათვის 1821 წ. „უმაღლესის ბრძანებით დაიდგინა იმერეთის არხიეპისკოპოსათ სოფრონოს არხიერი, გვარათ წულუკიძე“²²⁷.

217 მერაბ IV იხ. ზემოთ, პაატა IV-სთან.
218 ქუთ. მუზ. საბ. № 726; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 100, 116; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 487, № 80; მისივე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 182, № 15.
219 სსცია, ფ. 226 (1), საბ. № 7128.
220 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1308; ქუთ. მუზ. საბ. № 95 (ახალი აღწერილობით).
221 სსცია, ფ. 226 (1), საბ. № 7128.
222 გიორგი V იხ. ზემოთ, მერაბ V-სთან, ხოლო IV — პაატა IV-სთან.
223 ნიკო და დიანო. ქართველთ ცხოვრება. გვ. 200.
224 ქუთ. მუზ. საბ. № 134; სსცია, ფ. 227 (2), საბ. № 75.
225 ქუთ. მუზ. საბ. №№ 724, 739, 2039; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 104, 116, 150—152, 155, 165, 171; ქრონიკები. III. გვ. 473, 640; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 388, 390.
226 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 388; ქრონიკები. III. გვ. 473, 640.
227 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 390; ქრონიკები. III. გვ. 642; П. Гнилосаров. Очерки из жизни митрополита Давида. Кавказский календарь на 1854 г., с. 508.

გარდაიცვალა იგი 1845 წ²²⁵.

სეხნია, მდივანბეგი, პოლკოვნიკი, სოლომონ II-ის ერთ-ერთი „მრჩეველთაგანი“ (იხ. ზემოთ), ფრიად გავლენიანი თავადი იმერეთში, ვახუშტით 1795, 1800, 1801, 1802, 1803, 1804, 1805, 1807, 1808, 1809, 1810, 1811, 1814, 1815, 1816, 1817, 1818, 1819, 1820, 1822, 1829, 1830, 1841 წლებში²²⁹.

ჰყავდა ორი ვაჟი: ვახტანგი და სვიმონი²³⁰.

მდივანბეგის თანამდებობით სეხნია პირველად გვხვდება 1814 წელს²³¹. მაგრამ ეს სახელო მას უფრო ადრე, სოლომონ II-ის ნეფობაში (1789—1810 წწ.) უნდა ჰქონდეს მიღებული. ამ თანამდებობით ჩანს იგი 1830 წელსაც²³².

1795 წ. სეხნია იმერეთის იმ ლაშქარში იმყოფებოდა, რომელიც ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლის დროს ერეკლე II-ეს მიეშველა.

პოლკოვნიკობა სეხნიამ იმ ერთგულებისათვის მიიღო, რომელიც სოლომონ II-სთან ბრძოლაში რუსთა სარდლობას გაუწია.

სეხნია, როგორც ზემოთ ითქვა, მონაწილეობდა 1819—1820 წლების იმერეთის აჯანყებაში, რის გამოც იგი (ამ დროს უკვე პოლკოვნიკი) რუსეთს გადასახლეს 1820 წ. მაგრამ მალე (1822 წელს) „შეწყენარებულ იქნა ხელმწიფისაგან“ და დაბრუნდა იმერეთში მომდევნო წელს. მან ისევ დაიმსახურა მთავრობის ნდობა.

228 პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 508.

229 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 5317, 6525, 6751; იქვე, ფ. Sd, საბ. №№ 1314, 1321, 1328; იქვე, ფ. Qd, საბ. № 1478; სსცია, ფ. 226 (1), საბ. № 6775; იქვე, ფ. 227 (2), საბ. №№ 75, 76; ქუთ. მუზ. საბ. №№ 646, 799, 818, 841, 975, 978, 1492, 1730; საქ. სიძვ. III. გვ. 264, № 274; დას. საქ. სივლ. საბ. II. გვ. 118—120, 122, 138, 151, 153, 160, 164; საქ. საბ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 34, 36, 42, 48, 53, 142, 149; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 388, 390; ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 416, № 28; გვ. 481, № 73; გვ. 487, № 80; მისივე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 199, № 37; ქრონიკები, III, გვ. 640, 642; ე. თაყაიშვილი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. III. გვ. 300; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის... გვ. 115, № 96; Акты, т. IV, с. 265—267; Д. м. Бакрадзе. АПГА. с. 238; ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 92, შენიშვნა 1.

230 ქუთ. მუზ. საბ. № 638; ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 164.

231 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1328.

232 მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის. გვ. 115, საბ. № 96. „მდივანბეგი... წულუყიძე“, რომელიც ხელს აწერს ამ საბუთს (იხ. იქვე), სეხნიაა.



1829 წ. ის აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა რუსეთ-თურქეთის ომში: უფროსობდა იმერეთის მილიციას. მონაწილეობდა 1841 წ. გურიის აჯანყების ჩაქრობაში²³³.

გარდაიცვალა იგი 1846 წ.²³⁴

ოტია. გვხვდება 1799, 1800, 1801, 1802, 1803, 1804, 1805, 1807, 1808, 1809, 1810 წლებისა და 1812 წ. ახლო ხნის საბუთებში²³⁵.

1809 წ. ოტია „იმერეთის რჩევის“ წევრია. 1810 წ. მარტ-აპრილში იგი სოლომონ II-ის ამაღლაშია²³⁶.

დავით (დათიკო) IV, საბუთის „აღმწერი. ჩანს 1802, 1805, 1806, 1808, 1810, 1813, 1814, 1817, 1826 წლებში²³⁷.

ლევან I. იხსენიება 1807, 1810, 1816 წლებში²³⁸. 1810 წ. აპრილს მას სოლომონ II-ის ამაღლის წევრთა შორის ვხვდებით²³⁹. ეს ის ლევანი უნდა იყოს, რომელიც შემდეგ მონაწილეობდა იმერეთის 1819—1820 წწ. აჯანყებაში. მოკლეს 1820 წ.²⁴⁰.

233 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 390; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 206; ქრონიკები. III. გვ. 473, 640, 642; ნ. შახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 92, შენიშვნა 1; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973, გვ. 934.

234 ნ. შახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 92, შენიშვნა 1.

235 სსცია. ფ. 226 (1), საბ. № 2082; იქვე. ფ. 227 (2), საბ. №№ 75, 76; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 5317, 6751; იქვე. ფ. Qd, საბ. № 1478; ქუთ. მუზ. საბ. №№ 799, 818, 841, 975, 978, 1492; საქ. სიძე. III. გვ. 264, № 274; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. გვ. 388; ქრონიკები. III. გვ. 473, 640; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 116, 118—120, 122, 138, 142, 151, 153, 160, 164; ე. თაყაიშვილი. ზონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი საქართველო. III. გვ. 300; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 184, № 17; მისივე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28; გვ. 481, № 73; გვ. 488, № 80; АКТЫ, т. IV, с. 265—267; Д. М. Бакрадзе. АПГА. с. 238.

236 ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 397, № 11; გვ. 416, № 28; გვ. 481, № 73; გვ. 488, № 80.

237 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. №№ 2501, 7675; სსცია, ფ. 227 (2), საბ. №№ 75, 76; ქუთ. მუზ. საბ. №№ 19, 552; დას. საქ. საეკლ. საბ. II. 149, 162, 166; დოკუმენტები. II. გვ. 294, № 462; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II. ნ. ბერძენიშვილის გამოც., თბილისი, 1953, გვ. 271, № 373.

238 სსცია, ფ. 229, დავთარი № 39, საბ. № 5; ქუთ. მუზ. საბ. № 975; საქ. მუზ. ინსტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 90, № 66.

239 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 487, № 80.

240 ქრონიკები. III. გვ. 597; ნ. შახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 162.



ბერი II დავით IV-ის ძე. ვხედავთ 1808 წ.²⁴¹ ეს ბერი იყო 1812 წ. ერთი ნასყიდობის წიგნში მოწმედ მოხსენიებული ბერი წულუკიძე²⁴².

კიკო. იხსენიება ბარბაღე ბატონიშვილის 1808 წ. 24 აგვისტოს შეწირულების წიგნში²⁴³.

ბეჟანიკა. ჩანს 1809 წ.²⁴⁴

ბოსია II, ძმა ნიკოლოზ III-ის, ოტიასა და სეხნისი (იხ. ზემოთ). ვხვდებით, ძმებთან ერთად, 1810 წ.²⁴⁵ იგივე ბოსია უნდა იყოს 1812 წ. საბუთში დასახელებული და 1819-1820 წწ. იმერეთის აჯანყების მონაწილე ბოსია დავითის ძე წულუკიძე²⁴⁶. თუ ეს ასეა, მაშინ, ისე როგორც ბოსია, ნიკოლოზ III, ოტია და სეხნიაც დავითის ძენი ყოფილან.

ყარამან. გვხვდება 1810 წ. დოკუმენტში²⁴⁷.

ბუჭუა. ვხედავთ 1810 წ. სოლომონ II-ის ამაღლაში და ამავე წლის ერთ ნასყიდობის წიგნში²⁴⁸.

გიორგი VII. პოლკოვნიკი. დაქორწინებული იყო თავად აბაშიძის ქალ ანასთან. ჰყავდა სამი ძე: სვიმონ (IV), ბერი (III), ლევან (II) და სამი ასული: დარეჯან, ტასია და მარიამი²⁴⁹.

გიორგიმ მონაწილეობა მიიღო 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყებაში. დაპატიმრებულ იქნა და გაიგზავნა თბილისს. იქვე გარდაიცვალა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1820 წ.²⁵⁰

ალმასხან როსტომის ძე, პრაპორშჩიკი, ბუგეულის ეკლესიის განმამაზღვრელი. იხსენიება 1822 წ. ერთ საბუთში და ამ ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის სარკმლისათვის 1838 წ. წარწერაში²⁵¹.

241 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 162.

242 ქუთ. მუზ. საბ. № 724.

243 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 162.

244 ქუთ. მუზ. საბ. № 1367.

245 Д. м. Бакрадзе. АПГА. с. 238—239.

246 ქუთ. მუზ. საბ. № 724; ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 161.

247 ქუთ. მუზ. საბ. № 840.

248 იქვე; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 487, № 80.

249 ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 159.

250 იქვე; ქრონიკები. III. გვ. 640; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. ტ. IV. გვ. 389.

251 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, საბ. № 3324; გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზ. მოამბე. V. 1928, გვ. 169, შდრ. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. გვ. 65.

წერეთელია სათავადო

წერეთლების თავდაპირველი საცხოვრისი, როგორც წყაროებიდან ჩანს, იმერეთში არ ყოფილა. აქ ისინი სხვა კუთხიდან მოსულან. ეს კუთხე ზემო ქართლი იყო. აქ ამ საგვარეულოს უძველესი სამკვიდრებელი იყო იმ ადგილს, სადაც „გორის სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილო მხრიდან მიემართება ქედი, რომელიც ახლაც ატარებს წერეთის ქედის სახელწოდებას, ხოლო იმავე რაიონში, მდინარე ტანას შემდინარეთა ხეობაში, მდებარეობენ სოფლები დიდი წერეთი და პატარა წერეთი“¹.

გვარსახელი წერეთელი, ჩანს, ამ გეოგრაფიული სახელებიდანაა ნაწარმოები².

მაგრამ შემდეგ, ქამთა მსვლელობაში, როგორც ლ. ასათიანი შენიშნავს, წერეთლებს „ბინადრობა უცვლიათ. ნაწილი იმერეთში გადასულა, ხოლო ნაწილი დასახლებულა მდ. ფრონეს ხეობაში, ცხინვალის... მახლობელ მიდამოებში“³.

აქ გვიანდელი (1648 წ.) დოკუმენტური ცნობით, სოფელი თიღვა მისი სანახებით წერეთლიანთ „ნათესავის სამკვიდრო მამული“ იყო. ე. ი. წერეთლები ამ ადგილებში ძველი დროიდანვე სახლობდნენ⁴.

ძველ დროში წერეთლები სახლობდნენ აგრეთვე საინგილოშიც, უფრო ზუსტად ბელაქანში (ახლა აზერბაიჯანის ტერიტორია), სადაც, როგორც მ. ჭანაშვილის აღწერილობიდან ჩანს, „დღევანდლამდე შერჩენილია სახელები „წერეთლის ტახტი“, „წერეთლის წყალი“⁵. საინგილოში ამ ტოპონიმთა არსებობა სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ იქ ოდესღაც წერეთლები ცხოვრობდნენ⁶.

¹ ლევან ასათიანი. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. რჩეული ნაწერები. ტ. II. თბილისი, 1960, გვ. 13.

² ან იქნებ თვით გეოგრაფიული სახელი წერეთი ნაწარმოებია წერეთლების მამამთავრის „წერ“-ის სახელიდან (თუ ასეთი არსებობდა) და შემდეგ კი ამ გეოგრაფიულ სახელიდან — გვარსახელი წერეთელი.

³ ლევან ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

⁴ იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1138; ლევან ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 13—14.

⁵ მ. ჭანაშვილი. საინგილო. ტფილისი, 1910, გვ. 31. „წერეთლის ტახტი“, როგორც მ. ჭანაშვილი აღნიშნავს, მთის სახელია. იხ. იქვე.

⁶ ამ გეოგრაფიული სახელების („წერეთლის ტახტი“, „წერეთლის წყალი“) და „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა



საინგილო საქართველოს ფეოდალური მონარქიის საზღვრულში ში შედიოდა, მისი ისტორიული პროვინცია იყო, რომელიც კახეთის აღმოსავლეთ უბანს მოიცავდა. უძველეს დროიდან აქ ქართველთა მონათესავე ტომები სახლობდნენ. შემდეგ, მომთაბარე მონღოლ-თათარ-თურქმან ტომებისა და ირან-ოსმალეთის აგრესიის შედეგად, ეს ქვეყანა გამაჰმადიანდა და აქ ლეკები დამკვიდრდნენ.

სწორედ ამ საფუძველზე შეიძლება შეთხზულიყო დღემდე დაცული ისტორიული გადმოცემა წერეთლიანთ დალესტნიდან მომავლობისა და ლეკებთან („წადარის ბეგთან“) ნათესაობის შესახებ, რომლის ფიქსაციას წარმოადგენს „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისაში“ და სხვა წყაროებში შემონახული ცნობები.

გვარებისა-ში (ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 100 რ., 103 რ.) დაცული ცნობების მიხედვით, მ. ჯანაშვილი წერეთლების თავდაპირველ საცხოვრისად საინგილოს (ბელაქანს) თვლის. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 31.

7 ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ცნობა). საქართველოს ისტორიის საკითხები. III. თბილისი, 1966, გვ. 253; მ. დუმბაძე. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან. თბილისი, 1953, გვ. 5—7.

8 იხ. ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 258—276; მ. დუმბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 6—9, 12—36; მ. ჯანაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 17.

მ. ჯანაშვილს აქ მოაქვს ანტონ II კათალიკოსის სიტყვები: საინგილო ძველად საქართველოს ნაწილი იყო, მაგრამ შემდეგ „ლეკთაგან მიგვხმთან და გაუშაჰმადიანებიათ“.

9 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 100 რ., 103 რ.; ფ. H, № 1516, გვ. 3 ვ, გვ. 4 რ.

წერეთლების სადაურობისა და იმერეთში დამკვიდრების შესახებ აღნიშნულ წყაროთა ცნობებს იმეორებს «Российская родословная книга» (ч. III, изд. П. Долгоруковым, Спб., 1856, с. 476—477). ხოლო ამ უკანასკნელის ცნობას ეყრდნობა და იმეორებს ბროკჰაუსისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოთავსებული სტატიის — «Черетли»-ს ავტორი P-ბ (იხ. ტ. XXVIII, № 75, Спб., 1903).

გადმოცემის ერთი ვერსიით, წერეთლების წინაპარი ყოფილა ლეკი „გვარად წვივშავიძე“, რომელიც „ძველს საუკუნეში“ დალესტნიდან მოსულა და ჩრტუში დასახლებულა. იგი იყო თურმე „ძლიერი... ავაზაკი და ცოდვის მოურიალი“. ავიწროებდა, თავს ესხმოდა ყველას, იტაცებდა „მებატონეებს“ და ჩრტუში თავის სასახლეში „ჩაკირავდა“. მათ უშა-მამულს კი ისაკუთრებდა. ამგვარი მოქმედებით მას დიდი „სიმდიდრე შეუძენია“. წვივშავიძეს ორი ძე ჰყოლია, ორივე „გაქირსტიანებულა“ და მათგან მომდინარეობენ თურმე წერეთლები.

ეს გადმოცემა, როგორც ითქვა, შეიძლება შეითხზა წერეთლების საინგილოდან წარმომავლობის ნიადაგზე. მაგრამ შემდეგ, როცა საინგილოს ძველი მოსახ-

ეს ცნობები იმერეთში წერეთლების გადასვლას თემურ-ლენგის ლაშქრობებს უკავშირებენ, რაც სავსებით დასაშვებია. საქართველოს ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა ლიხთ-ამერეთს გაბატონებული დამპყრობლებისაგან გაწამებული ქართველები ლიხთ-იმერეთს იხიზნებოდნენ და შემდეგ დროთა ვითარებაში საბოლოოდ იქ რჩებოდნენ¹⁰. ვფიქრობთ, ზეპირგადმოცემა და მასზე დამყარებული წერილობითი ცნობა ამ შემთხვევაში რეალურ საფუძველს მოკლებული არ არიან და თემურ-ლენგის ლაშქრობებით საინგილოში თუ ზემო ქართლში შევიწროებული წერეთელთა გვარი სწორედ XIV საუკუნეშია იმერეთში დამკვიდრებული.

წერეთლების აქ მოსვლა, ამგვარად, ზემო ქართლიდან ან საინგილოდან ან ორივედანაა საგულისხმებელი¹¹.

წერეთლების სამფლობელოს „საწერეთლო“ ეწოდებოდა. „საწერეთლო“, როგორც წერეთლების მიწა-წყლის აღმნიშვნელი ტერმინი, წყაროებში პირველად გვხვდება XVI ს. მეორე ნახევარში. მაგალითად, ვახუშტი აბაშიძის 1550—1570 წწ. შეწირულების წიგნში მოხსენიებულია „საწერეთლო“ და „საწერეთლოელთა საყდრის ყმანი“¹².

ლეონა ზემოდნიშნულ მიზეზთა გამო „გალეკა“ (ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 270), იქედან მოსული წერეთლებიც ლეკებად იქნენ წარმოდგენილი. ამგვარად, თავდაპირველად რეალურ საფუძველზე აღმოცენებული ზეპირგადმოცემა დროთა მსვლელობაში ნებისთინე უნებლიედ დამახინჯდა და ზღაპრული ამბები დაერთო.

მიტროპოლიტ დავით წერეთლის ცხოვრების აღმწერი დეკანოზ დ. ლამბაშიძის გადმოცემით, VIII ს. დასაწყისში „დაღესტნიდან ვადმოვიდნენ სამინი ძმანი, რომელნიც დაესახლნენ იმერეთში“ და მათი შთამომავალი არიან წერეთლები (იხ. მისი „მიტროპოლიტი დავითი“, „მწყემსი“, 1892, № 2, გვ. 1. აღნიშნული ნაწარმოების დასასრული გამოქვეყნებულია ხსენებული ჟურნალის 1896 წ. № 5-ში. ავტორი დასახელებულია მხოლოდ ამ უკანასკნელ ნომერში. ეს ნაწარმოები ძირითადად პეტრე გვილგოსაროვის «Очерки из жизни митрополита Давида»-ს იმეორებს. იხ. და შტრ. Кавказский календарь на 1854 г. с. 493—513). წერეთლების დაღესტნიდან მომავლობის ეს ვერსიაც უთუოდ ზეპირგადმოცემიდან მოდის. ამ ვერსიის თარიღი ნაკლებ სარწმუნოა. იგი შეთხზული უნდა იყოს ამ საგვარეულოს შორეულ წარსულთან დაკავშირებისა და მის ძირძველად წარმოჩენის მიზნით.

¹⁰ ივ. ჭავჭავიძე. ქართველი ერის ისტორია. II. თბილისი, 1948, გვ. 80—81, 85.

¹¹ იხ. და შტრ. ო. სოსელია. წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან. „ანალები“ (ივ. ჭავჭავიძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები). I. 1947, გვ. 251—252.

¹² დას. საქ. საეკლ. საბ. გვ. 23—24.



ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ „საწერეთლო“ ანუ წერეთლების სათავადო აღნიშნული საუკუნის განმავლობაში ნახევრისათვის უკვე ჩამოყალიბებული იყო.

უფრო ადრე ჩნდებიან ისტორიის სარბიელზე წერეთელთა გვარის წარმომადგენლები. მათგან ყველაზე ადრინდელი პირი დავით წერეთელია, რომელსაც ვხვდებით 1432 წ. დავითის შემდეგ ჩანს წეწია წერეთელი. იგი, სხვა წარჩინებულთა შორის, მოწმედაა დასახელებული 1462—1478 წწ. შედგენილ ყიფიანთა სასისხლო სიგელში¹³. ცოტა გვიან, 1848 წ. იხსენიება მათი სახლიცაი განონაი¹⁴.

ხსენებულ წერეთლებისა და მათ მემკვიდრეთა ადგილმამულს დაერქვა შემდეგ „საწერეთლო“.

უფრო ჩანან წერეთლები XVI ს. მიწურულს. აღნიშნულ პერიოდში, სვიმონ ქართლის მეფის იმერეთში ლაშქრობის დროს, ისინი აქტიურად მოქმედებენ და, აბაშიძეებთან და ჩხეიძეებთან ერთად, სვიმონს ემხრობიან როსტომ იმერთა მეფესა და მის შემდეგ დადიანთან ბრძოლაში¹⁵.

ამიერიდან წერეთელთა საგვარეულოს როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო იზრდება.

XVII ს. დამდეგს ვხედავთ ამ საგვარეულოს ერთ მეტად მნიშვნელოვან წარმომადგენელს ქველი წერეთელს. იგი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის თანამედროვეა და მასთან მტრულ განწყობილებაშია. ვახუშტის თქმით, „კვალად ეთქვა მუქარა ქუელს წერეთელს მოურავისა. მიუცდა მოურავი და მოწვა მამული მისი. წარმოსულს მოურავს ეწია ქუელი და ბრძვეს ურითერთს. არამედ მოურავმან განაწონნა, სამნი ისარნი მკერდსა და ივლტოდა ქუელი, ხოლო მოურავი მოვიდა გამარჯვებული“¹⁶. ეს მოხდა 1624—1626 წლებში¹⁷.

¹³ ს. კაკაბაძე. ვახტანგ უცნობი, XV საუკუნის აფხაზ-იმერთა მეფეთაგანი..., ტფილისი, 1912, გვ. 9—10 (კოტრიძეთა სასისხლო სიგელი); საქ. სიძვ. II. გვ. 399, № 358. შეიძლება აქ მითითებული ყიფიანთა სასისხლო სიგელის წეწია და ერთ უთარილო დოკუმენტში მოხსენიებული წეწია წერეთელი (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14914) ერთი და იგივე პირი იყოს.

¹⁴ ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. 1924, გვ. 25.

¹⁵ ვახუშტი. აღწერა... გვ. 821—823; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამოც. ს. კაკაბაძისა, საისტორიო მოამბე. II. 1925, გვ. 222.

¹⁶ ვახუშტი. აღწერა... გვ. 435.

¹⁷ ვახუშტი ამ ეპიზოდს აღნიშნულ წლებს შუა მომხდარ ამბებთან მოგვიერთბრობს (იხ. იქვე, გვ. 431—435).

თვით გიორგი სააკაძე კახთა მეფე თეიმურაზ პირველს ამ
ენიზოდს ასე მოუთხრობს:

„ქველს წერეთელსა ებძანა ადვილად ჩემი მუქარა;
მიუხე, დავსწვი, დავდაგე, ადვილ წაუხდა რუქა რა.
წამოველ, უკან მამდივა, ნიავმან ველარ უქარა,
შევსძახე: „ცუდათ გაგიცვლა გლახ შენი ბაქი-ბუქარა!“

ახლოს მომმართა საბრძოლად, იყო კარგისა ბედისა,
ორი ისარი გულსა ვჰკარ, ხსენება შექნა დედისა,
მამაცი იყო, გულსრული, საომრად შემომხედისა,
იგიე გაბრუნდა, შეტყორცა და ნახა ზედი-ზედისა!“¹⁸

ამ რაინდულ ორთაბრძოლაში, როგორც ჩანს, გიორგი სააკა-
ძის გაუმარჯვია. მაგრამ ქველისაც ღირსეულად უომია: ვაჟკაცო-
ბით საყოველთაოდ სახელგანთქმულ სააკაძესთან მას „ახლოს“ შე-
ბმად „მიუმართავს“. „მამაცი იყო, გულსრული, საომრად შემომ-
ხედისო“, ამბობს მასზე დიდი მოურავი.

ვახუშტი ბატონიშვილსა და „დიდ-მოურავიანის“ ავტორს —
იოსებ თბილელს გარდა, ქველი წერეთელს კარგად იცნობს აგრე-
თვე არჩილ მეფეც. მას თავის „თეიმურაზისა და რუსთაველის გა-
ბაასებაში“ აწერილი აქვს შაჰ აბასისაგან ლტოლვილ კახეთის მე-
ფის თეიმურაზ პირველისა და ქართლის მეფის ლუარსაბ მეორის
გადასვლა დასავლეთ საქართველოში XVII ს. დამდეგს, მათი შე-
ხვედრა გიორგი იმერთა მეფესთან საჩხერეში და შემდეგ სამივე
გვირგვინოსანის ქველის „სამყოფსა მუნ სახლსა კარგათაში“ „დავა-
ნება“¹⁹.

ასეთი სტუმრები, როგორც წესი, დაბალღირსების პირს არ
წვეოდნენ და უკანასკნელი ვერც შეძლებდა მათ გამასპინძლებას.

¹⁸ იხ. იოსებ თბილელი. დიდ-მოურავიანი. გ. ლეონიძის რედ.,
1939, გვ. 39.

ამ პოემაში მოხსენიებული XVII ს. პირველი ნახევრის მოღვაწე ქველი წე-
რეთელი, ლ. ასათიანის ვარაუდით, „ქართლელი წერეთლების საგვარეულოს“
ეკუთვნის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 14). ჩვენი აზრით კი, ეს ქველი და არჩილ
მეფის თხზულებაში დასახელებული ამავე ხანის მოღვაწე, საჩხერეს მფლობელი
ქველი წერეთელი (იხ. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარა-
მიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II. თბილისი, 1937, გვ. 55, სტროფი 476)
ერთი და იგივე პირია, ე. ი. იმერელია.

¹⁹ იხ. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. II. გვ. 55, სტრო-
ფი 476.



ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ქველი წერეთელი მართლაც საქართველოში ცნობილი ფეოდალი იყო. უთუოდ ამიტომ დააბინავა ერთ ხანს მასთან იმერთა მეფემ თავისი საპატიო სტუმრები.

ქველის შემდეგ მისი სახლიკაცები მრავლად ჩანან იმერთში და მეფის კარზე დიდი გავლენით სარგებლობენ.

წერეთლების გავლენის ზრდა მათი ყმა-მამულის ზრდის თანაბრად ხდებოდა. XVI—XVII საუკუნეებში ამ საგვარეულოს მიწა-წყალი საკმაოდ ვრცელი იყო. ამ დროს ნაწილობრივ თუ მთლიანად წერეთელთა მფლობელობაში ჩანს:

სახჩერე („მცირე ქალაქი“)²⁰ მისი ციხე-სიმაგრე მოდინახესთან ერთად²¹, ჯრუჭი (მონასტრით), მღვიმევი (მონასტრით), ზოდი²²,

²⁰ ასე უწოდებს საჩხერეს ფეოდალური ხანის ქალაქებისა და საქალაქო წყობილების ცნობილი მკვლევარი შ. მესხია (იხ. მისი, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тбилиси, 1959, с. 124, 156).

²¹ მოდინახეს ციხის აშენებისა და სახელის შესახებ არსებობს ასეთი ვაღმოცემა: XVIII საუკუნეში პაპუნა წერეთელს დიდი თავადის დავით აბაშიძის ასულის ცოლად შერთვა. განუზრახავს და ამის შესახებ მასთან მოციქულები გაუგზავნია. მაგრამ აბაშიძეს იგი, ციხე-სიმაგრის უქონლობის გამო, სასიძოდ დაუწუნებია. ასე შემოუთვლია: „მე ქალს წვივშავიძეს არ მივცემ, სანამდის ციხეს არ აიშენებსო“. წერეთელს ციხე სასწრაფოდ აუგვია საჩხერეში, შიგ მცობოვნეებიც ჩაუყენებია და აბაშიძისათვის მოციქულები შეორედ მიუგზავნია შემდეგი სიტყვებით: „მოდი — ნახეო“. ასე დარქმევია საჩხერის ციხეს „მოდინახეს ციხე“ (იხ. გ. წერეთელი, საჩხერის ციხე „მოდინახე“. „კვალი“, 1893, № 3, გვ. 12; დეკანოზი დ. ღამბაშიძე, მიტროპოლიტი დავითი (დავითის შთამომავლობა). „მწყემსი“, 1892, № 2, გვ. 1—3).

მაგრამ ეს ვაღმოცემა რეალურ საფუძველს მოკლებულია. დოკუმენტური წყაროდან ჩანს, რომ ციხე-სიმაგრე მოდინახე ძველად ფალავანდიშვილისა იყო. ეს ციხე-სიმაგრე მერაბ წულუკიძემ „სისხლშიდ“ დაიჭირა და XVII ს. მეორე ნახევარში ქაიხოსროსა და პაატა წერეთლებს მიყიდა (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერთის სამეფოსა... I. გვ. 44, № 37. მითითებული საბუთის გამომცემლისველი თარბილი შესწორებულა ჩვენ მიერ. იხ. ზემოთ გვ. 52, შენიღვნა 56).

აღსანიშნავია, ისიც, რომ ანალოგიური სახელწოდების ციხე („მოდინახე“) იყო აგრეთვე სხვაგან ზემო იმერთში („ზუსახედ... დაბა მუხურას“ ზემოთ, „მთაში“) და ქართლშიც (იხ. ვახუშტი, აღწერა... გვ. 320, 321, 756).

ლ. ასათიანი უთუოდ ზემოაღნიშნულ ვაღმოცემის საფუძველზე, მოდინახეს ციხის აგებას პაპუნა წერეთელს მიაწერს XVIII საუკუნეში (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 18), რაც, რა თქმა უნდა, სწორი არაა.

²² მღვიმევი თავის მონასტრით საუფლისწულო იყო. ე. ი. სამეფო სახლის უმცროს შტოს ეკუთვნოდა. საუფლისწულოდ ითვლებოდა მდინარე ჯრუჭის მთელი მარჯვენა ნაპირი ყვირილა-ჯრუჭის შესარბავეიდან ჯრუჭის მონასტრამდე

მოხვა ხეთა²³, თიღვა (ზემო ქართლს)²⁴, გორისა, სარეკი, არგვეთი²⁵.

(ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9666). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტერიტორიას დღესაც საუფლისწულოს ეძახის.

მეზობელი თავადები — წერეთლები და აბაშიძეები ხშირად ახერხებდნენ საუფლისწულო სოფლების მიტაცებას. ასევე უფლისწულებიც ეუფლებოდნენ ზოგჯერ წერეთლებისა და აბაშიძეების სოფლებს. ამიტომაც, რომ ერთსა და იმავე სოფელს დროის ერთ მონაკვეთში ამა თუ იმ უფლისწულის ხელში ვხვდებით, ხოლო დროის მეორე მონაკვეთში — წერეთლისა ან აბაშიძის ხელში. მაგალითად, სოფ. ზოდი XVII—XVIII საუკუნეებში წერეთლებს ჰქონდათ, XIX ს. დამდგეს კი ის ერთხანს კონსტანტინე ბატონიშვილს ეკირა. ასევე მღვიმევი მისი მონასტრით XVIII ს. და XIX ს. დამდგეს ხან უფლისწულს უკავია, ხან კი — წერეთლებს (იხ. ქუთ. მუხ. საბ. №№ 114, 115, 644, შდრ. იქვე, № 81; Акты, т. VI, ч. I, с. 421).

კერძოდ, ჯრუჭი მისი მონასტრით წერეთლებს სოლომონ II-ის „ძველთა მამა-მამათავან“ ჰქონდათ ნაბოძები (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563). ასევე მღვიმევი და მისი მონასტრიც წერეთლების მამა-მამათა „სამკვიდრო“ იყო (იხ. იქვე, ფ. S, № 5369 — ზურაბ წერეთლის არქივი: დავით იმერთა მეფის 1784 წლის 20 აგვისტოს წყალობის წიგნი წერეთლებისადმი). უოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ეს სოფლები და მონასტრები, თუ უფრო აღრიდან არა, XVII საუკუნიდან მაინც ამ საგვარეულოს მფლობელობაში უნდა ჩაითვალოს. მღვიმევი და ჯრუჭი მათი მონასტრებით საბოლოოდ წერეთლებმა შეინარჩუნეს (იხ. ქუთ. მუხ. საბ. № 149; ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს სოც. და ეკონ. ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 42—43, 46—47; Акты, т. VI, ч. I, с. 421).

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი ბაქრაძე, მ. ბროსეზე დაყრდნობით, ჯრუჭსა და მღვიმევს მათი მონასტრებით ფალავანდიშვილებისეულად თვლის და საფალავანდიშვილოს წერეთლების ხელში გადასვლას „იმერეთის მეფის სოლომონის“ (უთუოდ პირველის) დროით — „XVIII საუკუნის მეორე ნახევრით“ ათარილებს (იხ. მისი, Кавказ в древних памятниках христианства, кн. I, Тифлис, 1875, с. 99—100). ფალავანდიშვილების ყმა-მამული მართლაც წერეთლებმა დაიკავეს (იხ. მაგალითად, ხელნაწ. ინსტ. ფ. dS, № 509; დოკუმენტები. I, გვ. 434, № 606; გვ. 435, № 607, გვ. 435—436, № 608). მაგრამ ეს ხდება არა XVIII ს. მეორე ნახევარში, არამედ XVII ს. მეორე ნახევარში (იხ. იქვე). სწორედ ამ დროს შეისყიდეს წერეთლებმა ფალავანდიშვილის ციხე-სიმაგრე მოდინახე (იხ. ზემოთ) და დაახლოებით ამ დროს არის ეს საგვარეულო დიდ გასაქირში (იხ. დოკუმენტები. I, გვ. 434, № 606).

²³ მოხვა და ხეთაც, თუ უფრო აღრიდან არა, XVII საუკუნიდან მაინც წერეთელთა მფლობელობაშია სავარაუდებელი. მომდევნო საუკუნის მეორე ნახევარში კი ეს სოფლები ძმებმა — პაპუნა, ზურაბ და ბერმა წერეთლებმა თვითნებურად დაიკავეს მონასტრის შესწირეს, მაგრამ ამ დროს ორივე „ნასოფლარი“ იყო (იხ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52). აღნიშნული სოფლები აოხრდნენ XVIII ს. მეორე ნახევარში იმ ბრძოლის დროს, რომელიც როსტომ რაჭის

XVIII ს. და მომდევნო საუკუნის დამდეგს, შესყიდვის მიტაცების, მეფეთაგან „შეწყალებისა“ თუ სხვა გზით, წერეთლების სამფლობელო დიდად გაფართოვდა. ამ დროს მასში, ზემოდასახელებულ სოფლებთან ერთად (თიღვას გამოკლებით), მთლიანად თუ ნაწილობრივ, შედიოდა შემდეგი სოფლები: მერჯევი, კობოლუი (კოლბოური), კალუათა, საირხე, ცხრიუკეთი, ჭილვანი (ჭილოვანი||ჭილოანი), ჭიბრევი, რწმანი²⁶, პასიეთი, დიდველი, გოლისი, დუნთა, ითხვისი, საეანე, ქორეთი, ლიჩი, ლოდორა (გოდორა), გეზროული, ბეინევი, ლორეშა²⁷, კვაცხუთი, სევა, წესი, ონი („მცირე ქალაქი“)²⁸ თავისი ციხე-სიმაგრით, მრავალძალი, შქმერი, წე-

ერისთავსა და წერეთლებს შორის ჯრუჭის ხეობაში წარმოებდა (იხ. იქვე, გვ. 47; ქუთ. მუზ. საბ. № 359; ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 85).

24 თიღვა, როგორც ზემოთ ითქვა, წერეთელთა „ნათესავის სამკვიდრო მამული“ იყო. 1648 წ. როსტომ ქართლის მეფემ ის იმერულ ზაალ წერეთელს უბოძა (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 29—30, № 19). მაგრამ შემდეგ, 1747 წ. ეს სოფელი ქართლის მეფემვე თეიმურაზ II-მ, აღრე მისი მამის მიერ ამირჯიბის შვილის გაბელისა და სხვათათვის ნაბოძები, მათვე დაუმტკიცა (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 7891). ამგვარად, წერეთლებმა თიღვა დაკარგეს ჯერ კიდევ ქართლში თეიმურაზ II-ის მამის, ერეკლე I-ის (ნაზარალ-ხანის) მეფობის დროს—1688—1703 წლებში. ეს გასაგებია: წერეთლები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერეკლე I-ის მეტოქე ქართლის მეფე გიორგი XI-ს უჭერდნენ მხარს და გამარჯვებული ნაზარალ-ხანი ამას მათ უთუოდ არ აპატიებდა. ამით უნდა აიხსნას თავიდანვე წერეთლებისათვის ამ სოფლის ჩამორთმევა.

25 წერეთლების საგვარეულო საბუთებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ XVII საუკუნიდან ეს სოფელიც (გორისა, სარეკი, ძვერი, არჯეთი), ნაწილობრივ თუ მთლიანად, ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 1832, 2886, 9466; ფ. Sd, №№ 509, 514, 516, 1139; ქუთ. მუზ. საბ. № 66; დოკუმენტები. I. გვ. 430, № 599; გვ. 432—433, № 603; გვ. 434, № 606; გვ. 434—435, № 607; გვ. 435—436, № 608).

26 რწმანი „პირველათ“ წერეთლებისა იყო. მაგრამ ერთხანს იგი წაართვა მათ მამუკა ბატონიშვილმა. აქ მან „კოშკი ააშენა“ და ეს სოფელი „თავისთვის დევიტრა“. მაგრამ ალექსანდრე V-ემ „ისმინა“ წერეთელთა „აჯა და მოხსენება“, „ქრთამიც კარგი“ მიიღო მათგან და მათი „სამკვიდრო“ სოფელი 1720—1738 წლებში პაპუნასა და დავით წერეთლებს დაუბრუნა (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 67, № 68).

27 ლორეშა, ბეინევი, გეზროული, ლოდორა (გოდორა), ლიჩი, ქორეთი და საეანე XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდათ (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 157). თითოეული მათგანის მეტ-ნაკლები ნაწილი წერეთლების ხელში გადავიდა XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დამდეგს.

28 ონსაც შ. მესხია ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს „მცირე ქალაქთა“ შორის ასახელებს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 124).



დისი²⁹, სურამის ახალსოფელი (ქართლს)³⁰, არადეთი (ქართლს)³¹, ნაბახტევი (ქართლს)³², წირქვალი³³, ბაჯითი, ცხამი, ჯალაურთა, შუქრუთი, ბოსლევი, გუნდეთი (გუნდაეთი), ცეცქი, ჰორვილი,

29 წედისი, შქმერი, მრავალბალი, ონი, წესი, სევა, კვაცხუთი წერეთლებმა რაჰის საერისთავოს გაუქმების (1769 წ.) შემდეგ მიიღეს. ესაა რაჰის ლომინ ერისთავის თუ სხვათა ის „მამული“, რომელიც სოლომონ I-მა როსტომ რაჰის ერისთავის დამარცხებაში გაწეული სამსახურისათვის წერეთლებს უბოძა (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563).

1784 წ. 6 ივნისს სოლომონ I-ის მომდევნო მეფემ დავით გიორგის ძემაც ეს მამულები მათვე დაუმტკიცა (იხ. იქვე, № 1187, შდრ. № 1563).

ამ სოფლებიდან წედისს ერთხანს (1772 წელს) თავადი ჯაფარიძეები ფლობდნენ (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 105). მაგრამ შემდეგ, 1784 წ. ეს სოფელი წერეთლებს აქვთ (ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, № 1187).

აღსანიშნავია, რომ წერეთლების რაჰის სოფლებიდან წესი სოლომონ II-მ 1804 წ., ამ დროს მის კარზე მყოფ, სოლომონ ლიონიძეს უბოძა (იხ. ქვემოთ).

30 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 54, № 49; გვ. 56—57, № 52; გვ. 57, № 53.

31 ეს სოფელი ზურაბ წერეთელმა მიიღო 1793 წ. (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1584; ფ. Qd, № 6919; საქ. სიძე. III, გვ. 297, № 311).

32 ნაბახტევის ნაწილი თავადმა გრიგოლ წერეთელმა იყიდა 1823 წ. 9 აგვისტოს. ნაწილი თარხნიშვილებს ეკუთვნოდათ (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III. გამოც. ნ. ბერძენიშვილისა, თბილისი, 1955, გვ. 437, № 312, შდრ. იქვე, გვ. 447, № 313).

33 წირქვალი საუფლისწულო სოფელი იყო. აქ იყო უფლისწულის რეზიდენცია (იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 9666; ს. კაკაბაძე. კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ. საისტორიო კრებული. IV. 1929, გვ. 62—63). სოლომონ II-ემ ეს სოფელი ამზითვა თავის „უმადლესსა პალატაში“ აღზრდილ დავით მეფის ასულ მზეხათუნ ბატონიშვილს. რომელიც 1803 წ. მიათხოვა სვიმონ ზურაბის ძე წერეთელს (ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 9666). მაგრამ შემდეგ, 1804 წ., იმავე სოლომონმა წირქვალი კოსტანტინე ბატონიშვილს მისცა და ჰქონდა მას პეტერბურგს წასვლამდე (1810 წ.). პეტერბურგს მისი გამგზავრების შემდეგ აღნიშნულ სოფელს მისი თანამეცხედრე აბაშიძის ასული ანასტასია ფლობდა. მისი „რუსეთის წასვლის შემდგომად“ კი (1812—1815 წწ.) ხსენებული სოფელი საბაზინოდ ჩაირიცხა. უკანასკნელ წელს რუსეთის მთავრობამ წირქვალი ზურაბ წერეთელს მისცა „უშუალო განმეგებლობაში“, ხოლო მისი შვილის სვიმონის ემიგრაციიდან დაბრუნების (1816 წ.) მომდევნო წელს დასახლებული სოფელი, იმავე მთავრობამ მას დაუბრუნა „საუკუნოდ სამფლობელოდ“ (იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 9666; ფ. Sd, № 1688; ფ. Ros. № 736 (Багратиды в России...), გვ. 48—49, 58; საქ. სახ. მეზ. ისტ. დოკუმენტები. და არქივები. II. გვ. 152—153, № 126; П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлени. Кавказский календарь, 1859, с. 428.



თვალუეთი, პერევისი (პერევისა)³⁴, სხვიტორი, კვერეთი, კვერეთი, უზუნთა³⁵.

ამგვარად, აღნიშნულ ხანში წერეთელთა მფლობელობაში იყო სულ 53 სოფელი და 2 „მცირე ქალაქი“.

ზემოჩამოთვლილ სოფლებს გარდა, წერეთლები მეტ-ნაკლებად ყმა-მამულს ფლობდნენ ჩიხას (აქ მათი ყმა გლეხები იყვნენ ცუხიშვილები), დიდწიფელას, ოფჩას, დარკვეთს, საყურწეს, კაცხს, წინსოფელს და სხვ³⁶.

წერეთლებს ეკუთვნოდათ აგრეთვე მთა ხიხათა, სადაც ქერი ითესებოდა, „სანადირო მთა“ (ქალელ აბაშიძის „სამძღვარს აქეთ და საუფლისწულოს სამძღვარს შუვა“) და სოფ. როკითის ნაწილი³⁷.

წერეთლების სათავადოს საზღვარი ჩრდილოეთით რაჭის საერისთავომდე აღწევდა, სამხრეთით მდინარე ძირულამდე, აღმოსავლეთით — ლიხის მთამდე, დასავლეთით ჭიათურას წყლამდე.

აღნიშნულ საზღვრებს გარეთ იყო თიღვა, რომელიც XVII—XVIII სს. მიჯნამდე წერეთლებს ეკუთვნოდათ, სურამის ახალსოფელი, არადეთი, ნაბახტევი და რაჭის საერისთავოს ის ნაწილი (შქმერი, მრავალძალი, კვაცხუთი, სევა, წესი, ონი და სხვ.), რომელიც ამ საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769 წ) სოლომონ I-მა წერეთლებს უბოძა.

წერეთლების რეზიდენცია საჩხერეში იყო. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე მოდინახე. „მოზღუდული კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან“³⁸.

³⁴ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 508, 510, 513, 1185, 1187, 1328, 1554, 1563, 1610; ფ. Hd, №№ 1824, 2171, 4047, 8612, 9666, 14610; ფ. Ad, № 724; ქუთ. მუხ. საბ. №№ 126, 612; დოკუმენტები. I. გვ. 454—455, № 638; გვ. 455, № 639; გვ. 461—462, № 652; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსათვის... I. გვ. 53, № 47; გვ. 53—54, № 48; გვ. 54, № 49; გვ. 56—57, №№ 52, 53; დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. ნ. ბერძენიშვილის შესავალი წერილითა და რედაქციით, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. I. 1940, გვ. 235—240; პ. გნინოს ართვი. დასახ. ნაშრ., გვ. 437.

³⁵ უკანასკნელი 4 სოფელი (სხვიტორი, კვერეთი, ცხომარეთი, უზუნთა) წერეთელთა სათავადოში შეტანილია ჩვენ მიერ 1943 წელს ადგილებზე (ზემო იმერეთში) მოგზაურობისას ჩაწერილი ზეპირცნობების მიხედვით.

³⁶ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 1905, 4047, 5317; ფ. Sd, №№ 1243, 1570; დოკუმენტები. I. გვ. 432, № 602; გვ. 460, № 649.

³⁷ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1141, 1467; დოკუმენტები. I. გვ. 435—436, № 608.

³⁸ ვახუშტი. აღწერა. გვ. 760.



წერეთელთა სამფლობელოში, როგორც ზემოთ ვნახეთ მონასტერი შედიოდა: მღვიმევისა და ჯრუჭის. ამ ჰქონდათ მათ საგვარეულო სასაფლაო³⁹.

ეკლესია-მონასტრები საწერეთლოში მრავალ ყმა-მამულს ფლობდნენ, რომელიც შეწირულების თუ სხვა გზით ჰქონდათ შეძენილი. 1777 წ. მღვიმევის მონასტრის დაახლოებით 70 კომლი გლეხი და 10 პარტახი ეკუთვნოდა⁴⁰. ჯრუჭის მონასტრის ყმა-მამულს რიცხვი კი 1809 წ. 105 კომლს შეადგენდა⁴¹. ამ მონასტრის ყმები ჰყავდა: სოფ. სკინდორს, ითხვისს, კილვანს (კილოვანს|კილოანს), შუქრეთს, ზოდს, ქორეთს, მოხვას, ბაჯითს, შქმერს და სხვა⁴² ხოლო მღვიმევის მონასტრის — სოფ. მღვიმევეს, ზედა რვანა, წირქვალს, თაბაგრებს, დარკვეთს, ჩხარს და სხვ.⁴³.

საწერეთლოში ძირითადად წერეთლების ყმები სახლობდნენ. მართო ზურაბ წერეთლის ყმათა რაოდენობა XIX ს. დამლევს (1806 წ.) ერთი ცნობის მიხედვით, 1000 კომლს უდრიდა⁴⁴. ეს ცნობა შეიძლება ცოტა გაზვიადებულია, მაგრამ წერეთლები რომ მრავალყმიანი ფეოდალები იყვნენ, ეს სხვა წყაროებიდანაც ჩანს: 1825 წ., როცა ძმები გრიგოლ და სვიმონ წერეთლები გაიყვნენ, სვიმონს წილად ერგო მამრობითი სქესის 1228 „ნახევარი“ სულ, გრიგოლს კი — 8 სულით მეტი. ე. ი. 1236 „ნახევარი“⁴⁵. გრიგოლი და სვიმონი ზურაბის მემკვიდრეები იყვნენ. მის მესამე ვაჟს დავით მიტროპოლიტს (იხ. ქვემოთ) თავისი წილი უთუოდ ადრევე ჰქონდა მიღებული⁴⁶. თუ მის წილსაც ისე ვიანგარიშებთ როგორც სუ-

39 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

40 ქუთ. მეზ. საბ. № 131.

41 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 48—55.

42 იხ. იქვე.

43 ქუთ. მეზ. საბ. № 437.

44 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 5694 (სოლომონ ლიონიძის წერილი ზურაბ წერეთლისადმი). აღსანიშნავია, რომ რაინეგისის ცნობით, მის დროს — XVIII ს. 80-იან წლებში საწერეთლოში სულ 300 კომლი ითვლებოდა (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 37). მაგრამ ეს ცნობა, როგორც სხვა წყაროებიდან ჩანს, მცდარია.

45 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ძველი საბუფის ფონდი, № 232/5-ბ.

გრიგოლმა ზედმეტი 8 სული უთუოდ „საკირნახულოდ“ მიიღო, რიცხვს საერთო საგვარეულო ყმა-მამულის „შემატებაზე“ სხვაზე უფრო გარჯილა.

46 ზურაბ წერეთელს შერთზე ვაყიე ჰყავდა, რომელსაც გიორგი ერქვა. ზურაბ იგი ამ დროს (1825 წ.) დიდი ხნის გარდაცვლილი იყო უძეოდ (იხ. ქვემოთ).

ნონისას, მამინ ზურაბის საკუთრებაში 3693 სული მამრობითი სქესის ანუ 739 კომლი ყოფილა დამრგვალებით (თუ კომლში ხუთ სულს ვივარაუდებთ).

ზურაბის წილი წერეთლების მთავარი შტოს საერთო ყმათა ერთი მესამედი იყო. ორი მესამედი ზურაბის ძმებს — პაპუნას, ბერს და მათ შთამომავლებს ეკუთვნოდათ. ამგვარად, გამოდის, რომ წერეთელთა მფლობელობაში XIX ს. პირველ მეოთხედში მთლიანად 2217 კომლი ითვლებოდა⁴⁷.

ამ თავადური გვარის ყმათა სიმრავლეზე მეტყველებს ისიც, რომ ზურაბ წერეთლის ძმისწულების ქაიხოსროსა და როსტომის მიერ 1825 წელსავე დაგირავებულ ყმათა რიცხვი 1000 სულს შეადგენდა⁴⁸. მათი ყმათა რაოდენობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაგირავებულით არ განისაზღვრებოდა.

წერეთლების ყმა-გლეხები იყვნენ: გაფრინდაშვილები, მჭელიძეები, ფხალაძეები, ძივიძიბაძეები, აბრამიშვილები, მეფარიძეები, შეყლაშვილები, გოგატიშვილები, ტაბატაძეები, კიპარიძეები, ხარშილაძეები, გულიაშვილები, ფოცხვერაშვილები, ქემერტაძეები, კუსიანი, სადუნიშვილები, კაპანაძეები, სამხარაძეები, ჭანკოტაძეები, მეტონიძეები, ჭილაძეები, ქურციკიძეები, მოსაშვილები, ზაბახიძეები||ზამბახიძეები, მარგველაშვილები, ჭმელიშვილები, ვეშაპიძეები, ლურსმანაშვილები, იელიაშვილები, ღამბაშიძეები, მაჭარაშვილები, მჭედლიშვილები, ბულაძეები, ბიწაძეები, ჯალაბაძეები, ფუტყარაძეები, ჩხიკვაძეები, ჩიტორელიძეები, ხითარიშვილები, ცუხიშვილები, ღვინიაშვილები, გონიაშვილები, მჭედლიძეები, ასანიძეები, შამანიძეები, სირაძეები, თათელაშვილები, მაჩაიძეები, გაბრიჭიძეები, კუპატაძეები, მახათაძეები, ჭიტაძეები, ბურძენიძეები, ლაბაძეები, იაკობიძეები, გოქსაძეები, ტოგონიძეები, ბახტურიძეები, ტყემალაძეები, ფიჩხაძეები, გოგილაშვილები, თუშიშვილები, კერკეტიაშვილები, ჯიქურიძეები, მიქელაშვილები, სუხიშვილები, ავზნარაშვილები, ქველაძეები, ნავაძეები, ბრეგვაძეები, ცუცქირიძეები და სხვ.⁴⁹

47 რაინევსის ცნობით, XVIII ს. 80-იან წლებში მთელი არგვეთის (ზემო იმერეთის) მოსახლეობა, სადაც წერეთლების გარდა ყმა-მამულს სხვებიც ფლობდნენ (მეფე, უფლისწული, თავადები, ეკლესია), 2500 კომლს უდრიდა (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 38). მაგრამ ეს ცნობაც მცდარია.

48 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 4215.

49 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 1832, 1905, 2086, 2829, 4047, 4242, 5202, 7677, 9850, 14610; ფ. Sd, №№ 509, 510, 514, 516, 1185, 1194, 1210, 1309, 1311, 1335, 1452, 1555, 1569, 1570; ქუთ. მუხ. საბ. №№ 39, 66, 126; დოკუმენტები.

წერეთლების აზნაურები იყვნენ: აბდუშელიშვილები, კურიბეები, ესტატეშვილები, დავითაშვილები, გომართლები, კურცხალები, იაშვილები, გამყრელიძეები, აბაშიძეები, ქავთარაძეები, მაჭავარიანები, ვაშაძეები, ხატელიშვილები, ცქიტიშვილები, გოდაბრელიძეები, ფალავანდიშვილები, გივიშვილები, გოცირიძეები, ჯოხტაბერიძეები, ოქროშვილები, უზნაძეები, მართებელი, ორჯონიკიძეები, ერთი კომლი ბარათაშვილი თამაზ ითხვისს (სხვა იმერელი ბარათაშვილები სამეფო აზნაურები ჩანან), ჯაფარიძეები, აბულაძეები, ბერიშვილები, მამაცაშვილები, წერეთლები და სხვ⁵⁰.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზნაური წერეთლები (ისე როგორც მრავალი სხვა გვარის აზნაური) ერთობ ყველა სათავადო აზნაური არ იყო. „საძალისხვეის გაღმა მცხოვრები წერეთლები“ სამეფო აზნაურები იყვნენ⁵¹.

ამ სამეფო აზნაურ წერეთელთაგან იყო იმერთა მეფის ალექსანდრე V-ისა და შემდეგ მისი მემკვიდრის სოლომონ I-ის „კარის მწირველი მოძღვარი მღვდელი სვიმონ წერეთელი“, რომელიც იხსენიება 1747, 1755, 1762, 1764, 1765, 1772, 1777, 1780, 1781 წლებში⁵².

სვიმონი დაქორწინებულა იყო ქალელი ავთანდილ აბაშიძის ქალთან. ჰყავდა ერთი ვაჟი — გრიგოლი. „იმ ავთანდილისეული სახლ-კარი.. მიწა-ადგილი“ და სხვ. ალექსანდრე V-მ 1747 წ. სვიმონს უწყალობა. 1772 წ. სოლომონ მეფემაც თავის „ნამსახურ“ მოძღვარს სვიმონსა და მის შვილს გრიგოლს უბოძა ცხრიუკეთს, წინსოფელსა და ჭილვანს ყმა გლეხები — გველესიანები, ყვიბარაძეები, კაპა-

I. გვ. 432, № 602; გვ. 432—433, № 603; გვ. 433—434, № 605; გვ. 434, № 606; გვ. 457—458, № 642; გვ. 459—460, № 648; ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები. I. 1940, გვ. 235—240.

50 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 2161; ფ. Sd, №№ 1185, 1210; ფ. S, № 5369 (ზურაბ წერეთლის არქივი, აზნაურშვილთა „ანაწერი“ საწერეთლოში); ქუთ. მუზ. საბ. № 1285; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 29, № 18; გვ. 66, № 67; დოკუმენტები. II. გვ. 292, № 457; ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები. I. 1940, გვ. 235—240; მასალები საქ. სოც.-ეკონ. ისტორიისათვის. მ. იაშვილის გამოც., გვ. 161, № 48.

51 ხელნაწერთა ინსტ. ფ. Sd, № 1558.

52 იხ. იქვე, ფ. Hd, № 4047; სსცია, ფ. 227 (2), № 89; ქუთ. მუზ. საბ. №№ 39, 73, 128, 435-5, 645, 1767; საქ. სიძე III. გვ. 254, № 267; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 17; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. სა-



ნაძეები, ტყემალაძეები და ერთი სამო პარტახი გველესიახისა⁵³. უფრო ადრე, 1755 წ. 25 აპრილს სოლომონმა „საცა რომ“ სვიმონის გლეხები იყენენ, სამეფო გადასახადებისაგან — საურისა და საუდიეროსაგან გაანთავისუფლან⁵⁴.

სვიმონის შვილი გრიგოლი და მისი შთამომავლობა „მოძღვრისშვილ-წერეთლად“ იწოდებოდნენ⁵⁵.

გარდა იმისა, რომ გრიგოლი, მამასთან ერთად, მოხსენიებულია სოლომონ I-ის 1772 წ. წყალობის წიგნში⁵⁶, იგი გვხვდება აგრეთვე 1799, 1802, 1803, 1806, 1807 წლების დოკუმენტებში⁵⁷. მის მიერ არის დაწერილი სოლომონ II-ის 1802 წ. 10 სექტემბრის წყალობის წიგნი და ზოგი სხვა საბუთი⁵⁸.

მოძღვრისშვილ-წერეთელ გრიგოლს სამი ვაჟი ჰყავდა: დავით, ივანე და ნიკოლოზ. მამასთან ერთად იხსენიებიან ისინი 1807 წ. 21 ნოემბერს⁵⁹.

1819 წ. „მოძღვრისშვილები წერეთელი დავით და ივანე“ გაიყარნენ⁶⁰. მათი გაყარების წიგნებიდან ჩანს, რომ სოლომონ I-საგან ნაწყალობეუ ზემოდასახელებულ უმა-გლეხებს გარდა, მათი „კაცები“ იყვნენ ნადირაძეები, ცერცვაძეები, მაჭარაშვილები. მათივე უმა-გლეხები იყვნენ აგრეთვე ჭიტაძე, ლომოურიძე, კუპატაძე და სხვნი.

ისტორიო მოამბე, 5. 1950, გვ. 171, № 3; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 80, № 85; გვ. 98, № 106; გვ. 133—134, № 145.

სვიმონ წერეთელი რომ პირველად ალექსანდრე V-ის მოძღვარი-მღვდელი იყო, ეს ჩანს თვით სვიმონის 1752—1781 წწ. „ანდერძიდან“ (დედანი), სადაც იგი ამბობს: „...მეფე ალექსანდრეს ვიახელი. მღვდლათ მის ხელში დავეყურთხე და მოძღვრათ დამიყენა, მეკითხა ცოდვა: ის გარდაიცვალა და მის შვილს მეფე სოლომონს ვიახელიო“ (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 133—134, № 145. თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ).

აღსანიშნავია, რომ სვიმონის სიცოცხლეში (1764, 1777, 1781 წლებში) სოლომონ I-ის კარის მწირველ მღვდლებად იხსენიებიან აგრეთვე „წერეთელი გოდერძისშვილი დავით“, ონოფრე ჭაფარიძე და გრიგოლაშვილი (იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 128, 130; საქ. სიძე. III. გვ. 253—254, № 267; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 74), მაგრამ მოძღვრად — მხოლოდ სვიმონი.

⁵³ ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 4047; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 80, № 85; გვ. 133, 145.

⁵⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 98, № 106.

⁵⁵ ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, №№ 4053, 5868, 11086; ქუთ. მუზ. საბ. №№ 29, 923; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 180.

⁵⁶ ხელნაწ. ინსტიტ. ფ. Hd, № 4047.

⁵⁷ იქვე, № 11086; ქუთ. მუზ. საბ. №№ 29, 923; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 180.

⁵⁸ ქუთ. მუზ. საბ. №№ 29, 923, 1021; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 180.

⁵⁹ ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 11086.

⁶⁰ იქვე, № 5868.

⁶¹ იხ. იქვე, №№ 4053, 5868; ქუთ. მუზ. საბ. № 29; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 80, № 85.



წერეთლების აზნაურთა საერთო რაოდენობა XIX ს. დამდეგს დაახლოებით 125 კომლს უდრიდა⁶².

აზნაურები საწერეთლოში, ისე როგორც სხვაგან დასავლეთ საქართველოში, წერილი მფლობელები იყვნენ. მართალია, წერეთელთა ზოგი აზნაური საკმაოდ შეძლებული იყო, მაგალითად, მათ აზნაურებს ბეჟანსა და მის ძმას გოგია აბდუშელიშვილებს გაყოფამდე (1800 წ.) 64 კომლი ყმა გლეხი ჰყავდათ, ჰქონდათ სასახლე, ზვარი⁶³, მაგრამ ასეთი შემთხვევა ხშირი არ არის; აზნაურს უმეტეს შემთხვევაში 5—10 კომლი თუ ჰყავს, ხშირად—თითო-ოროლა ყმა. ზოგი აზნაური სულ უყმოა. ეს განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან შეიმჩნევა. ამ საუკუნის ერთ საბუთში წერეთლების 16 აზნაურიდან მხოლოდ ერთია „მისი გლეხით“ დასახლებული⁶⁴.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ 1815 წ. ზურაბ წერეთელმა თავის აზნაურს (ზაქარია არქიმანდრიტის ძმისწულ ილარიონს) „სააზნაურიშვილო რვა გლეხი“ უბოძა⁶⁵.

წერეთელთა სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული. 1810 წ. შედგენილი სამეფო საურისა და საუდიეროს გადამხდელთა სიაში ამ საგვარეულოს ყმები სრულებით არ ჩანან⁶⁶.

წერეთლები საწერეთლოს საქმეებს თავიანთ მოხელეთა საშუალებით განაგებდნენ. მათ სამოხელეო აპარატში ვხედავთ მოურაეებს, ციხის მოურავს, მოხელეებს ანუ ხელოსნებს, მდივანს და მეციხოვნეებს⁶⁷. საგულისხმებელია აქ აგრეთვე სახლთხუცესის სახელოს არსებობაც⁶⁸.

62 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2161; ფ. Sd, №№ 1185, 1210; ფ. S, № 5369 (ზურაბ წერეთლის არქივი, აზნაურშვილთა „ანაწერი“ საწერეთლოში); ქუთ. მუზ. საბ. № 1285; დოკუმენტები. II. 291—292, № 257; ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ, საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები. I. 1940, გვ. 235—240; მასალები საქ. სოც.-ეკონ. ისტორიისათვის... მ. იაშვილის გამოც. გვ. 161, № 48.

63 ქუთ. მუზ. საბ. № 438-1.

64 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 2161.

65 იქვე, ფ. Sd, № 1547. „რვა გლეხი“ აქ უთუოდ რვა კომლს გულისხმობს.

66 იხ. АКТЫ, IV, с. 256.

67 იხ. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა). თბილისი, 1966, გვ. 204.

68 საწერეთლოში სახლთხუცესის სახელოს არსებობაზე უნდა მივივითებოდეს ზურაბ წერეთლის 1793 წ. „განაწესის“ მე-12 მუხლი : „ჩვენი გამოსავალი



წერეთლების მოურავები და ციხის მოურავები იყვნენ აზნაურები: გოდაბრელიძეები, აბდუშელიშვილები, ჯობტაძეები, გვიისშვილები, ფალავანდიშვილები, აბაშიძეები და მაქავარიანები⁶⁹.

1776 წ. წერეთლების მოურავად დასახელებულია, მაგალითად, კაცია გოდაბრელიძე⁷⁰; 1793 წ. — მისი მოგვარე სვიმონ, ხახუტა აბაშიძე და ბერი ფალავანდიშვილი; 1815 წ. — ივანე გვიისშვილი⁷¹.

ციხის (მოღინახეს) მოურავად 1784—1793 წლებში ჩანს ქაიხოსრო აბდუშელიშვილი⁷².

ხელოსნებად საწერეთლოში, ისე როგორც სხვა სათავადოებში, ყმა გლეხები გვხვდებიან: შეყლაშვილი, ჭილაძე; 1794 წ. კი — დათუკი და კვირიელა ცუცქირიძეები, ხოლო 1815 წ. მხიარული ფხალაძე⁷³.

წერეთლების მდივნებად იხსენიებიან ვინმე გორჯასპი — 1736 წ. და გოგია ოქრომკედლაშვილი (ხუციშვილი) — 1784 წ.⁷⁴

საეკლესიო მსახურთაგან საწერეთლოში ჩანან: არქიმანდრიტი (ჯრუჭის მონასტრისა) — სვიმონ 1776 წ., წინამძღვარი პახუმ — 1784 წ., „ქარის დეკანოზი“ პეტრე — 1776 წ., „ქარის მღვდელი ქავთარაძე გვიის შვილი მაქსიმე“, მღვდელი პეტრე ჭილაძე —

სასახლის მოხელეს მიებაროსო“ (დოკუმენტები. II. გვ. 285, №№ 445). „გამოსავლის მიბარება“ სწორედ სახლთუხუცესის სახელოში შედიოდა.

ამ სათავადოში სავარაუდებელია აგრეთვე ბოქაუღლთუხუცესისა და ბოქაულთა თანამდებობის არსებობაც. მაგალითად, კოსტანტინე ბატონიშვილის საუფლისწულოში (ზემო იმერეთს), რომელიც თავისებური სათავადო იყო, ეხედავთ მის ბოქაუღლთუხუცესს (იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 206).

69 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 2640, 2729, 6327; ქუთ. მუზ. საბ. №№ 110, 166; დოკუმენტები. II. გვ. 292, № 457; ო. სოსელია. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 31. 1954, საბ. №№ 10, 15, 26.

70 ქუთ. მუზ. საბ. № 166.

71 დოკუმენტები. II. გვ. 292, № 457; ო. სოსელია. დასახ. ნაშრ. საბ. № 15.

72 ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., საბ. №№ 10, 15.

73 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 2640, 6327, 14519; დოკუმენტები. II. გვ. 292, № 457.

74 ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., საბ. № 2, 9, 10.

1825 წ., დიაკონი, რომელსაც მდივობაც აქვს შეთავსებულ⁷⁵
1784 წ. და „მაგალობელი ოქროპირ კანდელაკი“ — ამავე წელს⁷⁶



მიუხედავად წერეთლების სახლის წევრთა ერთობისა, მათ შორის უთანხმოება-დაეას არაერთხელ ჰქონია ადგილი, რაც საერთო ყმა-მამულის პირადად მითვისებით თუ კიდევ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული⁷⁶.

გიორგი და სხვა წერეთელთა მიერ ქაიხოსრო, ქველი და ნიკოლოზ წერეთლებისათვის მიცემულ „საფიცროს“ წიგნიდან ჩანს, რომ 1739—1752 წლებში და უფრო ადრეც, მათ „სახლიკაცობაში“ „სამღურავი უნდომლობა და მტრობა“ ყოფილა. მაგრამ მეფე ალექსანდრეს მათთვის „ერთობა და გარიგება უბრძანებია“. თვით წერეთლებიც დარწმუნებულან, რომ ერთმანეთის მტრობა მათი „ოჯახისა და ყმისთვისაც“ „დიდათ საზიანო და წასახდენი იყო“ და აღნიშნულ წლებში ისევ გაერთიანებულან⁷⁷.

მაგრამ ეს ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1768 წ. გიორგი წერეთელი კვლავ „ერთობის და სიყვარულის წიგნს“ აძლევს ქაიხოსრო წერეთელსა და მის შვილებს⁷⁸. ე. ი. წინანდელი ერთობა 1768 წლამდე დარღვეულა.

აღნიშნული წლის ერთობაც მყარი არ გამოდგა. 1776 წ. წერეთლები „მეფის სოლომონის წინ“ კვლავ გაიყარნენ⁷⁹.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ საგვარეულოს წევრები ისევ შეყრილან. ეს ჩანს იქედან, რომ 1793 წ. ზურაბი, ბერი და ქაიხოსრო წერეთლები ერთმანეთს შორის ერთობის გასამტკიცებელ წიგნს დებენ⁸⁰.

ამის შემდეგაც, იმერეთის სამეფოს გაუქმების დროს (1810 წ.), როცა წერეთლების გვარის წარმომადგენელთა უმრავლესობა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სოლომონ II-ეს მიემხრო, ამ საგვარეულოში ისევ დაიწყო უთანხმოება, მაგრამ მას გაყრა არ მოჟოლია. 1816 წ. ემიგრაციიდან დაბრუნებული წერეთლები (ბე-

75 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 2729, 14519; ქუთ. მუზ. საბ. № 166; თ. ს. ს. ლ. ი. ა. დასახ. ნაშრ., საბ. №№ 9, 10, 26.

76 დოკუმენტები. I. გვ. 447—449, № 627; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 91, № 99.

77 იხ. იქვე.

78 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 115, № 126.

79 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1197.

80 დოკუმენტები. II. გვ. 284—285, № 445.



რი, ქაიხოსრო, როსტომი და სხვ.) კვლავ განაგრძობენ სახელმწიფო
 ცებთან ერთობას ზურაბის მეთაურობით⁸¹.

ამრიგად, ისე როგორც სხვა თავადურ გვარებში, წერეთელთა
 სახლშიც ჰქონდა ადგილი ერთობა-განცალკევებისათვის მუდმივ
 ბრძოლას⁸².

წერეთლების სამფლობელოს ორი დიდი სათავადო მეზობ-
 ლობდა: დასავლეთით აბაშიძეებისა და ჩრდილოეთით რაჭის
 ერისთავების. ეს ძლიერი სათავადოები წერეთელთა მიწა-წყალს
 დასაპყრობად უყურებდნენ და ამის გამო უკანასკნელთა და მათ
 შორის ხშირად მტრული დამოკიდებულება იყო. მაგალითად,
 1709—1744 წლებში წერეთლებსა და აბაშიძეებს შორის „სამდუ-
 რავი ჩამოვარტა“, 1752—1784 წლებში კი ისინი ყმა-მამულის გა-
 მო დაეობენ⁸³. გვიანდელი ჩანაწერის მიხედვით მათ შორის კე-
 თილმეზობლური განწყობილება არც შემდეგში ყოფილა: 1819—
 1820 წწ. იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანის ნიკოლოზ
 ფინეზიშვილი-აბაშიძის სახლ-კარის დარბევის მოთავე და მონა-
 წილე ზურაბ წერეთელი და მისი შვილი გრიგოლი იყვნენ⁸⁴.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წერეთლები ქართლის აბაში-
 ძეებსაც არ ინდობდნენ. ზემო იმერეთის სარდალი პაპუნა წერე-
 თელი 1785 წ. ოქტომბერს ომარ ხან ავარიელს ეხმარებოდა ქარ-
 თლის აბაშიძეების სამფლობელო ვახანის ციხის აღებაში. დავით
 იმერთა მეფისაგან ლტოლვილი წერეთელი ამ დროს ომარ ხანის
 ბანაკში იყო. სწორედ პაპუნას მეშვეობით გამოიტყუა გარეთ ომარ
 ხანმა ციხის პატრონი ქაიხოსრო პატას ძე აბაშიძე და წაშება და-
 უწყო. მეციხოვნეებმა ეს ვერ მოითმინეს და ციხის კარები გააღეს.
 ასე ჩაიგდო ხანმა ვახანის ციხე ხელში. ამის შემდეგ აქ საშინელი
 ტრაგედია დატრიალდა. მასში შეფარებული გლეხები ლეკებმა
 გაეღიჯეს, თავად-აზნაურები კი ტყვედ წაიყვანეს. ვახანში დახო-

81 ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., საბ. № 23.

82 თავადურ სახლებს შიგნით ამ ინტერესთა კვილილსა და მისი მიზეზების
 შესახებ საერთოდ, იხ. ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქარ-
 თველოს ისტორიიდან... გვ. 116—117, 199—200, 221—223.

83 დოკუმენტები, I. გვ. 444, № 621; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1183.

84 იხ. А в-е, История бедствий одной семьи, из воспоминаний старого
 кавказца. «Исторический Вестник», т. XCIV. Спб, декабрь, 1903, с. 866—
 867, 870, 881—883.



ცილთა რაოდენობა, ერთი ცნობის მიხედვით, 700 კაცს აღწევდა⁸⁵. ამგვარად, ქართლის აბაშიძეებისა და მათ ყმათა ტყვევნა-ხოცვების პაპუნა წერეთელიც ერია.

აღმოსავლეთით წერეთელთა სათავადოს უშუალო მეზობელი ქართლის სამეფო იყო. ამ სამეფოსთან წერეთლები თავიდანვე კარგ განწყობილებაში ჩანან. ჯერ კიდევ XVI ს. დამლევს, სვიმონ ქართლის მეფის იმერეთში ლაშქრობის დროს, წერეთლები, როგორც ზემოთ ითქვა, მას მიუდგნენ.

მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარშიც, როცა კახთა მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე როსტომ ერთმანეთს ებრძოდნენ, წერეთელთა საგვარეულოს წევრი ზაალ როსტომის მომხრეთა ჯგუფში ყოფილა. ამით აიხსნება ის, რომ იმერეთის მეფისაგან დევნილი ზაალ ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა როსტომ მეფეს „მიაბარა“⁸⁶, რომელმაც როგორც აღინიშნა, 1648 წ. თავის „ერთგულსა და მონდობილსა ყმას წერეთელს ზაალს“ სოფელი თაღვა უწყალობა ზემო ქართლში.

უფრო გვიან იმავე ზაალ წერეთელმა ქართლის მეფე ვახტანგ V-საც (შაჰ ნავაზს) უერთგულა. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ 1661 წელს იმერეთის სამეფოსა და ოდიშს ლაშქრობაში გამარჯვებულმა მეფემ⁸⁷ აღნიშნულ წელს ზემო იმერეთის სარდლობა („ბუჯისწყალს ზედათ, ხრეთიანთ ლიხის მთამდი“) ზაალ წერეთელს უბოძა⁸⁸.

დიდი სამსახური გაუწიეს წერეთლებმა XVII ს. მიწურულს „აგარიანთაგან“ დევნილ ქართლის მეფე გიორგი XI-საც. „ერთგუ-

ამ ჩანაწერზე მიგვიითთა და მისგან მანქანაზე გადმოხეჭილი ტექსტიც თავიანდაკ მოგვაწოდა ვასილ გიორგის ძე აბაშიძე-ფინეზიშვილმა (წარმოშობით სოფ. უბისიდან, აწ თბილისს მცხოვრები, იურისტი, ნიკოლოზ ფინეზიშვილ-აბაშიძის შტოდან).

⁸⁵ იხ. Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. II. СПб, 1886, с. 147; შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. II, 1960, გვ. 90.

⁸⁶ ლევან II დადიანი როსტომ ქართლის მეფის მომხრეთა ჯგუფში იყო, იმერთა მეფე ალექსანდრე III კი — თეიმურაზისა (იხ. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ვამოც. ს. კაჯაბაძისა. საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 240, 259).

⁸⁷ 1661 წ. ვახტანგ V-ემ იმერეთი დაიპყრო და მეფედ იქ თავისი ძე არჩილი დასვა. იხ. ვახუშტი. აღწერა. გვ. 836, 906 (ქრონოლოგიური ცხრილი 1661 წ. ქვეშ).

⁸⁸ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 33, № 22.



ლად მოუდგნენ“ ისინი იმერეთში გადახვეწილ მეფეს და მთავრებსა და სოფნისას „მრავალს დაიხარჯნენ“. ამის „მუქედლო“⁸⁹, — ნახევარი გიორგი XI-ის მიერ ქაიხოსროსა და სხვა წერეთლებისათვის მიცემულ 1697 წ. წყალობის წიგნში, — თუ ღმერთმან კელი მოგვიმართოს“ და ჩვენ ჩვენი „საბატონო დავიჭიროთ“, ყოველწლიურად „ნახევარი საციციანოს მებალახეობა თქუენთვის გვიბოძებიაო“⁹⁰.

ასევე XVIII ს. პირველი მეოთხედის დასასრულს, როცა ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა და „ყიზილბაშსა და ლეკს შუა მტრობა მოხდა“, ზემო იმერეთის სარდალი პაპუნა წერეთელი თავის „თავითა... სახლისკაცითა და ჯარითა“ ვახტანგს მიუვიდა. ასეთი ერთგულებით კმაყოფილმა მეფემ პაპუნას, „სამსახურისა და გარჯილობის“ სანაცვლოდ, 1723 წ. „სურამის ახალსოფელი“ მისცა ქართლში⁹¹.

მალე ამის შემდეგ, ქართლის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის უალრესად გართულების გამო, ვახტანგ VI, როგორც ცნობილია, თავის ქვეყანაში ველარ დადგა. 1724 წ. ოგი ახლობელთა მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გადაიხვეწა. მის ამაღლაში იყო პაპუნას სახლიკაცი „იმერელი ბაიარი“ დავით წერეთელი⁹².

1739 წ. კიდეც მოსკოვში, ვახტანგ VI-ის თანამეცხედრის რუსუდან დედოფლის კარზე ვხედავთ დავითის ბიძაშვილს ავთანდილ წერეთელს.

89 „მუქაფა“, „სამუქფო“ ნიშნავს „საპასუხოს“ (საბა), ე. ი. სამაგიეროს.

90 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, I. გვ. 42—43, № 34.

91 იქვე, გვ. 56—57, № 52. ვახტანგ VI-ის უფრო ადრინდელი, 1712—1717 წლების „ბრძანებით“, „სურამის ქალაში... ოცდაათი საკვამლო მიწა... შიგ მსახლობელის კაცით“ ქაიხოსრო წერეთელმა მიიღო (იხ. იქვე გვ. 50, № 43). ხოლო 1722 წ. ბაქარ მეფემ ახლა „ახალსოფლად“ წოდებული ტერიტორია („სურამის ქალის ბოლოს“) იმავე ქაიხოსრო წერეთელს უწყალობა (იქვე, გვ. 54—55, № 49). შემდეგ კი, როგორც ზემოთ ითქვა, „სურამის ახალსოფელი“ პაპუნა წერეთელს ებოძა.

92 ოთარ გვინჩიძე. ალექსი წერეთელი რუსეთის გენერალური კონსული ბულგარეთში. თბილისი, 1962, გვ. 7.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბულგარეთში ყოფილა სოფელი „წერეთელოვო“, რომელიც „დღემდე ატარებს“ ამ სოფელში „გასულ საუკუნეში დასახლებულ“ ქართველი კაცის გვარს (იხ. ლ. მირიანაშვილი, ხალხური მოღის გამარჯვება. ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1974 წ. 31 ოქტომბერი, № 254 (7188), გვ. 4).



დავით და ავთანდილ წერეთლები შემდეგ რუსეთში დეკრეტული
 ლან. 1742 წ. რუსეთის მთავრობას მათთვის უმა-მამულ-მეფე
 დაბა ხოროლში (უკრაინაში, მირგოროდის მეზობლად) და ისინი იქ
 დასახლებულან. დავითი უმეგვიდროდ გარდაცვლილა, რის შემ-
 დგომ მისი ხოროლის მამული ავთანდილის მფლობელობაში გადა-
 სულა. ალექსანდრე ბუხეს თქმით, „ავთანდილ წერეთელი გვევლი-
 ნება ქართველი თავადების, წერეთლების გვარის რუსულ-მალაორო-
 სიული განშტოების შთამომავალთა წინაპრად“⁹³.

ბოლოს, აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარშიც კარგი
 განწყობილებაა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და ზურაბ
 წერეთელს შორისაც. ამიტომაც უწყალობა მას 1793 წ. ერეკლემ
 სოფელ არადეთი ქართლში⁹⁴.

ამის შემდეგ კიდევ, 1795 წ., კრწანისის ველზე ალა-მაჰმად
 ხანის ლაშქართან ქართველების შეტაკების პირველ დღეს ზურაბ
 წერეთელი ერეკლე II-ის „მეწინავეთა შორის“ იბრძოდა, „რო-
 ნელთა ძალით იძლივნენ სპარსნი...“⁹⁵.

ამრიგად, ქართლის მეფეებთან ურთიერთობის საკითხში წე-
 რეთლები, ისე როგორც აბაშიძეები, ხშირად იმერეთის მეფისაგან
 დამოუკიდებლად, თავიანთი თავადური ინტერესების შესაბამისად
 მოქმედებდნენ.

წერეთლებს ფართო ნათესაური კავშირი ჰქონდათ საქართვე-
 ლოს სამეფო-სამთავრო სახლებთან (ქართლ-კახეთის მეფე გიორგი
 XII-სთან, იმერთა მეფეებთან, დადიანებთან, გურიელებთან) და
 წარჩინებულ ფეოდალურ საგვარეულოებთან (იქ. ქვემოთ).

ნათესაურ კავშირს პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ნა-
 თესაობით შეკრული ფეოდალები გარეშე თუ შინაურ მტრებთან
 ბრძოლაში ერთმანეთს უჭერდნენ მხარს. მართალია, ნათესაობა
 ვერ სპობდა ფეოდალურ შულს და მონათესავე ფეოდალები ხში-
 რად ერთმანეთსაც არ ინდობდნენ, მაგრამ ის მაინც ერთგულების
 ერთგვარი საწინდარი იყო.

⁹³ ცნობები და ციტატა მოტანილია ო. გვინჩიძის დასახ. ნაშრომი-
 დან, გვ. 8—10. რუსეთში დამკვიდრებულ წერეთლების შესახებ იხ. აგრეთვე
 ლ. ჩანტლაძე. დიმიტრი წერეთელი — ფილოსოფოსი და პოეტი, ჟურნ.
 „განთიადი“, № 6, 1977, გვ. 155—156.

⁹⁴ ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 6919; საქ. სიძვ. III. გვ. 297, № 311.

⁹⁵ დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატი ბატო-
 ნიშვილი. ახალი მოთხრობა. გამოც. თ. ლომოურისა, თბილისი, 1941,
 გვ. 23.



ამ მაღალმა ნათესაობამ დიდად შეუწყო ხელი წერეთელთა გავლენის ზრდას და დაწინაურებას იმერეთის სამეფოში.

ქველის შემდეგ, XVII ს. მეორე ნახევარში წერეთელთა გვარის წევრები, როგორც აღინიშნა, მრავლად ჩანან ისტორიის ასპარეზზე და იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ. ალექსანდრე III-ის 1651 წ. ფიცის წიგნს, მაგალითად, ამ საგვარეულოს სამი წარმომადგენელი (დავით, ზაალ, ქაიხოსრო) აწერს ხელს⁹⁶.

მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ არიან იმერეთში წერეთლებზე უფრო წარჩინებული და დიდი ხელისუფლების მქონე თავადები. ასეთებია, მაგალითად, პაპუნა ერისთავი (რაქისა), თეიმურაზ ციხისთავი (ომათმათიძე-ავაიშვილი), სახლთუხუცესი ზურაბ (ჩეიძე?), საზვერელი ჩიჯავაძე, პაატა აბაშიძე, ქაიხოსრო იაშვილი, კახუტა კილაძე, ბოჭალთუხუცესი ფარემიზ (ჩხეიძე?), პაპუნა მხეიძე, ლევან ჩხეიძე, ბაკა აბაშიძე, გიორგი ჩერქეზი, ქაიხოსრო აბაშიძე, ქაიხოსრო ინასარიძე, ოტია ლორთქიფანიძე და სხვ⁹⁷.

მაგრამ წერეთლებიც მალე წინაურდებიან. 1669 წ. ალექსანდრე III-ის მემკვიდრის ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფის ალექსისათვის გაგზავნილ წერილში ამ საგვარეულოს წევრი ზაალ უკვე იმერეთის დიდებულ თავადთა („დიდ ბაიართა“) რიგებში იხსენიება. ამავე დროს მას დიდი თანამდებობა — ზემო იმერეთის სარდლობაც აქვს⁹⁸. იგი არის წერეთელთა სახლის უფროსიც (გვარში ის პირველობს). მისი მოგვარეები (ოტია, დავით, ქაიხოსრო) აღნიშნულ დოკუმენტში მეორეხარისხოვან თავადთა („ბაიართა“) შორის არიან დასახელებული⁹⁹.

ოტია უფრო გვიან ვხედავთ ყუდანათ წერეთელს, რომელსაც 1678 წ. იმერთა მეფე ბაგრატ IV მოსკოვს გზავნის, რუსთ ხელმწიფესთან დიპლომატიური მისიით¹⁰⁰.

XVIII ს. 10-იან წლებში წერეთლების გვარში გამოირჩევა

96 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში. გვ. 193—194.

97 იხ. იქვე. მიაქციეთ ყურადღება ამ დოკუმენტში ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენელთა დასახელების რიგს.

98 Переписка... с. 83.

99 იხ. იქვე.

100 დოკუმენტები. I. გვ. 432, № 602.



ბეჟან წერეთელი. იგი მეფე გიორგის ერთგული ყმა „შექმნილი“¹⁰¹ და მის სიძედაც არის მოხსენიებული¹⁰¹.

განდიდებული თავადების — აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავების საპირისპიროდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადრევე დაიწყო წერეთელთა წამოწევა. უკანასკნელნიც ამ ძლიერი მეზობლებისაგან მიმძლავრების საფრთხემ ცენტრალურ ხელისუფლებას გაუერთგულა. ამიტომაც, რომ იმერთა მეფეები ყმა-მამულთა წყალობას არ აკლებენ წერეთლებს¹⁰².

ამასთან, იყო შემთხვევები, როცა ხელმწიფე უწყრებოდა წერეთელს¹⁰³. ჯერ კიდევ 1648 წ., როგორც ითქვა, ზაალ წერეთელი ვერ შეეწყო იმერეთის მეფეს და იძულებული გახდა ქართლს გადახიზნულიყო. მაგრამ უკმაყოფილება ცენტრალურ ხელისუფლებასა და წერეთლებს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ყოველ შემთხვევაში, ზალის სახლიკაცები 1660 წ. და შემდეგ უზველ წყალობას ღებულობენ იმერთა მეფეებისაგან¹⁰⁴. წერეთელთა გვარიც მხარში უდგას მეფეს დიდ თავადებთან ბრძოლაში. მაგალითად, ძლევაშოსილი არგვეთის თავადის გიორგი აბაშიძის დამარცხებაში (რომელსაც წლების მანძილზე იმერეთის ტახტი მიტაცებული ჰქონდა) გადაწყვეტილი როლი ქველი წერეთელმა შეასრულა: მან დაიპყრო აბაშიძეების საგვარეულო ციხე-სიმაგრე ნავარძეთი 1709 წ. და მეფეს გადასცა. ამით მოელო ბოლო იმერეთში გიორგი აბაშიძის ბატონობას¹⁰⁵. მეფემ გაიმარჯვა მასზე წერეთელთა სახლის „სრულიად ერთგულათ დაშთომითა და მსახურებითა“¹⁰⁶.

ამიტომ დაუდო უთუოდ გიორგი მეფემ ქველი და სხვა წერეთლებს პირობის წიგნი, რომ მათი „მწყალობელი და მოპატივე“ იქნებოდა და შუქრუთსა და სხვაგან ყმა-მამულიც უბოძა¹⁰⁷.

101 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 50, № 44.

102 იხ. იქვე. გვ. 26, № 14; გვ. 26—27, № 15; გვ. 27—28, № 16; გვ. 28, № 17; გვ. 29, № 18; გვ. 30—31, № 20; გვ. 34—35, № 24; გვ. 37—38, № 28; გვ. 39, № 30; გვ. 40, № 31; გვ. 43, № 35; გვ. 50—51, № 44; გვ. 51, № 45; გვ. 53, № 47; გვ. 53—54, № 48 და სხვ.

103 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14040.

104 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 30—31, № 20; გვ. 34—35, № 24; გვ. 37—38, № 28; გვ. 39, № 30 და სხვ.

105 იხ. ვახუშტი. აღწერა, გვ. 869—870, 909 (ქრონოლოგიური ცხრილი 1709 წ. ქვეშ); ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 177—181.

106 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563.

107 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. გვ. 52, № 46. იხ. იქვე აგრეთვე, გვ. 51, № 45; გვ. 53, № 47; გვ. 53—54, № 48.

მაგრამ აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავების წინააღმდეგ მიმართული ცენტრალური ხელისუფლებისა და წერეთლების ეს კავშირი ერთ ხანს ზურაბ აბაშიძემ ჩაშალა. ამ კავშირის დარღვევის მიზნით, მან პაპუნა წერეთელს თავის ასული მიათხოვა და თანაც „ზემო ქვეყნის“ (ზემო იმერეთის) სასარდლოს საქმეებში ჩაუვრევლობის თიცის წიგნი მისცა¹⁰⁸.

ეს იყო მიზეზი, რომ „უკუდგა“ პაპუნა წერეთელი ალექსანდრე V-საგან, როცა იგი ზურაბ აბაშიძესა და გრიგოლ რაჭის ერისთავს ებრძოდა¹⁰⁹. ამისათვის „მოუტდა მეფე პაპუნას და მოაოჯრა საწერეთლო“. ამისთვისვე მოაკვლევინა ალექსანდრემ 1738 წ. ვარციხეს „ღალატად“ მასთან უკვე „დაზავებული“ პაპუნა წერეთელი დავით ზურაბის ძე აბაშიძესთან ერთად¹¹⁰.

მეფემ ახლა წერეთლების ციხის — მოდინახეს დაპყრობაც სცადა, მაგრამ პაპუნას ძემ და სახლიკაცებმა „განამაგრეს ციხე“ და ალექსანდრემ მისი აღება ვერ შეძლო¹¹¹. ეს მოხდა აღნიშნულ წელსვე. ხოლო 1741 წ. ზურაბ აბაშიძემ, რაჭის ერისთავმა და მათმა მომხრეებმა ალექსანდრე V იმერეთიდან გააძევეს და ტახტზე მისი მეტოქე ძმა გიორგი დასვეს¹¹².

აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავთა მძლავრობამ წერეთლები ისევ მეფეს შეარიგა. ხსენებულ წელსვე მათი „სისხლამდე მსახურებითა“ დაიპყრო მეფემ „სამკვიდრებელი თვისი იმერეთი“ და მომაგრდა ტახტზე¹¹³. მაგრამ უფრო ურყევი ერთგულება წერეთელთა სახლმა ალექსანდრე V-ის მემკვიდრის სოლომონ I-ის მიმართ გამოიჩინა.

1752 წ., როცა იმერეთში სოლომონ I გამეფდა, წერეთლების საგვარეულო თუმცა „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ გვარად ითვლებოდა¹¹⁴, მაგრამ აქ ჯერ ისევ აბაშიძეები და რაჭის ერისთავები პირველობდნენ. ქვეყნის მთავარი ციხეები — შორაპანი, ქუთაისი, ცუცხვათი, ბაღდათი — თურქ დამპყრობლებს ეკავათ და იქ მათი გარნიზონები იდგნენ. სხვა, თითქმის ყველა ციხე თავა-

¹⁰⁸ იქვე, გვ. 85, № 91; დოკუმენტები. I გვ. 445—446, № 624.

¹⁰⁹ ვახუშტი. აღწერა. გვ. 889.

¹¹⁰ იქვე, გვ. 889—890, 912 (ქრონოლოგიური ცხრილი 1738 წ. ქვეშ).

¹¹¹ იქვე, გვ. 890.

¹¹² იქვე, გვ. 891, 912 (ქრონოლოგიური ცხრილი 1741 წ. ქვეშ); ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563.

¹¹³ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563.

¹¹⁴ იხ. ვახუშტი. აღწერა. გვ. 35—36.



დებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. სოლომონის მთავარი სახელმწიფო-პოლიტიკური თურქი აგრესორებისაგან ქვეყნის განთავისუფლება, ცენტრალური ხელისუფლების გამტკიცება, მსხვილი თავადების დამორჩილება, ლიხთ-იმერეთის გაერთიანება და ტყვეთა სყიდვის მოსპობა იყო¹¹⁵. ამან მეფის შინაგანი და გარეშე მტრები გააერთიანა: კუთხური ინტერესებით შეზღუდული ძლიერი თავადები მის სამტროდ თურქეთს დაუკავშირდნენ.

აბაშიძეები და რაჭის ერისთავები ომით შეხედნენ სოლომონის ხელისუფლებას. გამეფებისთანავე აჯანყებულმა თავადებმა იგი ტახტიდან ჩამოაგდეს. ამ აჯანყებას, როგორც ცნობილია, მეტაურობდნენ სოლომონის დედა (ლევან აბაშიძის ასული თამარ) და ორი ბიძა — მამუკა და ბაგრატი, რომელნიც მეფობის მიტაცებასა და იმერეთში თავადთა შეუზღუდველი ბატონობის დამყარებას ცდილობდნენ. აჯანყების აქტიური მონაწილენი იყვნენ მეფის პაპა ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი¹¹⁶.

მაგრამ სოლომონმა მალე (1753 წ.) შეძლო თავისი ხელისუფლების აღდგენა. ამაში, წულუკიძეებთან, ჯაფარიძეებთან, იაშვილებთან, აგიაშვილებთან და სხვებთან ერთად, მტკიცედ უჭერდნენ მას მხარს წერეთლები¹¹⁷.

სოლომონის შინაგანი და გარეშე მტრები ვერ ისვენებდნენ: მისი პოლიტიკით უკმაყოფილო თურქეთის სულთანმა, როცა 1765 წ. ურჩი ვასალის დასამორჩილებლად ახალციხის ვალი (მმარ-

115 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. I (უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე). დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 354 (ქვემოთ: საქართველოს ისტორია. I. დამხმარე სახელმძღვანელო).

116 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563; ვახუშტი. აღწერა, გვ. 914 (ქრონოლოგიური ცხრილი 1753 წლის ქვეშ); პაპუნა ორბელიანი. ამავეი ქართლისა. ქართლის ცხოვრება. II. გამოც. ჩუბინოვისა, სპბ., 1854, გვ. 443; შ. ბუჩქაძე. სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XII. 1950, გვ. 73—74.

სოლომონ I ტახტიდან ჩამოაგდეს 1752 წელსვე. ვახუშტი კი ამ ფაქტს, არაწორად, 1753 წ. ქვეშ უჩვენებს (იხ. მისი აღწერა, გვ. 914, ქრონოლოგიური ცხრილი). ამ თარიღის შესახებ იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 95, შენიშვნა 155.

117 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563; ვახუშტი. აღწერა, გვ. 914 (ქრონოლოგიური ცხრილი 1753 წ. ქვეშ).

თველი) ჰასან ფაშა მრავალრიცხოვანი ჯარით იმერეთში შემოსვლას გამოგზავნა, მას თან მოყვებოდა ტახტის მაძიებელი სოლომონის ბიძაშვილი — თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილი, რომელიც მეფედ დაპყრობის შემთხვევაში თურქეთის მთავრობას სოლომონის მიერ აკრძალულ ტყვეთა ყიდვის აღდგენას პირდებოდა. ჰასან ფაშას გამოჩენისთანავე ეახლა თავისი ლაშქრით რენეგატ¹¹⁸ თავადი როსტომ რაჭის ერისთავიც¹¹⁸.

მტრის სიმრავლემ სძლია: ოცდათერთმეტი დღის ალყისა და განუწყვეტელი იერიშის შემდეგ სვერის ციხე აიღეს 1776 წ. სექტემბერს¹¹⁹. სოლომონი ძლევამოსილ მტერს გაერიდა. თურქებმა „დაიპყრეს სამკვიდრებელი მისი“. ხოლო იმერეთის მეფედ თეიმურაზ ბატონიშვილი დასვეს. ამავე დროს მტერი სოლომონის ხელში ჩაგდებას ცდილობდა: „ეძიებდეს სასიკვდილოდ ნიადაგ“ და „იქმნა მეფე ულონო ყოვლის გზით“¹²⁰.

ამ განწირულების დროს წერეთლების სახლმა ფასდაუღებელი სამსახური გაუწია სოლომონს. „დამალა მეფე ესე... წერეთელმან ქაიხოსრომ... ციხესა შინა თვისსა“ მოდინახეს და „იყო ეამ რაოდენიმე ფარულად“¹²¹.

ეს ციხე გახდა ახლა სოლომონის სამხედრო ბაზა. აქედან უკავშირდება იგი თავის ძირითად საყრდენ ძალას — წვრილ თავადებსა და აზნაურებს.

ამ დროს წერეთელთა გვარის უფროსი ქაიხოსროა (გვარს ის მეთათურობს). დიდად ილწვის იგი მეფის საქმის გამოსწორებისათვის. 1766 წ. მიწურულს სოლომონის დავალებით ქაიხოსრო რუსეთის სამხედრო წარმომადგენელთან, ყიზლარის კომენდატთან მიემგზავრება, რომელსაც მეფე პორტასთან შუამდგომლობას ან

118 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია... გვ. 10; მოსკოვის АВПР МИД СССР, ф. «Сношения России с Турцией», д. № 339, лл. 53, 54. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებაში დაცული პირი, საქმე № 12, გვ. 1; საქმე № 15, გვ. 2; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I. Под ред. А. А. Цагарели, Спб., 1891, с. 15—17.

119 Грамоты... I, с. 16; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 97.

ერთი ქართული ცნობის მიხედვით, ჰასან ფაშას ლაშქრის რაოდენობა 80 000 აღწევდა (Грамоты... I, с. 15—16), რაც, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია.

120 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია... გვ. 10, 53; Грамоты, I, с. 16.

121 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563.



თავშესაფარს თხოვდა იმ შემთხვევისათვის, თუ იგი თურქეთის სალოდნელ ახალ თავდასხმას ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა და იმერეთის მეფისათვის დახმარების გაწევა შესაძლებლად არ ცნო¹²².

ამასობაში მალე სხვა გამოსავალი მოიძებნა. 1767 წ. ქაიხოსროს უმცროსმა ძმამ ნიკოლოზმა დაქირავებული „ლეკის ჯარი მოჰკვარა“ სოლომონს და „მოქმედებითა ქაიხოსრო წერეთლისათა“ მეფემ „დაიპყრო იმერეთი“¹²³ 1768 წ. პასან ფაშას მიერ მეფედ დასმული თეიმურაზ ბატონიშვილი სოლომონმა შეიპყრო და მუხურის ციხეში გამოკეტა. იქიდან ის ცოცხალი არ გამოსულა¹²⁴. 1769 წ. მან ხელთ იგდო როსტომ რაჭის ერისთავიც და მასაც თავისი მიუზღო¹²⁵. მისი სამფლობელოს ერთი ნაწილი კი მასთან ბრძოლაში დიდად დამსახურებულ წერეთლებს უბოძა (იხ. ზენოთ). ასე მიიღო წერეთელთა სახლმა ყმა-მამული რაჭაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ წერეთლების საგვარეულოს ერთმა შტომ სოლომონ I-ის მიმართ ორგულობა გამოიჩინა: სახლთუხუცეს დავით აბაშიძის ინიციატივით 1778 წ. მეფის წინააღმდეგ მოწყობილ თავადურ აჯანყებაში მონაწილეობას ლებულობდნენ ძმები — ბეჟან, ვახუშტი, გიორგი, დოსითეოს და ქველი წერეთლები. ამიტომაც, როცა სოლომონმა აჯანყება ჩააქრო, მისი მონაწილე წერეთლები ერთ ხანს სამკვიდრებლიდან აპყარა¹²⁶, მაგრამ მეფემ, როგორც ჩანს, მალე აბატია მათ დანაშაულის ყოველ შემთხვევაში გვიან ისინი დაწინაურებული ჩანან (იხ. ქვემოთ).

მრავალ ყმა-მამულის ბოძებასთან ერთად, სოლომონმა წერეთელთა სახლის წევრები სამოხელეო ასპარეზზეც წამოსწია. ჯერ კიდევ ადრე, 1755 წ. ზვინდართუხუცესის თანამდებობაზე სვიმონ.

122 Грамоты... I, с. 1—2; Грамоты..., т. II, вып. I. Под ред. А. А. Цагарели, СПб, 1898, с. 7; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 98; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 644.

123 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა, გვ. 53.

124 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 53.

125 იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., I, გვ. 102.

126 შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 132.



წერეთელს ვხედავთ¹²⁷. XVIII ს. 60-იან წლებში კიდევ მეფე თავის „სამსახურზე თავდადებულ“ ნიკოლოზ წერეთელს მებაჯრეთუხუცესობას აძლევს¹²⁸. ხოლო უფრო გვიან, 1778 წ. სახლთუხუცეს დავით აბაშიძის იმერეთიდან გაძევების შემდეგ, მისი სახელო (სახლთუხუცესობა) სოლომონმა ზურაბ წერეთელს მისცა¹²⁹. ასე რომ, წერეთლების აღზევება უმთავრესად აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავების ხარჯზე მოხდა.

მეფის მიერ მრავალგვარად „შეწყალებული“ წერეთლებიც თავდადებით ერთგულებდნენ მას.

დიდად ასახელა სოლომონი წერეთელთა სახლმა რუხის ბრძოლაში.

იმერეთის ციხეებიდან თურქთა განდევნის, ჩხერთან დამარცხებისა (1774 წ. 6 თებერვალს)¹³⁰ და რუსეთ-თურქეთს შორის დადებულ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის¹³¹ შემდეგ, თურქეთის მთავრობა კარგად ხედავდა, რომ იმერეთის სამეფო ხელიდან ეცლებოდა და ოდიშის სამთავროში ცდილობდა თავისი პოზიციების გამაგრებას, რათა სოლომონის გავლენა იქ არ გამტკიცებულყო.

ასეთ ვითარებაში თურქეთმა ხელი შეუწყო აფხაზ „ბატონების“ — ქელაიშ-ბეგ, ბექირ-ბეგ, ზურაბ- და ლევან შარვაშიძეების ლაშქრობას დადიანის წინააღმდეგ, რომელნიც მისი სამფლობელოს შიტაცებას ლაშობდნენ¹³². აფხაზ-ჯიქ-ალანთა და სხვათა 12 ათასი ლაშქრით შარვაშიძეები ოდიშის სამთავროსკენ დაიძრნენ. კაცია დადიანმა დახმარება იმერთა მეფეს სთხოვა.

სოლომონმა სწორად შეიცნო მტრის ზრახვები და თავის ჯარით სწრაფად მიემგებოდა დადიანს¹³³. მეფის ჯარს პაპუნა წერეთელი სარდლობდა. ამ ჯარში იყო პოეტი ბესიკ გაბაშვილიც. ბრძოლა მოხდა 1779 წ. მიწურულს¹³⁴ სოფელ რუხში (ზუგდიდთან ახლოს),

127 იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 6.

128 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 127—128, № 141.

129 იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 191, შენიშვნა 208.

130 Грамоты. I, с. 401—403.

131 1774 წ. 10 ივლისს.

132 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 180.

133 იქვე.

134 ნიკო დადიანის ცნობით, რუხის ომი 1780 წ. მოხდა (იხ. იქვე). ქართულ საისტორიო ლიტერატურაშიც აღნიშნულ ომის თარიღად ეს წელი იყო მიღებული. მაგრამ სოლომონ I-ის მიერ ამ ბრძოლაში მისი „ბაიარახტარის“ ქაიხოსრო

რომელიც იმერეთ-ოდიშის ჯარის სახელოვანი გამარჯვებით
თავრდა¹³⁵.

რუხის ომში დიდად გამოიჩინა თავი იმერთა ჯარის „სპასა-
ლარმა“ პაპუნა წერეთელმა. მისი ვაჟყაცობა-შემართებით ალტა-
ცებული ამ ომის თვითმხილველი და მონაწილე ბესიკი თავის
ცნობილ ოდაში („რუხის ბრძოლაში“) ასე მიმართავს მას:

„აწ შენი მსურს ქების კონვა, ვინ სარდლობდი, წერეთლო!
მაშინ ჰგავდი მებთა ტეხას, ჯგუფთა, რაზმთა განბნეველო,
ელვის სახელ მტერთა თვალის დამხუჭებო, შემზარველო,
და გმირის ხმითა დამქუხებო, თხემთატვისის დამთხეველო!

შაბაშ, შაბაშ შენდა! ვაშა! თუმცა გამეე ვერა და,
შენი გვესმა მცირე ცეცხლი, დიდთა ხეთა მწველაღია;
ისპად მსროლი თოფისა და ლეკურის ხარ ბელაღია —
და ბრძენთა ენამ როდეს გაქოს ყოველთვის შესაფერაღია“?¹³⁶.

უთუოდ პაპუნას ასეთი სამაგალითო გმირობისა და ერთგუ-
ლების გამო იყო, რომ სოლომონმა რუხის ომის ნადავლი —
მტრის ორი ზარბაზანი წერეთლების საგვარეულო ციხეს, მოდი-
ნახეს მიუძღვნა¹³⁷.

ლაშხიშვილისათვის მიცემულ 1779 წ. 11 დეკემბრის წყალობის წიგნიდან ჩანს,
რომ ეს ომი ამ დროს უკვე მომხდარი ფაქტია (იხ. ს. კაკაბაძე, იმერეთის
საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე, 5. 1950, გვ. 174, № 7). ამ
დოკუმენტზე დაყრდნობით, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში
რუხის ომის თარიღად, საცხებით მართებულად (მაგრამ ყოველგვარი კომენტარის
გარეშე), 1779 წ. მიწურულია ნაჩვენები (იხ. გვ. 665, პარაგრაფი 6). აღნიშნული
დოკუმენტის არსებობაზე დასახელებული პარაგრაფის ავტორს, ქ. ჩხატარაი-
შვილს ჩვენ მიუთითეთ.

აღსანიშნავია, რომ რუხის ომის თარიღად თ. ჟორდანიაც 1779 წ. ვარაუ-
დობს (იხ. მისი ქრონიკები. III. გვ. 367, შდრ. იქვე, გვ. 312, 321, 365 და სხვ.).
135 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 180.

136 ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). რუხის ბრძოლა. თხზულება-
თა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედ., მესამე გამოცემა,
ფედერაცია, გვ. 35, სტროფები 43, 45.

137 ერთ მათგანზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ:
„ჩვენ, ყოველთა საიმერეთოსა მეფე სოლომონ დავითიანი, ზუგდიდს რომ აფხაზთ,
ჯიქთ, ალანთ შეეებნით, მაშინ, ღვთის შეწევნით, ეძლიეთ ათორმეტ ათასს კაცსა
და ეს ზარბაზანი და მეორე ამის ტოლი ზარბაზანი, მისის ჯაბახანით გაწყობილი,
თვით ჩემის კელით მე ვიშოვნე და მოდანახის ციხეს ვუძღვენ. აღიწერა მარტის
კ, წელსა ჩღა“ (=20 მარტს 1780 წლისა). იხ. ქრონიკები. III. გვ. 367, შდრ.



წერეთელთა სახლი სოლომონ I-ის ყველა ბრძოლის მონაწილე იყო. წერეთლები ახლდნენ მეფეს 1784 წ. დამდგეს მის უკანასკნელ ქობულეთ-ჩაქვის ლაშქრობაშიც, რომელიც ოსმალო აგრესორებისაგან ქვემო გურიის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ქაიხოსრო წერეთელი სწორედ ამ ლაშქრობას შეეწირა¹³⁸.

წერეთლების წინსვლა გრძელდება სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგაც (1784 წ. 23 აპრილი). დიდი როლი შეასრულეს წერეთლებმა დავით გიორგის ძის გამეფება-დამხობაშიც.

სოლომონს, როგორც ცნობილია, მემკვიდრე არ დაარჩენია. მისი ერთადერთი ვაჟი ალექსანდრე 1780 წ. გარდაიცვალა. იმერეთის ტახტს ორი პრეტენდენტი ჰყავდა: სოლომონის ძმისწული, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი დავით არჩილის ძე და ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. ტახტის მემკვიდრის საკითხზე იმერეთის ფეოდალურ არისტოკრატიაში უთანხმოება გაჩნდა. წერეთელთა საგვარეულოს თავკაცი „ზემო ქვეყნის“ სარდალი პაპუნა, როგორც ზემოთ ითქვა, ბერი წულუკიძესთან ერთად, იყო თავადთა იმ ჯგუფის მეთაური, რომელიც დავით გიორგის ძის კანდიდატურას მხარს უჭერდა. აქ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პაპუნა დავით გიორგის ძის დის — მზეხათუნ ბატონიშვილის ქმარი იყო. მაგრამ მთავარა მანც ის იყო, რომ წერეთელი, ბერი წულუკიძე და სხვა მათი ჯგუფის ფეოდალები დავით გიორგის ძეს თავადთა შეუზღუდველი ბატონობის თანამგრძნობად თვლიდნენ.

ამიტომ „ამ ორთა“ (პაპუნა წერეთელმა და ბერი წულუკიძემ) „მოიწადინეს“ და „იქმნა იმერთა ზედა მეფედ დავით გიორგის ძე“¹³⁹. ეს იყო 1784 წ. 26 აპრილს, სოლომონის გარდაცვალების მეოთხე დღეს¹⁴⁰. მათ „მოწადინებას“ ახლა გადამწყვეტი

შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 132; მ. ნიკოლეიშვილი. ისტორიული მასალები. მასალები. III (ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებული). თბილისი, 1978, გვ. 102—103, № 34.

მეორე ზარბაზნის წარწერა გადასულია. იკითხება მხოლოდ ნაწილობრივ. მაგრამ იგი ზემომოტანილი წარწერის განმეორება ჩანს.

ეს ზარბაზნები ახლა ინახება ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

¹³⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV, გვ. 669. ოღონდ ეს ის ქაიხოსრო წერეთელი არ არის, რომელმაც მტრებისგან დევნილი სოლომონ I მოდინახეს ციხეში დამალა. ის ქაიხოსრო ამ დროს ცოცხალი არ იყო (იხ. ქვემოთ).

¹³⁹ ნიკო და დიანო. ქართველთა ცხოვრება. გვ. 181.

¹⁴⁰ შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. II. 1960, გვ. 82.



მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავების დამცრობის შემდეგ იმერეთში უძლიერესი თავადები წულუკიძეები და წერეთლები იყვნენ. ამ „მოწადინების“ სანაცვლოდ ახალმა მეფემ, როგორც აღინიშნა, პაპუნასა და მის ძმას ზურაბს დაუმტკიცა „ქალაქ ონი“ (თავის ციხესიმაგრით, სახასო ვაჭრებით), სოფელი წედისი და სხვა ყმა-მამული იმერეთსა და რაჭაში¹⁴¹. ამავე დროს მიიღო უთუოდ პაპუნა წერეთელმა მოლარეთხუცესის თანამდებობაც, რომლითაც ვხედავთ მას 1784 წ. 21 ივნისს¹⁴².

ამავე წელს (აგვისტოს მიწურულს) მეფემ ზურაბს მეტად მნიშვნელოვანი მისიაც მიიხანდო: ელჩად წარავლინა იგი, კათალიკოს მაქსიმე აბაშიძესა და მდივანბეგ დავით კვინიხიძესთან ერთად, ეკატერინე II-ის კარზე¹⁴³.

ამგვარად, წერეთლებსა და დავით გიორგის ძეს შორის თავდაპირველად კარგი განწყობილება სუფევდა. მაგრამ დაიწყო თუ არა მეფემ თავისი ხელისუფლების გამტკიცება, ეს განწყობილება მკვეთრად შეიცვალა. წერეთელი და წულუკიძე განუდგნენ მას და მის მეტოქე დავით არჩილის ძეს მიემხრნენ¹⁴⁴.

წერეთელსა და წულუკიძეს უნდოდათ მეფე თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ. მეფე კი თავისი ხელისუფლებისადმი მათ დაქვემდებარებას ცდილობდა. ამ მიზანს ემსახურებოდა მეფის კარზე ქსნის ერისთავის ძის ელიზბარის გაპირველკაცება და სოლომონ I-ის დროს დამცრობილი აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავების სახლთა წამოწევა¹⁴⁵. მაგრამ ამან, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად გაამწვავა მეფესა და წერეთელსა და წულუკიძეს შორის დამოკიდებულება.

141 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1187.

142 იას. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. II. 1940, გვ. 45.

143 იქვე, გვ. 46—49; П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. II. Спб., 1869, с. 137—138; ч. III, Спб., 1869, с. 85; Грамоты, т. II, вып. 2, с. 51.

დავით გიორგის ძე ეკატერინე II-ს წერდა: „სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ავედი და გთხოვთ მიმიღოთ მუარველობაში, როგორც მიღებულა ერეკლე მეფეო“ (იხ. იას. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46).

144 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 183.

145 იას. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 46; Н. Дубровин. История войны... т. II, с. 60, 65; ი. სოსელია. ნარკვევები... I, გვ. 108, 191—192.



განდგომილი თავადები მეფის წინააღმდეგ აჯანყებას იწყებდნენ. პაპუნა წერეთელმა და ბერი წულუკიძემ ლეკოსმალოთა ჯარი „იშოვნეს“ და 1786 წ. დასაწყისს რაჭაში დაბანაკდნენ. აქვე ჰყავდათ გასამეფებლად დავით არჩილის ძეც¹⁴⁶. თავადებმა „ომი უყვეს“ მეფეს. მაგრამ დავითს ოდიშის მთავარი კაცია დაეხმარა და მოწინააღმდეგენი დამარცხდნენ. სარდალი პაპუნა ბრძოლის დროს დაიჭრა¹⁴⁷. მეფის პოლიტიკური მტრები ახალციხის საფაშოში გაიქცნენ.

შოლალატე წერეთელი მეფემ დასაჯა: ჩამოართვა ის ადგილმამული (ონი, წედისი და სხვ.), რომელიც 1784 წ. მხარდაჭერის სანაცვლოდ დაუმტკიცა¹⁴⁸. ჩამოართვა 1786 წ. დამდეგს აგრეთვე საწერეთლოს უფროსობაც და მის ბიძაშვილს ბეჟანს გადასცა¹⁴⁹. წერეთელთა სათავადოს ძირითად ნაწილს მეფე არ შეხებია, რადგან წერეთლები გაუყრელნი იყვნენ და საერთო საგვარეულო მამულის ჩამორთმევა მთელი სახლის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. პაპუნას ძმა ზურაბი კიდევ ამ დროს ელჩად იყო რუსეთში და მასთანაც განწყობილება გაფუჭდებოდა¹⁵⁰.

მაგრამ ზურაბს მეფის მიმართ განწყობილების შეცვლის საფუძველი უამისოდაც ჰქონდა, რადგან მეფემ ისარგებლა რა წერეთლის ელჩობაში ყოფნით. მისი სახელო (სახლთუხუცესობა) 1785—1786 წლებში ზაალ აბაშიძეს გადასცა¹⁵¹.

დავით გიორგის ძის გამარჯვება დროებითი გამოდგა. 1789 წ. იმავე პაპუნას, მისი ძმის ზურაბისა და ბერი წულუკიძის თაოსნობით მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს და, როგორც ზემოთ ითქვა, დავით არჩილის ძე გაამეფეს სოლომონ II-ის სახელით¹⁵².

146 ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 183.

147 იხ. იქვე; დოკუმენტები. II. გვ. 281—282, № 442.

148 იხ. საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 122, № 104. ჩამორთმეული მამულები დავით მეფემ დაუბრუნა წერეთლებს 1786 წელსვე, როცა ზურაბი ელჩობიდან დაბრუნდა (იხ. იქვე).

149 დოკუმენტები. II. გვ. 281—282, № 442.

150 შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 91.

151 ო. ს. ოსელია. ნარკვევები... I. გვ. 191. არ არის მართალი ზურაბ წერეთელი, როცა ერთ თავის მოხსენებაში ამბობს: ელჩობიდან დაბრუნებული „მიმილო მეფემ დავითმა ჩემისვე სახლთუხუცობითო“ (იხ. საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. გვ. 122, № 104).

152 ეს სახელი (სოლომონი) დავით არჩილის ძეს სოლომონ I-ის პატივსაცემად შეარქვეს (იხ. ს. კაკაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფილისი, 1922, გვ. 231).



სოლომონ II-მ გამეფებისთანავე დაუმტყიცა წერეთლებს მამულები, რომელნიც დავით მეფემ ჩამოართვა¹⁵³. გარდა სოლომონმა „სიყვარულით გასჯილ“ თავად წერეთლებს 1789 წელსვე უბოძა „ადგილი პასიეთი და დიდველი“¹⁵⁴, ხოლო შემდეგ — აზნაური გოციირიძეები რაჭაში¹⁵⁵.

ამავე წელს უნდა დაბრუნებოდა ზურაბს დავითის მეფობაში წართმეული სახლთუხუცესობა და ამავე წელს უნდა აღედგინათ წერეთლებს მათა და უნებურად სათაყადოს მმართველობიდან გადაყენებული პაპუნა საწერეთლოს უფროსად.

ახალციხის საფაშოში გადახვეწილი დავით გიორგის ძე სოლომონ II-ის გამეფების შემდეგაც განაგრძობდა ტახტისათვის ბრძოლას. 1790 წ. ლეკ-ოსმალთა ჯარით ყოფილი მეფე ახალციხიდან იმერეთში შემოიჭრა და ზოვრეთს დაბანაკდა¹⁵⁶. სოლომონი დამარცხდა მასთან ბრძოლაში. დავითი ერთ ხანს ისევ მეფედ დაჯდა. მტრისგან ძლეული მეორე სოლომონიც წერეთლებმა შეიფარეს თავიანთ სასახლეში, საჩხერეს¹⁵⁷. ისევ მათი მეცადინეობით, ერეკლე II-ისა და ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის „შეწყენით“ სოლომონმა იმავე წელს აღადგინა თავისი ხელისუფლება¹⁵⁸.

ამრიგად, წერეთლებს დიდი ღვაწლი მიუძღოდათ როგორც პირველი, ისე მეორე სოლომონისა და იმერეთის სხვა ადრინდელ მეფეთა წინაშე. მათგანაც დიდად იყვნენ „შეწყალებულნი“. აჯამებს რა ამ ღვაწლს სოლომონ II, ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისათვის მიცემულ 1805 წ. 26 აპრილის სიგელში, აღნიშნავს: „ძველი მამა-პაპანი თქვენი მამა-პაპათა ჩვენთა და მეფეთა წინაშე რიცხვით ორასზედ უმეტესნი ჯრმლით და თოფით დააკლდნენ სიცოცხლესაო“. ამიტომაც სოლომონ II იმერთა მეფეებისაგან წერეთლებისათვის ნაწყალობევე მრავალრიცხოვან ყმა-მამულს საკმარისად არ თვლის და იმავე სიგელში აცხადებს: „უმეტესისა“

153 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 122, № 104.

154 ხელნაწ. ისტ., ფ. Sd, № 508.

155 იქვე, № 507.

156 ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 185—186.

157 იქვე; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატი ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 21, 62—63.

158 ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 186; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატი ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 21—22, 62—63.



წყალობისა თანამდებ იყო“ თქვენდამი „სახლი სამეფო და ასეთი ბოღიშით უმტკიცებს მათ თავის წინამორბედ მეფეთა მიერ ბოძებულ ყველაფერს¹⁵⁹.

დიდ წარმატებას მიაღწიეს წერეთლებმა სოლომონ II-ის მეფობაში. ყმა-მამულის გარდა, ამ მეფის დროს მათ რამდენიმე ახალი დიდი თანამდებობა მიიღეს: 1791 წ. ბოქაულთუხუცესად ვახუშტი წერეთელს ვხედავთ¹⁶⁰. ამავე წელს მეღვინეთუხუცესის სახელო სვიმონ წერეთელს უჭირავს¹⁶¹. ამ თანამდებობით ჩანს იგი 1803 წელსაც¹⁶². დედოფლის სახლთუხუცესობა 1795 წ. გიორგი ზურაბის ძე წერეთელს აქვს¹⁶³. მისი გარდაცვალების შემდეგ (1804—1805 წწ.) ეს თანამდებობა მის ძმას გრიგოლს უკავია¹⁶⁴. „დედოფლის სახლთუხუცესად“ იხსენიება ის 1810 წ. საბუთშიც¹⁶⁵.

159 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1563.

160 იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5, 1950, გვ. 179, № 12. ეს სახელო ვახუშტის უფრო აღრიდან, ბერი წულუკიძის გარდაცვალებიდან (1789 წ.) უნდა ჰქონოდა (იხ. ზემოთ, წულუკიძეთა სათავადო).

ბოქაულთუხუცესად იხსენიება ვახუშტი გვიან, 1810 წ. 16 ივნისსაც (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1589).

აღსანიშნავია, რომ 1806 წ. 21 ნოემბრიდან მარიამ დედოფლის „სათავისთავო მამულშიც“ „საბოქაულო საქმეს“ ვახუშტი „განაგებდა“ (იხ. იქვე, ფ. Hd, № 6478). ამ დროიდან იგი იყო როგორც მეფის, ისე დედოფლის ბოქაულთუხუცესი („ბატონის მეფისაგან ბოქაულთუხუცესობა ნაბოძები გაქვსთ, ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია“ ეს თანამდებობაო, ნათქვამია ამ დედოფლის მიერ აღნიშნული თარიღით ვახუშტი წერეთლისათვის მიცემულ ზემომითითებულ წყალობის წიგნში).

1807 წ. 9 აპრილის ერთ დოკუმენტში ბოქაულთუხუცესად დასახელებულია აგრეთვე წერეთელთა საგვარეულოს მეორე წევრი ბეჟანიც. მაგრამ იგი კოსტანტინე ბატონიშვილის ბოქაულთუხუცესი ჩანს (იხ. იქვე, № 10172).

161 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 99.

162 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 5317.

163 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 108.

164 დედოფლის ან შეიძლება მეფის სახლთუხუცესი იყო დროებით სვიმონ წერეთელი, რომელიც სოლომონ II-ის 1809 წ. 15 ივლისის წყალობის წიგნში სახლთუხუცესადაა დასახელებული (იხ. ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშ., გვ. 190, № 23).

XIX ს. დამდგეს წერეთელთა გვარში ორი სვიმონი ჩანს: ერთი — ზურაბის ძე, მეორე — გიორგის ძე (იხ. ჯეჯეშვილი). რომელი მათგანია 1809 წ. 15 ივლისის დოკუმენტში მოხსენიებული „სახლთუხუცესი წერეთელი სვიმონი“, არ ვიცი.

165 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 790.

სოლომონ II-ის დროს წერეთლების ხელშია აგრეთვე ჩხეობის, ვარციხის და რაჭის სამოურავოები¹⁶⁶. ამ დროსავე მიიღეს უთუოდ წერეთლებმა მდივანბეგობაც, რომელიც ქაიხოსრო წერეთელს ეჭირა გვიან ხანშიც¹⁶⁷.

ამგვარად, აღნიშნულ პერიოდში იმერეთის სამეფოს სამოხელეო აპარატში წერეთლები იყვნენ გაბატონებული. მაღალ თანამდებობათა დიდი უმრავლესობა (სახლთუხუცესობა, სარდლობა, მდივანბეგობა, ბოჭალთუხუცესობა, მოლარეთუხუცესობა¹⁶⁸, ზეინდართუხუცესობა, მებაჯრეთუხუცესობა¹⁶⁹, მეღვინეთუხუცესობა, მოურავობა) მათ ხელში იყო მოქცეული. ეს სახელოები ეპყრათ წერეთლებს იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე, მდივანბეგობა კი — შემდეგაც.

თუ სოლომონს I-ის მეფობაში წერეთლები დიდად დაწინაურდნენ, მაგრამ ჭერ კიდევ მაინც წულუკიძეები პირველობდნენ. ახლა, მეორე სოლომონის დროს, წერეთლებმა დაიმკვიდრეს იმერეთის სამეფოში პირველობა.

ამ საგვარეულოს წევრსვე ეჭირა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლებაც. „ქუთათელ-კათალიკოს“ მაქსიმე აბაშიძის ქართლს გადასვლის შემდეგ, 1781 წ. ქუთათელ ეპისკოპოსის კათედრა დოსითეოს წერეთელმა მიიღო¹⁷⁰. 1784 წლიდან, როცა მაქსიმე, ზურაბ წერეთელთან და დავით კვინიხიძესთან ერთად, ელჩად გა-

166 იხ. იქვე, № 1578; პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ თ ე ი. დასახ. ნაშრ. გვ. 432.

167 მდივანბეგად იხსენიება იგი 1820 წ. 17 დეკემბერს (ქუთ. მუზ. საბ. № 149) და შემდეგაც (იქვე, №№ 1631, 1776-10. იხ. საბუთთა რუსული მიწაწერები).

168 პაპუნას შემდეგ, 1791 წ. 5 აგვისტოდან მოლარეთუხუცესად იხსენიება გიორგი წერეთელი (დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 99), მაგრამ არა ზურაბის ძე. ამავე თანამდებობით ვხვდებით იმავე გიორგის 1808, 1809 წლებშიც (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14223; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), გვ. 416, № 28).

აღსანიშნავია, რომ 1797 წ. 19 ივლისს ერთ დოკუმენტში გვხვდება აგრეთვე „მოლარეთუხუცესი წერეთელი გიორგი“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6296). მაგრამ ის სხვა გიორგი არის. იგი როსტომ ბატონიშვილის სახლთუხუცესია (იხ. იქვე) და აზნაურ წერეთელთაგან უნდა იყოს.

169 ამ თანამდებობაზე ნიკოლოზ წერეთლის შემდეგ (იხ. ზემოთ) ქველი წერეთელს ვხვდებით 1797 წ. (ქუთ. მუზ. საბ. № 151).

170 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 31. 1945, გვ. 136.



იგზავნა პეტერბურგს, საკათალიკოსოს საქმეებს დოსითეოსის მიერ¹⁷¹, ხოლო 1795 წ. მაქსიმე რომ გარდაიცვალა, დოსითეოსი კათალიკოსად დასვეს და ეს ხარისხი ჰქონდა მას 1814 წლამდე¹⁷².

დოსითეოსმა აკურთხა ხინოს მიტროპოლიტად ზურაბ წერეთლის ძე დავითი¹⁷³.

დოსითეოსი იყო დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი. ეს საკათალიკოსო გაუქმდა აღნიშნულ წელს¹⁷⁴.

დოსითეოსი, ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებთან ერთად, შედიოდა იმერეთის თავკაცთა ჯგუფში, რომელთაც იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების წინადადებით მიმართეს ერეკლე II-ს 1789 წელს*.

1790 წ. გარდაიცვალა „ზემო ქვეყნის“ ანუ ზემო იმერეთის სარდალი პაპუნა წერეთელი¹⁷⁵. მის შემდეგ ამ კუთხის სარდლობა მისმა უხუცესმა შვილმა ქაიხოსრომ მიიღო¹⁷⁶, ხოლო სახლის უფროსად წერეთლებმა პაპუნას ძმა სახლთუხუცესი ზურაბი დასვეს¹⁷⁷.

წერეთელთა ფეოდალურ გვარში განსაკუთრებით გამოირჩევა სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი. იგი, როგორც ვნახეთ, ჯერ

171 იხ. იქვე.

172 იხ. იქვე, გვ. 138—139.

173 დავით წერეთელი სოლომონ II-ის დროსვე (1789—1810 წწ.) აკურთხეს ხინოს მიტროპოლიტად. ყოველ შემთხვევაში 1812 წელს ეს უკვე მომხდარი ფაქტია (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 1 რ.; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. IV, თბილისი, 1950, გვ. 134, შენიშვნა 1; П. Г. Нилюсarov. Очерки из жизни митрополита Давида. Кавказский календарь на 1854 г., с 497)

იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა მიერ ხინოს დაპყრობის შემდეგაც (XVIII ს. მეორე ნახევარი) ატარებდნენ ხინოწმინდელის ხარისხს (იხ. Дм. Бакрадзе АПГА. с. 92; პ. გნილოსაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 497).

174 ბ. ლო მინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

* პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 15—18.

175 ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 186, 241, კომენტარი 450.

176 ეს ქაიხოსრო როგორც იმერთა მეფის „სპასალარი“ პირველად იხსენიება 1791 წ. (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 507).

177 იხ. დოკუმენტები. II. გვ. 284—286, №№ 445, 446. წერეთელთა სახლის უფროსად ზურაბი პირველად 1793 წ. 6 ივნისს ჩანს (იხ. იქვე, გვ. 284—285, № 445). მაგრამ ეს უფროსობა მას პაპუნას გარდაცვალებიდან — 1790 წლიდანვე უნდა ჰქონოდა.



კიდევ სოლომონ I-ის დროს დაწინაურდა და სოლომონ II-ის მეფობის პერიოდში მთელს დასავლეთ საქართველოში მეტად გავრცელებიანი ფიგურა გახდა. მისი დიდი გავლენა მისსავე ყმათა სიმრავლეს ემყარებოდა. ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბს, „შიშობისა“ თუ სხვა დროს, „ოთხმოცამდის“ აზნაურისაგან შემდგარი ამაღა ახლდა¹⁷⁸.

ზურაბი მდიდარი ფეოდალი იყო. მის სიმდიდრეზე მეტყველებს მისი ასულის მაკრინეს მზითვის წიგნი, შედგენილი 1814 წ. 16 დეკემბერს, რომელშიც, მისთვის გატანებულ მრავალ ტანსაცმელს, საყოფაცხოვრებო საგნებსა და სხვა ქონებას შორის, ბევრი ძვირფასეულიც არის ჩამოთვლილი¹⁷⁹.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზურაბმა კარგი მზითვეი გაატანა აგრეთვე მაკრინეს მოახლებებსაც, რომელნიც თან გააყოლა მას¹⁸⁰.

ზურაბის სიმდიდრეს მოწმობს აგრეთვე მისი წერილი, გაგზავნილი 1810 წ. 15 სექტემბერს მისივე შვილთან — გრიგოლთან, საიდანაც ჩანს, რომ ზურაბს „ათასიოდე ოქრო“ ქუთაისში დარჩენილი და ასეთი თანხა მას არაფრად მიაჩნია¹⁸¹.

გარდა ყმათაშეკრებისაგან მიღებული შემოსავლისა, ზურაბის სიმდიდრის წყაროს ვაჭრობაც წარმოადგენდა.

წერეთლების ყმა-ვაჭრები იყვნენ: ხუნდიაშვილები, თუშაშვილები, ხიხინაშვილი, პაპინაშვილი, კრიხელი, ბაინდურაშვილი და სხვ¹⁸².

ზურაბს თავისი ვაჭრები ჰყავდა ქუთაისს, ონს, საჩხერეს¹⁸³, ქუთაისში მას ჰქონდა „ფურნე... საბლი“ და „დუქნებიც“¹⁸⁴. მის

178 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1584. წერეთელთა ამაღა, როგორც წესი, აზნაურებისაგან შედგებოდა. მაგალითად, ზურაბის უმცროს ვაჟს გიორგის, როგორც ერთი დოკუმენტიდან ჩანს, „ოთხი ყმარწვილი აზნაურისშვილები უნდა“ ხლებოდნენ (დოკუმენტები II. გვ. 284, № 445, მუხლი 5).

179 მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის. გამოც. მ. იაშვილისა, გვ. 155—163, № 48.

180 იხ. იქვე, გვ. 161—163.

181 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1470, 1000 ოქრო იმ დროს, შ. ბურჯანაძის გამოანგარიშებით, 3—4 ათას მანეთს შეადგენდა (იხ. მისი თავადი ზურაბ წერეთელი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XX-B. 1959, გვ. 180, შენიშვნა 18).

182 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1578; ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები. ტ. I. 1940, გვ. 235—240.

183 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1187, 1305, 1320, 1578, 1639.

184 იქვე, № 1311; ქუთ. მუზ. საბ. № 85.



ვაჭრებს ფართო ალებ-მიცემა ჰქონდათ გაჩაღებული როგორც ქვემოთა
ყნის შიგნით, ისე მის გარეთაც.

წერეთელთა „იჯარადარნი“ ვაჭრობდნენ დასავლეთ საქარ-
თველოს სხვადასხვა კუთხეებში („ოდიშს, გურიას და ქვემოთ“)
„ლურჯი ლეინით“, რომელიც ამ თავადების „ქალაქ“ საჩხერეში
მზადდებოდა¹⁸⁵.

სტამბოლში კიდევ ზურაბ წერეთელს თავისი „საქონლით“
(ბეწვით თუ სხვით) ვაჭრობა მიწოდებოდა ჰქონდა პავლე მიქია-
შვილისა, გრიქორ ნალბანდიან-ზურაბიშვილისა და ბექან ბაინ-
დურაშვილისათვის¹⁸⁶.

ვაჭრობა წერეთელს დიდ შემოსავალს აძლევდა. ვაჭრობით
მიღებული თანხით იგი ყმა-მამულს ყიდულობდა. ე. ი. ვაჭრობასა
და ფულს თავადი ნატურალური მეურნეობის გაფართოებისათვის
იყენებდა¹⁸⁷.

ზურაბ წერეთელი მევახშეობასაც ეწეოდა. მაგალითად, მან
თავის ყმას ოტიაშვილს ასესხა „ორასი მარჩილი“¹⁸⁸ იმერული თე-
თრი ათი-თორმეტათ სარგებლით¹⁸⁹. ამავე წერეთლისაგან გიორ-
გი კიკნაძემ აიღო სესხად ასი მარჩილი იმ პირობით, რომ წლის
თავზე სარგებელში ოც მარჩილს ან ხუთ „დიდი კოკით“ ლეინოს
მისცემდა¹⁹⁰.

მნიშვნელოვან შემოსავალს ლებულობდნენ წერეთლები სამ-
ლებროებიდანაც, რომელნიც საჩხერეში ჰქონდათ მოწყობილი¹⁹¹.

¹⁸⁵ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1305.

¹⁸⁶ იქვე, № 1164; ფ. H, № 2299, გვ. 1—3.

¹⁸⁷ იხ. მაგალითად, ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1192, 1584, 2011; შ. ბ. ურ-
ჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

¹⁸⁸ მარჩილი რუსული ფულის კურსის მიხედვით, სხვადასხვა დროსა და
იდეგლას სხვადასხვა ოდენობისა იყო. სულხან-საბა ორბელიანი მარჩილს სამ
აბაზად ანგარიშობს (იხ. მისი ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის
რედ., ტფილისი, 1928).

გიულდენშტედტის ცნობით (1772 წ.), მარჩილი შეადგენდა 1 მანეთს (იხ.
მისი მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გვ. 285).

როგორც ს. კაკაბაძე აღნიშნავს, 1810 წელზე „წინანდელი ნორმალური კურ-
სით, მარჩილი უდრიდა სამ აბაზს“ (იხ. მისი იმერეთის საბუთები თარხნობის შე-
ნახებ, საისტორიო მოამბე, 5. 1950, გვ. 166, შესავალი).

¹⁸⁹ ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 5369 (ზურაბ წერეთლის არქივი).

¹⁹⁰ იხ. იქვე.

¹⁹¹ იქვე, ფ. Sd, № 1589; ფ. Hd, №№ 3781, 7670. ერთხანს სამლებროებს აქ
„თვისთვისად“ ფლობდნენ ზურაბ, ვახუშტი და ბექან წერეთლები (იხ. იქვე).

სამღებროებიდან მიღებული მათი საერთო წლიური შემოსავალი 800 მარჩილამდეა სავარაუდებელი¹⁹².

ზურაბ წერეთელს გარკვეული შემოსავალი ჰქონდა ქუთაისის სტამბიდანაც, რომლის „ზედამხედველობა“ 1803 წ. მეფემ მას „არწმუნა“¹⁹³. 1810 წ. იმერეთის სამეფოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, სტამბის მუშაობა ერთ ხანს მოიწაღა. „სტამბის... სახლი აიღეს და საბურეთ დადგეს“¹⁹⁴, ხოლო სტამბა ქუთაისიდან სოფელ წესს (რაჭაში) გადაიტანეს. სადაც 1810, 1811 წლებში დაიბეჭდა ორი წიგნი („სავედრებელი ღვთის ნშობლისა“ და „სადღესასწაულო“) იმავე ზურაბ წერეთლის „ზედამხედველობით“¹⁹⁵.

1811 წლიდან სტამბის მუშაობა წესშიც შეწყდა. მაგრამ ამ საქმით დაინტერესებულმა წერეთელმა ახლა სტამბის მოწყობა თვით თავის ადგილ-სამყოფ საჩხერეში „ინება“. მან მოსკოვიდან გამოიწერა ორასორმოცი თუმნის „სტამბის იარაღები, ტყვია და ქალაღი“, ხოლო სტამბის „გამართვა“ ზაქარია არქიმანდრიტს

¹⁹² 1810 წ. ვახუშტი წერეთელმა თავისი სამღებროები ზურაბისას „შეუერთა“ და მისგან ყოველწლიურად 200 მარჩილი ეძლეოდა (იხ. იქვე, ფ. Hd, № 1589; ფ. Hd, № 3781). ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის სამღებროთა წლიური შემოსავალი ამაზე მეტი არ იყო.

ბეჯანის სამღებროების წლიური შემოსავალი 260 მარჩილს უდრიდა (იქვე, ფ. Hd, № 7670).

ზურაბის სამღებროთა შემოსავლის რაოდენობა თუმცა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ვახუშტისა და ბეჯანის სამღებროების შემოსავლის მიხედვით, დაახლოებით 300 მარჩილამდე უნდა ვიანგარიშოთ ვახუშტის სამღებროთა შემოერთებამდე. შემდეგ კი ზურაბის ხელში გაერთიანებული სამღებროების ყოველწლიური შემოსავალი 500 მარჩილზე მეტი უნდა ყოფილიყო.

¹⁹³ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14758. იხ. აგრეთვე ფ. Hd, № 1205.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია გარკვეული, სოლომონ II-მ ქუთაისში სტამბა დააარსა 1800 წ. (შემონახულია აღნიშნულ წელს ამ სტამბაში დაბეჭდილი „წიგნი ფსალმუნთა“). სტამბის ზედამხედველად პირველად მეფემ ქილიფთართუხუტეკსი როსტომ ნიგარაძე დანიშნა, რომელიც შემდეგ (1803 წ.) სახლთუხუტეკსმა ზურაბ წერეთელმა შეცვალა (იხ. ქრ. შარაშიძე. იმერეთის სტამბის ისტორიისათვის. კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ საქარო ბიბლიოთეკის შრომები. III, 1937, გვ. 39—47, შტრ. პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. სახელმწიფო გამომცემლობა, 1929, გვ. 93—94; А. Г. Пирхелашвили. Имеретия и Гурия в период 1804—1840 гг., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. I, 1942, გვ. 24).

¹⁹⁴ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 1578.

¹⁹⁵ იხ. პ. გუგუშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 95—96; ა. ფირცხელაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

მიანდო. უკანასკნელსა და ზურაბ წერეთელს შორის დადებული პირობის წიგნის მიხედვით, სტამბის მუშაობა წერეთლის ხარჯითა და ზაქარიას ხელმძღვანელობით („ოსტატობით“) უნდა წარმართულიყო. მიღებული მოგების „ორ წილი“ წერეთელს უნდა აეღო, „ერთი წილი“ კი — ზაქარიას¹⁹⁶.

სტამბის მოწყობისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ზურაბის შვილი გრიგოლიც¹⁹⁷.

1815 წ. მაისისათვის საჩხერის სტამბა უკვე ამუშავებული იყო¹⁹⁸. ამ წელს აქ დაიბეჭდა „სამოციქულო“, 1817 წ. კი — „სახარება“ და სხვა წიგნებიც. 1820 წ. საჩხერის სტამბა ისევ ქუთაისში გადაიტანეს¹⁹⁹.

აქ ბეჭდვის საქმეზე ზრუნვას ახლა გრიგოლ წერეთელი განაგრძობს. ამ საქმეში ჩაბმულია აგრეთვე არქიეპისკოპოსი სოფრონოს წულუკიძე. ხსენებულ პირთა შორის 1821 წ. 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, წერეთელს უნდა დაებეჭდა „მეტაფრასი“, ხოლო სოფრონოსს უნდა გაეღო „ოცი ოზმა“²⁰⁰ ქალაქი და მოეხდინა დაბეჭდილი წიგნების რეალიზაცია „ერთი ორ ფასათ“. სასტამბო ხარჯების დაფარვის შემდეგ მოგება შუაზე უნდა გაეყოთ²⁰¹.

წიგნის ბეჭდვა უთუოდ დიდ მოგებას იძლეოდა. ამიტომაც ჰქონდათ „სტამბის სიყვარული“ ზურაბსა და გრიგოლ წერეთლებს. მაგრამ, ამასთან, წერეთელთა სტამბა საქართველოში კულტურისა და განათლების დანერგვის საქმეს ემსახურებოდა.

წერეთლების სიმდიდრის ზრდა ხდებოდა აგრეთვე ძალადობის გზითაც. მაგალითად, სამეფო აზნაური იოვანე წერეთელი თავადმა წერეთლებმა (პაპუნამ, ზურაბმა და სხვ.) „მიიმძლავრეს საკუთრად“. წაართვეს მას „სამკვიდრო მამულიც“ და თვითონ დაინაწილეს. ამის გამო აზნაური წერეთელი 1820 წ. რუსეთის მთავრო-

196 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1547.

197 იხ. იქვე, №№ 1542, 1547.

198 ქუთაისიდან სტამბის ჯერ წესსა და შემდეგ საჩხერეში გადატანის მიზეზი შავი პირი ყოფილა (იხ. პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. გვ. 98).

199 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 96—97.

200 ერთი ოზმა უდრის 20 დასტა ქალაქს ანუ 48 თაბახს (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი. I, II, III წიგნების. ლექსიკონი და სძიებლები შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა, თბილისი, 1958, გვ. 30, ლექსიკონი).

201 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1542.



ბასთან ჩიოდა: „ჩვენი ოჯახი დაქცეული არის თავადის წერტილში“²⁰².

ასევე წაართვა ყმა-მამული ზურაბ წერეთელმა „მოხუცებულობის ყამს სწულვებით შეპყრობილ თავად ბერი ფალავანდი-შვილსაც“. უკანასკნელი ამ ყმა-მამულის დაბრუნების თაობაზე 1811 წ. იმერეთის მმართველ სიმონოვიჩს თხოვდა წერეთელთან შეამდგომლობას.

XVIII ს. მეორე ნახევარში სამეფო აზნაური საჩინო ბარათა-შვილიც წერეთლებს ვალის გადაუხდელობასა და „რვა კომლი ჭობონელიძის წართმევას“ უჩიოდა²⁰³.

„საკუთრად“ იჩემებდნენ წერეთლები საეკლესიო გლეხებსაც²⁰⁴ და ასე მრავლდებოდა მათი ყმა-მამული.

დიდი შემოსავალი ჰქონდათ წერეთლებს თავიანთი სახელოებიდანაც. კერძოდ, ზურაბს სახლთუხუცესის თანამდებობა წლიურად ოც ქესას²⁰⁵ აძლევდა²⁰⁶, ჩხერის სამოურავოდან წელიწადში 800 მარჩილი შემოდოდა, რაჰიდან კიდევ — 1000 მარჩილამდის²⁰⁷. ხოლო სამეფო მიწაზე ვარციხესა და კვახჭირს „საკუთარი ჯოგები“ ეყენა, „ხნავდა, თესავდა და ღალა არ ეთხოვებოდა“²⁰⁸.

ასეთი შემოსავლის მქონე თავადი გამდიდრდა. ამასთან ერთად, გაიზარდა მისი გავლენაც. სოლომონ I-ის დროს დამცრობილი სახლთუხუცესის თანამდებობა ზურაბის ხელში ისევ ამაღლდა. მეფის პირველი ვეზირიც ახლა ამ სახელოს მფლობელი წერეთელი გახდა. მისი თანამედროვეთა სიტყვით, იგი „რამახა უნდოდა, იმერლებს ისე ათქმევინებდა და აქნევინებდა“²⁰⁹.

ზურაბ წერეთლის გავლენას აფართოვებდა ისიც, რომ მან კარგად იცოდა რუსული და თურქული ენები²¹⁰. სოლომონ II-ის კარზე ის იყო თარჯიმან-კომენტატორი და დიპლომატიურ მოლა-

202 იქვე, № 2100; შ. ბურჯანაძე. თავადი ზურაბ წერეთელი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XX-B. 1959, გვ. 181.

230 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1147, 1649.

204 ს. კაკაბაძე. მასალები საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. I. 1928, გვ. 46—47.

205 თითო ქესას 120 მანეთად ანგარიშობდნენ (იხ. АКТЫ, т. IV, с. 415).

206 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1578.

207 იხ. იქვე.

208 იქვე.

209 იხ. იქვე, № 1446.

210 А. Соколов. Путешествие мое в Имеретию... М., 1874, с. 42, 47.

პარაკებათა აუცილებელი მონაწილე²¹¹. იგი იყო „ჭკუითა“²¹² და „წარმოჩენილ“ იმერეთის სამეფოში²¹², ან, როგორც ერთ ჩანაწერშია ნათქვამი, „კაცი... შემოსილი ყოველგვარის დიდებით: თვალტანადობით, ვაყვაცობით, ჭკუით, მეცნიერებით და დიდის შეძლებით.“²¹³.

განდიდებული ფეოდალი ხელმწიფობის ინტერესებმა შეიპყრო. ამ მხრივ წარმატების მოპოვების აუცილებელი პირობა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება იყო. წერეთელმაც ამ მიმართულებით იწყო მოქმედება. ამათ ადრე მეფის ერთგული ვასალი მას გადაამტერა.

მეფესა და წერეთელს შორის უნდობლობამ პირველად იჩინა თავი 1792 წ. ლეჩხუმის საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაჭრაზე ამყარებდა სოლომონ II დადიანის დამორჩილებისა და ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური გაერთიანების იმედებს.

დადიანი მეფის მთავარი მოწინააღმდეგე იყო. მის ირგვლივ იკრიბებოდნენ ქვეყნის გამთიშველი ძალები. დადიანზე შეტევის დაწყებას მეფე ლეჩხუმიდან აპირებდა. საამისოდ ნიადაგის მომზადება (ადგილობრივი გავლენიანი ფეოდალების — გელოვანების, ჩიქოვანების გადმობირება) მან ზურაბ წერეთელს მიანდო და იგი ლეჩხუმს მიავიტინა. წერეთელმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ლეჩხუმელი თავადების მეფის სასარგებლოდ განწყობის ნაცვლად, იქაური ბააკა ჩიქოვანი მეფის წინააღმდეგ ამხედრა. მაგრამ სოლომონმა წერეთლისადმი საიდუმლო მეთვალყურედ მიჩენილი პირისა და თავად როსტომ ნიყარაძის საშუალებით გამოამყვანა ზურაბის თვალთმაქცობა და იგი ლეჩხუმის საქმეს ჩამოაშორა²¹⁴. ამის შემდეგ წერეთელი მეფეს „პირველსავით სანდო ყმათ“ აღარ მიაჩნდა²¹⁵.

ასეთი განწყობილება იყო სოლომონ II-ესა და ზურაბს შორის XVIII ს. მიწურულს.

ამასობაში, მომდევნო საუკუნის დამდეგს ქართლ-კახეთის დამოუკიდებელი არსებობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. რუსეთთან მფარველობითი კავშირის ძიება ქართლ-კახეთის სამეფოს

211 იქვე: შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 182.
212 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 212.
213 იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. H, № 1516, გვ. 1 რ.
214 იქვე, ფ. Sd, № 1142; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 183.
215 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1142.

ინკორპორაციით დამთავრდა. 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთის თვითმპყრობელობამ ქართლ-კახეთის სამეფო „საქართველოს გუბერნიის“ სახელით თავის სამფლობელოს შეუერთა. ამის შემდეგ საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების რუსეთთან შეერთება იყო მხოლოდ დროის საქმე²¹⁶...

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებისათვის. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებისთანავე თვითმპყრობელობა ფრთხილად შეუდგა დასავლეთ საქართველოში ფეხის მომაგრებისათვის ზრუნვას.

ფეოდალური შუილი და წინააღმდეგობა, რომელიც ლიხთიმერეთის სამეფო-სამთავროებსა და სათავადოებს შორის არსებობდა, მეფის რუსეთის მიზნების განხორციელებისათვის აქ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა. თვითმპყრობელობის მოხელეებმაც მოხერხებულად გამოიყენეს ეს პირობები. ამ გარემოებათა წყალობით 1803 წ. 2 დეკემბერს ოდიშის სამთავრო უმტკივნეულოდ შევიდა რუსეთის მფარველობაში²¹⁷.

სულ სხვა ვითარებაში მიმდინარეობდა იმერეთის სამეფოში მეფის რუსეთის ხელისუფლების დამყარება. იმერთა მეფე სოლომონ II თავის უფლებებს იოლად არ თმობდა. ის რუსეთთან კავშირის მომხრე იყო, მაგრამ მხოლოდ 1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე. რუსეთის მთავრობა ამას არ ჯერდებოდა, მას იმერეთის სამეფოს გაუქმება და იქ უშუალოდ თავისი მმართველობის დამყარება უნდოდა. სოლომონი სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძოდა.

თვითმპყრობელობის მიზნებისათვის აუცილებელი იყო იმერეთის მეფის თავიდან მოშორება, მაგრამ ისე, რომ ამას სისხლისღვრა არ მოყოლოდა. ამ საქმის სასურველად მოგვარებისათვის მეფის რუსეთის მოხელეებს საჭიროდ მიაჩნდათ იმერეთის გავლენიან პირთა თავიანთ მხარეზე გადმობირება. ამ დროს იმერეთში „პირველი კაცი“ ზურაბ წერეთელი იყო.

წერეთელსა და იმერეთის მეფეს შორის არსებული უკმაყოფილება უფრო მეტად გაღრმავდა 1801 წ. მიწურულიდან, როცა უკანასკნელმა აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოხვეწილი სო-

²¹⁶ З. Авалов. Присоединение Грузии к России. Спб., 1906, с. 275.

²¹⁷ Акты, II, с. 460—464; მაშია დუშბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბილისი, 1957, გვ. 144—146.

ლომონ ლიონიძე შეიფარა²¹⁸. მეფის რუსეთის მოხელეებისაგან ლტოლვილ ლიონიძეს მეფემ მდივანბეგობა მიანიღო და შემდეგ (1804 წ. 3 ოქტომბერს) ყმა-მამულიც უბოძა²¹⁹. ნიჭიერმა ლიონიძემ მალე მეფეზე დიდი გავლენა მოიპოვა და იმერეთის სამეფო კარზე პირველობა იწყო. აქ ის შეეჭაბა მასზე არანაკლებ ნიჭიერ სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს.

ლიონიძე სახლთუხუცესის „დიდგულობას“ ვერ ითმენდა²²⁰, სახლთუხუცესი კი — შემოხიზნულ ლიონიძის მეფეზე გავლენას და მის გაპირველკაცებას. ლიონიძე საქართველოს მიმართ თვითნაპრობელური რუსეთის ზრახვების აშკარა მოწინააღმდეგე იყო. მეფისა და ლიონიძის პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. მეფე ყველა მნიშვნელოვან საქმეს მას ეკითხებოდა, ენდობოდა და უჭერებდა. პატივმოყვარე წერეთელი ლიონიძის მეფესთან დაახლოებით უკმაყოფილო იყო.

ეს გარემოება ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნიდა მეფის რუსეთის მოხელეებისათვის ზურაბ წერეთელთან დასაკავშირებლად. ასეთ ვითარებაში დაიწყო იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ მოლაპარაკება სოლომონ II-სა და საქართველოს მთავარმმართველ პავლე ციციანოვს შორის. მოლაპარაკება ჭიანჭურდებოდა. მეფე ლეჩხუმის პროვინციაზე თავისი უფლების აღდგენას მოითხოვდა. ციციანოვისათვის ეს მოთხოვნა მიუღებელი იყო...

საკურო იყო მეფეზე გავლენის მოხდენა და მისი დაყოლიება. ეს საქმე ციციანოვმა ზურაბ წერეთელს მიანიღო. უკანასკნელმა გაამართლა ციციანოვის იმედები: „გულსმოდგინება თვისი რუსეთისადმი ცხადპყო“ და „მოსდრიკა მეფე დამტკიცებასა ზედა მის მიერ კელის მოწერილის ტრაქტატისასა“²²¹. ე. ი. იმერეთის სამე-

218 საქ. სიძვ. III. გვ. 569, № 587; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. გვ. 869—870.

219 ეს იყო თავად აბაშიძეების ყოფილი მამული „კაცხი საქალმახე წყლით კაცხურათი“, რომელიც ჩამოერთვათ მათ სოლომონ I-ის დროს (ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 157; შენიშენა 16. იხ. აგრეთვე გვ. 165) და „რაქას წესი სრულად სასახლითა და ეკლესია ბარაკონით, ხიდისკარი... მინდა-ციხე შემომაგალით, რომელიცა ეპყრა უწინარეს როსტომ რაჭის ერისთავს“ და რომელნიც აგრეთვე იმავე მეფის დროს ჩამოერთვა მას (იხ. საქ. სიძვ. III. გვ. 569—572, № 587; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 153, № 127).

220 იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 5694 (სოლომონ ლიონიძის მიერ 1806 წ. 30 ოქტომბერს ზურაბ წერეთელთან გაგზავნილი წერილი).

221 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 131, № 112.

ფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ეს მოხდა 1804 წ. 25 აპრილს.

ამ ერთგულების სანაცვლოდ ზურაბ წერეთელმა იმპერატორისაგან ბრილიანტებით შემკული ოქროს სათუთუნე მიიღო²²².

რუსეთის თვითმპყრობელობის მიზანი, როგორც ითქვა. იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღებით არ განისაზღვრებოდა. მფარველობას აქ იმერეთის მეფის ხელისუფლების გაუქმება უნდა მოყოლოდა²²³, მაგრამ — უსისხლოდ. ამ საქმეში სოლომონ II-სთან დაახლოებულ სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსმა მოხელეებმაც მასთან საიდუმლოდ კავშირი გააბეს და მეფის შეპყრობაც მას დაავალეს²²⁴.

მაგრამ რუს მოხელეებთან წერეთლის კავშირში შეეჭვებულ მეფეს იგი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდა და მას თავის ნების მიხედვით ერთხანს მეფისგან მოცილება აღარ შეეძლო²²⁵. მიუხედავად ამისა, ამ ეჭვის შენელების თუ სხვა გზით, ის მაინც ახერხებდა თვითმპყრობელობის მოხელეებთან კავშირის დაჭერას.

მეფის შეპყრობის მოლოდინში თვითმპყრობელობამ ზურაბ წერეთელს პოლკოვნიკობა მისცა²²⁶. ამას გარდა, მას იმერეთის მმართველობაში პირველ ადგილს, გენერალ-მაიორის ხარისხს და სხვა უხვ წყალობას პირდებოდნენ²²⁷.

მაგრამ წერეთელი მერყეობდა. მართალია იგი რუსული ორიენტაციისა იყო, სოლომონ II-ს მტრობდა, მაგრამ ამავე დროს იმერეთში მეფობის გაუქმებაც არ სურდა. უნდა ითქვას, რომ ფეოდალები, საერთოდ, ებრძოდნენ მეფეს იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი მათ სენიორული დამოუკიდებლობისაგან მისწრაფებას ზღუდავდა. ისე კი ფეოდალის ბუნება აუცილებლად ითხოვდა მეფის ხელისუფლების არსებობას. მეფე იყოს ის ძალა, რომელიც

222 АКТЫ, II, с. 375; III, с. 127.

ეს ძვირფასი საჩუქარი ზურაბ წერეთელს თვით საქართველოს მთავარსარდალმა პავლე ციციანოვმა გადასცა 1804—1806 წლებში (იხ. АКТЫ, III, с. 127).

223 ჭერ კიდეც 1808 წ. 10 თებერვალს იმპერატორი ალექსანდრე I ბრძანებას აძლევდა საქართველოს მთავარმმართველ გუდოვიჩს, რომ იმერეთის მეფე სოლომონი დაუყოვნებლივ მოეშორებინა სამეფოს გამგებლობისაგან და იქ, თავისი ხელმძღვანელობით, იმერეთის დროებითი მმართველობა შეექმნა (იხ. АКТЫ, III, с. 154).

224 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1609, 1621, 1655, 1658.

225 АКТЫ, III, с. 166.

226 1808 წ. მარტს (იხ. АКТЫ, III, с. 156).

227 იხ. იქვე, გვ. 165.

ერთგვარ წონასწორობას ამყარებდა ფეოდალების ძალთა შეფარდებაში. ამიტომ იყო, რომ თავადები გადააყენებდნენ რა ერთ რომელიმე მეფეს, მის ადგილზე მეორეს სვამდნენ.

ზურაბის მერყეობა კარგად შენიშნეს რუსმა მოხელეებმა²²⁸. ეს აშკარად ჩანდა თვით მის მიერ 1810 წ. 22 თებერვალს ტორმასოვთან გაგზავნილი წერილიდანაც, რომელშიც წერეთელი მთავარმმართველს თხოვდა: „ნუ მიაქცევთ ყურადღებას მეფის განუსჯელობას, აპატიეთ მას ღვთაებრივი ლმობიერებით... ნუ წაართმევთ სამეფოს“ და „საქმე მშვიდობით დამთავრდესო“²²⁹.

ამ მერყეობისათვის რუსეთის სარდლობა წერეთელთან ფრთხილად იქერდა თავს და გულახდილობას ერიდებოდა²³⁰.

წერეთლის სულიწკვეთება სწორად შეიცნო სიმონოვიჩმა. 1810 წ. 3 ივნისს იგი ტორმასოვს წერდა: „არა მგონია ის (ზურაბ წერეთელი.—ო. ს.) მთლად ერთგული იყოს ჩვენი... მას საკუთარი სარგებლობა აიძულებს, რომ ჩვენთვისაც იყოს რამდენადმე სასარგებლო“²³¹.

მართლაც, რუსეთთან დამოკიდებულების თუ სხვა საქმეში ზურაბი საკუთარი სარგებლობის მიხედვით მოქმედებდა. მისი ინტერესები საკუთარი სამფლობელოს დაცვასა და პირად გამდიდრებაზე შორს არ მიდიოდნენ²³².

წერეთლის მერყეობითა და ანგარება-ცბიერებით უკმაყოფილო რუსი მოხელეები ერთმანეთთან საიდუმლო მიწერ-მოწერაში მას „ორპირ პიროვნებას“, „ძველ მზაკვარს“, „ყველაზე საშიშ ადამიანს“ ეძახდნენ²³³. გარეგნულად კი იმერეთის ამ „პირველ კაცს“ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და მისგან ბევრ სასარგებლო ცნობებს ღებულობდნენ²³⁴.

ზურაბის მერყეობას, არსებულ ძალთა შეფარდების პირობებში (იმერეთის თავად-აზნაურთა დიდი უმრავლესობა მეფეს

²²⁸ იქვე, გვ. 167; IV, გვ. 366—367.

²²⁹ Акты, IV, с. 231—232; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1658, 1693.

²³⁰ Акты, III, с. 156; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 185.

²³¹ Акты, IV, с. 277.

²³² А в-е, История бедствий одной семьи..., «Исторический Вестник», т. ХСIV, декабрь, 1903, с. 867; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 184.

²³³ Акты, IV, с. 359, 362—364, 376.

²³⁴ საქ. სახ. მუხ. ინტ. დოკუმენტები და არქივები, II, გვ. 131, № 112, Акты, т. IV, с. 290, 344; А в-е, დასახ. ნაშრ. გვ. 867.



უმბრობოდა, ხოლო 1810 წ. დამდეგამდე რუსთა ჯარი იმერეთში
მცირერიცხოვანი იყო), უმთავრესად მეფის გამარჯვებისა და
საწერეთლოს აობრების შიში იწვევდა²³⁵. მაგრამ როგორც კი გა-
ამრავლა რუსეთის სარდლობამ იმერეთში თავის ჯარი და ჩააყენა
წერეთლის მამულში დამცველი სამხედრო რაზმები, ზურაბმა შე-
წყვიტა მერყეობა, იარაღით ხელში მხარში ამოუდგა რუსთა ჯარს
და თავისი ყმებიც იმპერატორის ქვეშევრდომობაზე დააფიცა²³⁶.

1810 წ. დამდეგს, როცა ზურაბ წერეთელი აშკარად ჩადგა
რუსეთის სარდლობის სამსახურში, სოლომონმა გადააყენა იგი
სახლთუხუცესობიდან, ჩამოართვა 300 კომლი ყმა და კოსტანტინე
ბატონიშვილს გადასცა. მეფემ ჩამოართვა ზურაბს აგრეთვე მო-
დინახის ციხე, რაჭის მოურაობა და მის ძმისწულს ქაიხოსრო წე-
რეთელს უბოძა²³⁷. მაგრამ ამ ღონისძიებებს ახლა მეფის საქმის
გამოსწორება არ შეეძლო.

1810 წ. 21 თებერვალს იმპერატორის სახელით ქუთაისში გა-
მოცხადდა საქართველოს მთავარსარდლის გენერალ ტორმასოვის
ბრძანება სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებისა და იმერეთში
რუსული მმართველობის დამყარების შესახებ²³⁸.

რუსთა რაზმებისაგან დევნილ-შევიწროებული მეფე ტორმა-
სოვთან მოსალაპარაკებლად მის მიერ საგანგებოდ მოვლენილმა
შახელემ მოგილევსკიმ და იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა
მთავარსარდალთან შეხვედრაზე დაითანხმეს. სოლომონმა საჯაროდ
ფიცი ჩამოართვა მათ, რომ არ შეიპყრობდნენ, მეფური პატივით
მიიღებდნენ და ტორმასოვთან ქართლის საზღვარზე მოლაპარაკე-
ბის შემდეგ ამავე პატივით უკან გამოისტუმრებდნენ. აღნიშნულ
წლის მარტის მიწურულს მეფე მრავალრიცხოვანი ამალით ქართლს
გაემგზავრა. ტორმასოვმა ანგარიში არ გაუწია დადებულ ფიცს.
მეფე სოფ. დირბში დააპატიმრეს და ასე ჩაიყვანეს თბილისში
ამავე წლის 1 აპრილს²³⁹. აქედან მას რუსეთში გადასახლებას

²³⁵ იხ. АКТЫ, IV, с. 206, 213—214, 231; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 184—185.

²³⁶ ხელნაწ. ინსტ., ფ. 5d, № 169a; АКТЫ, IV, с. 232; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

²³⁷ АКТЫ, IV, с. 214; V, с. 471; შ. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

²³⁸ АКТЫ, IV, с. 233; მამია დუმბაძე, დასავლეთ საქართველო..., გვ. 191.

²³⁹ АКТЫ, IV, с. 248—250; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გვ. 104; მამია დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192.



უპირებდნენ და „დააყენეს ყარაულნი, რათა არა ივლტადნენ საღმე“²⁴⁰.

ამ საქმეშიც რუსეთის მთავრობას ზურაბ წერეთელმა დიდი სამსახური გაუწია. მის „ნებათ“ და „განმზრახად“ იქცეოდნენ მისი საყვარელი ძენი— გრიგოლ და დავით (ხინოს) მიტროპოლიტი²⁴¹. მაგრამ წერეთელთა სახლის სხვა წევრები და თვით სახლთუხუცესის უფროსი შვილი სვიმონი კი მეფის ბანაკში იყვნენ და მისი გამარჯვებისათვის თავდადებით იბრძოდნენ.

ზურაბის ძმისწულის სარდალ ქაიხოსრო წერეთლის ინიციატივით მოეწყო მეფის გაპარვა თბილისიდან ახალციხის საფაშოში (1810 წ. 10 მაისს) და იმერეთის აჯანყება ამავე წელს²⁴². ამ შემთხვევაშიც ზურაბმა დიდად უერთგულა რუსეთის თვითმყრობელობას. მან აცნობა აღნიშნული წლის 17 ივნისს გორის კომენდანტს, რომ იმერლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სოლომონ მეფის შემოყვანა²⁴³. ხოლო, როცა მეფე ოსმალთა რაზმით ახალციხიდან შემოვიდა, მას „მოერთვნენ იმერნი ყოველნივე“ და დაიწყო მღელვარება²⁴⁴, სოლომონის ადრე „სარწმუნოდ საყვარელი“ თავადი ზურაბ წერეთელი მეფის წინააღმდეგ კვლავ იარაღით ხელში გამოვიდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსთა იმ ჯარში, რომელიც აჯანყებულთ ანადგურებდა და იმერეთის მოსახლეობას იმპერატორის „ერთგულებასა ზედა“ აფიცებდა²⁴⁵.

მეფე დამარცხდა. იგი ისევ ოსმალეთს (ტრაპიზონს) გადაიხვეწა. მას თან გაჰყვნენ და სიკვდილამდე ახლდნენ მისი ერთგული წერეთლები — ქაიხოსრო, როსტომი, ბერი, სვიმონ ზურაბის ძე, სვიმონ გიორგის ძე და სხვ²⁴⁶.

240 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 201; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 104.

241 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1554, 1578.

242 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 34—36, 105—106.

243 იხ. АКТЫ, IV, с. 290.

244 1810 წ. ივნისს.

245 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1468, 1477, 1478, 1486; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 201—202.

246 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1691; საქ. სახ. მუხ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 148, № 124; ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 202; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 36—37, 107.

სოლომონ II-ეს დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტია მისი რეთის სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლა. მან სცადა კავშირის დამყარება საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტთან, „რომელიც თავის მხრივ რუსეთის საწინააღმდეგო ძალებს ეძებდა ახლო და შუა აღმოსავლეთში“²⁴⁷.

ამ მიზნით სოლომონმა 1810 წელსვე წარავლინა ახალციხიდან კოსტანტინოპოლში თავისი ელჩი სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, რომელიც თან ახლდა მას ემიგრაციაში. ქაიხოსრომ თურქეთში საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულს გადასცა სოლომონის წერილი²⁴⁸ ნაპოლეონისადმი, რომლითაც მას მეფე თხოვდა რუსთაგან „განთავისუფლებას... ძალითა ანუ მშვიდობითა“ და „მფარველობაში“ მიღებას²⁴⁹. მაგრამ მეფის ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

სოლომონის განდევნის შემდეგ (1810 წ.) ზურაბ წერეთელი ისევ დაეუფლა ჩამორთმეულ მამულებს. ამავე წელს იგი რუსეთის მთავრობამ იმერეთის დროებითი მმართველობის პირველ წევრად დანიშნა²⁵⁰. მომდევნო წელს კი სამაგალითო ერთგულებისათვის იმავე მთავრობამ მას გენერალ-მაიორის ჩინი „ჯამაგირითა“, „წმინდა ანას ორდენი პირველ კლასისა“, წელიწადში ასოცი თუმანი „პენსია“ და დამსახურების „მოწმობა“ მისცა მადლობის გამოცხადებით²⁵¹.

ამ „მოწმობაში“ ვკითხულობთ:

1784—1786 წლებში პეტერბურგში ელჩობის დროს ზურაბმა „განაცხადა მრავალნი საქებურნი გამოცდილებანი კეწმარიტის ერთგულებისა... რუსეთის ტახტისადმი“;

1804 წ. მან თავის „მეცადინეობით“ „მოღრცია მეფე დამტკიცებასა ზედა... ტრაქტატისასა“;

²⁴⁷ ილია ტაბაღაძე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან... თბილისი, 1974, გვ. 15.

²⁴⁸ 1810 წ. 21 ოქტომბრის თარიღით (იხ. იქვე, გვ. 32—33. იხ. იქვე აგრეთვე ამ წერილის ფოტოკოპირი, დანართი, გვ. 64—65, № 4).

სოლომონს ამის შემდეგაც, 1811 წ. 6 იანვარს კვლავ გაუგზავნია ნაპოლეონთან წერილი (იხ. იქვე, გვ. 33, 34, დანართი, გვ. 71—75, № 5, შდრ. ქრონიკები. III, გვ. 476—477).

სოლომონის ამ წერილის შესახებ იხ. აგრეთვე გ. კიდურაძე, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. „მნათობი“, № 1, 1971, გვ. 116.

²⁴⁹ ი. ტაბაღაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 32.

²⁵⁰ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1593, შდრ. იქვე, № 1658.

²⁵¹ იხ. იქვე, № 1610; საქ. სახ. მუხ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II, გვ. 128—134, №№ 110, 112.



ამის შემდეგ კიდევ „წინათვე ატყობინებდა... გენერალ-რიკლოფს ყოველთა არაკეთილმწადნელობითთა განზრახულებათა... მეფისათა“;

მისი შთავგონებით ჩამოშორდა მამია გურიელი შერიფ ფაშას, რომელიც ალყაშემორტყმული ფოთის ციხის თურქთა გარნიზონის საშველად მოდიოდა;

როცა სოლომონ მეფე გადააყენეს, წერეთელმა „არამცირედი ნაწილი იმერეთის ერისა... მოდრიკა რუსეთის მმართველობის მკარზხედ“, შეაკავა თავის „ხელქვეშეთნი“ აჯანყებისაგან და საკუთარი ლაშქრით იმყოფებოდა რუსეთის მხედრობასთან აჯანყებულთა „პირისპირ“;

ზურაბი „იმერეთის ჯარითურთ“ მონაწილეობას ღებულობდა ახალციხის ლაშქრობაში. ჰყავდა აქ მას აგრეთვე „საკუთარი... ხარჯით უმეტეს ასისა კაცისა ქვეითი და ცხენოსანი თვისნი ხელქვეშე იმერლები და წარაჩინა თავი თვისი სამაგალითოფთა ერთგულებითა“²⁵².

ასეთი ღვაწლი მიუძღოდა ზურაბ წერეთელს თვითმპყრობე-ლური რუსეთის მთავრობის წინაშე სოლომონ II-ის განდევნისა და იმერეთის სამეფოს გაუქმებისათვის ბრძოლაში.

ზურაბის გამცემლური მოქმედებით აღშფოთებული მისი ძე სვიმონ წერეთელი 1810 წ. 1 მაისს თავის მამას თბილისიდან სწერდა²⁵³: „აჲა რაღათ მინდა სიცოცხლე! ყოველი კაცი, ქართველი თუ კახელი, თათარი თუ სომეხი, ბერი თუ ერი, ყმაწვილი თუ მოხუცებული ვინც ვნახე, ყველა ასე მეუბნება, რომ რა ქნა ეს მამა შენმაო, ნეფე რომ გასცაო და ეს ხმა რომ საძაველია ხომ იცით და მოგხსენებია: ოცის წლითაც [ადრე] ამოვწყვეტილგიყავით სულყველა ქალებიან-კაცებიანათ და ეს ხმა ჩვენში არ შემოსულიყო ჯობდა ჭეშმარიტათო“...²⁵⁴.

252 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 129—134, № 112.
253 სვიმონი სოლომონის ამაღაში იყო და მისი დაპატიმრების შემდეგ, მეფის გამოსხნის მოლოდინში, ჯერ კიდევ თბილისშია.
254 იხ. იქვე, გვ. 89—90, № 65 (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა (ადრე) ჩვენ მიერ არის ჩამატებული).



ასევე კიცხავს და სოლომონ მეფისათვის თავგანწირვისაკენ მოუწოდებს სვიმონ წერეთელი თავის ძმა გრიგოლსაც მისგან 1810 წ. ტრაპიზონიდან გამოგზავნილ წერილში²⁵⁵.

როგორც ვხედავთ, იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების პერიოდში წერეთელთა თავადური სახლის წევრები ორ ჯგუფად გაიყვნენ და აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. უმრავლესობა (ქაიხოსრო, როსტომ, ბერი, სვიმონ ზურაბის ძე, სვიმონ გიორგის ძე და სხვ.) ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სოლომონ II-ეს მიემხრო. უმცირესობამ (ზურაბ, გრიგოლ, დავით მიტროპოლიტმა) დამოუკიდებლობისათვის სახიფათო ბრძოლას არსებულ მდგომარეობასთან შეგუება, პირადი კეთილდღეობა არჩია და რუსთა სარდლობას დაუჭირა მხარი.

სოლომონის ამალაში მყოფი წერეთლები ხუთ წელს დარჩნენ თურქეთში. ამ ხნის განმავლობაში ზურაბმა, „ეთიარცა გონიერმან მამაკაცმან... შეიმავრა“ წერეთელთა „საერთო ოჯახი დაქცევისაგან“, „გამოზარდა“ ემიგრაციაში მყოფი წერეთლების ცოლ-შვილი „საშინელსა მას დროსა“, როცა იმერეთში შიმშილობა და შავი ჭირი იყო²⁵⁶ და „დაუმდაბლებობისათვის“ თავადური სახლისათვის „კერძი“ ყმა-მამული კონფისკაციისაგან დაიცვა²⁵⁷.

ამ საქმეში მას დიდად ეხმარებოდა მისი ერთგული შვილი გრიგოლი²⁵⁸, რომელიც მამის კვალს მისდევდა და გამდიდრებისთვის ბრძოლაში მას არ ჩამოუვარდებოდა²⁵⁹.

გამდიდრების მიზნით ასიმა გრიგოლმა თავის ეაყი დიმიტრი თავად მერაბ ნიყარაძეს, რომელმაც, მიათხოვა რა წერეთელს 1815 წ. თავისი შვილობილი მაკრინე, მთელი თავისი წილხდომილი ყმა-მამული და სხვა ყოველგვარი ქონება ანდერძით მას დაუმტკიცა²⁶⁰. მაგრამ დიმიტრი მალე ამ ქონების მსხვერპლი გახდა (იხ. ქვემოთ).

²⁵⁵ თურქ. „კრებული“ (აკაკის), № 1, 1900, გვ. 72—73.

²⁵⁶ ეს იყო 1810—1812 წლებში (იხ. П. Гнилосаров. Очерки из жизни митрополита Давида. Кавказский календарь на 1854 г., с. 506—507).

²⁵⁷ მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 193—194, № 23; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 148, № 124.

²⁵⁸ საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 148, № 124.

²⁵⁹ ვაჭრობა-მეფახშეობის საქმეში გრიგოლ წერეთელიც იყო ჩაბმული (იხ. მაგალითად, ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1164, 1316; ფ. Hd, № 3865).

²⁶⁰ ქუთ. მუზ. საბ. № 646.



სოლომონ II გარდაიცვალა 1815 წ. ტრაპიზონში²⁶¹. ამერიკელთა წყევლები სამშობლოში დაბრუნდნენ²⁶² და რუსეთის მთავრობას შეურიგდნენ²⁶³. ამავე დროს, „დავიწყებას“ მისცეს „წარსული უთანხმოებისა საქმენი“, აღმოცენებული პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის ნიადაგზე, რომელიც თურმე რვა წელს გრძელდებოდა მათ გვარში²⁶⁴ და ურთიერთ შორის კვლავ ერთობის წიგნი დადევს. სათავადოს „უფროსობაც“ ისევ ზურაბ წერეთელს მიანდევს²⁶⁵.

1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების დროს, ზურაბს ერთხელ კიდევ მიეცა საშუალება თავისი ერთგულება დაემტკიცებინა რუსეთის მთავრობისათვის. ამ აჯანყების შესახებ მან დაწერილებით აცნობა გორის ოლქის უფროსს. ზოგჯერ კი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, იგი აჯანყებულებსაც „ელაციცებოდა“²⁶⁶. ამასთან, ის რუსეთის მთავრობასაც „ქარზე მომდგარ რისხვაზე“ აფრთხილებდა²⁶⁷. ცდილობდა რა აჯანყების თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, წერეთელი მის მონაწილეებს გამარჯვების შემთხვევაში იმერეთის მეფედ თავისი შვილის გრიგოლის კანდიდატურას თავაზობდა²⁶⁸. ასეთი იყო ზურაბის პოლიტიკა. მიუხედავად ამ ორპირობა-თვალთმაქცობისა, მანაც უფრო „რუსთა ერთგულებდა იგი“²⁶⁹.

იმერეთში ადრე რუსული მმართველობის დამყარების სასტიკი მოწინააღმდეგე სარდალი ქაიხოსრო, სვიმონ ზურაბის ძე და „სხვანიცა წერეთელნი“, ახლა, იმერეთის აჯანყების დროს, ზურაბს ედგნენ მხარში და რუსეთის მთავრობის ერთგულებისათვის თავს არ ზოგავდნენ²⁷⁰.

261 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 205.

262 1816 წ. 20 აგვისტოს მ. ფალავანდოვი ულოცავს გრიგოლ წერეთელს ძმისა და სხვა ნათესაეების სამშობლოში დაბრუნებას (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1390).

263 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 152, № 126.

264 მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 31. 1954, გვ. 193, № 23.

265 იხ. იქვე, გვ. 193—195, № 23.

266 Н. Б. Махарадзе. Восстание в Имерети..., с. 76.

267 იხ. იქვე.

268 იქვე, გვ. 83.

269 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 207.

270 იხ. იქვე.

ამ „შფოთის დამშვიდებაში“ გაწეული სამსახურის გამო პერატორმა გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს 1821 წ. პოდპოლკოვნიკობა უბოძა²⁷¹, მის ძმას სვიმონს — კაპიტნობა²⁷², ხოლო მათ ბიძაშვილს ქაიხოსროს — პოლკოვნიკობა²⁷³. უკანასკნელს გენერალმა ველიამინოვმა აღნიშნული სამსახურისათვის საჩუქრად აგრეთვე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი გამოუგზავნა²⁷⁴.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო წერეთელთა საგვარეულოს ორმა წევრმა — ბუჯანმა და მისმა ბიძამ ქუთათელმა მიტროპოლიტმა, დასავლეთ საქართველოს ყოფილმა კათალიკოსმა დოსითეოსმა²⁷⁵. ამის გამო იგი დააპატიმრეს 1820 წ. და გაგზავნეს რუსეთში. გზაზე გარდაიცვალა იმავე წელს²⁷⁶. დასაფლავებულია ანანურს²⁷⁷.

რუსეთის მთავრობის ერთგულებამ ზურაბ წერეთელს ვერ უშველა. იგი ფიქრობდა ამ ერთგულებით თავის თავადურ ძალაუფლებას გააფართოებდა. მაგრამ მოხდა სავსებით საწინააღმდეგო: რუსეთის ძლიერმა ცენტრალისტურმა სახელმწიფომ, იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად, ბოლო მოუღო თავადურ დამოუკიდებლობასაც.

იმერეთში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით წერეთელთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

271 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1613. გრიგოლმა შემდეგ პოლკოვნიკობა მიიღო. ამ ხარისხით გარდაიცვალა იგი 1843 წ. (იხ. იქვე, ფ. S, № 5371 — ნესტორ წერეთლის არქივი).

272 იქვე, ფ. Sd, № 1613.

273 ქაიხოსრო წერეთელი პოლკოვნიკის ხარისხით პირველად გვხვდება 1822 წ. (იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 1776-1, 1776-3, 1776-8, რუსული მინაწერები). იმერეთის აჯანყების დროს (1819—1820 წწ.), იგი, როგორც ითქვა, „რუსთა ერთგულებდა“ (ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 207). ეს ხარისხი მას, ისე როგორც გრიგოლსა და სვიმონ წერეთლებს, ამ ერთგულებისათვის უნდა მიეღო 1821 წ.

274 ნ. მახარაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 121.

275 იხ. იქვე, გვ. 139—142; ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 206—207.

276 იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია. ტ. II. თბილისი, 1958, გვ. 337. შტრ. ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 139; მისივე, „დოსითეოს ქუთათელი“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, გვ. 627.

277 ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 207.

ზურაბმა დაკარგა პოლიტიკური უფლებები და ის დიდი შემოსავალი, რომელიც მას მეფეების დროს ჰქონდა²⁷⁸. ახალი რეჟიმით უკმაყოფილო წერეთელი ჩიოდა კიდევ რუს მოხელეებთან თავის „უბედურებაზე“²⁷⁹, მაგრამ ახლა ამ რეჟიმთან შეგუების გარდა სხვა გზა არ იყო.

ზურაბი გარდაიცვალა 1823 წ. 28 იანვარს²⁸⁰.

წერეთლების თავადური სახლი ჯერ კიდევ ზურაბის სიცოცხლეში გაიყარა. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ (1816 წ.) მომხდარი წერეთელთა „თანაშეკვრა“ ხანგრძლივი არ გამოდგა. მან მხოლოდ ერთი თუ ორი წელი გასტანა. 1818 წ. 3 სექტემბერს წერეთლები უკვე გაყრილნი არიან და მათ შორის განაწილებულია საერთო საგვარეულო ყმა-მამული²⁸¹.

ზურაბის, მისი ძმის ბერის და ძმისწულების — ჭახოსროსა და როსტომის გაყრის შემდეგ, ერთად დარჩნენ ზურაბის შვილები — სვიმონი და გრიგოლ²⁸². მაგრამ 1825 წ. ისინიც გაიყარნენ²⁸³.

წერეთელთა სახლის ერთი შტო კი (ბეჟან ბეჟანის ძე, ქველი ქველის ძე) 1825 წელსაც განაგრძობდა ერთობას²⁸⁴. მაგრამ „სათვისთავოს“ — ინდივიდუალური საკუთრების განვითარება, რომელიც რუსეთის ეკონომიკის გავლენით ახლა საქართველოში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, საფუძველს აცლიდა ამ ერთობას.

წერეთელთა საგვარეულოს ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელი, როგორც ზემოთ ითქვა, დავით წერეთელია. ვხედებით

278 ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, № 1578.

279 იხ. იქვე.

280 ნიკო და დიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 212; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. II, გვ. 337.

281 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II, გვ. 148—149, № 124.

282 იხ. იქვე.

283 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ძველი საბუთების ფ., № 232-5-ბ.

284 მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების ისტორიისათვის. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 31, 1954, გვ. 198, № 26.

1825 წ. დამდეგამდე მათთან იყო ყმა-მამულით გაერთიანებული მათი ბიძა გიორგი წერეთელიც. აღნიშნული წლის 3 იანვარს იგი გამოეყო თავის ძმისწულებს (ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები. ტ. I, 1940, გვ. 235—240).



მას კოტრიძეთა 1432 წ. სასისხლო სიგელში²⁸⁵. XV ს. მეორე ნახევარში იხსენიებიან წეწია და განონაი წერეთლები²⁸⁶, ხოლო XVII ს. დამდეგს ჩანს ქველი I წერეთელი²⁸⁷. სახლიკაცობის გარდა რანათესაობა იყო დასახელებულ პირთა შორის, ამის დადგენა არ ხერხდება.

შეიძლება ქველი I-ის შვილი იყოს ბეჟან I წერეთელი, რომელიც გვხვდება ალექსანდრე III-ის დროს²⁸⁸. ამ მეფის 1639 წ. წყალობის წიგნებიდან ვგებულობთ, რომ ბეჟან I-ს ოთხი ვაჟი ჰყავდა: ქაიხოსრო (I), ქველი (II), პაატა (I) და ხახუტა²⁸⁹.

ბეჟან I-ის თანამეცხედრე იყო ჩხეიძის ქალი მარეხი²⁹⁰.

ბეჟანის ხსენება აღნიშნული წლიდან წყდება. ამის შემდეგ ის უთუოდ მალე გარდაიცვალა²⁹¹.

ბეჟან I-ის შვილებიდან ყველაზე უფროსი ქაიხოსროა. საბუთებში პირველ რიგში ისაა დასახელებული²⁹².

285 ს. კაკაბაძე. ვახტანგ უცნობი... გვ. 9—10.

286 საქ. სიძვ. II. გვ. 398—399; ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. 1924, გვ. 23—25.

287 ვახუშტი. აღწერა... გვ. 435; იოსებ თბილელი. დიდ-მოურავიანი, გ. ლეონიძის რედ., გვ. 39; არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. II. გვ. 55, სტროფი 476.

288 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I, გვ. 28—29, №№ 17, 18.

289 იხ. იქვე.

290 1660 წ. ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ჩხეიძის ქალი მარეხი ქაიხოსროსა და პაატა წერეთლების დედაა (იხ. იქვე, გვ. 30, № 20). ამ დროს ცნობილი არიან მხოლოდ ბეჟან I-ის ძენი ქაიხოსრო და პაატა წერეთლები. აქედან ცხადია, რომ ჩხეიძის ქალი მარეხი ბეჟან I-ის შვილზეა.

291 ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში (არგვეთის სათავადოების ისტორიიდან, „საწერეთლო“) ბეჟან I წერეთლის მამად შეეცდომით დასახელებულია ქაიხოსრო I, ხოლო II ქაიხოსრო — ამ ბეჟანის ძედ. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ და ქვემოთაც ვნახავთ, I ქაიხოსრო ბეჟან I-ის ძეა, II კი — შვილიშვილი.

ეს შეცდომა თავის დროზე შენიშნა ჩვენმა ოფიციალურმა ოპონენტმა აწ განსვენებულმა შ. მესხიამ. ახლა ჩვენც ვასწორებთ ამ შეცდომას (იხ. ჩვენი დასახ. ნაშრ., ხელნაწერი, 1943, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 130—133 და გენეალოგიური ტაბულა, შდრ. წინამდებარე გვერდები).

292 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 28—29, №№ 17, 18.

ქაიხოსრო ბეჟანის ძე წერეთელების საგვარეულოში I სუბსტრუქტის მქონე რო არის. სხვა ქაიხოსრო ამ გვარში XVII ს. 80-იან წლებამდე არ გვხვდება (იხ. ქვემოთ).

ეს (I) ქაიხოსროა ალექსანდრე III-ის 1651 წ. ფიცის წიგნში წარმოდგენილი ქაიხოსრო წერეთელი²⁹³, ბაგრატ IV-ის 1669 წ. წერილში მოხსენიებული „ბაიარი“ ქაიხოსრო წერეთელი²⁹⁴ და აგრეთვე XVII ს. მეორე ნახევარში ფალავანდიშვილისეული მოდინახეს ციხის შემსყიდველი ქაიხოსრო წერეთელი²⁹⁵.

ქაიხოსრო I-ის თანამედროვეები და მასზე უფრო დაწინაურებული არიან „დიდი ბაიარი და სარდალი“ ზაალ, „ბაიარები“ დავით და ოტია წერეთელები²⁹⁶. მაგრამ სახლიკაცობის გარდა რა ნათესაური კავშირი იყო მათ შორის, არ ვიცით.

ბეჟან I-ის მემკვიდრეობიდან ქველისა და ხახუტას შთამომავლობა არ ჩანს. პაატაც „უშვილო შეიქნა და მისის ნებით“ თავისი უფროსი ძმის ქაიხოსრო I-ის ვაჟი ქველი (III) იშვილა²⁹⁷.

ხოლო ბეჟან I-ის პირშვი შვილს ქაიხოსრო I-ს კი ექვსი ვაჟი ჰყავდა: ბეჟან (II), ქველი (III), პაპუნა (I), ვახუშტი, გიორგი და ქაიხოსრო (II)²⁹⁸.

ქაიხოსრო I-ს ხშირად ვხვდავთ, მის ძმა პაატასა და შვილებთან ერთად, XVII ს. მეორე ნახევრის თარიღიან და უთარილო საბუთებში²⁹⁹.

1691 წ. არჩილ მეფემ სამოურავოდ უბოძა მას „ზემო ქვეყანას (ზემო იმერეთს. — ო. ს.) ხეფინისხევი ...ლიჩი და ლოდორა“³⁰⁰.

293 იხ. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში... გვ. 194.

294 Переписка..., с. 83.

295 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 44, № 37 (ამ საბუთის გამომცემლისეული თარიღი, როგორც ზემოთ ითქვა, შესწორებულია ჩვენ მიერ).

296 Переписка...с. 83.

297 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 37—38, № 28.

298 იქვე, გვ. 26—27, №№ 14, 15; გვ. 34, № 23; გვ. 37—39, №№ 28, 29, 30; გვ. 40, № 31; გვ. 43, № 35; დოკუმენტები. I. გვ. 432—433, № 603.

299 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, I. გვ. 26—28, №№ 14, 15, 16, 17; გვ. 34, № 23; გვ. 37—40, №№ 28, 29, 31; გვ. 40—43, №№ 32, 35; დოკუმენტები. I. გვ. 432—434, №№ 603, 606.

300 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 40—41, № 32.

უკანასკნელად გვხვდება ქაიხოსრო I 1697 წ. წყალობის წიგნში³⁰¹. ამის შემდეგ იგი, ალბათ, მალე გარდაიცვალა.

მისი ძმა პაატა კი 1680 წლის შემდეგ დროინდელ თარიღიან დოკუმენტებში აღარ ჩანს. აღნიშნულ წელს კი ის ჯერ კიდევ ცოცხალია³⁰².

ქაიხოსრო I-ის შვილებიდან წყაროებში უფრო ნათლად ქველი III-ის შტო წარმოგვიდგება.

ქველი III-ეს ოთხი ვაჟი ჰყავდა: პაპუნა (II), ბეჟან (III), ნიკოლოზ და დავითი³⁰³.

თავის შვილებთან ერთად იხსენიება იგი 1709—1744, 1720—1746 წლების დოკუმენტებში³⁰⁴. უკანასკნელად ვხვდავთ მას 1746 წ. ახლო ხანს³⁰⁵.

ქველი III-ის მემკვიდრეობიდან უფრო მკაფიოდ პაპუნა II და მისი შთამომავლობა ჩანს. 1723 წ. პაპუნა II „იმერეთის ზემომხარის“ სარდალია³⁰⁶. ესაა ის სარდალი პაპუნა წერეთელი, რომელიც აღნიშნულ წელს თავისი ჯარით ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის წინაშე „ბევრს გაისარჯა“ და რომელსაც ამავე წელს მეფემ სურამის ახალსოფელი უბოძა ქართლში³⁰⁷.

³⁰¹ იქვე, გვ. 42, № 34.

³⁰² ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 39, № 30.

³⁰³ დოკუმენტები. I. გვ. 444—447, №№ 621, 625, 626; გვ. 472, № 682.

ქველი III-ის უფროსი შვილი პაპუნა II მამასთან ერთად მხოლოდ ერთხელ, 1709—1744 წწ. საბუთშია დასახელებული (დოკუმენტები. I. გვ. 444, № 621). აღსანიშნავია, რომ იმ საბუთში, რომელშიც ქველი III თავის შვილით პაპუნათი იხსენიება, ქველის სხვა შვილები არ გვხვდებიან. დასახელებულია იგი ცალკე თავისი ერთი შვილით პაპუნათი და ცალკე — დანარჩენი შვილებით: ბეჟან, ნიკოლოზ და დავითით (დოკუმენტები. I. გვ. 446—447, №№ 625, 626; გვ. 472, № 672). ამის გამო შეიძლება ორ სხვადასხვა პირად ჩაგვეთვალოს პაპუნა II-ის მამა ქველი და ბეჟან, ნიკოლოზ და დავითის მამა ქველი. ეს მით უფრო, რომ XVIII საუკუნეში წერეთელთა საგვარეულოში, ქველი III-ის გარდა, გვხვდება კიდევ IV ქველიც (პაპუნა II-ის შვილი, ქაიხოსრო V-ის ძმა, ქველი III-ის შვილიშვილი. იხ. ქვემოთ), მაგრამ ეს ქველი (IV) 1754—1769 წწ. „უშვილოთ მოკვდა“ (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 122—123, № 134). ასე რომ, ცხადია, პაპუნა II-ის მამა ქველი და ბეჟან, ნიკოლოზ და დავითის მამა ქველი არის ერთი და იგივე პირი — ქველი III.

³⁰⁴ ზელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 5175; დოკუმენტები. I. გვ. 444—446, №№ 621, 625; გვ. 472, № 672.

³⁰⁵ დოკუმენტები. I. გვ. 472, № 672.

³⁰⁶ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 56, № 52.

³⁰⁷ იქვე.



პაპუნა II-ეს ოთხი ვაჟი ესეა: ბეჟან (IV), ქაიხოსრო (V),
ქველი (IV) და ნიკოლოზი³⁰⁹.

პაპუნა II ზურაბ აბაშიძის სიძე იყო³¹⁰. მას ცოლად ჰყავდა
ზურაბის ასული ქეთევანი³¹¹.

პაპუნა II მოკლულ იქნა ალექსანდრე V-ის მიერ „ღალატად“
1738 წ. ვარციხეში³¹².

პაპუნა II-ის თანამედროვე იყო პაპუნა III წერეთელი, რომელიც იხსენიება 1722—1738 წწ. ერთ ნასყიდობის წიგნში³¹³. მისი დედა იყო ჩიქოვანის ქალი მარეხი. პაპუნა III-ეს ჰყავდა „პატარა“ ძმა ბერი³¹⁴.

308 I ქაიხოსრო, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბეჟან I-ის ძე ქაიხოსროა.

II — წინამძღვარი ქაიხოსრო, შვილი ქაიხოსრო I-ისა, მამასთან, ქაიხოსრო I-თან, ერთად არის დასახელებული 1680 წლის ახლო ხნისა და 1682—1695 წწ. საბუთებში (იხ. დოკუმენტები. I. გვ. 432—434, №№ 603, 606; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 43, № 35).

III — შვილიშვილი ქაიხოსრო I-ის. პაპასთან (ქაიხოსრო I-თან) ერთად გვხვდება იგი 1691, 1697 წწ. საბუთებში (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 40—43, №№ 32, 34). მაგრამ მისი მამის სახელი არ იხსენიება. არ ვიცით რომელი შტოდან მომდინარეობს იგი. ეს ქაიხოსროა 1702 — 1720 წწ. წყალობის წიგნში ნახსენები ქაიხოსრო და 1709—1714 წწ. ერთ საფიცურის წიგნში მოხსენიებული ქველი III წერეთლის ძმისწული ქაიხოსრო (იხ. იქვე, გვ. 52, № 46; დოკუმენტები. I. გვ. 444, № 621). ეს ქაიხოსრო უნდა იყოს აგრეთვე 1722—1738 წწ. ნასყიდობის წიგნში დასახელებული ქაიხოსრო წერეთელი, რომელსაც ჰყავს ერთი ვაჟი ვახუშტი (იხ. დოკუმენტები. I. გვ. 455, № 639).

IV — ზაალის შვილი ქაიხოსრო, ძმა ვალადებულ, ოტია, სვიმონ და დავით წერეთლებისა (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 46, № 40; გვ. 55, № 50). ამ ქაიხოსროს ვხედავთ XVII—XVIII სს. მიჯნაზე, 1722 წ. ახლო ხანსა და 1722—1738 წლებში (იხ. იქვე; დოკუმენტები. I. გვ. 454, № 637).

309 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14760; დოკუმენტები. I. გვ. 451, № 631.

310 დოკუმენტები. I. გვ. 445—446, № 624; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 85, № 91.

311 1727 წ. ახლო ხნის ერთ ნასყიდობის წიგნში ძმები ქაიხოსრო, ქველი და ნიკოლოზ წერეთლების დედად მოხსენიებულია აბაშიძის ქალი ქეთევან (დოკუმენტები. I. გვ. 462, № 653). ქაიხოსრო, ქველი და ნიკოლოზი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, პაპუნა II-ის ძენი არიან. ამავე დროს, როგორც ვნახეთ, პაპუნა II ზურაბ აბაშიძის სიძეა. აქედან ცხადია, რომ აბაშიძის ქალი ქეთევან პაპუნა II-ის მეუღლეა და ასულია ზურაბ აბაშიძისა.

312 ვახუშტი აღწერა. გვ. 312 (ქრონოლოგიური ცხრილი 1738 წ. ქვეშ).

313 დოკუმენტები. I. გვ. 451, № 631.

314 იხ. იქვე.



პაპუნა II-ის შვილებიდან უფროსი ბეჟანი იყო³¹⁵. მამულ-
ერთად დასახელებულია იგი რიგ უთარილო და თარიღიან საბუ-
თებში³¹⁶. უკანასკნელად ვხედავთ მას 1736 წლით დათარიღებულ
დოკუმენტში კვლავ მამასთან ერთად³¹⁷.

ბეჟან IV-ის გარდაცვალება აღნიშნული წლის ახლო ხანაშია
სავარაუდებელი.

ბეჟან IV პაპუნა II-ის ძე იმერთა მეფის გიორგი VI-ის სიძე
იყო³¹⁸. ბეჟანს შვილი არ ჰყოლია. ამიტომ არის უთუოდ, რომ მის
„კერძ მამულს გიორგი მეფის მემკვიდრე ალექსანდრე V მის ძმებს
— ქაიხოსროს, ქველსა და ნიკოლოზს უმტკიცებს³¹⁹.

პაპუნა II-ის მეორე ვაჟი ქველი IV-ც 1754—1769 წლებში
„უშვილოთ მოკვდა“. მისი წილი ადგილ-მამულიც სოლომონ I-მა
მის ძმას ქაიხოსროს უბოძა³²⁰.

პაპუნა II-ის უფროსი შვილის ბეჟანის მომდევნო ქაიხოსრო
იყო (საბუთებში დასახელების რიგის მიხედვით). რადგან პაპუნას
უხუცესი შვილი ბეჟანი ცოცხალი არ იყო, „ზემო ქვეყნის“ (ზემო
იმერეთის) სარდლობა მამის შემდეგ ქაიხოსრო V-მ მიიღო³²¹. ამ
თანამდებობით პირველად გვხვდება იგი 1755 წ.³²². მისი მეუღლე

315 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 92, № 100.

ამ საბუთში დასახელებული ძმები: ბეჟან, ქაიხოსრო, ქველი და ნიკოლოზ
წერეთლები პაპუნა II-ის შვილებია. სხვა პაპუნას წერეთელთა გვარში ეს ოთხი
ვაჟი არ ჰყოლია.

316 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14760; დოკუმენტები. I. გვ. 458, № 645;
გვ. 465, № 658; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 60—63,
№№ 58, 62; გვ. 68, № 69.

317 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 62—63, № 62.

318 ამ ბეჟანისათვის მიცემულ 1715—1720 წწ. წყალობის წიგნი გიორგი
მეფე მას თავის სიძედ ასახელებს (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სა-
მეფოსა... I. გვ. 50, № 44).

319 იხ. იქვე, გვ. 92—93, № 100.

320 იქვე, გვ. 122—123, № 134.

321 ფეოდალურ საქართველოში სარდლობა თუ სხვა სახელო, როგორც წესი,
მამიდან მემკვიდრეობით უფროს შვილზე გადადიოდა.

322 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 98, № 106.

სარდლის თანამდებობით ქაიხოსრო V-ის ასე დაგვიანებით გამოჩენა თუ სა-
ბუთების შემთხვევითი ხარვეზით არა, მაშინ იმ გამწვავებული დამოკიდებულე-
ბით უნდა ავხსნათ, რომელიც ჯერ ქაიხოსროს მამას პაპუნა II-სა და ალექსან-
დრე V-ეს და შემდეგ ერთხანს ამ მეფესა და თვით ქაიხოსროს შორის იყო:
პაპუნა, როგორც ითქვა, „უყუღდა“. მეფემ მოკლა იგი 1738 წ., ხოლო XVIII ს.
40-იან წლებში ქაიხოსროს ხელმწიფე „უწყრებოდა“ (იხ. იქვე, გვ. 81—82,
№№ 87, 88; გვ. 92—93, № 100; ვახუშტი. აღწერა. გვ. 889—890), ასეთ ვი-



იყო ჯაფარიძის ქალი მარიამი. ჰყავდა სამი ვაჟი: პაპუნა (1715); ჩუკუაძე რაბი, ბერი³²³ და ერთი ასული მარინე³²⁴.

ეს ის ქაიხოსროა, რომელმაც მტრებისაგან დევნილი სოლომონ I „დაძალა“ მოდინახეს ციხეში (იხ. ზემოთ).

ქაიხოსრო V-ეს უკანასკნელად ვხედავთ 1769 წ. 2 ივლისის დოკუმენტში³²⁵. ამავე წლის აგვისტოს იგი მოკლულ იქნა, თავად იაშვილთან ერთად, კაცია II დადიანის მიერ³²⁶.

ქაიხოსრო V-ის უმცროსი თანამედროვე ჩანს მისი სახლიკაცი ქაიხოსრო VI, რომელიც ქობულეთ-ჩაქვის ბრძოლაში დაიღუპა 1784 წ. მარტს (იხ. ზემოთ).

პაპუნა II-ის შვილებიდან ყველაზე უმცროსი ნიკოლოზი იყო³²⁷. ესაა სოლომონ I-ის „სამსახურზედ თავდადებული“ ნიკოლოზ წერეთელი, რომელსაც XVIII ს. 60-იან წლებში მეფემ მებაჭრეთუხუცესობა უბოძა³²⁸. ამ ნიკოლოზს ვხედავთ 1760, 1764, 1766, 1770 წლების საბუთებში³²⁹. ეს ნიკოლოზი არის გიულდენშტედტის მიერ 1772 წ. დასახელებული სოლომონ I-ის თარჯიმანი თავადი ნიკოლოზ წერეთელი, რომელიც, დავით მესხთან და თეიმურაზ ლორთქიფანიძესთან ერთად, მეფემ სხარტალიდან ოკრიბაში გააყოლა გერმანელ მოგზაურს³³⁰.

თარეზში შეიძლება მეფემ ქაიხოსროს სარდლობა რამდენიმე ხანს არ მისცა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პაპუნასა და მის ძეს ქაიხოსროს შუა ზემო მხარის სარდლად წერეთლების ან რომელიმე სხვა გვარის წარმომადგენელი არ ჩანს.

323 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1184, 1223; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 108, № 118; გვ. 113—114, № 124; გვ. 118, № 130; საქ. საგ. მუხ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 121—123, № 104.

324 მარინე წყაროებში სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის დად არის დასახელებული (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1678; ნიკო და დიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 188; АКТЫ, III, с. 186). ზურაბი, როგორც აღინიშნა, ქაიხოსრო V-ის ძეა. მაშასადამე, მარინე ქაიხოსრო V-ის ასულია.

325 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 118, № 130.

326 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯავანათ იოვანეს დღიური), გვ. 7; Грамоты..., I, с. 65.

327 ძმებიდან ყველაზე ბოლოს საბუთებში ყოველთვის ნიკოლოზია დასახელებული (იხ. მაგალითად, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 81—82, №№ 87, 88; გვ. 91, № 99 და სხვ.).

328 იქვე, გვ. 127, № 141.

329 იხ. იქვე, გვ. 107—111, №№ 117, 120, 121; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 170—173, №№ 2, 5.

330 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 129.

ნიკოლოზის ხსენება აღნიშნული წლის შემდეგ წყდება გარდაცვალების თარიღად 1772 წ. ახლო ხანი უნდა დაიდვას.

ნიკოლოზს, პაპუნა II-ის ძეს, ხუთი ვაჟი ჰყავდა: ბეჟან (V), ვახუშტი (ბოქაულთუხუცესი), გიორგი (მოლარეთუხუცესი), დათუა (იგივე დოსითეოს, ქუთათელი მიტროპოლიტი, კათალიკოსი)³³¹ და ქველი (V)³³².

³³¹ დოსითეოსმა ქუთათელი ეპისკოპოსის კათედრა, როგორც ითქვა, 1781 წ. მიიღო, კათალიკოსად კი 1795 წ. დასვეს (იხ. ზემოთ).

³³² 1797 წ. ერთ შეწირულების წიგნიდან ვეებულობთ, რომ ბოქაულთუხუცესი ვახუშტი წერეთელი ნიკოლოზის ძე იყო (ქუთ. მუხ. საბ. № 151). სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ ბეჟან (V), ბოქაულთუხუცესი ვახუშტი, მოლარეთუხუცესი გიორგი, დათუა (დოსითეოს) და ქველი (V) ძმები იყვნენ (იქვე, № 264; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6478, 14223; ფ. Sd, №№ 1196, 1197, 1589; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 134, № 146). აქედან ცხადია, რომ ბეჟანი, მოლარეთუხუცესი გიორგი, დათუა (დოსითეოს) და ქველიც ნიკოლოზ წერეთლის შვილებია.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1769—1776 წწ. ერთ შერიგების წიგნში ძმები პაპუნა IV, ზურაბ და ბერის წერეთლები თავიანთ „მშათ“ ასახელებენ ბეჟანს, ვახუშტის, გიორგის, დათუას (დოსითეოსს) და ქველის (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 134, № 146). მაგრამ სიტყვა „მშა“ აქ მისი ზოგადი მნიშვნელობითაა ნახშიარი და არა პირდაპირი გაგებით, პაპუნა IV-ს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზურაბისა და ბერის მეტი მშა არ ჰყოლია. ბეჟან, ვახუშტი, გიორგი, დათუა (დოსითეოს) და ქველი იყვნენ პაპუნა IV-ს, ზურაბისა და ბერის ღვიძლი ბიძაშვილები.

სწორედ მათ ბიძაშვილობას ადასტურებს ერთი პირობის წიგნი, სადაც ვახუშტი უცხადებს პაპუნა IV-ს და ბერის მშას სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს: „ჩვენ, თქვენთან ბიძაშვილმან თავადმან ბოქაულთუხუცესმან ვახუშტიმ და მშამან ჩემმან გიორგიმ და ბეჟანმაო“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1589). ამ საბუთში ბეჟანის ორი მშა — დათუა (დოსითეოს) და ქველი არ იხსენიება, მაგრამ თუ ვახუშტი და მისი სხვა ძმები ზურაბის ბიძაშვილები არიან, რა თქმა უნდა, ვახუშტის ეს ორი მშაც ზურაბის და, მამასადამე, პაპუნა IV-სა და ბერის ბიძაშვილებია.

აღსანიშნავია კიდევ შემდეგიც: 1806, 1813, 1819 წლების საბუთებში იხსენიება ბოქაულთუხუცესი ვახუშტის, მოლარეთუხუცესი გიორგისა და ქუთათელი მიტროპოლიტ დოსითეოსის ძმისწული ბეჟან წერეთელი (იქვე, ფ. Hd, №№ 6478, 6775; ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. საქ. ებრაელთა ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომები. I. 1940, გვ. 233—235).

ეს ბეჟანი ნიკოლოზის შვილიშვილია და VI ბეჟანია წერეთელთა გვარში. იგი ვახუშტის, გიორგის, დოსითეოსისა და ქველის ძმის ბეჟან V-ს შვილია. 1805, 1820 წლებს ნასყიდობის წიგნებში მოხსენიებული „თავადი ბეჟან ბეჟანის ძე წერეთელი“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6327, 14519) და ზემოაღნიშნული ვახუშტის, გიორგის, დოსითეოსისა და ქველის ძმისწული ბეჟანი ერთი და იგივე პირია. ეს ის ბეჟანია, რომელიც სვირის მოურავი იყო და იმერეთის 1819 — 1820 წწ. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდა (იხ. ზემოთ).



პაპუნა II-ის შვილებიდან უფრო გარკვევით ქაიხოსროს შთამომავლობას ვხედავთ.

ქაიხოსროს პირშმო შვილი პაპუნა IV იყო. იგი დაიბადა 1740 წ.³³³. მამის სიკვდილის შემდეგ (1769 წ.) „ზემო მხარის“ სარდლობა მას ჰქონდა³³⁴.

მისი თანამეცხედრე იყო დავით იმერთა მეფის და მზეხათუნ ბატონიშვილი³³⁵. ჰყავდა ორი ვაჟი ქაიხოსრო (VII) და როსტომი³³⁶.

პაპუნა IV-ის თანამედროვე იყო მისი სახლიკაცი პაპუნა V, რომელიც „უშვილოთ ამოვარდა“. „მისი საკერძო მამული — აზნაურიშვილი, გლეზი და რაც ეჭირა — ყოვლისფერი“, 1765 წ. სოლომონ I-მა ზემო მხარის სარდალს ქაიხოსრო V-ეს და მის შვილებს უბოძა³³⁷.

ბეჯან ბეჯანის ძეა აგრეთვე 1807, 1808 წლების საბუთებში ნახსენები ბეჯან წერეთელი (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 6044, 10172) და 1819 წ. მარტის წყალობის წიგნში დასახელებული ვახტანგ და ტარიელ ბატონიშვილების სიძე „თავადი მოურავი ბეჯან წერეთელი“ (იქვე, № 6001).

ბეჯან VI-ს მამა ბეჯან V 1790 წ. 24 იანვარს ცოცხალი არ არის, მის ძმებს (დოსითეოსსა და სხვებს) მისი ანდერძი (ჯრუჯის მონასტრისათვის ყმა-მამულის შეწირვის შესახებ) სისრულეში მოჰყავთ აღნიშნულ რიცხვში (ქუთ. მუზ. საბ. № 264). ბეჯან V უთუოდ ამ თარიღის ახლო ხანს გარდაიცვალა.

ბეჯან VI მისი ბიძის დოსითეოს ქუთათელი მიტროპოლიტის მიერ იყო „გაზრდილი და შეილად აყვანილი“. უკანასკნელმაც თავისი „საკეთარი ფულით ნასყიდი“ მრავალრიცხოვანი ყმა-მამული თავის ძმისწულს ბეჯან VI-ს დაუმტკიცა (იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ., Hd, № 7675; ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. საქ. ებრაელთა ისტ. ეთნ. მუზეუმის შრომები. I. 1940, გვ. 233—235).

1806 წ. ერთ დოკუმენტში დასახელებულია აგრეთვე ბოჭულთუხუცესი ვახუშტისა და მოლარეთუხუცეს გიორგის ძმისწული ქველი წერეთელი (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6478), რომელიც VI ქველი არის წერეთელთა სახლში.

³³³ M. Brosset. Papiers 12-e sur le voyage archéologique, dans la Georgie et dans l'Arménie. SPb, 1851, 3-e et dernière livraison, p. 87.

³³⁴ ქაიხოსრო V, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1769 წ. მოკლეს. მისი ძე პაპუნა IV კი ზემო მხარის სარდალად პირველად 1776 წ. იხსენიება (ქუთ. მუზ. საბ. № 166). მაგრამ ქაიხოსროსა და პაპუნას შუა ამ თანამედრობაზე სხვას არავის ვხედავთ. აქედან ცხადია, რომ პაპუნამ სარდლობა მამის სიკვდილისთანავე მიიღო, მაგრამ ამის შესახებ საბუთები არ შემონახულა ან ჩვენთვის უცნობია.

³³⁵ ქუთ. მუზ. საბ. №№ 94, 273.

³³⁶ იქვე, № 81. მათგან უფროსი ქაიხოსრო იყო (იხ. იქვე).

წერეთელთა გვარის ერთ გენეალოგიურ ცხრილში, რომელიც უთუოდ XIX საუკუნეშია შედგენილი, ქაიხოსრო პაპუნას ძე სრულებით არ იხსენიება (იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1340).

³³⁷ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 108, № 118.



პაპუნა IV გარდაიცვალა 1790 წ.³³⁸. დასაფლავებულია ჯრუსტიანის მონასტერში³³⁹. მისი გარდაცვალების შემდეგ „ზემო ქვეყნის“ სარდლობა მის უფროს შვილს ქაიხოსრო VII-ეს ეჭირა. ამ თანამდებობით პირველად ვხედავთ მას 1791 წ. 5 აგვისტოს³⁴⁰. ამავე წ. 18 დეკემბერს იხსენიება იგი როგორც იმერთა მეფის „სპასალარი“³⁴¹. ამიერიდან სარდლის თანამდებობა ჰქონდა მას იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე.

ქაიხოსრო VII იყო „ზემო მხარის“ უკანასკნელი სარდალი იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად, ისე როგორც სხვა სასარდლოები, ეს სასარდლოც გაუქმდა.

ქაიხოსრო VII დაქორწინებული იყო აბაშიძის ასულ ქეთევანთან³⁴². ეს ის ქეთევანია, რომელმაც 1810 წ., იმერეთის აჯანყების დროს „ისახელა თავი“. იგი სათავეში ედგა მოდინახეს ციხის გარნიზონს და იქედან „თავის ხელით ისროდა ზარბაზნებს“. მან ციხე მხოლოდ მაშინ დაანება რუსთა მხედრობას, როცა სოლომონ II-მ და მისმა მომხრეებმა საქართველო დატოვეს³⁴³.

ქაიხოსრო VII-ეს ორი ასული ჰყავდა. ერთი მათგანი „დაინიშნა“ 1826 წ. 7 მაისს ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის მიერ³⁴⁴.

ქაიხოსრო VII გარდაიცვალა 1828 წ. 28 ივლისს. დაკრძალულია ჯრუსტიანის მონასტერში³⁴⁵.

მისი უმცროსი ძმა როსტომი ცოცხალი ჩანს 1825 წ. 2 სექტემბერს³⁴⁶.

338 M. Brosset, Rapports, 12, p. 89; ნიკო დადიანი, ქართველთა ცხოვრება. გვ. 186, კომენტარი № 450.

339 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 1 v.

340 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 99.

341 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 507.

342 იქვე, № 1689; ფ. Q, № 387.

343 მიტროპოლიტი დავითი, დავითის ჩამოშავლობა. „მწევესი“, 1892, № 2, გვ. 1—3; გ. წერეთელი. საჩხერეს ციხე „მოდი ნახე“. „კვალი“, 1893, № 3, გვ. 12; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I. გვ. 21, აბაშიძე-წერეთელი ქეთევან.

344 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. მასალები შვარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. წ. II. თბილისი, 1953, გვ. 271, № 373.

345 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია, ტ. I. გვ. 265, მინაწერი 4; ტ. II, გვ. 337.

346 ქეთ. მუხ. საბ. № 1285.



ამ როსტომის შვილები არიან 1817 წ. ერთ დოკუმენტში³⁴⁷ ხსენიებულნი და ვით და როსტომ როსტომის ძენი წერეთელი³⁴⁷. ესენი შვილიშვილებია ზემო იმერეთის სარდლის პაპუნა IV წერეთლისა. ამ როსტომ როსტომის ძის თანამედროვე იყო გიორგი წერეთლის³⁴⁸ შვილიშვილი აგრეთვე როსტომ როსტომის ძე³⁴⁹, რომლისაგან მომდინარეობს პოეტი აკაკი წერეთელი³⁵⁰.

ქაიხოსრო V-ის ასული მარინე (პაპუნა IV-ის, ზურაბისა და ბერის და) სვიმონ III გურიელზე იყო გათხოვილი³⁵¹. მისი შვილი იყო გურიის მთავარი მამია V³⁵². გურიის დედოფალი მარინე გარდაიცვალა 1814 წ. მარტს³⁵³.

ქაიხოსრო V-ის შუათანა ვაჟი ზურაბი დაიბადა 1747 წ.³⁵⁴. მისი თანამეცხედრე იყო დადიანის ქალი თამარი³⁵⁵. ჰყავდა რვა შვილი. მათგან ოთხი ვაჟი: სვიმონ, და ვით (შემდეგ მიტროპოლიტი), გრიგოლ, გიორგი და ოთხი ასული: მარია, სალომე, მაკრინე და ქეთევანი³⁵⁶.

³⁴⁷ საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ძველი საბუთების ფ. № 208-5-ბ.

³⁴⁸ გიორგი წერეთელი დავითის ძეა (იხ. ლ. ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 26, აკაკის გენეალოგია), დავითი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, პაპუნა II-ს ძმა იყო და შვილი — ქველი III წერეთლისა.

³⁴⁹ ლ. ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 23—26. ამ როსტომ როსტომის ძეს არც ძმა ჰყოლია და არც და (იქვე, გვ. 34).

³⁵⁰ იხ. იქვე, გვ. 26, აკაკის გენეალოგია.

³⁵¹ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1678; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 188; Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 337 (გენეალოგიური ცხრილი).

³⁵² Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 337 (გენეალოგიური ცხრილი).

³⁵³ იქვე, იხ. აგრეთვე, გვ. 315; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1678.

³⁵⁴ ზურაბ წერეთელი, მისი ეპიტაფიის მიხედვით, გარდაიცვალა 1823 წელს 76 წლის ასაკში (ეპიტაფია ჩაეწერეთ 1943 წ., ჭრუჭის მონასტერში). აქედან ცხადია, რომ ის 1747 წ. დაიბადებულა.

³⁵⁵ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1560; Е. Такайшвили. Материалы для истории Грузии. Тифлис, 1895, с. 56. თამარის მამის სახელი წყაროებში არ იხსენიება.

³⁵⁶ ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516; გვ. 1r; Hd, №№ 4658, 10946, 13935; ფ. Sd, № 1192; ქუთ. მუზ. საბ. № 81; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203—204; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 148, № 124; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 56.



სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, როგორც ითქვა, გარდაიცვალა 1823 წ. 28 იანვარს. დასაფლავებულია ჯრუჭის მონასტერში „შიგნით საკურთხეველშიდ“. ამავე წელს გარდაიცვალა მისი მეუღლე თამარიც³⁵⁷.

ზურაბის შვილებიდან ყველაზე უფროსი სვიმონი იყო³⁵⁸, რომელიც დაიბადა 1773 წ.³⁵⁹. იგი დაქორწინებული იყო დავით მეფის ასულ მზეხათუნ (ნათლობით — ელისაბედ) ბატონიშვილთან³⁶⁰. „პატარაობიდანვე“ სოლომონ II-ის „უმადლესსა პალატაში... ნებიერად“ აღზრდილი მეფის ასული მზეხათუნ სოლომონმა სვიმონ წერეთელს მიათხოვა 1803 წ. 20 თებერვალს, რომელიც იყო თურმე „სიჭაბუკესა შინა რაინდი ჩინებული“ და, როგორც აღინიშნა, ამზითვა მას „წირქვალის საბატონიშვილო... ჯრუჭულასა და კიათურის შუა“ შიგ მოსახლე აზნაურებითა და გლეხებით³⁶¹. სვიმონი ცოცხალი ჩანს 1853 წ.³⁶². მისი თანამეცხედრე მზე-

357 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 1 v; ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 56.

სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი არ არის I ზურაბი წერეთელითა გვარში. მასზე ბევრად ადრე, 1673 წ. 20 სექტემბრის „შეცოდების წიგნში“ ვხედავთ ზურაბ წერეთელს (სსცია, ფ. 1448, № 1278), მაგრამ იგი ზემო ქართლიდან ჩანს.

1702—1720 წწ. იხსენიება კიდევ ერთი ზურაბ წერეთელი (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I. გვ. 52, № 46). ეს ზურაბი და 1709—1744 წწ. საფიციოს წიგნში მოხსენიებული ქველის ძმისწული ზურაბ წერეთელი (დოკუმენტები. I. გვ. 444, № 621) ერთი და იგივე პირია და იმერელი თავიანთი.

სახლთუხუცეს ზურაბ ქაიხოსროს ძის თანამედროვე იყო ერთ 1740-იანი წლების საბუთში მოხსენიებული ზურაბ სვიმონის ძე წერეთელიც (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I. გვ. 82—83, № 89) და 1791 წ. „უღდობის წიგნში“ დასახელებული ზურაბ წერეთელი, რომელიც ძმა ნიკოლოზ-ბერიგოგია და ბეჟანია წერეთლებისა (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 3865). მაგრამ ესენი აზნაური წერეთლები ჩანან.

358 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 1 r.

359 1853 წ., როცა სვიმონის მომდევნო ძმა დავით მიტროპოლიტი გარდაიცვალა, სვიმონი 80 წლის ყოფილა (П. Гнидосаров. Очерки из жизни митрополита Давида. Кавказский календарь на 1854 г., с. 512). აქედან ცხადია, იგი 1773 წ. დაბადებულა.

360 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 1 r.; ფ. Hd, № 9666; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 152, № 126; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია, ტ. I. გვ. 265, მინაწერი 5.

361 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9666; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 152, № 126.

362 პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ე ი. დასახ. ნაშრ., გვ. 512.



ხათუნი კი გარდაიცვალა 1829 წ. 2 თებერვალს. დაკრძალულია ჯრუჭის მონასტერში³⁶³.

ამ სვიმონის თანამედროვე იყო მელვინეთუხუცესი სვიმონ გიორგის ძე წერეთელი³⁶⁴, რომელიც აგრეთვე ყმა-მამულს ფლობდა წირქვალში³⁶⁵.

სვიმონ ზურაბის ძის შვილია ერთი გვიანდელი ხანის, 1871 წ. 12 ივნისის დოკუმენტში მოხსენიებული „ენიაზ დავით სვიმონის ძე წერეთელი“³⁶⁶. ჰყავდა მას ერთი ძე ზურაბი³⁶⁷.

სვიმონ ზურაბის ძის მომდევნო ძმა დავითი დაიბადა 1780 წ. მარტში³⁶⁸. მას, ბავშვობიდანვე საეკლესიო მოღვაწეობისათვის განკუთვნილს, ცოლ-შვილი არ ჰყოლია³⁶⁹. იგი, როგორც ითქვა, სოლომონ II-ის დროს (1789—1810 წწ.) აკურთხეს ხინოს მიტროპოლიტად.

დავით მიტროპოლიტი მეტად ნაყოფიერ კულტურულ-სააღმშენებლო და სამეურნეო მოღვაწეობას ეწეოდა თავის საგვარეულო ჯრუჭის მონასტერში, სადაც იგი დამკვიდრდა ჯერ კიდევ 1805 წ. და რომლის არქიმანდრიტადაც იყო სიმეონ ქავთარაძის გარდაცვალების შემდეგ³⁷⁰. დავითმა განაახლა ეს „ძველი მონასტერი“. ააგო მის მიდამოებში „რამდენიმე ორორ-სამსამ“ სართულიანი სახლი. ერთი წყაროს ცნობით, ვინც ჯრუჭის მონასტრის არემარეს „შორიდან“ შეხედავდა, „პატარა ქალაქად“ ჩათვლიდა³⁷¹.

მთელი თავისი „ქონებაც“ მან ამ მონასტერს უანდერძა³⁷².

³⁶³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. I, გვ. 265, მინაწერი 5.

³⁶⁴ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9666; ფ. Sd, №№ 1554, 1691; საქ. სახ. მუხ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 152, № 126; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე. 5. გვ. 183—184, №№ 16, 17.

³⁶⁵ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9666; საქ. სახ. მუხ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 152, № 126.

³⁶⁶ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1340 (წერეთელთა გვარის გენეალოგიური ცხრილი), 3073.

³⁶⁷ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1340 (წერეთელთა გვარის გენეალოგიური ცხრილი).

³⁶⁸ მიტროპოლიტი დავითი, დავითის ჩამომავლობა. „მწყემსი“, 1892, № 2, გვ. 1—3; პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 495.

³⁶⁹ პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 496.

³⁷⁰ იქვე, გვ. 497.

³⁷¹ ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 3 v.

³⁷² მიტროპოლიტი დავითი, დავითის ჩამომავლობა. „მწყემსი“, 1892, № 5, გვ. 4; პ. გნილოსაროვი. დასახ. ნაშრ. გვ. 500.



1829 წ. დავითი „ჭყონდიდელის წოდებით სამეგრეთის
ეპარქიის მმართველად“ დასვეს და ამ ეპარქიას განაგებდა 1834
წლამდე³⁷³.

იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც დავით მიტროპო-
ლიტს რუსეთის მთავრობის წინაშე მიუძღოდა (იხ. ზემოთ), მას
დაენიშნა პენსია 1000 მანეთი (ვერცხლით), ხოლო 1837 წ. იგი
დააჯილდოვეს წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით³⁷⁴.

1845 წ. მთავარეპისკოპოს სოფრონის (სოფრონიოს) გარდა-
ცვალების შემდეგ, დავით მიტროპოლიტი დაინიშნა „იმერეთის
ეპარქიის“ მმართველად³⁷⁵. ამ ეპარქიის მმართველობის დროს მან
მიიღო კიდევ წმ. ვლადიმირის ორდენი მეორე ხარისხისა³⁷⁶.

გარდაიცვალა იგი 1853 წ. 14 თებერვალს³⁷⁷. დასაფლავებუ-
ლია ჯრუჭის მონასტერში.

როდის დაიბადა ზურაბ წერეთლის მესამე ვაჟი გრიგოლი, არ
ვიცით. მაგრამ რადგან იგი დავითის მომდევნო იყო³⁷⁸, ხოლო და-
ვითი, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1780 წელშია დაბადებული, ამი-
ტომ გრიგოლის დაბადების თარიღად შეიძლება დაახლოებით
1782—1783 წწ. ვივარაუდოთ.

გრიგოლ წერეთელს ცოლად ჰყავდა მანუჩარ II დადიანის
ქალი ელისაბედ (ძმისწული სოლომონ II-ის თანამეცხედრის მა-
რიამ დედოფლისა)³⁷⁹. ესვა სამი ვაჟი: დიმიტრი, ალექსანდრე,

373 მიტროპოლიტი დავითი..., „მწყემსი“, 1892, № 7, გვ. 9; პ. გ ნ ი ლ ო -
ს ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 508.

374 იხ. იქვე.

375 იქვე.

376 იქვე.

377 მიტროპოლიტი დავითი..., „მწყემსი“, 1892, № 2, გვ. 1—3; პ. გ ნ ი ლ ო -
ს ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 512.

378 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 1516, გვ. 1 რ. დავითი და მისი და სალომე
„ნატყუპრები იყვნენ“ (იხ. იქვე).

379 იხ. იქვე, ფ. Sd, № 1157. აღსანიშნავია, რომ ერთ ჩანაწერში, სადაც
თავმოყრილია წერეთელთა სავგარეულოს შესახებ სხვადასხვა ცნობა, გრიგოლ
წერეთლის მეუღლე ელისაბედი კაცია დადიანის ასულად არის დასახელებული
(იქვე, ფ. H, № 1516, გვ. 1 რ.). მაგრამ ეს ცნობა მცდარია. ამას ნათელს ხდის
სოლომონ II-ს თანამეცხედრის მარიამ დედოფლის მიერ 1809 წ. გრიგოლ წე-
რეთლისათვის ბოძებული წყალობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია: „ესე სამარა-
დისო წყალობა გიყავი შენ, ჩემს შვილათ გაზრდილს... სახლობუცის ძეს წერე-
თელს გრიგოლს... ესე ვითარად, რომელ, რადგან ჩვენი გაზრდილი იყავ და
ჩემი ძმის მანუჩარის ქალი ელისაბედიც ჩემდა შვი-



სამსონი³⁸⁰ და ერთი ასული — რუსუდანი, რომელიც თავისი
ლუკიძეზე იყო გათხოვილი³⁸¹.

გრიგოლი წიგნის მოყვარული თავადი იყო. მას მდიდარი
წიგნთსაცავი ჰქონდა. „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკო და-
დიანი იშვიათ წიგნებს („ტრაღიკის აღების ისტორიას“ და სხვ.),
გარკვეული ვადით, გრიგოლის ბიბლიოთეკიდან თხოულობდა³⁸².

აღსანიშნავია ისიც, რომ გრიგოლს ჰყავდა შესანიშნავი ოქ-
რომპედელი თავის „კაცი ივანე ჩიკვილაძე“, რომლის ტოლი ამ
ხელობის ოსტატი სხვაგან იშვიათად მოიძებნებოდა. სწორედ ამი-
ტომ იყო, რომ გრიგოლ წერეთელს მისმა მამიდაშვილმა მამია V
გურიელმა ერთხელ „ცოტა ხნის ვადით“ ეს ოქრომპედელი თხო-
ვა³⁸³.

გრიგოლი გარდაიცვალა 1843 წ. 22 დეკემბერს „დროსა მოგ-
ზაურობისა მისსა ქალაქით ტფილისით... გორის უეზდის სოფელ-
სა ახალქალაქსა“, თავის დისწულის თავად თაჩხნიშვილის სახლ-
ში³⁸⁴. დაკრძალულია ჭრუჭის მონასტერში.

გრიგოლის ვაჟი დიმიტრი 12 წლის ასაკიდან იზრდებოდა რუ-
სეთში, „პაეის კორპუსში“. სამშობლოში დაბრუნდა 1828 წ. და,
როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად მერაბ ნიყარაძეს ჩაესიძა: შეირ-
თო მისი შვილობილი და ძმისწულის შვილი მაკრინე. დიმიტრი
მოკლულ ქნა 1829 წ. 19 აგვისტოს (22 წლის ასაკში) სოფ. ოფიშ-

ლად მოგვეცი, ამისთვის ვალი იყო ჩემგან შენი წყალობა და მისდა მზით-
ვად მოგვეცი ჩვენი საკუთარი სათავისთაო ურია, სამი მშა საჩხერეს მოსახლე
თეთრთაშვილებიო“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1157. ხაზი ჩვენია. — ო. ს.).
აქედან აშკარაა, რომ ელისაბედი მანუჩარ II დადიანის ასულია და შვილიშვილია
კაც II დადიანისა, რომლის ასული იყო თვით მარიამ დედოფალი.

³⁸⁰ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1340 (წერეთელთა გვარის გენეალოგიური
ცხრილი); ფ. S, №№ 5346 (გრიგოლ წერეთლის არქივი); 5370 (ალექსანდრე წე-
რეთლის არქივი); 5377 (დიმიტრი წერეთლის არქივი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ხელნაწერის მინაწერში სამსონი შეცდომით
დიმიტრი წერეთლის ძედ არის დასახელებული, ხოლო სამსონის დაბადების თა-
რიღი, ასევე შეცდომით, 1830 წ. ქვეშ არის ნაჩვენები (იხ. ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. II. გვ. 214, მინაწერი 4), მაშინ როდესაც
იგი მოკლეს 1829 წ. (იხ. ქვემოთ). ე. ი. 1830 წ. სამსონი უკვე ერთი წლის მკვდარ-
ი იყო.

³⁸¹ ე. თაყაიშვილი. ხონის ეკლესია და მისი სიძველენი. ძველი სა-
ქართველო. III. გვ. 281, შენიშვნა 2.

³⁸² ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1447.

³⁸³ იქვე, № 1461.

³⁸⁴ იხ. იქვე, ფ. S № 5371 (ნესტორ წერეთლის არქივი).



კვითს, თეიმურაზ ნიყარაძის თაოსნობით, მერაბის ქონების კონფისკაციის კვიდრეობის ნიადაგზე³⁸⁵.

დიმიტრის დარჩა ერთი ვაჟი ნესტორი, რომელიც დაიბადა 1829 წ. თებერვალში³⁸⁶. იგი დაქორწინებული იყო ქაიხოსრო გურიელის ასულ პელაგიასთან³⁸⁷. ნესტორი ფრიად დაწინაურდა: 1864 წ. ის უკვე როტმისტრია და აჯილდოებენ წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენით. ამავე წელს იგი რუსეთის იმპერატორის „ფლიგელ-ადიუტანტად“ „დაინიშნა“, ხოლო 1869 წ. მან გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი მიიღო.

1876 წ. ნესტორ წერეთელი იმერეთის „თავად-აზნაურთა წინამძღოლად“ აირჩიეს.

გარდაიცვალა იგი 1883 წ. 10 ნოემბერს³⁸⁸.

გრიგოლ წერეთლის მეორე ვაჟი ალექსანდრე „პრაპორშჩიკად“ იხსენიება 1835 წ. იგი ცნობილი იყო თავისი ოქროსფერი, „თოვლივით თეთრი კავშებიანი“ „ცხენის ჯოგით“. არსებობს „ნუსხა“ მისი „ცხენის ჯოგისა“.

ალექსანდრე გარდაიცვალა 1873 წ.³⁸⁹.

გრიგოლის მესამე, უმცროსი ვაჟი სამსონი „პოდპრაპორშჩიკი“ იყო. მსახურობდა „მინგრელიის ქვეითის პოლკში“. მოკლეს იგი ქობულეთთან ბრძოლაში 1829 წ.³⁹⁰.

³⁸⁵ იქვე, № 5377 (დიმიტრი წერეთლის არქივი); ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. II. გვ. 214, მინაწერი 4.

³⁸⁶ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1340 (წერეთელთა გვარის გენეალოგიური ცხრილი); ფ. S, №№ 5371 (ნესტორ წერეთლის არქივი); 5277 (დიმიტრი წერეთლის არქივი).

ნესტორ წერეთლის დაბადების თარიღიც ზემოაღნიშნულ მინაწერში აგრეთვე მცდარად — 1830 წ. ქვეშ არის ნაჩვენები (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. II. გვ. 214, მინაწერი 4). ნესტორის მამა დიმიტრი მოკლეს 1829 წ. 19 აგვისტოს. ნესტორი ამ დროს, მისი დედის მაკრინეს ჩვენებით, ექვსი თვისა ყოფილა (ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 5377 — დიმიტრი წერეთლის არქივი: „მოხსენებითი ბარათი მაკრინე წერეთლისა ქუთაისის სამხედრო სასამართლოს კომისიას“ მისი მეუღლის დიმიტრი წერეთლის მკვლელობასთან დაკავშირებით). როგორც აქედან ჩანს, ნესტორი ამავე წლის თებერვალში დაბადებულა.

³⁸⁷ Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 337 (გურიელთა გენეალოგიური ცხრილი).

³⁸⁸ ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 5371 (ნესტორ წერეთლის არქივი).

³⁸⁹ იქვე, № 5370 (ალექსანდრე წერეთლის არქივი). „წერეთლიანთ ცხენების“ შესახებ იხ. მერაბ კოსტავა, ცხენი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1975 წ. 25 აპრილი, № 17 (1964), გვ. 4.

³⁹⁰ ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 5377 (დიმიტრი წერეთლის არქივი).

ზურაბ წერეთლის ყველაზე უმცროსი ძე გიორგი (მარიამ დედოფლის სახლთუხუცესი), როგორც ზემოთ ითქვა, გარდაიცვალა 1804—1805 წლებში უცოლოდ³⁹¹.

ზურაბის ოთხი ასულიდან პირველი მართა ოდიშის მთავრის ლევან V დადიანის თანამეცხედრე იყო³⁹². დადიანს მიათხოვეს იგი 1811 წ.³⁹³ გარდაიცვალა 1839 წ. 6 ნოემბერს „სასახლესა გორდს“, დასაფლავებულია მარტვილის მონასტერში³⁹⁴.

ზურაბის მეორე ასული სალომე გათხოვილი იყო ქართლის თავად პაატა ევგენის ძე აბაშიძეზე³⁹⁵.

ზურაბის მესამე ქალი მაკრინე აგრეთვე ქართლის გავლენიან თავადს „მიმბაშ-მოურავ“ დავით „თარხანს“ (თარხნიშვილს) ჰყავდა ცოლად³⁹⁶.

ზურაბ წერეთლის მეოთხე ასული ქეთევან ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის რძალი იყო. ამ მეფის ძე იოანე ბატონიშვილი ქეთევანთან იყო დაქორწინებული³⁹⁷. ქეთევანი გარდაიცვალა 1823 წ. 10 მარტს³⁹⁸.

ქაიხოსრო V-ის ვაჟებიდან ყველაზე უმცროსი ბერი იყო³⁹⁹. იგი დაიბადა 1760 წ. ახლო ხანს⁴⁰⁰. მისი მეუღლე იყო აბაშიძის

391 იქვე, ფ. H, № 1516, გვ. 1 რ.

392 იქვე; ქუთ. მუზ. საბ. № 153; ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

393 ნიკო დადიანი. დასახ. ნაშრ. გვ. 203.

394 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. III, გვ. 128 (ეპიტაფია).

395 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 4335, 4350, 9723, 10427, 13935. აღსანიშნავია, რომ შემოხსენებულ ჩანაწერში (ხელნაწ. ინსტ. ფ. H, № 1516) ზურაბ წერეთლის ასულ სალომეს მეუღლედ დავით „თალხანი“ არის დასახელებული (იხ. გვ. 1 რ.). მაგრამ დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, რომ ეს ცნობაც მცდარია: 1817 წ. 17 თებერვალს „თავადი პაატა აბაშიძის ქვრივი კნენია სალომე“ „თავადი ზურაბ წერეთლის ასული“. განცხადებას აძლევს „გორის ზემსკის ისპრავნიკს“ (ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 13935). აქედან ცხადია, რომ სალომე პაატა აბაშიძის ცოლი იყო.

396 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 3156.

397 მ. ნიკოლეიშვილი. ისტორიული მასალები. მასალები. III (ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტ.-ეთნ. მუზეუმის კრებულს). თბილისი, 1978, გვ. 101—102, № 32; Е. Такайшвили. Материалы для истории Грузии, с. 56.

398 იხ. იქვე.

399 საქ. საბ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II, გვ. 121, № 104.

400 1760 წ. სოლომონ I წყალობის წიგნს აძლევს თავის „ერთგულს წერე-

ქალი დარეჯან⁴⁰¹. ჰყავდა სამი ვაჟი: ივანე, მიხეილი და ჯიბრა-
ილ⁴⁰².

ბერი ცოცხალი ჩანს 1838 წ.⁴⁰³ ამავე წლის ერთ საბუღალტრო
გხედავთ მის შვილიშვილს ლეონ ჯიბრაილის ძე წერეთელს⁴⁰⁴.

თ ა ზ ი V

ნიჟარაძეთა სათავადო

ნიჟარაძეთა გვარის წარმომავლობის შესახებ სამი ერთმანე-
თისაგან განსხვავებული ცნობა მოგვეპოვება: ერთი ცნობით, რო-
მელიც იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის, ნიჟარაძეები „არიან სპარ-
სთაგან ნიჟადის შვილნი, რომელნიცა დაშთენ იმერთს ... და
მის გამო იწოდებიან ნიჟარაძედ“¹.

ამ ცნობას რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ორი უკანასკნელი ცნობა შემონახულია თვით ნიჟარაძეთა
გვარში ისტორიული გადმოცემის სახით. პირველი მათგანის მიხედ-
ვით, ნიჟარაძეების თავდაპირველი საცხოვრისი სვანეთში ყოფი-

თელს ქაიხოსროს შვილებს პაპუნას და ზურაბს და კიდევ მათ „პატარა ძმას
ბერს“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1184) აქედან ჩანს, რომ ბერი 1760 წ. ახლო
ხანშია დაბადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერის საჩივრის გამო (ყმა-მამულის თაობაზე) მისი
უფროსი ძმა ზურაბ წერეთელი იმერთის დროებით მმართველობაში წარდგენილ
მოხსენებაში აცხადებს: „შემდგომად“ ჩვენი მამის ქაიხოსროს გარდაცვალებისა
(1769 წ.), „პირველმა სოლომონმა მე და ძმასა ჩემსა პაპუნას გვიბოძა რაოდე-
ნიმე ყმა და მამული... სისხლდათხევითის სამსახურისათვის ჩვენისა... ყამსა ამას“
(იგულისხმება ქაიხოსროს გარდაცვალებისა და რაჭის საერისთავოს გაუქმების
„ყამი“ — 1769 წ. მიწურული)... ძმა ჩემი ბერი იყო ექვსის წლის და ხსენებულ-
მა ამა მეფემ არც კი იცოდა, თუ კიდევ გეყავდა ძმა მესამე, მაგრამ ჩვენ, ჩვენის
საკუთარის ნებით და ძმობის სიყვარულით, შემდგომად ჩავსწერეთ ამ ღრამა-
ტაშიდო“ (საქ. საზ. მუზ. ინსტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 121, № 104).

ზურაბის სიტყვებს თუ დაუჯერებთ, გამოდის, რომ ბერი 1763 წ. დაბადებუ-
ლა. მაგრამ მისი სიტყვები რომ მართალი არ არის, ამას ცხადყოფს სოლომონ
I-ის ზემოდასახელებული წყალობის წიგნი (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1184),
სადაც ზურაბის „პატარა ძმა ბერი“ 1760 წ. უკვე იხსენიება.

401 ქუთ. მუზ. საბ. № 253.

402 იქვე; ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1317, 1340 (წერეთელთა გვარის გენე-
ალოგიური ცხრილი). ამ ცხრილში ბერის შვილი ივანე არ ჩანს.

403 ქუთ. მუზ. საბ. № 253.

404 იხ. იქვე.

1 ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 111 v.



ლა. იქიდან მოსულა უხსოვარ დროს სამი ძმა ნიქარაძე, თავან ერთი ქუთაისის გორაზე დასახლებულა, მეორე აჭარაში და მესამე — აფხაზეთში. ქუთაისში დამკვიდრებული ნიქარაძე იმერთა მეფეს აფხაზთა მთავართან მოციქულად გაუგზავნია დადიანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოსალაპარაკებლად. ნიქარაძეს დავალება ჩინებულად შეუსრულებია და სამი თვის შემდეგ მეფესთან დაბრუნებულა ტივით. ამ ერთგულების გამო მეფეს ნიქარაძისათვის უბოძებია ადგილ-მამული ქუთაისიდან გუბის წყლამდე.

ამ გადმოცემის მეორე ვერსიით, ნიქარაძეთა გვარი დაღესტნიდან მოსულა იმერეთში უძველეს დროს და აქ ქუთაისის გორაზე დამკვიდრებულა. შემდეგ კი აქედან მალლაკში გადასულა².

ზემოაღნიშნული ცნობები ერთ რამეში ერთმანეთს ემთხვევიან: ამ გვარის თავდაპირველ სამკვიდრებლად იმერეთს არ თვლიან. ამ ცნობათაგან რომელია სწორი გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ ნიქარაძეების სვანეთიდან წარმომავლობა უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება. ამის თქმის საფუძველს იძლევა „მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“-ში (XIII ს. მეორე ნახევრის წყარო, პ. ინგოროყვას დათარიღებით) მოხსენიებული „ნიქარაი“³, რომლისაგან შეიძლება მომდინარეობენ ნიქარაძეები. ყოველ შემთხვევაში, ეს გვარი სვანეთში დღესაც ცხოვრობს.

ნიქარაძეთა საგვარეულოს შესახებ ცნობა დაცულია ეპიგრაფიკულ წყაროებშიც: ნიქარაძე დასახლებულია ნიგოითის (გურიის) წმინდა გიორგის საყდრის დასავლეთის ფასადის წარწერაში⁴, რომელიც XIV საუკუნეზე ადრინდელი არ არის⁵.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ნიქარაძეს XV ს. შემდგომდროინდელ იმერეთის „უწარჩინებულეს“ გვარებს შორის ასახელებს⁶.

დოკუმენტურ წყაროებში ნიქარაძეთა გვარის წარმომადგენელი პირველად იხსენიება XVI ს. 10-იან წლებში. ამ დროს შედგე-

² გადმოცემა ჩაიწერეთ 1959 წ. აგვისტოს სოფ. ზედა მალლაკში ამავე სოფლის მცხოვრებთა 77 წლის სვერიანე (ეპუქულო) ბეგლარის ძისა და 68 წლის რაქდენ იაკორის ძე ნიქარაძეების თხრობის მიხედვით.

³ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. II. გვ. 146.

⁴ ამ წარწერაში ვკითხულობთ: „ქ(რისტე) შეიწყალე ნ(იქ)არაძე“ (იხ. Д. м. Бакрадзе. АПГА, с. 252).

⁵ იხ. იქვე, გვ. 255.

⁶ იხ. მისი აღწერა, გვ. 36.



ნილ ერთ საბუთში ბაგრატ იმერთა მეფე ამბობს: „ნიქარაძე მეტრე უშვილოდ გარდაჯდა და ესე მეზუთხენი (იგულისხმებოდა იმერეთის ზუთხის გადამხდელი გლეხები. ო. ს.) მისეული დაგურჩა და ჩუენ ჩუენის სულისათვის განათს შევისწრეთ მათითა ბეგრითაო“⁷.

ამავე საუკუნის პირი უნდა იყოს აგრეთვე გამოჩინებულის (გურია) წმინდა გიორგის ჯვარის წარწერაში დასახელებული წინამძღვარი ლაზარე ნიქარაძე⁸. მაგრამ იყო თუ არა რაიმე ნათესაური კავშირი მას, ნიგოთის საყდრის ზემოხსენებულ წარწერის ნიქარაძესა და იმერეთის ნიქარაძეებს შორის, ამის დადგენა არ ხერხდება.

აღნიშნული საუკუნის შუა წლებისათვის ნიქარაძეთა საგვარეულო მრავალი ყმა-მამულის პატრონი ჩანს მაღლაკს, ნამამუევსა და სხვაგან⁹.

ამავე ხანში უნდა მომხდარიყო ისიც, რომ ნიქარაძეს ლაშხის შვილის სისხლი დაედვა და „ცხრა კვამლი კაცი და პარტახტი მისცა მას „ნასისხლად“¹⁰.

ნიქარაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XVI ს. პირველ ნახევარშია სავარაუდებელი. იმ დროს, როცა ბაგრატ მეფის 1545 წ. სიგელში „ნიქარაძისეულ“ ყმა-მამულზეა ლაპარაკი¹¹, ეს სათავადო უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს.

ნიქარაძეების სათავადოში რამდენიმე სოფელი შედიოდა:

1. მაღლაკი ქვედა (ოქონი)¹² და ზედა (ნაწილობრივ)¹³,
2. ოფშეკითი¹⁴,
3. საყულია (ნაწილობრივ)¹⁵,
4. ჭყვიში (ნაწილობ-

7 ქრონიკები. II. გვ. 342.

8 Д. м. Бакрадзе. АПГА, с. 235—236.

9 საქ. სიძვ. I. გვ. 18—20.

10 იქვე, გვ. 20.

11 იხ. იქვე, გვ. 18—20.

12 აქ არის ოქონის ეკლესია. ამიტომ ქვედა მაღლაკს ოქონსაც ეძახიან.

13 ნაწილი ეკლესიას ეკუთვნოდა (ქრონიკები. II. გვ. 128; ს. კაკაბაძე. მასალები დას. საქ. სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. I. 1928, გვ. 93).

ეკლესიას აქ (მაღლაკს) ძველი დროიდანვე „აბანოსის სახლი“ ჰქონდა (იხ. ქრონიკები. II. გვ. 128).

14 აქ ადგილ-მამული თავად ავიაშვილებსაც ჰქონდათ (იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 214).

15 ნაწილი თავად ჩიჯავაძეებს ეკუთვნოდათ (იხ. ზემოთ, ჩიჯავაძეთა სათავადო).



რიც)16, 5. ნამაშევი, 6. მიწაწითელი (ნაწილობრივ)17, 7. თერაპიული ნახევარი (მდინარე ოლოს გამოღმა ნაწილი)18.

ამ სოფლებიდან მალლაკი და ნამაშევი 1545 წ. უკვე ნიჟარაძეებისა ჩანს19. დანარჩენი სოფლებიც ამავე დროიდან მათ უნდა ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში, გვიან ისინი ნიჟარაძეებს ეკუთვნოდათ20.

ნიჟარაძეთა სათავადოს აღმოსავლეთით ბარბაღშიწმინდა საჭლერაედა, რომელიც მას ქუთაისისგან მიჯნავდა, დასავლეთით — გუბის-წყალი, სამხრეთით — ფარცხანაყანევი, ჩრდილოეთით — მდინარე ოლო. ეს მდინარე ჰყოფდა ამ სათავადოს აზნაურ იოსელიანების სამფლობელო წყალტუბოსა და გეიშტიბისაგან.

დასახელებულ სოფლებს გარდა, ნიჟარაძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე სოფ. ბაშს, უკანეთს, ფარცხანაყანეს. გუბს, ჯიხაიშს, ქვიტირსა და ჟიჟურაში21.

ნიჟარაძეების რეზიდენცია იყო ზედა-მალლაკს. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე22. მალლაკშივე ჰქონდათ ნიჟარაძეებს „მკვიდრი“ საგვარეულო „სასაფლაო ეკლესიაც“, აწენებული წმინდა გიორგის სახელზე23.

ნიჟარაძეთა მეორე ადგილსამყოფი ოფშევიტის იყო, აქაც მათ სასახლე და კარის ეკლესია ჰქონდათ24. აქ ნიჟარაძეთა გვარის ერთი შტო იყო დამკვიდრებული.

ნიჟარაძეებს „სასახლე და ნაციხვარი“ ჰქონდათ აგრეთვე ნა-

16 აქ ყმა-მამულს თავად ლორთქიფანიძეებიც ფლობდნენ (ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 136).

17 ნაწილი საეკლესიო იყო (სევერიანე ნიჟარაძის ცნობა).

18 ქუთ. მუზ. საბ. №№ 12, 646; საქ. სიძვ. I. გვ. 18—20; სევერიანე და რაქდენ ნიჟარაძეების ცნობები.

19 საქ. სიძვ. I. გვ. 19—20. ნამაშევი „უდრობისა და სოფლის აშლილობისაგან“ ერთხანს „დაკარგოდათ“ ნიჟარაძეებს, მაგრამ 1730 წ. ალექსანდრე V-მ ეს სოფელი „ხელახლა“ უბოძა მათ (ქუთ. მუზ. საბ. № 12).

20 ქუთ. მუზ. საბ. № 646; სევერიანე და რაქდენ ნიჟარაძეების ცნობები.

21 ქუთ. მუზ. საბ. №№ 205 (მოსეშვილების არქივი), 646, 775, 2196; საქ. სიძვ. I. გვ. 20.

22 ქუთ. მუზ. საბ. № 646; სევერიანე და რაქდენ ნიჟარაძეების ცნობები.

23 ამ ადგილს, სადაც ნიჟარაძეების ციხე-სიმაგრე იყო (მდინარე ოლასკურას ნაპირთან, ფერდობზე), ადგილობრივი მოსახლეობა დღეს „ნაციხვარს, გორიკას“ ეძახის.

24 ქუთ. მუზ. საბ. № 646.

25 იქვე.



მაშვეში²⁵. ასე („ნაციხვარად“) იწოდებოდა ის ჯერ 1730 წ.²⁶.

ნიჟარაძეები ძლიერი ფეოდალები იყვნენ. მათი ყმათა საერთო რიცხვი XVIII ს. 80-იან წლებში 600 კომლს უდრიდა²⁷. მომდევნო საუკუნის დამდეგს ამ საგვარეულოს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი მერაბ ნიჟარაძე 47 კომლ ყმა გლეხსა და 6 კომლ აზნაურს ფლობდა²⁸.

ნიჟარაძეთა ყმა-გლეხები იყვნენ: ინანიშვილები, ბანძელაძეები, დეისაძეები, კოლაძეები, სვანიძეები, ნეფსიწვერიძეები, კეპულაძეები, ჯოხაძეები, კვერნაძეები, გვანცელაძეები, ნიქაბაძეები, გუბელაძეები, გამგონიშვილები, ჯავახიძეები, ესაძეები, ლიონიძეები, ტყეშელაშვილები, ლეყაძეები, ჩეჩელაშვილები, ბიბიღეიშვილები, კოპეშავიძეები, ვაშაძეები, ბრეგვაძეები, არაშიძეები, რუხვაძეები, რობაჭიძეები, კუჭაძეები, ლეჭინაძეები, დოლაბერიძეები, გოგისვანა და სხვ.

ნიჟარაძეთა აზნაურები იყვნენ: დიდიძეები, ალერწიანები, თათიშვილები, ათაბეგები, ნიჟარაძეები, ჭყონიები და სხვ²⁹.

ნიჟარაძეები სხვადასხვა გზით ყმა-მამულის გამრავლებისათვის იღვწოდნენ. XVI ს. დასასრულს ეხედავთ ერთ ნიჟარაძეს (სახელი მოხსენიებული არაა), რომელმაც საეკლესიო „კაცი დაიჭირა“, „ბევრი ავი და უსამართლო საქმე უყო“ და მის მითვისებას ცდილობდა³⁰.

ნიჟარაძეების ყმათა ძირითად ნაწილს სავადასახადო შეუვალობა ჰქონდა. 1810 წ. ცნობით, მათი ყმებიდან სამეფო გამოსაღებს — საურს, მხოლოდ 120 კომლი იხდიდა, საუდიეროს კი სანიჟარაძეო, სამიქელაძეო, საჩხეიძეო, სალორთქიფანიძეო და სალოლობერიძეო ყმათა საერთო რიცხვიდან — მხოლოდ 100 კომ-

25 ქუთ. მუზ. საბ. № 12.

26 იბ. იქვე.

27 ი. რაინეგსი, დასახ. ნაშრ. გვ. 36.

28 ქუთ. მუზ. საბ. № 646.

29 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1339; ქუთ. მუზ. საბ. №№ 204 (მოსეშვილების არქივი), 646, 775, 1628, 1629, 1767, 1829, 2355; ქართული საშართლის მეგვლები. ტ. V. ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1974, გვ. 273—274; სვერიანე და რაედენ ნიჟარაძეების ცნობები.

30 იბ. ზონის საყდრის დავთარი..., გამოც. ს. კაკაბაძისა, ტფილისი, 1913, გვ. 20.



ლი³¹. აქედან ნიჟარაძეების ყმებად თუ 1/5-ს ვივარაუდებთ³².
დიეროს გადამხდელი მათი ყმებიდან მხოლოდ 20 კომლი ყოფილა.

ნიჟარაძეებს თავიანთი მოხელეები (სახლთუხუცესი, მოურავი, მდივანი, ხელოსანი და სხვ.) უნდა ჰყოლოდათ, რომელნიც გამოყენებული იქნებოდნენ სათავადოს მართვაში. მაგრამ ამის შესახებ წყაროებში ცნობები სრულად არაა შემონახული. გვიანდელი 1813, 1815 1817 წლების საბუთებში ჩანან მათი მხოლოდ ხელოსნები. სახელდობრ: ინანეიშვილი დავითა (დავითელა), ნიქაბაძე ბუჭუა, გამგონეიშვილი ივანია, გვანცელაძე პაატელა და კუბულაძე დავითა³².

საეკლესიო მსახურთაგან 1813 წ. დოკუმენტში იხსენიება მერაბ ნიჟარაძის მხოლოდ „კარის მწერველი მღვდელი კოპეშავიძე მარკოზ“, რომელსაც თავის ბატონის სასარგებლოდ „ხადილი“³³ მართებს და რომელმაც დიდი „ქრთამი“ მიართვა მას ამ ვალდებულების ამოკვეთისათვის³⁴.

XVII ს. შუა წლებისათვის ნიჟარაძეები დამსახურებული თავადები ჩანან. ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ 1651 წ. ფიცის წიგნს, იმერეთის სხვა გამოჩენილ თავადებთან ერთად, გიორგი და ბადირ ნიჟარაძეებიც აწერენ ხელს³⁵.

უფრო გვიან იხსენიებიან მათი სახლიკაცები: კიდევ გიორგი, ბასილი, პეპუნა და მამუკა ნიჟარაძეები³⁶. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პირია XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. დამდგის მოღვაწე ზემოხსენებული გიორგი ნიჟარაძე, რომელიც უკვე

³¹ АКТЫ, т. IV, с. 256.

³² ქუთ. მუზ. საბ. 646, 1829, 2196.

³³ ჩვეულებრივად ყმის ყოველწლიური გამოსაღები იყო ღომით, საკლავით, ღვინით და სხვ. მაგრამ შეიძლებოდა იგი ორ-სამ წელიწადში ერთხელ ყოფილიყო გადახდილი. იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის 1730 წ. შეწირულების წიგნით, მაგალითად, ამკვარაძეს მართებს „მესამე წელიწადს ხადილი“ (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 122).

³⁴ ქუთ. მუზ. საბ. № 1829.

³⁵ სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერეთში... გვ. 193.

ეს ბადირ და ბაგრატ იმერთა მეფის 1666 წ. წყალობის წიგნში მოწმედ დასახელებული ბაადურ ნიჟარაძე (დოკუმენტები. I. გვ. 430, № 599) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

³⁶ საქ. სიძვ. I. გვ. 44, № 16; დოკუმენტები... I. გვ. 437, № 610; დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 101.



II გიორგი არის ამ გვარში³⁷. იგია ამ დროს თავისი საგვარეულო მეტაური.

გიორგი II აქტიური მონაწილე იყო იმ ბრძოლისა, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში გიორგი აბაშიძე აწარმოებდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ნიქარაძე აბაშიძის სიძე იყო³⁸ და ამ ბრძოლაში თავის სიმამრს უჭერდა მხარს. იმერეთში გიორგი აბაშიძის „მთავრობის“ დროს (1701—1709 წწ.) გიორგი ნიქარაძე დიდად გაძლიერდა, მაგრამ აბაშიძის დამარცხების შემდეგ ნიქარაძის საქმე ცუდად დატრიალდა: გამარჯვებულმა გიორგი მეფემ ზურაბ აბაშიძის ინტრიგების გამო „შეიპყრა ნიქარაძე... აღმოჯანდა თულანი“ და ცოლიც „წაგვარა“³⁹. ბოლოს, ესეც არ აკმაარა: 1714 წ. მეფემ „ბრმა ნიქარაძე გარდმოაგდო კლდესა“ და მოკლა⁴⁰.

გიორგი ნიქარაძის შემდეგ მისი სახლიკაცები ერთხანს არ ჩანან ისტორიის სარბიელზე. არ ვიცით რა ნათესაური კავშირი ჰქონდა მასთან მის მოგვარე კაცობას, რომელიც პირველად იხსენიება 1730 წ. დოკუმენტში⁴¹. 1734 წ. კი ალექსანდრე V ყმა გლეხს „არაშიძესა და სხეებს“ აძლევს მას მათი ადგილ-მამულით⁴².

ბასილი გვხვდება ჯერ ცალკე თამარ დედოფლის 1694 წ. წყალობის წიგნში (დოკუმენტები. I. გვ. 437, № 610). შემდეგ პეტუნასთან ერთად — 1696—1710 წწ. ახლო ხანის საბუთში (დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 101), ხოლო გიორგისა და მამუქასთან — 1696—1714 წლებში (საქ. სიძვ. გვ. 44, № 16. საბუთის გამომცემლისეული თარიღი შესწორებულია ჩვენ მიერ). სახლიკაცობის გარდა, რა ნათესაობა იყო მათ შორის, არ ვიცით.

ბასილ ნიქარაძის შვილია დავითი, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავს: ლევან (I) და ქაიხოსრო (ქუთ. მუხ. საბ. № 13). ძმები ხან ცალ-ცალკე და ხან ერთად გვხვდებიან 1748, 1772, 1752—1785, 1801, 1803, 1819 წლების დოკუმენტებში (ქუთ. მუხ. საბ. №№ 204 (მოსეშვილების არქივი), 13, 84, 775, 1767; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 141).

ლევან I-ის შვილი იყო ბეჟანი, ხოლო ბეჟანისა — ლევან II და ბიქია (ქუთ. მუხ. საბ. № 204, მოსეშვილების არქივი). ქაიხოსროს კი ორი ვაჟი ჰყავდა: მერაბი და დათიკა (ქუთ. მუხ. საბ. № 84).

³⁷ I გიორგი არის ის, რომელიც ზემოხსენებულ 1651 წ. ფიცის წიგნში გვხვდება.

³⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა. გვ. 872.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ ქუთ. მუხ. საბ. № 12. კაცობასთან ერთად იხსენიება ამ საბუთში მისი ძმისწული გიორგი III. ამ კაცობას ვხედავთ აგრეთვე 1738 წ. ერთ „გარდაწვევტილების წიგნში“ (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6117).

⁴² დ. პ. პურცელაძე. Грузинския дворянския грамоты. Тифлис, 1881, с. 44.

კაცია ამ მეფის თანამედროვეა და ხშირად ვხედავთ მის სხვადახვა სიგელში⁴³. ამ დროს (1730—1738 წწ.) იგი ტიო კაცად⁴⁴ არის წარმოდგენილი.

მაგრამ ალექსანდრეს მეტკვიდრის სოლომონ I-ის მეფობაში ნიჟარაძეთა საგვარეულოს წევრს მერაბ ქაიხოსროს ძეს მეფის „ორგულობა გამოუვიდა“⁴⁵.

საქმე ისაა, რომ მერაბი ფრიად დაახლოებული იყო სამეფო კართან და პირადად სოლომონ I-ის მეტკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილთან. სწორედ ამიტომ გაგზავნეს მერაბ ნიჟარაძე თბილისს 1776 წ. 14 ივნისს ალექსანდრესათვის გიორგი ბატონიშვილის (შემდეგ მეფე გიორგი XII) „ქალის დასანიშნავად“⁴⁶. მაგრამ მალე, 1778 წ. 27 აპრილს, როგორც ცნობილია, სახლთუხუცეს დავით აბაშიძისა და მოურავ თამაზ მესხის ინიციატივით, ალექსანდრე მეფეს აუჯანყდა⁴⁷. სოლომონის წინააღმდეგ მიმართულ ამ აჯანყებაში, სხვებთან ერთად, მერაბიც მონაწილეობდა⁴⁸. სოლომონმა აჯანყება ჩააქრო და მისი მონაწილენიც სასტიკად დასაჯა. კერძოდ, მერაბ ნიჟარაძეს თვალები დათხარა, მეფეთაგან ნაწყალობევი ყმა-მამული ჩამოართვა და მის მეზობელ თავად ქაიხოსრო აგიაშვილს გადასცა. ხოლო ნიჟარაძეებს ამ ყმა-მამულის თაობაზე აგიაშვილებთან „უდებობის“ წიგნი დაადებინა. ამით გამწარებული მერაბის ძმა დათიკა, რომელიც აღნიშნულ წიგნს თვითონვე წერს, ბოლოს მწუხარებით დასძენს: „ვאי ჩემს წერას და უბედურებასო“⁴⁹.

ასე შერისხული დარჩნენ ნიჟარაძეები სოლომონ I-ის დროს.

43 ქუთ. მუხ. საბ. № 775; საქ. სიძე. II. გვ. 398, № 357; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. გვ. 82, № 88; გვ. 93, № 100.

44 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6117.

45 სსცია, ფ. 227 (2), № 57.

46 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782 (ხოჯაყანათ იოვანეს დღიური), გვ. 30.

47 იხ. შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. III. 1961, გვ. 131—132.

48 იქვე, გვ. 132; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. გამოც. შ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1905, გვ. 26; სსცია, ფ. 227 (2), № 57.

49 სსცია, ფ. 227 (2), №№ 57, 84; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა..., გამოც. შ. ჯანაშვილისა, გვ. 27; შ. ბურჯანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 132.

ალსანიშნავია, რომ ნიჟარაძეებსა და აგიაშვილებს შორის ისე-
დაც არ იყო მთლად კარგი განწყობილება: პირველთაგან გაქცეუ-
ლი გლეხი უკანასკნელთ მიუვიდათ და ისინი მის მითვისებას ცდი-
ლობდნენ⁵⁰. სოლომონ I-ის ზემოაღნიშნული ღონისძიებების შემ-
დეგ კი ამ ორ თავადურ საგვარეულოს შორის დამოკიდებულება
უფრო მეტად გამწვავდა. 1779 წ. ნიჟარაძეებსა და ქაიხოსრო აგია-
შვილს შორის არის დავა, „ფიცი“ და „განჩინებანი სამართლისა“
ადგილ-მამულის გამო⁵¹, მიუხედავად იმისა, რომ ნიჟარაძის ასუ-
ლი დარეჯან ქაიხოსრო აგიაშვილის თანამეცხედრე იყო⁵².

დიდ წარმატებას აღწევენ ნიჟარაძეები სოლომონ II-ის მე-
ფობაში. ამ დროს მათ მნიშვნელოვანი სახელოები უჭირავთ:

1791 წ. აბესა (აბესალომ) ნიჟარაძეს მარიამ იმრეთა დედო-
ფლის მოლარეთუხუცესობა აქვს⁵³. უფრო გვიან, 1795 წ. კაცია II
ნიჟარაძე⁵⁴ ხაბაზთუხუცესად არის დასახელებული⁵⁵; 1803 წ. კი,
ამ თანამდებობასთან ერთად, მას მოურავობაც აქვს⁵⁶ (ნიჟარაძეების
სამოურავო იყო ფარცხანაყანევი)⁵⁷.

50 ქუთ. მუზ. საბ. № 1767.

51 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. გვ. 81—82, 274—275.

52 ქუთ. მუზ. საბ. № 2355.

53 იქვე, № 1483. მასთან ერთად ეს თანამდებობა აღნიშნულ წლის 9 ოქტომ-
ბერს ლევან ჩხეიძესაც მიეცა (იხ. იქვე). ე. ი. დედოფალს ორი მოლარეთუხუ-
ცესი ჰყავს.

54 I კაცია არის ალექსანდრე V-ის თანამედროვე კაცია ნიჟარაძე (იხ. ზე-
მოთ).

55 დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 108.

56 იქვე, გვ. 141. კაცია II-ს ვხედავთ აგრეთვე 1793, 1796, 1798, 1800, 1809,
1816, 1817 წლებში (იხ. იქვე, გვ. 103, 110, 115; ქუთ. მუზ. საბ. №№ 1629, 2196;
ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე.
5. 1950, გვ. 231, № 4; მისი ივე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები).
გვ. 397, № 11).

კაცია II-ს შვილები არიან პაატა, რევაზი და ნიკო. მამასთან ერთად იხსენიე-
ბიან ისინი 1816, 1817 წლებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 1628, 2196). მათგან პაატა
ცალკე გვხვდება 1808, 1809 წლების საბუთებში (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 8382;
ქუთ. მუზ. საბ. № 115).

57 П. Гниласаров. О царе Соломоне II и бывшем при нем
управлении. Кавказский календарь на 1859 г., с. 432.

ამ საგვარეულო სახელოდან (ფარცხანაყანევის სამოურავოდან) მიღებული
შემოსავალი მოურავის მიერ იმდენ ნაწილად იყოფოდა, რამდენი ოჯახიც იყო ნი-
ჟარაძეების თავადურ გვარში (იქვე).



კაციას ძმას როსტომს⁵⁸ 1801 წ. ქილიფთართხუცესად დაეთმო⁵⁹. მომდევნო წელს იგი მოურავადაც იხსენიება⁶⁰. როსტომ ნიყარაძე იყო აგრეთვე 1800 წ. ქუთაისში მოწყობილი იმერეთის პირველი სტამბის „ზედამხედველი“. ასეა ის მოხსენიებული ამ სტამბის პირველ ნაბეჭდ წიგნში (1800—1801 წწ. ფსალმუნში)⁶¹.

ქუთაისის სტამბის ზედამხედველად იყო როსტომი მისი ამუშავებიდან 1803 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ამ ზედამხედველობას სოლომონ II ზურაბ წერეთელს მიანდობდა⁶². აღნიშნულ წელს ამ ორ თავადს შორის განწყობილება უკვე გამწვავებული იყო.

სოლომონ II-ის ერთგულმა მესაიდუმლემ როსტომმა აღრევე შეამჩნია, რომ სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი მეფეს ღალატობდა და გააფრთხილა იგი არ მინდობოდა მას. სწორედ როსტომ ნიყარაძემ გამოამჟღავნა, როგორც აღრე, ისე 1802 წ., ლეჩხუმის კამპანიის დროს მეფის მიმართ ზურაბის მოლაღატური მოქმედება. ამიტომ იყო, რომ მეფემ ჩამოაშორა წერეთელი ლეჩხუმის საქმეს და ამის თაობაზე დადიანთან მოლაპარაკება როსტომ ნიყარაძეს დაავალა⁶³. მაგრამ დადიანი ლეჩხუმს არ სთმობდა და ამ პროცენციის იმერეთის სამეფოსთან შემოერთების საკითხი მაინც ვერ მოგვარდა...

⁵⁸ როსტომი რომ კაცია II-ს ძმა იყო, ეს ჩანს 1817 წ. 23 თებერვლის ერთ „საუღლო წიგნიდან“ (იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 2196).

⁵⁹ სსცია, ფ. 229(4), დავთარი 24, საბ. № 151; ქრ. შარაშიძე. იმერეთის სტამბის ისტორიისათვის. კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო საქარო ბიბლიოთეკის შრომები. III. 1937, გვ. 41.

⁶⁰ ზელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1763.

⁶¹ ქრ. შარაშიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 41.

როსტომი იხსენიება აგრეთვე 1800, 1801, 1802, 1803, 1809, 1810, 1811 წლების დოკუმენტებში (ზელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 1156, 1763; ქუთ. მუზ. საბ. № 846; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 119, 124—125, 142; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 185, № 18; გვ. 190, № 23; მისივე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 481, № 73; გვ. 487, № 80; საქ. სახ. მუზ. ინსტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 134, № 113).

როსტომს სამი ვაჟი ჰყავდა: დავითი, ხახე და ალექსანდრე. თავიანთ ბიძა კაცია II-სა და ბიძაშვილებთან (პაატა, რევაზ, ნიკოსთან) ერთად ვხედავთ მათ 1817 წ. საბუთში (ქუთ. მუზ. საბ. № 2196).

⁶² ზელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 14758.

⁶³ იქვე, ფ. Sd, № 1142; А. Соколов. Путешествие..., с. 40—41; შ. ბურჯანაძე. თავადი ზურაბ წერეთელი. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XX-B. 1959, გვ. 183. იხ. აგრეთვე ზემოთ, წერეთელთა სათავადო.

მეფის უნდობლობით გამწარებული ზურაბ წერეთელ⁶⁴ების წინაშე ჩიოდა: როსტომ ნიჟარაძემ მეფესთან „დამასმინა“. „მის მოლაღატეთ და მკვლელათ გამომაჩინა“ და ამიტომ „ბატონმა... მისი მწყალობლობა მომაკლო“, თორემ მე უდანაშაულო ვარო⁶⁴. მაგრამ შემდეგდროინდელი ამბების მსვლელობამ ცხადჰყო, რომ ზურაბ წერეთელი მეფეს ნამდვილად ღალატობდა⁶⁵.

მეფის წინაშე როსტომი დიდი ნდობით სარგებლობდა. იმერეთის სამეფოს მნიშვნელოვანი საკითხები მის გარეშე არ წყდებოდა. იგი სოლომონ II-ის იმ „თანაგანმზრახ... ვაზირთა“ რიგებში იყო, რომელთა „თქმულთა“ მეფე ვერ გადაუხვევდა⁶⁶.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოლომონმა 1801 წ. ზაფხულში როსტომ ნიჟარაძე გაგზავნა თბილისს მოციქულად, რომელმაც აქაურ ხელისუფალთ ოფიციალურად განუცხადა: იმერეთის „მეფეს სურს შემოვიდეს რუსეთის მფარველობა-ქვემეგრდომობაში, ოღონდ იმ პირობით, რომ ქართლ-კახეთში იულონი გაამეფონო“⁶⁷.

როსტომი ბოლომდე სოლომონ II-ის ერთგული დარჩა. იგი თავის სახლიკაც აბესასთან ერთად, იმ თავადთა შორის იყო, რომელნიც, რუსეთის მთავრობის მიმართ „პირქუშნი და უნდობელნი“, 1810 წ. მარტს იმერეთ-ქართლის საზღვარზე ტორმასოვთან შესახვედრად მიმავალ მეფეს მიყვებოდნენ⁶⁸.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (1810 წ.) როსტომი თურქეთში გადახვეწილ მეფეს თან გაყვა. აქ ემიგრაციაში ყოფნის დროსაც ნიჟარაძე სოლომონისათვის თავდადებით იღვწოდა. 1811 წ. მეფის დავალებით როსტომი დაუკავშირდა პორტაში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს უტრეს და ჩააბარა მას სოლომონ II-ის წერილი ნაპოლეონისათვის გადასაცემად, რომლითაც რუსეთის თვითმპყრობელობისაგან დევნილი იმერთა მეფე იმ-

64 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1142.

65 იხ. ზემოთ, წერეთელთა სათავადო.

66 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 192.

67 ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II. თბილისი, 1965, გვ. 283.

68 ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 481, № 73.



პერატორს დახმარებას თხოვდა⁶⁹. მაგრამ ამასაც არავითარ
დეგი არ მოყოლია...

აღნიშნულ წელსვე როსტომ ნიჟარაძე „უამით“ დაავადდა
ტრაპიზონში⁷⁰ და, უნდა ვიფიქროთ, ამავე წელს იქვე გარდაიცვა-
ლა.

როსტომის თანამედროვე იყო მისი სახლიკაცი მაქსიმე ნიჟა-
რაძე, რომელსაც ჯუმათელ მიტროპოლიტის კათედრა ეჭირა და
გარდაიცვალა 1811 წ.⁷¹.

როსტომის თანამედროვენი იყვნენ აგრეთვე ნიკოლოზ⁷², ზე-
ნოდასახელებული ხაბაზთუხუცესი კაცია II (როსტომის ძმა), დე-
დოფლის მოლარეთუხუცესი აბესა (აბესალომ)⁷³ და კოსტანტი-
ნე⁷⁴ ნიჟარაძეები. პირველი ორი „იმერეთის რჩევის“ წევრ დიდ
თავადთა შორის იხსენიება 1809 წ. 23 ივნისს⁷⁵, ორი უკანასკნე-
ლი კი, როსტომთან ერთად, ჩანს სოლომონ II-ის ამაღლაში 1810 წ.
მარტში⁷⁶.

ზემოხსენებულ პირთა გარდა, XVIII ს. და მომდევნო საუ-
კუნის პირველ მეოთხედში ნიჟარაძეთა საგვარეულოს მეტ-ნაკლე-
ზად ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: ბუჭუა⁷⁷, გიგი, პაატა⁷⁸,

69 ი. ტაბაღაძე ა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან.
გვ. 34—36.

70 საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკუმენტები და არქივები. II. გვ. 134, № 113.

71 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 319. ეს თარიღი სიეჭვოა. დიშ. ბაქრაძე
მას კითხვის ნიშნით უჩვენებს (იქვე. იხ. აგრეთვე. გვ. 311).

72 ნიკოლოზ ნიჟარაძეს ვხვდებით მხოლოდ ერთხელ 1809 წ. დოკუმენტში
(ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 397, № 11).

73 იხსენიება 1792, 1795, 1798, 1799, 1806, 1810, 1814 წლების საბუ-
თებში (სსცია, ფ. 227(2), № 75; ქუთ. მუზ. საბ. №№ 552, 1452; დას. საქ. სა-
ეკლ. საბ. II. გვ. 108; ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 481, № 73; გვ. 488,
№ 80; მისივე, იმერეთის საბუთები თაჩნობის შესახებ. საისტორიო მოამ-
ბე. 5. 1950, გვ. 183, № 16; გვ. 233, № 15).

74 კონსტანტინე ზურაბის ძე იყო. ვხვდავთ 1810, 1816, 1817, 1823 წლებ-
ში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 1628, 2196, 2355; ს. კაკაბაძე. იმერეთის სა-
მეფოს გაუქმება (დოკუმენტები). გვ. 488, № 80). სხვა კონსტანტინე უნდა იყოს
1849 წ. ერთ შეწირულობის წიგნში დასახელებული „პროტორიშჩიკი კ(ნია)ზ კონს-
ტანტინე ნიჟარაძე“ (სსცია, ფ. 226(1), № 7946).

75 ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 397, № 11.

76 იქვე. გვ. 487—488, № 80.

77 იხსენიება 1748 წ. ერთ „სათავედბო წიგნში“ (მასალები კლასობრივი
ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 18, № 6).

78 გიგი და პაატა ნიჟარაძეები ერთად იხსენიებიან 1755 წ. დოკუმენტში
(დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 6).



ვახტანგ⁷⁹, ოტია⁸⁰, ზურაბ⁸¹, ლევან⁸², სპირიდონ⁸³, ქაქუჩა⁸⁴, დიმიტრი⁸⁵, გიორგი IV⁸⁶, მალაქა⁸⁷, თეიმურაზ და ტოტია ნიყარაძეები⁸⁸.

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით ნიყარაძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

79 გვხვდება 1762 წ. ნასყიდობის წიგნში (იქვე, გვ. 17). ვახტანგის შვილი იყო ოტია ნიყარაძე. ასე ასახელებს იგი თავის თავს 1823 წ. 9 მარტის ერთი „მოწმობის“ წიგნში (ქუთ. მუზ. საბ. № 2355).

80 იგი ვახტანგ ნიყარაძის ძეა (ქუთ. მუზ. საბ. № 2355). ვხედავთ 1772, 1823, 1824 წლებში (ქუთ. მუზ. საბ. №№ 205 (მოსეშვილების არქივი), 1767, 2355). სხვა ოტია უნდა იყოს 1841 წ. საბუთში დასახელებული „პრაპორშჩიკი თავადი ოტია ნიყარაძე“, რომელიც ერთხანს მოურავად იყო (იქვე, № 678).

81 ვხვდებით 1792, 1795, 1796, 1804 წლების საბუთებში (სსცია, ფ. 227(2), № 75; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 108, 110; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 233, № 16). ზურაბის შვილია ზემოხსენებული კოსტანტინე ნიყარაძე (ქუთ. მუზ. საბ. № 2355).

82 მოწმედაა დასახელებული 1803 წ. 25 ივნისის საბუთში (დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 141). ეს ლევანი არის ბეჟანის ძე (ქუთ. მუზ. საბ. № 204, მოსეშვილების არქივი) ლევან II, ხოლო I ლევანია დავით ნიყარაძის შვილი ლევანი (იხ. ზემოთ, გვ. 154—155, შენიშვნა 36).

83 იხსენიება, ზურაბ ნიყარაძესთან ერთად, 1804 წ. დოკუმენტში (ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 233, № 16). სპირიდონი და ზურაბი ძმები უნდა იყვნენ.

84 მოწმედ არის მოხსენიებული 1814 წ. ერთ ნასყიდობის წიგნში (ქუთ. მუზ. საბ. № 552).

85 ჩანს 1823 წ. (ქუთ. მუზ. საბ. № 2355). შეიძლება ეს დიმიტრი და 1849 წ. 20 ივლისის საბუთში მოხსენიებული „კ(ნია)ზ დიმიტრი ნიყარაძე“ (სსცია, ფ. 227(2), №7946) ერთი და იგივე პირი იყოს. დიმიტრი ლევანის ძეა (ქუთ. მუზ. საბ. № 2355). დიმიტრის მამა უნდა იყოს ზემოთ დასახელებული ლევან II ბეჟანის ძე.

86 I, II და III გიორგი იხ. ზემოთ.

87 გიორგი III და მალაქა ერთად გვხვდებიან 1804 წ. 2 დეკემბრის დოკუმენტში (ქუთ. მუზ. საბ. № 205, მოსეშვილების არქივი).

88 იხსენიებიან XIX ს. 20-იან წლებში (ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 5377 — დიმიტრი წერეთლის არქივი).



ნიყარაძეთა შორის ყმა-მამულის გამო „ლაპარაკს“, „გარეგებას“ ისევე ჰქონდა ადგილი, როგორც სხვა ფეოდალურ გვარებში⁸⁹.

1815 წ. 20 მაისისათვის ნიყარაძეების თავადური გვარი უკვე გაყრილია და ამ გვარის წევრები ცალ-ცალკე ფლობენ თავიანთ წილხვდომილ მიწა-წყალს⁹⁰.

აღნიშნულ წელს მერაბ II ნიყარაძემ⁹¹ თავისი შვილობილი მკერინე⁹², როგორც ზემოთ ითქვა, დიმიტრი გირგიოლის ძე წერეთელს მიათხოვა და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება („სამკვიდრო... ნასყიდი ... ნაშოვნი მეფეთაგან ნაბოძები“): „სასახლე ეკლესიითურთ“, „ახნაურნი, მსახურნი და გლეხნი მოჭალაბითურთ“ ანდერძით მას დაუმტკიცა⁹³.

მერაბის მემკვიდრეობის სხვა გვარის წარმომადგენლის, წერეთლის ხელში გადასვლამ ნიყარაძეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ უკმაყოფილების ნიადაგზე, როგორც აღინიშნა, მოკლეს დიმიტრი წერეთელი ოფშკვითში 1829 წ. 19 აგვისტოს, ღამით.

დიმიტრის მკვლელობის განზრახვაში „ერთობით ნიყარაძეებს“ და თვით მერაბის ქვრივს მაკოს (მარიამს) სდებდნენ ბრალს. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას კი თეიმურაზ ნიყარაძესა და მის ყმებს — რუხვაძესა და რობაქიძეს სწამებდნენ. მკვლელობაში მონაწილეობაზე ეჭვი ჰქონდათ აგრეთვე დიმიტრი და ტოტია ნიყარაძეებზე.

ამ საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა...

მერაბ ნიყარაძის მთელი მემკვიდრეობა მაინც დიმიტრის შვილს ნესტორ წერეთელს დარჩა⁹⁴.

⁸⁹ ქუთ. მუზ. საბ. № 2196.

⁹⁰ იქვე, № 646.

⁹¹ I მერაბი არის ის, რომელსაც 1778 წ. სოლომონ I-ის „ორგულობა გამოუვიდა“ და თვალები დათხარეს (იხ. ზემოთ).

⁹² მერაბ II ნიყარაძე უშვილო იყო. თანამეცხედრედ ჰყავდა წულუკიძის ასული მარიამ (მაკო). მერაბმა იშვილა თავისი „გაუყრელი“ ძმის დავითის ძე ქაიხოსრო, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა. დარჩა მას ერთადერთი ასული მკერინე, რომელიც მერაბმა „აღზარდა“ თავის „შვილად და მემკვიდრედ“ (ქუთ. მუზ. საბ. № 646).

მერაბ II ნიყარაძე გარდაიცვალა 1827 წ. 17 ივნისს (ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 5377 — დიმიტრი წერეთლის არქივი).

⁹³ ქუთ. მუზ. საბ. № 646.

⁹⁴ ხელნაწ. ინსტ., ფ. S, №№ 5371 (ნესტორ წერეთლის არქივი); 5377 (დიმიტრი წერეთლის არქივი).

თ ა ვ ი VI

ნაკაშიძეთა სამთავრო*

ნაკაშიძეთა გვარი ერთ-ერთი „უწარჩინებულესი“ გვარი იყო გურიის სამთავროში. ასე იცნობს ამ საგვარეულოს ვახუშტი ბატონიშვილი¹.

ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში“ დაცული ცნობით, „ნაკაშ იყო ბახიჩის ადგილით, დიარბეჭირის წინამძღუარი და თათართაგან ეწოდა ნაყაშ, რადგან მხატვრობა იცოდა... ამის შვილნი მოვიდნენ ქართლსა, მეფემან მიიღო თავადად და უბოძა გვარად ნაყაშიძობა... მისცა ადგილნი გურიას და არიან მუნიდგან ნაკაშიძედ წოდებულნი წელსა 1231-სა“².

თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ნაკაშიძეები გურიაში XIII ს. პირველ ნახევარში მოსულან. მაგრამ ეს ცნობა სარწმუნო არ ჩანს. ვახუშტი ნაკაშიძეს გურიის ადგილობრივ მკვიდრ თავადად თვლის, მაშინ როდესაც ამ ქვეყნის ზოგიერთი თავადური გვარის (შარვაშიძის, თავდგირიძის) სხვა კუთხიდან წარმომავლობაზე მართებულად მიგვიითხებ³.

რაც შეეხება სიტყვა „ნაკაშს“⁴, იგი თურქულ მეტყველებაში არაბულიდან არის შესული და ეს სიტყვა მართლაც მხატვარს ნიშნავს⁵.

* გურიის სამთავროს სათავადოები მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი აქვს ქ. ჩხატარაიშვილს (იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია: გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევი), ხელნაწერი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, გვ. 408—472). აღნიშნული სათავადოების განხილვისას ვსარგებლობთ ამ ნაშრომით.

¹ იხ. მისი აღწერა..., გვ. 37.

² ხელნაწ. ისტ., ფ. S, № 3729, გვ. 119 რ.

³ იხ. მისი აღწერა..., გვ. 37.

⁴ **نقاش** ქართული ტრანსკრიპციით — „ნაყაშ“. თურქული **ق** ქართულში ყ-დ გადმოიციემა.

⁵ იხ. Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь, издание второе. М., 1945.



დოკუმენტურ წყაროებში ნაკაშიძეთა გვარი XVI ს. დასაწყისში რუსულამდე არ იხსენიება. ამ გვარის ყველაზე ადრინდელი ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენელი მამუკა ნაკაშიძეა. იგი პირველად გვხვდება ვახტანგ I გურიელის დროს (1583—1587 წწ.) მის „დარბაზის ერთა“ შორის⁶. ამის შემდეგ ნაკაშიძეებს განუწყვეტლივ ვხვდებით ისტორიის სარბიელზე.

ზემოხსენებული მამუკა უნდა იყოს ის მამუკა ნაკაშიძე, რომელსაც XVII ს. პირველ ნახევარში იტალიელი მისიონერი პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე გურიის წარჩინებულ თავადად (Barone de principali) ასახელებს⁷.

იგივე მამუკა უნდა იყოს ციხის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატისა და ფრესკულ წარწერებში მოხსენიებული მამუკა ნაკაშიძე⁸. თუ ეს ასეა, მაშინ მისი თანამეცხედრე ყოფილა ვინმე მოურავის ასული ხვარამზე და ჰყოლია ორი ვაჟი: ალექსანდრე და ბეჟანი⁹.

მამუკა ნაკაშიძეს ორი ძმაც ჰყავდა: თანდარუხ და გიორგი¹⁰. უკანასკნელი მამია გურიელის „ერთგულებაზედ“ მომკვდარა და „მისეული ყველაფერი“ მთავარს მისი ძმებისთვის უბოძებია¹¹.

ნაკაშიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება მამუკას მოღვაწეობის დასაწყისში (XVI ს. მიწურულს) არის სავარაუდებელი. ამ სათავადოს პირველი მეთაურიც ის უნდა იყოს.

ნაკაშიძეთა სათავადოში შვიდი სოფელი შედიოდა:

⁶ Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 131; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1977, გვ. 657—658, № 333.

⁷ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე..., გვ. 74.

⁸ Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 272—273.

⁹ იქვე, გვ. 173.

¹⁰ ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 13893.

¹¹ იხ. იქვე. „პელმწიფე“ მამია გურიელი, რომელიც გიორგი ნაკაშიძისეულ „ყველაფერს“ მის ძმებს — მამუკასა და თანდარუხს აძლევს, მამია II უნდა იყოს და ეს ფაქტი მის გურიელობაში — 1600—1625 წწ. უნდა იყოს მომხდარი.



1. გურიამთა¹², 2. ვაშნარი, 3. ციხე (ციხისფერდი), 4. ეთური, 5. გამოღმა ბაილეთი¹³, 6. ახალსოფელი, 7. მაკვანეთი¹⁴.

პირველი 6 სოფელი ერთ მთლიან ტერიტორიას ჰქმნიდა, რომელსაც აღმოსავლეთით საგურიელო ოზურგეთი საზღვრავდა, დასავლეთით — აზნაურ ქარცივაძეთა სოფ. ხვარბეთი, ჩრდილოეთით — ნიგოთის ქედი, რომელიც ჰყოფდა მას თავად მაჭუტაძეების სამფლობელოსაგან, და სამხრეთით — მდ. ჩოლოქი.

ნაკაშიძეების მფლობელობაში ეს ტერიტორია, თუ უფრო ადრე არა, მამუკას დროიდან (XVI ს. მიწურული—XVII ს. I ნახევარი) მაინც არის საგულისხმებელი. აღნიშნულ პერიოდში, როცა ციხის საყდრის კედლებზე მამუკასა და მის ოჯახის წევრთა პორტრეტებს ხატავენ¹⁵, გურიამთა უკვე მათ ეკუთვნით¹⁶.

ზემოაღნიშნულ სოფლებს გარდა, ნაკაშიძეები ფლობდნენ შეკვეთილისა და გრიგოლეთის ნახევარს. ამ ორის ნახევარი იყო ის „ნახევარი ზღვისპირი“, რომელიც ნაკაშიძეების სამკვიდროდ ითვლებოდა. მათი მონახევრეები აქ გურიელები იყვნენ¹⁷.

12 ძველი სახელწოდებით — კახური (სოფ. გურიამთას მცხოვრები, 78 წლის სიმონ ნესტორის ძე კვაჭაძის ცნობა. ჩაიწერეთ ამავე სოფელში 1959 წ. აგვისტოს).

მისივე ცნობით, გურიამთა ეწოდებოდა როგორც საყუთრივ სოფელ გურიამთას ანუ კახურს, ისე მთელ კუთხეს, რომელშიც, ამ სოფელთან ერთად, შედიოდა ციხე, ჭანიეთური, გამოღმა ბაილეთი და ახალ სოფელი (მდრ. Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 272).

13 მდინარე სუფსის გაღმა ბაილეთი გურიელს ეკუთვნოდა (სიმონ კვაჭაძის ცნობა). XVIII ს. მიწურულიდან ის ლევან ბატონიშვილს ეკუთვნოდა (ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2662; Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 269).

14 დოკუმენტები. I. გვ. 474. № 675; სიმონ კვაჭაძის ცნობა.

15 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 272.

აღსანიშნავია, რომ მაკვანეთის ეკლესიის მთავარანგელოზის ვერცხლის ხატის ქვემო არშიის წარწერაში მოხსენიებული მამუკა ნაკაშიძე და ციხის საყდრის კედელზე დახატული მამუკა ე. თაყაიშვილს ერთი და იგივე პირად მიაჩნია (იხ. მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I. ტფილისი, 1907, გვ. 31). ჩვენი აზრით, ისინი სხვადასხვა პირნი არიან: მეორე (ციხის საყდრის კედელზე დახატული) მამუკა ნაკაშიძე უფრო ადრინდელი ხანის მოღვაწე ჩანს (იხ. ზემოთ). პირველი კი, როგორც თვით ე. თაყაიშვილი შენიშნავს, უფრო გვიან — XVIII ს. „დასაწყისში“ იხსენიება (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 31).

16 გურიამთა რომ აღრიდანვე ნაკაშიძეების მფლობელობაში იყო, ეს ჩანს გიორგი ნაკაშიძის 1689—1717 წწ. საჩივრის წიგნიდან (დოკუმენტები. I. გვ. 474, № 675). ასევე აღრიდანვე მაკვანეთიც მათ ხელში იყო (იქვე).

17 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2482.



ნაკაშიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ჩოჩხატაში¹⁸, ლანჩხუთს¹⁹, გოგორეთს, ასკანას, ხარაულს, ოქრო-ქედს, ვაკიჯვარსა და გამოჩინებულში²⁰. მათვე ეკუთვნოდათ დეაბზუს მამულა ბერიძის მიწა-წყალი, რომელმაც უძეობის გამო იშვილა ნაკაშიძეთა სახლიკაცი საყვარელი XVIII საუკუნეში და თავისი ყმა-მამული მას დაუმტკიცა²¹.

ნაკაშიძეების ხელში იყო ვრცელი ტყეები ძვირფასი ჯიშის ხეებით (მუხა, ცაცხვი, ბუჩქი) მდინარე ნატანების ქვემო წელზე²².

ნაკაშიძეთა ადგილსამყოფი ციხისფერდსა და ვაშნარში იყო პირველში იყო მათი საზაფხულო რეზიდენცია. აქვე იყო მათი „გურიანთას ციხე, კლდე-გორასა ზედა შენი“²³, სასახლე და საგვარეულო ეკლესია, აგებული ღვთისმშობლის სახელზე.

საზამთრო სასახლე ნაკაშიძეებს ვაშნარში ჰქონდათ²⁴.

ნაკაშიძეთა სათავედოს უფროსი ხან ციხისფერდს იჭდა, ხან—ვაშნარში. მისი სახლიკაცებიც აქვე იყვნენ განლაგებული. მათი ერთი შტო კი მაკვანეთს იყო დამკვიდრებული და ჯერ კიდევ XVII—XVIII სს. მიჯნაზე მას აქ თავისი „სასახლე“ ჰქონდა მოწყობილი²⁵.

ნაკაშიძეების ადგილსამყოფი ციხისფერდი იყო არა შარტო მათი სათავედოს ადმინისტრაციული ცენტრი, არამედ აქ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც წარმოებდა. ბეჟან ნაკაშიძისა და მისი მემკვიდრის გიორგის დროს (XVII ს. მეორე ნახევარი მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარი) ციხისფერდში, ნაკაშიძეთა საგვარეულო ეკლესიაში სამწერლო მოღვაწეობა იყო გაჩაღებული. ხსენებულ პირთა „ბრძანებით“ „აღწერა“ აქ მღვდელ-

18 ჩოჩხატის, ზედუბანსა და დეაბზუს მოსახლე ყმა გლეხთა და აზნაურთა ნაწილი მამია V გურიელმა ნაკაშიძეებს უბოძა 1817 წ., როგორც მათი „ყოფილი“ ყმები (იქვე, № 2657). ე. ი. ისინი აღრიდნენ ნაკაშიძეებს ეკუთვნოდნენ.

19 ლანჩხუთს მამია IV-ს (1726—1784 წწ. ინტერვალებით) მიერ წანართმევი ყმა-მამული მამულა ნაკაშიძეს დაუბრუნა გიორგი V გურიელმა (1756—1788 წლები, ინტერვალებით) (ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 11484). ასე რომ, ნაკაშიძეებს აქაც აღრიდნენ ჰქონდათ ადგილ-მამული.

20 სსცია, ფ. 2, საქ. № 5670, ფურც. 142. იხ. აგრეთვე იქვე, ანაწ. 1, საქ. № 3975, ფურც. 31—32; სიმონ კვაჭაძის ცნობა.

გამოჩინებულში ნაკაშიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ ძველი დროიდან («Исстари»). (Д. м. Бакрадзе. АПГА, с. 297—298).

21 იხ. იქვე, გვ. 302, 305—306.

22 სიმონ კვაჭაძის ცნობა (გაუგონია მამა-პაპათაგან).

23 ე ა ხ უ შ ტ ი. აღწერა. გვ. 790.

24 სიმონ კვაჭაძის ცნობა.

25 დოკუმენტები. I. გვ. 474, № 675.



ღმა საბამ „სრული გულანი“, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია „ციხის გულანის“ სახელით²⁶.
 ცნობილია „საქართველოს მწიგნობრობის კავშირი“

ნაკაშიძეები მრავალყმიანი ფეოდალები ჩანან, მაგრამ მათი ყმათა საერთო რაოდენობა ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ნაკაშიძეებს მარტო დეაბზუს, ჩოჩხათსა და ზედუბანს 78 კომლი ყმა გლეხი ჰყავდათ²⁷.

კაცო ნაკაშიძეს, 1831 წ. ცნობით, 24 კომლი (99 სული მამრობითი სქესის) აზნაური ჰყავდა²⁸.

ნაკაშიძეების ყმა გლეხები იყვნენ: კვაჭაძეები, ტოტოჩაძეები, არობელიძეები, სურგულაძეები, კვერელაძეები, ჩიკაშუა, ქადეიშვილები, მენაბდეები, ხავთასები, ებრალიძეები, ცხომელიძეები, დოლიძეები, სვანიძეები, სიორიძეები, ლლონტები, ჩანჩიბაძეები, ჩხაიძეები, ხელაძეები, ლომინაძეები, მონაზონია, ქლენტი, გოგიტაშვილები, მასხარაშვილები, მარგალიტაძეები, მუჭირი, ოთხმეზური, ცისკარიძეები, ნაკაიძეები, ჩიტაიშვილები, გუჭაბიძეები და სხვ.²⁹

ნაკაშიძეების აზნაურები იყვნენ: ვაშალომიძეები, ფასეიშვილები, ქარცივაძეები (რამდენიმე კომლი), თიკანაძეები, საბაშვილები, დათუნაიშვილები, მამულაიშვილები, ბერიძეები („ორი მოსახლე“ დეაბზუს, „ლიბარისა და მამუკას შვილები“) და სხვ.³⁰

ნაკაშიძეთა ყმები სამთავრო გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ³¹. გურიელი მათ მხოლოდ მაშინ ბეგრავდა, როცა „თავად ნაკაშიძეზე მრისხანედ იქნებოდა“³².

26 Д. М. Бакрадзе. АИГА, с. 149, 273; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, გვ. 122, 124) ციხის გულანი „გურიანთულ“ გულანად იწოდება.

27 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2657.

28 სსცია, ფ. 123, საქ. № 505, ფურც. 75—78.

29 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №№ 2470, 2657; ფ. Hd, № 10021; დოკუმენტები. I. გვ. 474—475, № 675; სიმონ კვაჭაძის ცნობა.

30 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2657; დოკუმენტები. I. გვ. 474—475, № 675; სიმონ კვაჭაძის ცნობა.

31 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2657; მ. დუმბაძე. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება..., მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის. ნაკვ. 30. 1954, გვ. 33.

აქ დამოწმებული საბუთი (ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, № 2657) 1817 წლისაა. აღნიშნულ წელს მამია V გურიელი უბრუნებს ნაკაშიძეებს მის მიერ ადრე ჩამორთმეულ მათ „ყოფილ“ ყმა-მამულს „ხელშეუვალად“ ანუ სამთავრო გადასახადებისაგან განთავისუფლებით. მაგრამ როგორც ყმა-მამული, ისე „შეუვალობაც“ „ყოფილა“, ე. ი. საგადასახადო იუნტიტები ნაკაშიძეების ყმებს ადრეც ჰქონდათ. ამ შემთხვევაში მის აღდგენასთან გვაქვს საქმე.

32 ციტირებულია მ. დუმბაძის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 33.



ნაკაშიძეთა სათავადოს უფროსს თავის მოხელეები რომელთაც იყენებდა სათავადოს მართვაში. 1689—1717 წწ. ერთ საბუთში იხსენიება, მაგალითად, ნაკაშიძის აზნაური გიორგი მამულაიშვილი, რომელიც „ციხისთავიც იყო და გურიანთა მისი სახელო იყო“³³. ნაკაშიძეებს ჰყავდათ უთუოდ სხვა მოხელეებიც, მაგრამ მათ შესახებ ჰვენთვის ცნობილ წყაროებში ცნობები არ შემონახულა.

გურიის სამთავროს მმართველობის აპარატში ნაკაშიძეებს საპატიო თანამდებობები ეჭირათ. ამ საგვარეულოს წევრები მემკვიდრეობით ფლობდნენ მეღვინეთუხუცესის, მესტუმრეთუხუცესის, ქალაქთუხუცესის, მდივანბეგის, შემოქმედის და ოზურგეთის, ჩოჩხათის, ჩიბათის, ჭურუყვეთის მოურავისა და „ერმენის მებაჟის“ სახელოებს.

მეღვინეთუხუცესის სახელო გურიის სამთავროში ნაკაშიძეებზე ადრე ართმელაძეთა სახლს ჰქონდა³⁴. ნაკაშიძეთა საგვარეულომ ეს თანამდებობა ართმელაძეთა დამცრობის შემდეგ, XVII ს. მეორე ნახევარში მიიღო. პირველად ამ თანამდებობით იხსენიება მამულა ნაკაშიძე გიორგი III გურიელის დროს — 1664 — 1684 წწ.³⁵ ამიერიდან გურიის სამთავროს არსებობის მთელ მანძილზე მეღვინეთუხუცესობა ნაკაშიძეთა ხელშია³⁶. 1770 წ. მეღვინეთუხუცესად გიორგი ნაკაშიძეს ვხვდავთ³⁷. 1827 წ. ეს სახელო ივანე ნაკაშიძეს უჭირავს³⁸.

მესტუმრეთუხუცესის თანამდებობა ნაკაშიძეებმა ბერიძეების შემდეგ დაიკავეს. 1664—1684 წწ. (გიორგი III-ის გურიელობაში) ეს სახელო ჯერ კიდევ გიორგი ბერიძეს ეპყრა³⁹, XVIII ს. პირველ მეოთხედში კი ამ თანამდებობას ბეჟან ნაკაშიძე ფლობს⁴⁰. მასზე ადრე მესტუმრეთუხუცესობა მის მამას ჰქონია⁴¹.

33. დოკუმენტები. I. გვ. 475.

34. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 476.

35. Д. М. Бакрадзе АПГА, с. 292; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავროს ისტორიული დოკუმენტები აკად. ნ. მარის არქივში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1975, გვ. 156—157.

36. სსცა, ფ. 1, №3972; Акты, т. VI, ч. I, с. 680.

37. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. გვ. 718, № 372.

38. Акты, т. VI, ч. I, с. 680.

39. Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 292.

40. იქვე, გვ. 297—298.

41. იქვე, გვ. 298.



ბეჯანის შემდეგ ეს სახელო აღარ იხსენიება გურიის სამთავროში უნდა ვიფიქროთ, იგი გააუქმეს, ხოლო შესტუმრეთუხუცესის ფუნქციები სხვა მოხელეს გადასცეს.

ქალაქთუხუცესობა ნაკაშიძეებმა მახაძეთა სახლის დაქვეითების შემდეგ მიიღეს. როსტომ I გურიელის დროს (1534—1566 წწ.) ეს „კელი“ გოჭასპი მახაძეს ჰქონდა⁴². XVII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ქალაქთუხუცესად ნაკაშიძეთა გვარის წევრი მამუკა გვხვდება⁴³, XIX ს. დასაწყისში კი ეს თანამდებობა როსტომ ნაკაშიძეს აქვს⁴⁴.

სწორია, ჩვენი აზრით, ქ. ჩხატარაიშვილი, როცა ქალაქთუხუცესისა ფუნქციას გურიის სამთავროში „ქალაქობათა“ (ბაზრობათა) და ვაჭარ-ხელოსანთა გამგებლობით განსაზღვრავს და მის სარგოდ ამ ბაზრობათაგან მიღებულ შემოსავლის ნაწილს მიიჩნევს⁴⁵.

ასევე სწორად უთითებს მკვლევარი იმ ფაქტზე, რომ ქალაქთუხუცესად ამ ყოველთვის დიდი ფეოდალი ჩანს, „არ შეინიშნება მისი არჩევითობა“ და არც ის, რომ იგი ქალაქის მოსახლეობის (მოქალაქეების) წარმომადგენელი იყოს⁴⁶.

მღვიანბეჯის სახელო გურიის სამთავროში მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევრიდან იხსენიება. ამ ერთდროულად სამი მღვიანბეჯი იყო: ნაკაშიძეების, გუგუნაეებისა და გურიის ერისთავების საგვარეულოები⁴⁷. 1827, 1828 წლებში მღვიანბეჯად გიორგი ნაკაშიძეს ვხვდებით⁴⁸. როდის დაიკავა მან ეს თანამდებობა, არ ჩანს.

შემოქმედის მოურავობა XVIII საუკუნეში გურიელის ძემ ნიკოლოზმა, შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ბახუტა ნაკაშიძეს მისცა⁴⁹. ნიკოლოზ შემოქმედელი რომ გარდაიცვალა (1775 წ. წინარე ხანაში), გიორგი V გურიელმა შემოქმედი თავისთვის აიღო და მის გამგებლად («Заведывающим») თავისი ძე დასვა. მაგრამ შემდეგ მთავარი „დაპყვა“ ნაკაშიძეთა თხოვნას და აღნიშნულ წელს შემოქმედის მოურავობა ისევ ბახუტასა და მის შვილებს სამკვიდროდ უბოძა⁵⁰. 1822 წ. კი ეს სახელო მამია V გურიელმა როსტომ

42 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 283.

43 იქვე, გვ. 294.

44 ხელნაწ. ინსტ., ფ. А, № 13170, გვ. 5v.; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 373.

45 იხ. მისი გურიის სამთავრო..., გვ. 373.

46 იქვე, გვ. 373—375, შტრ. III. А. Месхиа. Города..., с. 304—305.

47 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 335, 341; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 382—383.

48 სსცია, ფ. 1, № 3981; Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 335.

49 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 308.

50 იხ. იქვე.



ნაქაშიძეს დაუმტკიცა⁵¹. 1823 წელსაც შემოქმედის როსტომი იხსენიება⁵².

ოზურგეთის მოურავობა 1790 წ. როსტომ ნაქაშიძეს აქვს⁵³. (XVIII ს. მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ მეოთხედში ნაქაშიძეთა საგვარეულოში რამდენიმე როსტომი ჩანს). 1807 წ. ეს სახელო ლაზარე ნაქაშიძეს უკავია⁵⁴, 1814 წ. კი ოზურგეთის მოურავად კვლავ როსტომ ნაქაშიძეა⁵⁵.

1820 წ. რუსეთის სარდლობამ მაიორ გიორგი ნაქაშიძეს სამოურავოდ მისცა აგრეთვე ჩოჩხათი, ჩიბათი და ჭურუყვეთი (ეს იყო დავით ბატონიშვილის მამული, აღებული სახაზინოდ 1820 წ. მისი მფლობელის გურიის აჯანყებაში მონაწილეობის გამო), მაგრამ ამ სამოურავოს არსებობა მალე შეწყდა⁵⁶.

1828 წ. კი ჩიბათისა და ჭურუყვეთის სამოურავო ისევ ჩანს და ისევ ნაქაშიძეების ხელშია⁵⁷.

მოურავს ზოგჯერ შეთავსებით სხვა „ქელიც“ ეჭირა. მაგალითად, ჩიბათისა და ჭურუყვეთის მოურავი ნაქაშიძე იმავე დროს მელვინეთუხუცესი იყო⁵⁸.

ერმენის მებატეობა (სამთავრო ბაეის აღების უფლება) 1789—1792 წლებში სვიმონ III გურიელმა კაცო, ბეჟან და ლომკაც ნაქაშიძეებს უბოძა. მთავრის მიერ ამის შესახებ მათთვის მიცემული წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ერმენის მებატეობა უფრო აღრეც („ძველთაგან“) ნაქაშიძეთა სახლს „ჰქონებოდა“⁵⁹.

ერმენის საბაეოში შედიოდა ტერიტორია „ლელის წყალსა და ჩოლოქს აქეთ, სახარის გარეთ გრიგოლეთიანად“⁶⁰.

ერმენის საბაეო, როგორც ქ. ჩხატარაიშვილი შენიშნავს, XVIII ს. მიწურულიდან გრიგოლეთის საბაეომ შესცვალა⁶¹, რომლის მებატეობაც ისევ ნაქაშიძეების ხელში იყო⁶². მათვე ჰქონდათ შეკვეთილის მებაეის სახელოც⁶³.

51. სსცია, ფ. 2, საქ. № 4355 (ახალი აღწერილობით), ფურც. 9, 23, 28; ფ. 448, საქ. № 1851, ფურც. 23.

52. Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 332.

53. იქვე, გვ. 314.

54. იქვე, გვ. 326.

55. იქვე, გვ. 332.

56. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 290, 295.

57. მ. დუმბაძე. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება..., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 30. 1954, გვ. 32.

58. იხ. იქვე.

59. სსცია, ფ. 1449, № 2.

60. იხ. იქვე.

61. იხ. მისი გურიის სამთავრო..., გვ. 398.

62. ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2482.

63. იხ. იქვე.

ეს სახელოები ნაკაშიძეებს დიდ შემოსავალსა და ძალაუფლებას აძლევდათ.

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1837 წ. კიდევ ბოქალთუხუცესის თანამდებობა, რომელიც ადრე სოფიო დედოფლის ერთგულ თავადს თავდგირიძეს ჰქონდა, რუსეთის მთავრობამ თავის მომხრე გიორგი როსტომის ძე ნაკაშიძეს გადასცა⁶⁴.

ჭერ კიდევ პირველი ნაკაშიძის, მამუკას მემკვიდრე მესტუმრეთუხუცესი ბეჯანი⁶⁵ მეტად ძლიერი თავადია და დიდი პატივიც აქვს გურიის სამთავროში. ამიტომაც, რომ მამია III გურიელი (1689—1714 წწ.) დიპლომატიური მისიით ბეჯანს გზავნის „სტამბოლში“⁶⁶.

რა საკითხზე ჰქონდა გურიელის ელჩს თურქეთთან მოლაპარაკება, წყაროებიდან არ ჩანს. მაგრამ ბეჯანის ელჩობის შედეგი იყო ის, რომ მამია „თურქეთს მოურიგდა“⁶⁷.

XVII ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ბეჯანი არის ნაკაშიძეთა სახლის თავკაცი. მის დროსვე გამოდის ისტორიის ასპარეზზე მისი „პირველი ძე“ გიორგი, რომელიც მამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა გურიის სამთავროში.

64 სსცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. №5195, ფურც. 29—30.

65 იხ. ზემოთ, გვ. 164, 168.

ბეჯანის თანამეცხედრე იყო ნივარაძის ასული თეთრუა. ჰყავდა სამი შვილი: გიორგი, მამუკა და ხეზანია (Д. М. Бакрадзе. АПГА. с. 273; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. I. გვ. 123, ანდერძი 4; გვ. 126, ანდერძი 4, 5).

66 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. I. გვ. 124, ანდერძი 9.

სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ ბეჯან ნაკაშიძე მალე გარდაცვლილა: „მამია ჩუენი სტამბოლიდამ მოვიდა და ამიერ სოფლით მიიცივალა“, ამბობს ბეჯანის ძე გიორგი ციხის გულანის ანდერძ-მინაწერში (იხ. იქვე). წყაროებიდან არა ჩანს როდის დაბრუნდა ბეჯანი სტამბოლიდან, მაგრამ იმ დროს, როდესაც მის ძეს გიორგის გიორგი IV გურიელი ებრძოდა და „დიდნი განსაცდელნი“ შეემთხვა, ბეჯანი უკვე მკვდარი იყო (იქვე). ეს „განსაცდელი“ კი გიორგი ნაკაშიძეს, თუ ვახუშტის თარიღი სწორია, 1717 წ. შეემთხვა (იხ. მისი აღწერა..., გვ. 878—879). აღნიშნულ წელს წაართვა მას გურიელმა გურიამთას ციხე-სიმაგრე და თანამეცხედრეც (იქვე, გვ. 879; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, გვ. 124, ანდერძი 9). ე. ი. ბეჯანი 1717 წელზე ადრეა გარდაცვლილი. ცდება უთუოდ ვახუშტი, როცა ამ წელს მას ცოცხლად ესტენიებს (იხ. მისი აღწერა..., გვ. 878).

67 იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 148—149, 443.



მამია III-ის გურიელობის⁶⁸ ბოლო წლებში ხელისუფლებაში სათვის ბრძოლა დაიწყო მისმა ძემ ლევან ბატონიშვილმა. ამ ბრძოლაში, რომლის ინიციატორები, შეიძლება, თვით ნაკაშიძეები იყვნენ, დიდი ზიანი მიაყენა მათ სახლს. ბრძოლის პროცესში ამ სახლის წევრები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ბეიან, გიორგი და სხვა გურიამთელი ნაკაშიძეები ლევანის მხარზე დადგნენ. მათი მაკვანეთელი სახლიკაცები კი მამია III-ს მიემხრნენ. მოწინააღმდეგე ჯგუფები ერთმანეთს მტრობდნენ⁶⁹: გიორგი ნაკაშიძე თავს დაესხა მაკვანეთს მოსახლე თავის თანამოგვარეებს და „მოთხარა“. მაკვანეთელმა ნაკაშიძეებმა გაქცევით ძლივს უშველეს თავს⁷⁰.

ნაკაშიძეთა შორის მტრობით სარგებლობდნენ მათი აზნაური მამულაიშვილები და თავიანთ ბატონს ყმა გლეხებსა და დოვლათს ტაცებდნენ⁷¹.

გიორგი ნაკაშიძე გიორგი IV გურიელსაც ვერ შეეწყო. განდიდებული თავადი მთავრის მიმართ მძლავრობდა. მას ზურგს უმაგრებდა ოდიშის მფლობელი ბეიან დადიანი, რომლის ასულიც გიორგი ნაკაშიძის თანამეცხედრე იყო⁷². ნაკაშიძეებმა და გურიის ერისთავებმა დადიანის დახმარებით 1717 წ. გადააყენეს გიორგი IV და გურიელად მისი ძმა ქაიხოსრო დასვეს⁷³. მაგრამ გიორგი IV-ემ მოახერხა ნაკაშიძეებისა და დადიანის გათიშვა და თავისი ხელისუფლება იმავე წელს აღადგინა⁷⁴.

დადიანისაგან მიტოვებული ნაკაშიძეები და მათი მიმდგომი გურიის ერისთავები გურიელმა სასტიკად დამარცხა: ამ ბრძოლის დროს დაკარგა გიორგი ნაკაშიძემ თავისი საგვარეულო გურიამთას ციხე და თანამეცხედრე დადიანის ასული. ორივე, როგორც ზემოთ ითქვა, გამარჯვებულმა გურიელმა წაართვა⁷⁵. გიორგი IV ახლა თვითონ გახდა დადიანის სიძე და ასე „მოიმტკიცა გურია“⁷⁶. გი-

68. 1689—1714 წლები, ინტერვალებით.
 69. დოკუმენტები. I. გვ. 474—475, № 675; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 443.
 70. დოკუმენტები. I. გვ. 474—475, № 675.
 71. იხ. იქვე.
 72. ვახუშტი, აღწერა... გვ. 878.
 73. იქვე, გვ. 877—878.
 74. იქვე, გვ. 878—879.
 75. იქვე, გვ. 879.
 76. იხ. იქვე.



ორგი ნაკაშიძე კი, გურიიდან „ექსორია“ ქმნილი, „სამ-ოთხ წევრულს“ ხან სვანეთს იმყოფებოდა და ხან ლეჩხუმს. ბოლოს, 1722 წელს, 1722 წ. გურიელმა შეირიგა იგი და გურიამთაჲ დაუბრუნა, მაგრამ მისი „მამული“ მეტად „აოხრებული“ იყო⁷⁷.

გიორგი ნაკაშიძე ამის შემდეგაც განაგრძობდა ურჩობას: გურიელისგან დამოუკიდებლად სულთნის დიდ ვეზირს დაუკავშირდა და 1729 წ. მისგან დაცვის სიგელიც მიიღო⁷⁸. ეს იყო თურქთა ვასალობის აღიარება, რაც ნაკაშიძეებს მათ ერთგულებას ავალბდა. მაგრამ შემდეგ იმერთა მეფის გაძლიერებამ ამ საგვარეულოს პოზიცია შეაცვლევინა. 1771 წ. ნაკაშიძეებმა და გურიის სხვა ფეოდალებმა, მამია IV გურიელთან ერთად, სოლომონ პირველს თურქთა წინააღმდეგ „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“ ბრძოლის აღთქმა მისცეს⁷⁹.

ნაკაშიძეები აქტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ იმ ბრძოლაშიც, რომელიც მთავრის ხელისუფლების მიტაცებისათვის გურიის ბატონიშვილებს შორის გაიმართა XVIII ს. მიწურულს. ნაკაშიძეთა სახლი ამ დროს მცირეწლოვან მამიას რეგენტ ქაიხოსრო IV გურიელთან იყო დამოყვრებული. მას ცოლად ჰყავდა მაკვანეთელი ლაზარე, ბახუტა და გიორგი ნაკაშიძეების და როსტომის ასული მაკიჯასპი⁸⁰. ამ საგვარეულოს წევრებიც მამიას ინტერესების დამცველ ქაიხოსროს უჭერდნენ მხარს. მაგრამ, როცა ქაიხოსრომ ნაკაშიძის ქალი მიატოვა და გურიის ერისთავის ასული ელისაბედი⁸¹ შეირთო⁸², ნაკაშიძეებსა და ქაიხოსროს შორის მტრობა გაჩნდა. შეურაცხყოფილი ნაკაშიძეები ქაიხოსროს წინააღმდეგ მებრძოლ ვახტანგ ბატონიშვილს მიუდგნენ⁸³. შექმნილ სიტუაცი-

77 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია. ტ. I, გვ. 124, ანდერძი 9.

გურიაში დაბრუნების შემდეგ (1721 ან 1722 წ.) გიორგი ნაკაშიძემ შეირთო „ერისთავის (გურიის?) ასული ზილიხანი“. ჰყავდა ერთი ვაჟი — ბეჟან (იხ. იქვე; Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 274).

78 სსცია, ფ. 246, საქ. № 1062, ფურც. 53, 62.

79 Грамоты... I, с. 291; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 445.

80 სსცია, ფ. 2, საქ. 4355 (ახალი აღწერილობით) ფურც. 23; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 362, 446.

81 ელისაბედი ქაიხოსროს ასული იყო (Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 337, გურიელთა გენეალოგიური ცხრილი).

82 იქვე; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 243, 362, 446—447.

83 Акты, II, с. 540, 542; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 243, 446—447.



აში ქაიხოსროს ეს მტრობა, როგორც ჩანს, ნაკლებ ბოროტად არაა მიჩნეული, ვიდრე ვახტანგ ბატონიშვილთან ერისთავების მტრობა, რომლის ჩაშლის მიზნითაც ითხოვა მან სწორედ ერისთავის ქალი.

ასეთ ვითარებაში ნაკაშიძეები აღრიდანვე, ვახტანგ ბატონიშვილის კვალდაკვალ, იწყებენ რუსეთთან დაახლოების ძიებას. ჯერ კიდევ 1804 წ. კაცო და ბეჟან ნაკაშიძეებმა რუსეთის მფარველობაში მიღება ითხოვეს და ამით რუსეთის სარდლობას თავიანთი ერთგულება დაუმტკიცეს⁸⁴. მართლაც, ნაკაშიძეებს ანტორუსულ დამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

XIX ს. დამდეგს ნაკაშიძეთა საგვარეულოს წევრებში ისევ უთანხმოებაა: გიტული და თანდარუხ თავიანთ ძმასთან — მამუკასთან „ცოტათ მომღურავათ“ არიან, ჩანს, იმიტომ, რომ უკანასკნელი „ოჯახის ერთგულებაზე კეთილად“ არ ზრუნავდა, მაგრამ 1808 წ. ისინა მორიგებულან და „ძმობა“ აღუდგენიათ⁸⁵.

ფრიად გამწვავებული დამოკიდებულება იყო ნაკაშიძეებსა და მამია V გურიელს შორისაც. ამიტომაც მისცა მან 1804 წ. ლაზარე ნაკაშიძის ყმა-მამული ასკანას, ხარაულს, ოჭროქედსა და ვაკიჯვარში ალექსანდრესა და დავით მაჭუტაძეებს⁸⁶.

ნაკაშიძეები და მაჭუტაძეები ისედაც მტრობდნენ ერთმანეთს⁸⁷ და ამან ამ ორ თავადურ საგვარეულოს შორის განწყობილება უფრო მეტად გააფუჭა.

1812 წ. კიდევ მამია V ნაკაშიძეებს გურიამთის, ზედუბნისა და გოგორეთის მიდამოების გამო ედავებოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ნაკაშიძეების ინტერესები დაიცვა და გურიელი აიძულა საქმის გარჩევა მომრიგებელ სასამართლოსათვის მიენდო. მომრიგებელთა განჩინებით ნაკაშიძეებმა „ფიცით დაიმტკიცეს“ სადავო ადგილების ნაწილი⁸⁸.

ბოლოს, მთავარმა შეძლო მანაც ნაკაშიძეთა სათავადოს ძლიერების შემსუსტრა. 1717 წ. დაანგრია მათი საგვარეულო გურია-

⁸⁴ Акты, II, с. 408.

⁸⁵ დოკუმენტები..., II, გვ. 288, № 451.

⁸⁶ სსცია, ფ. 2, საქ. № 5670, ფურც. 142, იხ. აგრეთვე იქვე, ანაწ. 1, საქ. № 3975; ფურც. 31—32.

⁸⁷ თ. სოსელია. ნარკვევები..., გვ. 251.

⁸⁸ სსცია, ფ. 246, საქ. № 9062, ფურც. 61; ქ. ჩხატარაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 447.



მთას ციხე-სიმაგრე⁸⁹ და ამით მათ ურჩობის საშუალება საბუნებისმეტყველო-
ოდ მოუსპო. თუ აქამდე ნაკაშიძეები გურიელს არაფრად აგდებ-
დნენ, ახლა ამ ქედმაღალმა თავადებმა იკადრეს მისი „შემოვედრე-
ბა“. აღნიშნულ წელსვე კაცო, ბეჟან და სხვა ნაკაშიძეებმა „გუ-
ლის წმინდით“ აღუთქვეს მამია V-ეს „მორჩილება და სამსახური
როგორც შეესაბამება ყმისაგან ბატონს“. მთავარმაც შემოირიგა
დამორჩილებული ვასალები და ჩამორთმეული ყმა-მამულიც და-
უბრუნა მათ⁹⁰.

მაგრამ ნაკაშიძეები თვალთმაქცურ პოლიტიკას აწარმოებდ-
ნენ: 1818—1819 წწ. ისინი თურქეთთან იყვნენ საიდუმლოდ და-
კავშირებული⁹¹. ამავე დროს რუსთა სარდლობასაც „ერთგულებ-
დნენ“. რუსეთის აგენტურას ეს მხედველობიდან არ გამოპარვია
და მათ მოქმედებას ამ ხანებში უნდობლობით უყურებდა...

მამია V-ს გარდაცვალების შემდეგ (1826 წ. 21 ნოემბერი)
ნაკაშიძეებმა, გურიის სხვა თავადებთან ერთად, ერთგულება შე-
ფიცეს მამიას ქვრივს — სოფიო დედოფალს და მთავრის მცირე-
წლოვან მემკვიდრე დავითს⁹². მაგრამ ეს ფიცი მალე დაარღვიეს.

ამ დროს ნაკაშიძეთა საგვარეულოს თავკაცი მდივანბეგი გი-
ორგი ნაკაშიძე ჩანს.

ცნობილია, რომ მამია გურიელის სიკვდილის შემდგომ, მისი
მემკვიდრის მცირეწლოვნობის მომიზეზებით, 1827 წ. იანვარს,
საქართველოს მთავარმმართველ ერმოლოვის ბრძანებით, „გურიის
სამთავროს სამმართველო საბჭო“ დაარსდა გარდაცვლილი მთავ-
რის მეუღლის სოფიო დედოფლის უფლებათა შეზღუდვის მიზ-
ნით. ზემოხსენებული გიორგი ნაკაშიძე იყო ახლა ამ საბჭოს წევ-
რი⁹³ და თავადთა იმ ჯგუფის ერთ-ერთი მეთაურთაგანი, რომელიც
გურიაში მთავრის ხელისუფლების გაუქმებისა და რუსული მმარ-
თველობის დამყარებისათვის იღვწოდა.

ნაკაშიძეები აშკარად განუდგნენ დედოფალს 1828 წ., როცა

⁸⁹ Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 154 (1817 წ. ქვეშ); მამია დუმბა-
ძე. დასავლეთ საქართველო... გვ. 242; ქ. ჩხატარაიშვილი. დასახ.
ნაშრ. გვ. 46, 282.

⁹⁰ ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №2657.

⁹¹ ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო..., გვ. 447. იხ. იქვე, შე-
ნიშვნა 5.

⁹² АКТЫ, т. VI, ч. I, с. 678.

⁹³ იხ. იქვე, გვ. 679—680.



რუსეთის ჯარმა სამთავროს ოკუპაცია დაიწყო. ამიტომ სამთავროს გაუქმებისა და სოფიო დედოფლის თურქეთის ვის შემდეგ (აღნიშნულ წლის მიწურულს) რუსეთის სარდლობამ გურიის დროებითი მმართველობის წევრად გიორგი ნაკაშიძე დანიშნა, როგორც რუსეთის ხელისუფლებისათვის სანდო პირი⁹⁴.

გიორგისა და მის სახლიკაცებს არც შემდგომ უღალატიათ რუსეთის მთავრობის ერთგულებისათვის...

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1828 წ. მიწურული ფაქტიურად, ფორმალურად კი — 1830 წ.) ნაკაშიძეთა სათავედოც ადმინისტრაციულად გაუქმდა. ამ საგვარეულოს წევრები მაინც 1837 წლამდე არ გაყრილან⁹⁵.

თ ა ვ ი VII

თავდგირიძეთა სათავადო

თავდგირიძეთა თავდაპირველი საცხოვრისი სამცხე-საათაბაგოში იყო¹. აქ ქართლის კათალიკოსის სამწყსო თავადთა და სოფელთა XVI ს. დამდგის სიაში „თაქთირისძე“ ანუ თავდგირიძე² სამცხის წარჩინებულ გვარებს შორის არის დასახელებული³. ამ

აღნიშნულ საბჭოში («Совет управления княжества гурийского») ექვსი წევრი შედიოდა: ვახტანგ ერისთავი, დავით მაჭუტაძე, სიმონ გუგუნივა, ზემოხსენებული გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი და გიორგი თავდგირიძე. საბჭოს თავმჯდომარედ სოფიო დედოფალი ითვლებოდა (იხ. იქვე).

⁹⁴ Акты, т. VII, с. 416—417; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 299, 302, 309, 447—448.

გურიის დროებითი მმართველობა ოთხი წევრისაგან შედგებოდა. გიორგი ნაკაშიძის გარდა, მასში შედიოდნენ: ვახტანგ ერისთავი, სიმონ გუგუნივა და გიორგი ერისთავი. ამ მმართველობას რუსი ოფიცერი თავმჯდომარეობდა (Акты, т. VII, с. 416—417).

⁹⁵ სსცია, ფ. 2, საქ. № 6406, ფურც. 1—5.

¹ ვახუშტი, აღწერა... გვ. 37.

² გვარსახელი თავდგირიძე (ვახუშტით — თადგირიძე) ძველ საისტორიო წყაროებში ხშირად „თადგირიძის“ ფორმითაც არის მოცემული (იხ. ე. შეტრეველი. მასალები... გვ. 84, აღაპი № 55; გვ. 168, აღაპი № 225; დოკუმენტები. I. გვ. 476, № 676; დას. საქ. სეკლ. საბ. I. გვ. 109; Дм. Бакрадзе. АПГА, с. 243, 291—293).

³ იხ. და შდრ. Дм. Бакрадзе. АПГА, с. 80, 85, 245; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, ტფილისი, 1907, გვ. 75; ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების



საგვარეულოს მფლობელობაშია აქ „კერკემლისძე სასაფლაოში“⁴ მონასტრითა და კარის ეკლესიითა“⁴.

სამცხის მკვიდრ თავდგირიძეთა გვარის წარმომადგენელნი არიან ფოცხუერი და ამირა თავდგირიძეები, რომელთაგან პირველი XIV ს., ხოლო მეორე XV ს. მოღვაწე უნდა იყოს⁵.

აღსანიშნავია, რომ იოანე ბატონიშვილის ცნობით, „თადგირ“ იყო „თავადი ბუზმუნეღთა, ვანისა მხარეს. წელსა 1211-ს... ამათი გუარი მოვიდა მეფისა თანა ახალციხეს და მიიღო თადგირიძედ. რ(ომე)ლნიმე დაშთენ ახალციხეს და ზოგნი რ(ომე)ლნიმე დაესახლნენ გურიას“⁶.

ამ ცნობაში სარწმუნოა მხოლოდ ის, რომ გვარსახელი თავდგირიძე ამ საგვარეულოს მამამთავრის „თადგირის“ (თუ „თავდგირის“) სახელიდან ნაწარმოებად არის მიჩნეული და რომ სამცხიდან წამოსული თავდგირიძეები, „რ(ომე)ლნიმე დაესახლნენ გურიას“.

თავდგირიძეთა გვარის გურიაში გადმოსახლება უნდა მომხდარიყო XVII ს. შუა წლებში, იმ დროს, როდესაც, ვახუშტის თქმით, „გამაჰმადიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი“ სამცხისა, ხოლო, „რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა“. „იელტოდიან“ ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას და სხვაგან⁷.

სამცხიდან მაჰმადიანთაგან ლტოლვილი თავდგირიძეები აღნიშნულ პერიოდში მკვიდრდებიან ქვემო გურიაში. მათი პირველნი წარმომადგენელნი გიორგი და მირზაბეგ (მიზარბეგ) თავდგირიძეებია, რომელთაც პირველად ვხედავთ აქ XVII ს. მეორე ნა-

შესახებ. თბილისი, 1920, გვ. 7; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961, გვ. 33; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 243, № 45.

⁴ იხ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7; ქრ. შარაშიძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 33; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 243, № 45, შდრ. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75; Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 80.

⁵ ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 84, აღაპი № 55, გვ. 133, კომენტარი № 55; გვ. 99—100, აღაპი №№ 225, 226, გვ. 168, კომენტარი №№ 225, 226.

⁶ ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 119 რ.

⁷ იხ. მისი აღწერა, გვ. 726—728.



ხევარში⁸. ეს გიორგი არის I გიორგი გურიაში ჩამოსახლებულ
თავდგირიძეთა გვარში.

გურიაში ახლად დამკვიდრებულ თავდგირიძეთა წინსვლის
აუცილებელი პირობა სამთავრო სახლთან დაახლოება იყო. სწო-
რედ ამ მიზნით გიორგი თავდგირიძემ ცოლად შეირთო ქაიხოსრო
I-ის ასული და გიორგი III გურიელის და დარეჯან ბატონიშვილი⁹.
გურიელთან კეთილგანწყობილებაში მყოფი თავდგირიძეები სათა-
ვადო ადგილ-მამულს იძენენ და მალე წინაურდებიან.

ჯერ კიდევ 1664—1684 წწ. გიორგი III გურიელმა სამკვიდ-
როდ უბოძა მირზაბეგ თავდგირიძეს მაჭუტაძისა და მელიმონაძის
ბეთთალმანი ყმა-მამული აყუვისთავს, ჭახათს, ჩაქვს, აცანასა და
ქობულეთში¹⁰. XVII ს. მიწურულს თავდგირიძეებს ეჭირათ ბათუ-
ნის მხარე და გონია¹¹. მათ სამფლობელოში შედიოდა ხინო მისი

⁸ Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 291—292; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს ისტორიული დოკუმენტები..., საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის..., სერია, 2, 1975, გვ. 156—157.

ეს გიორგი ჩანს XVII საუკუნეშიც (იხ. Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 294, 297, 304; დას. საქ. საეკლ. საბ., I, გვ. 109; დოკუმენტები, I, გვ. 476, № 676). იგი ცოცხალია ამ საუკუნის 70-იანი წლების მიწურულამდე (იხ. ქვემოთ).

⁹ Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 243—244.

მაშინ, როდესაც გიორგი თავდგირიძის „აქლდამის“ წარწერაში (აეთის მაცხოვრის ტაძარში) მისი თანამეცხედრე ბატონიშვილი დარეჯანად არის წოდებული (იხ. იქვე), ერთ დოკუმენტში, რომელიც გიორგის გარდაცვალების შემდეგ არის დაწერილი, მისი მეუღლე თავის თავს „ბატონიშვილ ხვარაშვილ“ ასახელებს (დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 119). შეიძლება ქმრის სიყვდილის შემდეგ დარეჯანი მონაზვნად აღიკვეცა და, ჩვეულებრივ, სახელი შეიცვალა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხშირად შემონაზვნებამდე სახელსაც იხსენიებდნენ ხოლმე; ისიც შეიძლება მას ორი სახელი ერქვა: ერთი ნათლობისა და მეორე — არაოფიციალური.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძის მიერ ნაქარაუდვეი შემოშთითებული დოკუმენტის თარიღი (1715—1730 წწ. ახლო ხანები, იხ. იქვე, გვ. 118, საბუთის ლეგენდა), სწორი არ არის. საბუთი, როგორც ითქვა, დაწერილია გიორგი თავდგირიძის გარდაცვალების შემდეგ, ეს კი მისი აეთის დამკვიდრების (1772—1776 წწ.) შემდგომ მოხდა. ე. ი. საბუთი აღნიშნულ წლების ახლო ხანშია შედგენილი.

¹⁰ Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 292; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156—157.

¹¹ ვახუშტი, აღწერა... გვ. 852; Д. М. Бакрадзе, Исторический очерк туренкой системы землеуладения (приложение к протоколу Кавказ. Юрид. Общ. № 9, 1889), с. 13—14; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო... გვ. 449.

საეპისკოპოსო კათედრითა და სამწყსოთი¹². გიულდენშტედტის ცნობებით, 1772 წ. მათვე ეკუთვნოდათ ქობულეთი და ალამბარი¹³. ალამბარში ჰქონდათ თავდგირიძეებს საგავარეულო ციხე-სიმაგრე¹⁴.

გიორგი III-ს დროსვე (1664—1684 წწ.) დიდ წარმატებას აღწევენ თავდგირიძეები სამოხელეო სფეროშიც. ზემოხსენებული მირზაბეგ თავდგირიძე ამ მთავრის ზეობაში მისი ბოქალთუხუცესია¹⁵. ამიერიდან ეს მაღალი თანამდებობა მემკვიდრეობით აქვს თავდგირიძეთა სახლს გურიის სამთავროს არსებობის მთელ მანძილზე, რამდენიმე ხნის გამოკლებით (იხ. ქვემოთ).

გურიელის მიერ „შემწყალებულ“ თავდგირიძეებს მისი ვასალური ერთგულება მართებდათ. მაგრამ თავდგირიძეებმა, როგორც ჩანს, აღრევე დაარღვიეს სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების ეს აუცილებელი პირობა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ გურიელმა ჯერ კიდევ XVII ს. მიწურულს ჩამოართვა თავდგირიძეებს ბათუმის მხარე და თავის სახასოდ განაწესა. მაგრამ ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ თავდგირიძეთა სახლის ორი წარმომადგენელი გამაჰმადიანდა და ოსმალთა შემწეობით დაიბრუნა ჩამორთმეული ადგილი: 1718 წ. სანჯაყ-ბეგ აჰმედ თავდგირიძემ და მისმა ძმამ მუსტაფა-ბეგმა სულთან მაჰმუდისაგან სამკვიდროდ მიიღეს „სანჯაყი და ნაჰიე“¹⁶: ბათუმი, ანარია, ქისატური, ახალშენი, ყოროლისთავი, სამება“. მათვე ებოძათ აგრეთვე ლიმანის თევზის სარეწი და მდინარე ჭოროხში მცურავი ნავის ბაჟი. თურქეთის ხელისუფლებამ ეს მხარე თავის დავთარში შეიტანა და, ასე, საბოლოოდ ჩამოშორდა ის საქართველოს¹⁷.

¹² დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 62.

¹³ იხ. მისი, მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გვ. 313.

ალამბარი წინათ გურიელებისა იყო. აქ ჰქონდათ მათ „სასახლე შენი... ფრიად შეენიერს ადგილს“ (ვახუშტი „აღწერა...“, გვ. 792).

¹⁴ ხ. ახვლედიანი. ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944, გვ. 148; იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა. წ. II. ბათუმი, 1959, გვ. 119; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 43.

ალამბრის ციხე, ვადმოცემით, თურქებმა დაანგრიეს (იხ. ვახ. «Батумский рабочий», 1961, № 127. იური სიხარულიძის სტატია).

¹⁵ Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 292.

¹⁶ სანჯაყი — ოლქი, ნაჰიე — რაიონი.

¹⁷ Д. М. Бакрадзе. Исторический очерк турецкой системы землевладения, с. 13—14.

1718 წ. ფირმანში დასახელებული სანჯაყ-ბეგ აჰმედ თავდგირიძე, ქ. ჩხატარაიშვილის ვარაუდით, უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული



გამაჰმადიანებული თავდგირიძეები ქრისტიან თავდგირიძეებთან დაუპირისპირდნენ და მათ შორის ინტრიგები დაიწყო. ამან თურქეთის ხელისუფლებას ქვემო გურიის დაპყრობა მნიშვნელოვნად გაუადვილა.

ამ დროს (XVIII ს. მეორე ნახევარში) გიორგი I თავდგირიძე ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ იგი ღრმად მოხუცებულია და თავდგირიძეთა სახლის ქრისტიანულ შტოს მისი უფროსი ძე მამუკა მეთაურობს.

ეს ის დროა, როცა იმერთა მეფე სოლომონ I აქტიურ ბრძოლას აწარმოებს თურქ აგრესორთა წინააღმდეგ. ანტითურქული განწყობილების მამუკა თავდგირიძე, ბუნებრივია, სოლომონს დაუკავშირდა და ამ კავშირის განსამტკიცებლად ცოლად შეირთო მისი და¹⁸.

მამუკამ ბევრი სასარგებლო ცნობა მიაწოდა სოლომონს თურქთა ჯარის მოძრაობის შესახებ. მაგალითად, 1770 წ., რუსეთის სამხედრო კორპუსის დასავლეთ საქართველოში ყოფნისას, მამუკამ აცნობა სოლომონს, რომ ფოთის ციხის მოალყე რუსთა ჯარზე ნოულოდნელი თავდასხმის მიზნით ბათუმიდან მოემართებოდა თურქთა 6000 ლაშქარი და ამით ციხეს შემომდგარი რუსთა ჯარი განადგურებას გადაარჩინა¹⁹.

მაგრამ XVIII ს. 70-იან წლებში მამუკას ადგილ-მამული ქვემო გურიაში თურქებმა დაიპყრეს²⁰. ამგვარად, აქ თავდგირიძეთა სათავადო მოიშალა.

თურქთა ტყვეობისაგან თავის დაღწევა მამუკამ თავის ცოლისა და პირმშო ვაჟის მაქსიმეს მძევლად დატოვების ფასად შეძლო²¹.

ქვემო გურიიდან გამოქცეული მამუკა თავდგირიძე თავის ოჯახითა და ამალით ერთხანს საჯავახოში იდგა; უადგილმამულო

ლი გონიოს მფლობელი „თავდგირიძე აჰმედ-ბეგ“, რომელიც XVII ს. 80-იან წლებში „იყო გამაჰმადიანებულ“ და რომელთანაც იმყოფებოდა ერთხანს ქართლის მეფე გიორგი XI (იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 450, შტრ. ვახუშტი, აღწერა..., გვ. 852). ეს ვარაუდი სწორი ჩანს.

¹⁸ Грамоты..., I, с. 282, 354; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 45.

¹⁹ Грамоты..., т. I, с. 282—284.

²⁰ დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 62; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 313.

²¹ თ. სახოკია, მოგზაურობანი. თბილისი, 1950, გვ. 72.



თავადი „ფრიად შეიწრებული“ იყო²². ქვემო გურიიდან მშენებლობა
ყვებოდა 400 კაცი. „თან ახლდა მუდამ 60 შეიარაღებული კაცი,
რომელთაც თავისი ხარჯით ინახავდა“²³.

1772—1776 წწ. მამია IV გურიელმა უბოძა მას შუა გურიაში
ართმელაძეთა ყოფილი სამფლობელო სოფელი აკეთი მისი მიდ-
ნობებით²⁴. თავდგირიძეებმა (გიორგიმ და მისმა შვილებმა: მამუ-
კამ, როსტომმა, მაქსიმემ)²⁵ აქ სასახლე დაიდგეს, აკეთის მცხოვ-
რის ძველი ეკლესია ახლად „გარდააქედინეს“. „მოახატვიეს“ და
ნასში თავიანთი საგვარეულო „აკლდამა“ მოაწყვეს. ამ ეკლესიაში
დაასვენეს სოფ. გვარადან წამოღებული ქვემო გურიის მთავარი
საეკლესიო სიწმინდე „თეთროსანის“ ღვთისმშობლის ხატი²⁶.

თავდგირიძეების ხელში იყო აკეთის ციხე-სიმაგრეც²⁷.

ასე შეიქმნა შუა გურიაში თავდგირიძეთა ახალი სათავადო²⁸.

22 დასახ. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 62; ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 912.

23 თ. სახოკია. მოგზაურობანი. გვ. 72; ქ. ჩხატარაიშვილი. გუ-
რიის სამთავრო..., გვ. 195.

24 ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 451—452.

ართმელაძეთა დამცრობა, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ XVII ს. მეორე
ნახევარში დაიწყო. ამ დროს ჩამოართვეს მათ მელვინეთუხუცესობა და თავად
ნაკაშიძეს გადასცეს. აკეთი კი ართმელაძეებმა 1713 წ. დაკარგეს. აღნიშნულ
წელს ჩამოართვა ეს სოფელი გიორგი IV გურიელმა მამუკა ართმელაძეს და
ბიჭვინტის ღვთის მშობელს შესწირა (დას. საქ. საეკლ. საბ. I, გვ. 108—109,
შდრ. Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 245—246). გვიან კი, როგორც აღნიშ-
ნა, აკეთი თავდგირიძეებს უჭირავთ (Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 243—245).

25 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 243—244.

26 იქვე, გვ. 243—245.

27 აკეთში ციხის არსებობაზე 1772 წ. მიგვითითებს გერმანელი მოგზაური
ვიულდენშტედტი (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში. I გვ. 315).

ქვედა აკეთის მცხოვრებ 92 წლის პახუმ ალექსის ძე სამსონიას ცნობით
(ჩაფიწრეთ აქვე, 1959 წ. აგვისტოს), იგი თავის ბავშვობაში მოსწრებია აქ
(ქვედა აკეთში) თავდგირიძეების ციხის ნანგრევებს. ახლა ეს ნანგრევებიც არაა
დარჩენილი.

28 ქვემო გურიიდან აკეთში თავდგირიძეთა გადმოსახლების, მამუკა თავდ-
გირიძის მოღვაწეობისა და აკეთში აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილის ლაშქრობის თა-
რილად თ. სახოკიას ჩანაწერებში XVII საუკუნეა ნაჩვენები (იხ. მისი მოგზაუ-
რობანი, გვ. 69—73), რაც სწორი არ არის (იხ. ზემოთ და ქვემოთაც. იხ. ამის
შესახებ აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო..., გვ. 209;
იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია წ. II,
გვ. 120).



აქეთს გარდა, სადაც თავდგირიძეთა რეზიდენცია იყო, ეკუთვნოდათ ნაწილობრივ თუ მთლიანად კიდევ სამი სახლი: 1. გაგური, 2. ჭანჭათი, 3. ზომლეთი (ძომლეთი)²⁹.

თავდგირიძეების მფლობელობაში იყო აგრეთვე ნაგომართან მდებარე ნაყოფიერი სუფსის ჭალის ნაწილიც³⁰.

თავდგირიძეთა სათავადოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე სუფსა საზღვრავდა, სამხრეთ-დასავლეთით — თავად გუგუნივათა საძვრობელო სოფ. ძიმითი, ჩრდილოეთით — საჭუმბათლო სოფ. შუხუთა.

თავდგირიძეთა ადგილ-მამულზე მათი ყმები სახლობდნენ, რომელთა საერთო რაოდენობა ჩვენთვის ცნობილ წყაროებში ნახვენები არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ თავდგირიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ: ჩხაიძეები, ჯიჯეიშვილები, თოხაძეები, ტოროტაძეები, წულაძეები, ჭანტურიშვილები, მკურნალი, ღლონტები, ჭეიშვილები, სალუქვაძეები, ხუხუნაიშვილები, ქურიძეები და სხვ.³¹

თავდგირიძეების აზნაურები იყვნენ: დათუნაიშვილები, ურატაძეები, მგელაძეები, იობაშვილები, შალიკაშვილები, ჯაყელები და სხვ.³²

თავდგირიძეების ყმათა მნიშვნელოვანი ნაწილი (52 კომლი) საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდა: მთავარს არაფერს არ უხდოდა³³. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამთავრო გამოსაღები — საური და საუდიერო ამ ყმათაგან თვით თავდგირიძეების სასარგებლოდ იკრიბებოდა.

სათავადოს მართვის საქმეში თავდგირიძეები თავიანთ მოხელეებს იყენებდნენ. იხსენიება, მაგალითად, მამუკა თავდგირიძის სახლთუხუცესი აზნაური ოთარ იობიშვილი³⁴. სახლთუხუცესის გარდა, თავდგირიძეთა სათავადოში ჩანან აგრეთვე ხელოსნები და

29 თ. სახოკია. მოგზაურობანი. გვ. 69, 72; შემოხსენებულ პახუმ სამსონის ცნობა.

30 თ. სახოკია. მოგზაურობანი. გვ. 67. ამ ჭალის ნაწილი თავად გუგუნივათს ეკუთვნოდათ (იქვე).

31 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 2429; ფ. Qd, № 8431, გვ. 33; პახუმ სამსონის ცნობა.

32 ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 8431, გვ. 32; თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 69; პახუმ სამსონის ცნობა.

33 მამია დუმბაძე. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება..., მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 30. 1954, გვ. 34.

34 თ. სახოკია. მოგზაურობანი. გვ. 69.



აკეთის გადმოსახლებული თავდგირიძეები ქვემო გურიაში თურქთა მიერ მიტაცებული თავიანთი მიწა-წყლის „გამოსხნას“ აპირებდნენ და იქ სალაშქროდ ემზადებოდნენ³⁶. სწორად ამიტომ დაავალა თურქეთის მთავრობამ აჭარის ბეგს აბდულ ხიმშიაშვილს აკეთში გადმოხიზნულ ქრისტიან თავდგირიძეთა სახლის განადგურება. 1784 წ. დამდეგს აბდულ-ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით თავს დაესხა აკეთს. ამ განსაცდელის ქამს თავდგირიძეებს მეზობელი თავადი გიორგი გუგუნავე მიეშველა. გაერთიანებული ძალით თავდამსხმელები დაამარცხეს. აბდულ-ბეგი ბრძოლაში დაიღუპა³⁷. თურქეთის მთავრობას ქრისტიან თავდგირიძეთა სახლის მოსპობის გეგმა ჩაეშალა.

ამავე წლის გაზაფხულს თურქი აგრესორებისაგან ქვემო გურიის განთავისუფლებისა და მამუკა თავდგირიძის დახმარების მიზნით სოლომონ I-მა იმერეთ-გურიის ჯარით ქობულეთს გაილაშქრა. დადიანმა მეფის „ამოძრავების“ შესახებ წინასწარ შეატყობინა აჭარლებს და ისინი გაიხიზნენ. სოლომონმა „უეცრად გადაიარა ციხისძირი, დალაშქრა ჩაქვი და ბათუმის სოფლები... და ალაფით გამობრუნდა უკან“. მაგრამ აჭარლები ნაჭიშკრევთან ტყეში ჩაუსაფრდნენ მეფეს და სასტიკად დაამარცხეს: მრავალი მემომარი მოკლეს, მრავალი ტყვედ წაიყვანეს. ბრძოლაში 18 მარტო „დიდაცი“ დაიღუპა. თვით სოლომონი ძლივს გადაურჩა სიკვდილს და „მოიქცა მეფე იმერეთს დიდათ დამარცხებული“³⁸.

ამრიგად, მამუკა თავდგირიძემ ქობულეთი ველარ დაიბრუნა და იმტლებული გახდა ამას შერიგებოდა.

35 ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd. № 8431, გვ. 32.

36 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 62.

37 Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 154 (1784 წლის ქვეშ); თ. სახოკია. შოგვათრობანი, გვ. 73; „ივერია“, 1891 № 195, გვ. 2 (დ. აკეთელის ჩანაწერები აბდულ-ალას ლაშქრობაზე); ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 208—211, 452.

38 ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181; დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ბაგრატი ბატონიშვილი. ახალი მოცხრობა, გვ. 58—59; „რამდენიმე ძველი ამბავი“, „დროება“, 1880, №265; ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფილისი, 1922, გვ. 230; ნ. ბერძენიშვილი. საანგარიშო მოხსენება... საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. IV. თბილისი, 1967, გვ. 171; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 211—213.



აქეთში დამკვიდრების შემდეგ მამუკამ მეორე ცოლად³⁹ ერთო თავად მაქსიმეის შვილის ასული⁴⁰ რომელთაგანაც ექვსი ვაჟი: გიორგი (II), მირზაბეგ (II)⁴¹, სოლომონ, ალექსანდრე, ფრიდონ და ალმასხან⁴².

ცნობილია, რომ 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყებამ ძლიერი გამოსმაურება ჰპოვა გურიის სამთავროში. უკანასკნელ წელს აჯანყება მოედო მთელს ზემო და შუა გურიას. ზემოსხენებულ ფრიდონ თავდგირიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1820 წ. გურიის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი თურქეთში გაიქცა და ერთხანს იქ იყო ემიგრაციაში. გურიაში დაბრუნდა 1832 წ⁴³.

თავდგირიძეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ გურიის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ სამთავროში მათ მალაღობი თანამდებობები ეჭირათ: თავდგირიძეების ხელთ იყო, როგორც ზემოთ ითქვა, ბოქაულთუხუცესობა⁴⁴, ოღონდ XVIII ს.

39 პირველი ცოლი და ვაჟიშვილი მაქსიმე მამუკა თავდგირიძემ, როგორც ზემოთ ითქვა, მძევლად დაუტოვა თურქება. ქობულეთიდან მისი წამოსვლის შემდეგ თურქებმა ისინი გაამაჰმადიანეს (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 72).

40 იხ. იქვე.

41 I მირზაბეგ თავდგირიძეა ის, რომელიც XVII ს. მეორე ნახევარსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს მოღვაწეობდა და ბოქაულთუხუცესობა მიიღო გიორგი III-ს გურიელობაში (იხ. ზემოთ).

42 თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 72; АКТЫ, т. IV, с. 434; ეს უკანასკნელი (ალმასხან), ლევან დაეთის ძე ერისთავსა და ბეჟან ალექსანდრეს ძე გუგუნავასთან ერთად, მამია V გურიელმა 1810 წ. მძევლად მისცა რუსეთის სარდლობას (АКТЫ, т. IV, с. 434).

43 სსცია, ფ. 2, საქ. № 5670, ფურც. 69; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო... გვ. 452.

44 1664—1712 წ. ეს სახელო მირზაბეგ I თავდგირიძეს ჰქონდა (მისი ბოქაულთუხუცესობის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ აღებულია მამია III-ს ზეობის დასაწყისი — 1664 წ., რომლის დროს, როგორც აღინიშნა, მიიღო მირზაბეგმა ეს თანამდებობა, და როსტომ თავდგირიძის ბოქაულთუხუცესობის წინა წელი, რომელიც 1712 წელზე მოდის. 1713 წ. ბოქაულთუხუცესად უკვე როსტომი იხსენიება (იხ. დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 109).

აღსანიშნავია, რომ ბოქაულთუხუცესი მირზაბეგ I და აქეთის მაცხოვრის ტაძრის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებული „მირზაბეგ თავდგირიძე“ (Д. М. Бакрадзе, АПГА, с. 243) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

1689—1726 წწ. (მამია III-ს, ქაიხოსრო III-სა და გიორგი IV-ს გურიელობაში) ბოქაულთუხუცესის თანამდებობაზე გიორგი I თავდგირიძესა და მის



მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ მეხუთედში ამ მხარეში
 ლოს სხვა თავადურ გვართა წარმომადგენლები ფლობდნენ⁴⁵.
 1820 წ. შემდეგ ეს თანამდებობა, როგორც ჩანს, ისევ დაიბრუნეს
 თავდგირიძეებმა. 1827, 1828 წლებში ბოქაულთუხუცესად გიორ-
 გი II თავდგირიძე იხსენიება⁴⁶.

ამ სახელს გარდა თავდგირიძეებს ჰქონდათ მეორე დიდი
 თანამდებობა — სარდლობა. გურიის სამთავროში ერთსა და იმა-
 ვე დროს ორი სარდალი იყო: ერთი — გურიის ერისთავთა სახლ-
 დან⁴⁷, მეორე — თავდგირიძეთა საგვარეულოდან⁴⁸. ჩანს, ეს სამ-
 თავრო ორ სასარდლოდ იყო დაყოფილი⁴⁹.

სარდლას თანამდებობა გურიის სამთავროში მხოლოდ XIX ს.
 დამდეგიდან გვხვდება. მაგრამ ეს სახელო აქ ადრეიდანვე უნდა
 არსებებულიყო⁵⁰ და როგორც ერისთავებს, ისე თავდგირიძეებსაც
 ის ბევრად უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ.

1817 წ. სარდლის სახელო გიორგი II თავდგირიძეს უჭი-
 რავს⁵¹. ჩანს, მან ჯერ სარდლობა მიიღო, შემდეგ კი — ბოქაულთ-
 უხუცესობა. 1827—1828 წლებში იგი სარდალიცაა და ბოქაულთ-
 უხუცესიც⁵².

ძამია V გურიელის დროს (1809—1826 წწ.) თავდგირიძეებს
 ჰქონდათ მესამე დიდი სახელო — მდივანბეგობაც. ეს თანამდებო-
 ბაც აღნიშნულ წლებში იმავე გიორგი II თავდგირიძეს ეკავა⁵³.

შვილს ზემოხსენებულ როსტომს ვხვდებით (იქვე, გვ. 294, 297; დას. საქ. საეკლ.
 საბ. II, გვ. 109).

1770 წ. კი ბოქაულთუხუცესობა იმავე გიორგის ძეს — მამუკა თავდგირი-
 ძეს აქვს (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 718, № 372).

⁴⁵ 1789—1792 წწ. (სვიმონ III გურიელის დროს) ბოქაულთუხუცესობა
 გიორგი მაქსიმენიშვილს ჰქონდა (სსცია, ფ. 2, № 916); 1807—1819, 1822—1823
 წლებში — ვახტანგ როსტომის ძე ერისთავს (ო. სოსელია. ნარკვევები...
 I, გვ. 264); 1820 წ. — კვლავ გიორგი მაქსიმენიშვილს (Н. Б. Махарадзе.
 Восстание в Имеретии. с. 180, 181).

⁴⁶ Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 334—335. უფრო გვიან, 1837 წ. რუ-
 სეთის მთავრობამ ბოქაულთუხუცესობა, როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი როს-
 ტომის ძე ნაკაშიძეს მისცა.

⁴⁷ სსცია, ფ. 226(1), №№ 3986, 3987.

⁴⁸ იქვე, № 3176; Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 334—335.

⁴⁹ ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო... გვ. 369.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ სსცია, ფ. 226(1), № 3176.

⁵² Д. М. Бакрадзе. АПГА, с. 334—335.

⁵³ ქრონიკები... III, გვ. 517—518.



მამია V-ის გარდაცვალების შემდეგ (1826 წ. 21 ნოემბერი) როცა 1827 წ. იანვარს „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო“ შეიქმნა (იხ. ზემოთ, ნაკაშიძეთა სათავადო), გიორგი თავდგირიძე იყო აგრეთვე ამ საბჭოს წევრი⁵⁴ და მისი თავმჯდომარის სოფიო დედოფლის ინტერესებს მტკიცედ იცავდა.

ცნობილი თავადი იყო ამ დროს გიორგის ძმა ალექსანდრეც. უკანასკნელიც თავის ძმის პოზიციებზე იდგა: იგი ხელს აწერს გურიის „საზოგადოების“ მიერ 1827 წ. თებერვალს საქართველოს მთავარმმართველ ერმოლოვისათვის მიცემულ თხოვნას „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს“ გაუქმებისა და სოფიო დედოფლისათვის მთავრის ერთპიროვნული უფლებების შენარჩუნების შესახებ...⁵⁵

გურიის სამთავროს გაუქმების დროსაც (1828 წ. მიწურული ფაქტიურად) თავდგირიძეები სამთავრო სახლის ერთგული დარჩნენ. თურქეთს ემიგრაციაში წასულ მამია გურიელის ქვრივ სოფიო დედოფალს თან ახლდა მისი სარდალ-ბოქაულთუხუცეს-მდივანბეგი გიორგი მამუკას ძე თავდგირიძე⁵⁶.

გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ თავდგირიძეთა სათავადოც ადმინისტრაციულად გაუქმდა.

⁵⁴ Акты, т. VI, ч. I, с. 679—680.

⁵⁵ იხ. იქვე, გვ. 681.

⁵⁶ სსცია, ფ. 2, სფ. № 567, ფურც. 69; Акты, т. VII, с. 415.

ოდიშის სამთავრო

თავი VIII

ფალავათა სამთავრო

ფალავათა საგვარეულოს შესახებ საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარების „აღწერაში“ ვკითხულობთ: „ფალავა... იყო ორბელიანთ გვარი, რ(ომე)ლიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფალავაშვილებად წელსა 1271“-სა¹.

თვით ფალავების გვარში დღემდე დაცული გადმოცემით კი, ისინი, თითქოს, უძველეს დროს ადიღედან მოსულან ოდიშში და აქ ბანძაში დამკვიდრებულან².

ამ ორი ცნობიდან რომელია სწორი, ძნელი სათქმელია. ორივე მეტად საეჭვოა. შეიძლება ფალავები თავიდანვე ოდიშში მკვიდრობდნენ და ეს ცნობები ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფალავა (მეგრული ფორმით ფალუა|| ფალვა|| ფალა) რამდენადმე მიაგავს ძველ ფეოდალურ გვარსახელ „ბალუაშს“³. ხომ არ არის ეს ორი გვარსახელი ერთი და იმავე წარმოშობის? ან ხომ არ მომდინარეობენ ფალავები ბალუაშთა რომელიმე შტოდან?

1 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 116 v.

2 გადმოცემა ჩაიწერეთ 1959 წლის აგვისტოს სოფ. ბანძაში ამავე სოფლის მკვიდრი 91 წლის კოკი გუჯას ძისა და იქვე მცხოვრები 61 წლის თეიმურაზ გრიგოლის ძე ფალავების თხოობის მიხედვით. შდრ. კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 249.

3 ცნობილია ლიპარიტ ბალუაში, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან იყო და რომელმაც IX საუკუნის მეორე ნახევარში დაიპყრო თრიალეთი, აავო ციხე კლდეკარსა და „სამძირკველი ჩაუყარა კლდეკარის ერისთავთა ერისთავების სახლს“ (იხ. ს. ჭანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები, II. თბილისი, 1952, გვ. 477). ცნობილი არიან აგრეთვე ამ საგვარეულოს გვიანდელი წარმომადგენლებიც (იხ. იქვე; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. I. თბილისი, 1955, გვ. 325—326; ქამთაღმწერელი. ქართლის ცხოვრება. II. თბილისი, 1959, გვ. 275).



ვახუშტი ბატონიშვილი ფაღავას ერთიანი საქართველოში
ლიტერატურული დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის ერთ-ერთ „უწარ-
ჩინებულეს“ გვარად ასახელებს⁴.

დოკუმენტურ წყაროებში ფაღავათა საგვარეულოს წარმო-
მადგენელი XVII ს. მეორე ნახევარზე ადრე არ ჩანს.

ფაღავების გვარის წამოწევა ოდიშში ახალი სამთავრო დი-
ნასტიის, ჩიქვანების გაბატონებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.
იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩიქვან-დადიანთა სახლი ოდიშის ძირ-
ძველ წარჩინებულ საგვარეულოებთან — ჭილაძე-გომიძე-ქორთო-
ძე-ჯიანებთან აწარმოებდა, ფაღავები ჩიქვან-დადიანების მხარეზე
არიან საგულისხმებელი: ჭილაძეების მიწა-წყალი ფაღავების სამ-
ფლობელოს ემიჯნებოდა⁵. ამ ძლიერი თავადების მეზობლობა ფა-
ღავებისათვის სახიფათო იყო, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, ჭილაძე-
თა დამარცხებით ფაღავები დაინტერესებული იყვნენ.

ფაღავათა საგვარეულოს ისტორიულად ცნობილი ყველაზე
ადრინდელი წარმომადგენელი ასპანა ფაღავა არის. იგი XVII ს.
70-იან წლებში იხსენიება კათალიკოს დავით ნემსაძის ერთ შეწი-
რულების წიგნში. ასპანას გულერის კარს საკათალიკოსო ყმები
ნიუტაცია, გაუყიდია და „დაუკარგავს“. კათალიკოსს ამის გამო
მთავართან უჩივლია. ლევან III დადიანს ფაღავას „გარდასახადალ“
კათალიკოსისათვის ხორავს ინალუხუ ლეფონავა მიუცია⁶.

ეს ასპანა არის უთუოდ გრიგოლ კათალიკოსის 1712 წ. „გა-
რიგების“ წიგნში მოხსენიებული „ასპანა ფაღავა“. მაგრამ ამ დროს
ის ცოცხალი არ უნდა იყოს⁷.

ასპანაზე ცოტა გვიან გვევლინება მისი თანამოგვარე ხუხუ
I ფაღავა, რომელიც შეიძლება ასპანას ახლო ნათესავიც იყო⁸.

ამ ხუხუს უმცროსი თანამედროვე ჩანს მისი სახლიკაცი ვახ-
ტანგი, რომელსაც მოწმედ ვხედავთ 1696—1742 წწ. შედგენილ
ერთ უთარილო საბუთში⁹.

ხუხუ I იმ დროს მოღვაწეობს, როცა ოდიშის სამთავროს ფა-
ქტიურად გიორგი ლიპარტიანი განაგებს (1681—1714 წწ.), უკა-

4 იხ. მისი აღწერა... გვ. 36.
5 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში.
ძველი საქართველო. III. გვ. 3; თ. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 274—275.
6 საქ. სიძვ. I. გვ. 29, № 6.
7 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 104. შდრ. საქ. სიძვ. I. გვ. 29, № 6.
8 იხ. საქ. სიძვ. II. გვ. 106, № 81.
9 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 98—99.



ნასკნელთან ხუხუ ნათესაურადაა დაკავშირებული. ლიპარტიანი მას თავის „ერთგულს ... სიძეს“ ეძახის¹⁰. ამ ერთგულებისა და ნათესაობის გამო იყო, რომ ლიპარტიანმა ხუხუ ფალავას უბოძა შხეფს „პარტახი სამოსახლო, ღელესა და ღელეს შუა... ნისის მიწა-მამულითა“ და თავის „მეციხოვნის სათხოვარისაგანაც“ გაათავისუფლა იგი¹¹.

ხუხუ არის ამ დროს ფალავათა საგვარეულოს თავკაცი. ზემოხსენებულ პარტახს გარდა, თავისი ყმა-მამულის დიდი ნაწილი მას გიორგი ლიპარტიანისაგან უნდა ჰქონდეს მიღებული. ფალავათა სათავადოს ჩამოყალიბებაც სწორედ მის დროს, XVII საუკუნის ნიწურულს თუ XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზეა სავარაუდებელი.

ფალავების სამფლობელოში, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შემდეგი სოფლები შედიოდა. 1. ბანბა, 2. აბედათი, 3. ნახუნუ||ნახუნაო, 4. თარგამუ || თარგამული (ნაწილობრივ)¹², 5. ჯოლევი (ნაწილობრივ)¹³ 6. მუხურჩა¹⁴.

ეს სოფლები ერთ მთლიან ტერიტორიას ჰქმნიდნენ, რომელსაც აღმოსავლეთით სოფ. ნაგებეროუ-ნაჯახოუ საზღვრავდა, დასავლეთით — ორქა, სამხრეთით — ონოლია და ჩრდილოეთით — სერგიეთი.

აღნიშნულ სოფლებს გარდა, ფალავები, მეტ-ნაკლებად, ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ლეხანდროს, ნაგვაზუს, სეფიეთს, ეკს, მოხაშს, უშაფთას, სუჯუნასა და ონოლიაში¹⁵.

გვიანდელი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის, ცნობით, ფალავების ყმათა საერთო რაოდენობა 800 კომლს უდრიდა*. მათი ყმა-გლეხები იყვნენ: ფოჩხუები, ესვანჯიები, მაისაიები, რუსია, კონტუაძეები, პატარაიები, კეკელიები, ჭიჭიები, კუპრავა, დარჯანიები, კაკულიები, ცანავეები, სიგუები, თოფურები, პირტახიები,

10 საქ. სძვ. II. გვ. 106, № 81.

11 იხ. იქვე.

12 თარგამულის ნაწილი თავად ჩიქვანებს ეკუთვნოდათ. იხ. ო. სოსელია. ნარკვევები..., I, გვ. 317. იხ. იქვე, 49 სქოლიოც.

13 ნაწილი თავად ჩიქვანებისა იყო. იხ. იქვე.

14 ზელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 10975; ფ. H, № 2782, გვ. 29; კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

15 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI. გვ. 368—369, № 189; კ. ბოროზდინი. დასახ. ნაშრ. გვ. 250; კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

* იხ. კ. ბოროზდინი. დასახ. ნაშრ., გვ. 248.



ჭეჯელავეები, კაჭარავეები, კოკაიები, ქაჭაიები¹⁶, დანელიები, თანიები, ბახია, ურიდიები, ტაბალუები, კორძახია, ფარცვანიები, ჩაბრავეები, კუციები, შეროზია და სხვ.¹⁷

ფალავების აზნაურები იყვნენ გაბუნები¹⁸.

ფალავების ყმები სამთავრო გადასახადებისაგან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ. 1838 წ. ცნობით, „საფალადან“ დადიანის სასარგებლოდ მხოლოდ საური მოიკრება¹⁹, საუდიერო მათ საყმოს უთუოდ არ მართებდა.

ფალავათა სათავადოს სამოხელეო აპარატის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. გვხვდება მხოლოდ მათი „ხელოსანი სიმონია პატარაია“ და ისიც გვიან, 1855 წ.²⁰ მაგრამ ფალავებს სხვა მოხელეებიც (სახლთუხუცესი, მოურავი და სხვ.) უნდა ჰყოლოდათ, რომელთაც იყენებდნენ სათავადოს მართვის საქმეში.

ფალავების რეზიდენცია ბანსაში იყო. აქ იყო ე. წ. „ფალავის სასახლე“ და კარის ეკლესია²¹. მათვე ეკუთვნოდათ თარგამულის ციხე-სიმაგრე²².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციხე იმერთა მეფე სოლომონ I-მა „აილო დიდის ნაშოვრით“ 1776 წ. 5 თებერვალს²³ ამ დროს მეფესა და ოდიშის მთავარს შორის კონფლიქტი იყო. მეფემ დალაშქრა ოდიში კაცია დადიანის დამორჩილების მიზნით და, თარგამულის გარდა, აილო გორდის ციხეც. მაგრამ დადიანი მალე შე-

16 ონოლიელი ქაჭაიები გლეხები იყვნენ.

17 იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №№ 9004, 10975; ქუთ. მუზ. საბ., №№ 497, 1562; დას. საქ. საეკლ. საბ. II. გვ. 34; იონა მეუნარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი ჰეროიდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 119; კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

18 კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

19 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 6723.

20 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 10975.

21 იხ. შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. 1959, გვ. 193; კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

ეს სასახლე იყო იმ მიდამოებში, სადაც დღეს კოკისა და თეიმურაზ ფალავების სახლებია. კარის ეკლესიაც — იქვე, სადაც ახლა ადგილობრივი მოსახლეობა „ნაოხვამუს“ („ნასაყდარს“) ეძახის.

22 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, № 2782, გვ. 29.

23 იხ. აქვე.

ურიგდა მეფეს²⁴ და თარგამულის ციხესაც ისევ ფალავები პატრონენ. ჩანს, ისინი თავიანთ ქონებას აქ ინახავდნენ. ამაზე მეტყველებს ის „დიდი ნაშოვარი“, რომელიც ამ ციხის აღებისას სოლომონს ჩაუვარდა ხელში.

საგვარეულო სასაფლაო ფალავებს მთავარანგელოზის სახელზე აშენებულ ვედიდ კარის (ბანძის ერთ-ერთი უბნის) ეკლესიაში ჰქონდათ²⁵.

აღსანიშნავია, რომ ფალავათა საგვარეულოს წევრმა ხუხუ II-ემ XIX ს. დამდეგს ამ ეკლესიას „აუშენა“ მთავარანგელოზის ხატი ვერცხლისა მრავალი „ძვირფასის ქვით შემკობილი“²⁶. ეს ხუხუ, როგორც ქვემოთ ვნახეთ, ხუხუ I-ის შვილიშვილია.

გიორგი ლიპარტიანის დროიდან დაწყებული ფალავათა გვარის წარმომადგენელი განუწყვეტლივ ჩანს ოდიშის სამთავროს დიდებულ თავადთა შორის.

ხუხუ I-ის შემდეგ, თუ ნაწილობრივ მის დროსაც, ფალავათა საგვარეულოში გამოირჩევიან პეპუნა და ეფთვიმი ფალავები.

პეპუნა ოდიშის გარეთაც ცნობილი პირია. იგი, გიორგი ლიპარტიანთან ერთად, მოწმედ იხსენიება იმერთა მეფე ალექსანდრე IV-ის მიერ ბაკა იაშვილისათვის მიცემულ 1691—1695 წწ. საფიცრის წიგნში²⁷.

პეპუნა ცაიშელ ეპისკოპოსის მაქსიმე ციხისთავის შვილის (აგიაშვილის) სიძეა²⁸. გრიგოლ ლორთქიფანიძის კათალიკოსობაში (1696—1742 წწ.) პეპუნა, თავის თანამეცხედრე გუდიასთან ერთად, იერუსალიმს გამგზავრებულა და თავისი „სამკვიდრო ყმები“ ბიჭვინტის ლეთისმშობლისათვის შეუწირავს. იერუსალიმში წასვლა იმ დროის კვალობაზე იმდენად ღირსშესანიშნავი ფაქტი იყო, რომ გრიგოლ კათალიკოსი ამას სავანგებოდ აღნიშნავს²⁹.

პაპუნას თანამოგვარე ეფთვიმი ფალავას 1700 წ. ახლო ხა-

24 იხ. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 179; შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. III. 1961, გვ. 134.

25 კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

26 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. III. გვ. 38.

27 ქუთ. მუზ. საბ. № 854.

28 დას. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 156.

29 იხ. იქვე.



ნაში „ხოფელ მთავარეპისკოპოსის“ კათედრა უჭირავს და ზრუნავს ხოფის მონასტრის ყმათა გამრავლებისათვის³⁰.

გიორგი ლიპარტიანის მემკვიდრის ბეჟან I-ის დადიანობაში (1714—1728 წწ.) ვხედავთ შამადავლე ფალავას. შამადავლე ფრიად დამსახურებული პირია. იგი მთავრის დარბაზის წევრთა შორის არის დასახელებული³¹.

აღნიშნულ ხანში ფალავათა საგვარეულოს ნათესაური კავშირი აქვს დამყარებული ჩიქვანების ძლიერი ფეოდალური გვარის ერთ შტოსთან. ფალავას ასული როდამი „პატრონი“ გიორგი ჩიქვანის თანამეცხედრეა³².

ოტია და კაცია II დადიანების დროინდელი³³ მოღვაწეა გიორგი ფალავა, რომელიც, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, ბესარიონ ერისთავის შვილის კათალიკოსობის პერიოდში (1742—1769 წწ.) ერთ დროს „ხიზნად“ დგას ზობის მონასტერში³⁴.

1771 წ. ვხედავთ ნასხიდა ფალავასა და მის ძეს პეპუს, რომელთაც რაღაც დიდი ღვაწლი მიუძღვით იმერთა მეფის სოლომონ I-ის წინაშე: შეიძლება ისინი მეფის მზვერავები იყვნენ ოდიშში და საჭირო ცნობებს აწვდიდნენ მას. მეფემაც „ერთგულად ნამსახურ“ თავად ფალავებს აღნიშნულ წელს ყმა-მამული უწყალობა ფარცხანაყანევს³⁵.

გრიგოლ დადიანის დროს (1788—1804 წწ.) სამთავრო კართან დაახლოებული ჩანს ზაალ ფალავა. იგი ხშირად იხსენიება მთავრის „კარის მდევნი დიდებულებს“ შორის³⁶.

ეს ზაალი, სახლთუხუცეს გიორგი ჩიქვანთან ერთად, მთავრის „მამულის მომკითხველად“ არის მოხსენიებული აგრეთვე იმერთა მეფე სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის დადებულ 1792 წ. 4 მაისის ხელშეკრულებაშიც³⁷.

30 დას. საქ. სავლ. საბ. I. გვ. 84.

31 ქუთ. მეზ. საბ. № 1157.

32 იხ. ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 30—31.

33 ოტია დადიანობა 1728—1757 წწ., კაცია II—1757—1788 წწ.

34 ქუთ. მეზ. საბ., № 1191. აღსანიშნავია, რომ ამ „ხიზნობისას“ გიორგი ფალავასთვის სამი ცხენის მოუპარავს ზობის ეკლესიის „კაცს“, მოშვილა შონიას მამას. ქურდი გაქცეულა. მისი „შვილი პატარა“ მოშვილა კი დაზარალებული ფალავასათვის „ხელათ მქნელათ“ მიუციათ (იხ. იქვე).

35 ქუთ. მეზ. საბ. № 334.

36 ქუთ. მეზ. საბ. №№ 759, 1008, 1143.

37 სსცოა. ფ. 226, № 1286.



ზაალ ფაღავა ზემოდსახელებულ ხუბუ I-ის შვილია. მარჯვენა მხარეს მითგანს გარდა, ხუბუს ორი ვაჟი ჰყოლია: მურდაყანი და კოჩა. მურდაყანს ოთხი ვაჟი ჰყავს: ხუბუ II (რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელმაც, როგორც ითქვა, XIX ს. დამდეგს ვედიდ კარის ეკლესიას (ბანძაში) „აუშენა“ მთავარანგელოზის ვერცხლის ხატი), ხიტუ, ბეჟანი და ვატა³⁸.

მურდაყანის ძმას ზაალსაც ოთხი შვილი ჰყავს: მანუჩარი, გიკო, ტატი და ივანე. ხოლო კოჩას მხოლოდ ორი ვაჟი — ილარიონი და ლომკაცი³⁹.

ხუბუ I-ის შვილები და შვილიშვილები ყველა ერთად იხსენიება 1807 წ. ერთ „საუღაო წიგნში“⁴⁰.

XVIII ს. ბოლოს (1800 წ.) ჩანს ვახუშტი ფაღავა, ხოლო მომდევნო საუკუნის დამდეგს (1808 წ.) — მისი სახლიკაცი გოგია⁴¹. მაგრამ ამ საგვარეულოს რომელ შტოს ეკუთვნიან ისინი, არ ვიცით.

ხუბუ I-ის შვილიშვილებიდან სხვებზე უფრო ცნობილია ზაალის შვილი მანუჩარი. იგი ლევან V დადიანის კარზე მიღებული პირია. 1827 წ. დადიანმა უბოძა მანუჩარს „საკუთრად“ ბუჭქეულა ბახია „თავისის ცოლშვილით“⁴².

შვილებმა მანუჩარის ცოლი იყოს სოფიო გიორგი მაჩაბლის ასული, რომელსაც თავის ნამზითვი ყმები ჰყავს საჩხერეში და რომელიც 1821 წ. გრიგოლ წერეთლისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში თავის თავს თავად ფაღავას მეუღლედ ასახელებს⁴³.

დავით დადიანის დროს (1840—1853 წწ.) ვხვდებით მანუჩარის თანამოგვარე კაცია ფაღავას. იგი ფრიად მდიდარი თავადია: 1847 წ. მან თავის „საფასით“ გააჭედინა შაურკარის (ბანძის ერთ-ერთი უბნის) ეკლესიის წმინდა გიორგის ვერცხლის ხატი და „ცხრა ძვირფასი“ ქვით შეამკო იგი⁴⁴.

კაციას თანამეცხედრე იყო ზეფისშვილის ასული ელისაბედი⁴⁵.

38 დას. საქ. საეკლ. საბ. II, გვ. 157.

39 იქვე.

40 იხ. იქვე.

41 იქვე, გვ. 161; ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 9004.

42 იხ. ქუთ. მუზ. საბ. № 1562.

43 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1319.

44 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 38—39.

45 იხ. იქვე, გვ. 39.



მოგვარების გარდა რა ნათესაური კავშირი იყო კაცობრივად უმოდისაბუნებელ მის სახლიკაცებს შორის, წყაროებიდან არ ჩანს.

დავით დადიანის დროსვე იხსენიებიან და ფრიად დაწინაურებულებიც არიან დუტუ და გიგო ფალავები⁴⁶. როცა დავით დადიანმა ოდიშში ახალი ადმინისტრაციული დანაწილება შემოიღო და სამთავრო 9 მაზრად დაჰყო⁴⁷, მურის „მაზრის უფროსად“ („მეორე ხარისხის მდივანბეგად“) მან ერთ დროს დუტუ ფალავა დანიშნა, ხოლო გიგოს საჭილოს მაზრის „მდივანბეგობა“ მისცა. იგივე იყო „მენგრელიის უზენაეს სასამართლოს“ წევრიც⁴⁸.

ამავე დროს ვხედავთ ბათუ, დავით, ზურაბ⁴⁹, არჩილ, გახუ და სოლომონ ფალავებს⁵⁰. მათგან უკანასკნელი სამნი „რიგის კაცები“ იყვნენ, ე. ი. მორიგეობდნენ მთავრის სასახლეში. ხოლო მთავარი თუ სადმე წავიდოდა, ესენი „თან ახლდნენ ცხენით თუ ფეხით“⁵¹.

ერთ გვიანდელ (1855 წლის) დოკუმენტში გვხვდებიან აგრეთვე კონსტანტინე როსტომის ძე, ხახუ (რომელსაც, ბოროზდინის ცნობით, საკუთრად ჰყავდა 100 კომლამდე ყმა)*, ზემოხსენებული ზურაბ, დათიკა და ზეჟან ფალავები⁵². 1857 წლის საბუთში კიდევ ვხვდებით ფალავას ასულ გაიანეს, რომელიც „ბრწყინვალე“ თავადის ყირიმ დადიშქელიანის თანამეცხედრეა⁵³.

ამგვარად, ფალავების საგვარეულო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩიქვან-დადიანების დროინდელ ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფალავათა სათავადო XIX საუკუნის 20—30-იან წლებში დაიშალა.

46 იონა მეუწარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი... გვ. 80, 114, 118.
47 მაშია დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში. „მიმოხილველი“, I. 1949, გვ. 29—31.
48 იონა მეუწარგია. დასახ. ნაშრ., გვ. 114, 118.
49 საყოველთაოდ ცნობილი ქურდი იყო (ცხენისა და ხარ-კამეჩის) დავით დადიანის დროს (იქვე, გვ. 118).
50 იქვე, გვ. 42, 66, 72, 118.
51 იხ. იქვე, გვ. 66; „რიგის კაცები“ გამოყვადით აგრეთვე სხვა თავადურ საგვარეულოებიდანაც. მაგალითად: მხეიძეებიდან, დგებუაძეებიდან, თვით სამთავრო სახლიდან (დადიანის ძეებიდან ანუ ბატონიშვილებიდან), ჩიქვანებიდან და სხვ. (იქვე).
* იხ. მისი სამეგრელო და სვანეთი. გვ. 248.
52 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 10975.
53 ქუთ. მუზ. საბ. № 497.

დანართი

სიუჟეტურ-ვასალური დამოკიდებულების პირითადი ფორმები ფეოდალურ დასავლეთ საქართველოში

ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებულ კლასს ახასიათებს თავისებური იერარქიული ორგანიზაცია, რომელიც მიწის საკუთრების იერარქიულ სტრუქტურასთანაა დაკავშირებული. იგი ფენებადაა დაყოფილი. თითოეული ფენა ფეოდალური კიბის გარკვეულ საფეხურზე დგას.

ასეა ეს ფეოდალურ საქართველოშიც. ასეა, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებშიც.

ფეოდალური იერარქიის მწვერვალზე — პირველ საფეხურზე აქ მეფე დგას (სამთავროში — მთავარი), მეორეზე — უფლისწული ანუ ბატონიშვილი, მესამეზე — დიდებული თავადი, მეოთხეზე — თავადი, ანუ თავადიშვილი, მეხუთეზე — აზნაური. ექსპლოატირებული კლასის ფართო მასა, ისე როგორც დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში, ლიხთ-იმერეთში და ამერეთშიც ამ იერარქიის გარეშეა და მასთან გაბატონებული კლასის დამოკიდებულება პრინციპულად განსხვავდება იმ დამოკიდებულები-საგან, რომელიც ამ კლასის შიგნით იყო.

მეფისაგან ან მთავრისაგან იყვნენ დამოკიდებული მათი უშუალო უმეზი, ანუ ფეოდალიზმის ხანის დასავლეთ ევროპის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ვასალები: დიდებული თავადები, თავადები და აზნაურები; დიდებული თავადებისა და თავადებისაგან კი — მათი ვასალი აზნაურები. უფლისწულების ანუ ბატონიშვილების ვასალობაში იყვნენ აზნაურები და აგრეთვე თავადებიც. მიუხედავად იმისა, რომ თავადთა წოდებაში იყო კატეგორიები



(იყო „დიდებული თავადი“, „შუა თავადი“ და „ამას მესამე ხარისხის თავადი), თავადის ყმად საქართველოში თავადი მაინც არ გვხვდება!.

ფეოდალთა შორის სიუზერენულ-ვასალური ანუ პატრონყმური დამოკიდებულების დამყარებას საქართველოში IX—XV საუკუნეებში, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, „შეწყნარება“, „შეწყალება“ ეწოდებოდა. მისივე მართებული მითითებით, „შეწყალება“ „პატრონყმობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო“². მანვე დაადგინა, რომ „შეწყალება“ „შესაბარალის ადამიანის შებრალებასა და ხელის გამართვას, ან დამნაშავეის პატიებას“ კი არ ნიშნავდა, არამედ „მეფის ან რომელიმე სხვა პატრონის მიერ ყმისადმი „წყალობის ყოფას“ ან რაიმე მოხელეობით, ან უპირატესობით და „საპატიო“³ თუ „სახარჯო“⁴ ქალაქ-ციხე-სოფლებითა და მიწებით დასაჩუქრებას“⁵.

„შეწყალება“ სიუზერენისადმი ვასალის სამამულოსა და მასთან დაკავშირებულ პირად დამოკიდებულებას გულისხმობდა. იგი დასავლეთ ევროპის „კომენდაციას“ შეესატყვისებოდა⁶.

სამამულო და, მისგან გამომდინარე, პირადი დამოკიდებულება იმ მამულის ან „საპატიო“ თუ „სახარჯო“ მამულის საფუძველზე იქმნებოდა, რომელსაც სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების დამყარებისას („შეწყალებისას“) ჩვეულებრივ სიუზერენი ვასალს უბოძებდა და რომლისთვისაც უკანასკნელს სიუზერენის მიმართ ყმური „სამსახური“ ევალებოდა.

ეს „სამსახური“ სიუზერენულ-ვასალური ურთიერთობის მაღალ სფეროზე (მეფესა და დიდებულ თავადს, მეფესა და თავადს, მეფესა და აზნაურს შორის) ლაშქრობა-ნადირობაში, განსაკუთ-

¹ იხ. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, 1955, მ. მ. 26, 27, 28, 38; გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1955, გვ. 113.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაგვ. I. ტფილისი, 1928, გვ. 69—70, 78—95.

³ „საპატიო“ მამული ეწოდებოდა სახელის ბოძებასთან დაკავშირებით გაცემულ მამულს (იხ. იქვე, გვ. 81, 88).

⁴ „სახარჯო“ მამული ის მამული იყო, რომლის მფლობელი მხოლოდ „ხარჯით“ ანუ მამულზე დაწესებული გადასახადით სარგებლობდა (იქვე, გვ. 81).

⁵ იქვე, გვ. 79, 82.

⁶ ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები. II. თბილისი, 1952, გვ. 429.



რებულ შემთხვევის დროს (მეფედ კურთხევა, ქორწინება და ვასალის მიერ პატრონისადმი მატერიალურ დახმარების ში — „ძღვენის“ მირთმევაში, საერთოდ კი ერთგულებაში, საჭიროების უამს მასთან ხლებაში და მისი ინტერესების დაცვაში გამოიხატებოდა.

ასე იყო ეს სიუზერენულ-ვასალური ურთიერთობის დაბალ საფეხურზეც — თავადსა და აზნაურს შორისაც.

სიუზერენიც ვასალს, მიწა-მამულის („ბენეფიციუმისა“ და შემდეგდროინდელი „ფეოდის“) ბოძების გარდა, პირადადაც მფარველობას უწევდა: ხარეშე მტრისაგან და შიგნით სხვა ფეოდალებისაგან იცავდა.

XV ს. შემდეგაც საქართველოში, და კერძოდ დასავლეთ საქართველოში, ფეოდალური ურთიერთობის არსებობის მთელ მანძილზე, სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების ძირითად სახეს „შეწყყნარება“, „შეწყყალება“ წარმოადგენდა. ოღონდ აღნიშნულ ხანაში ამ ინსტიტუტის აღსანიშნავად ლიხთ-იმერეთში უმთავრესად სატყვა „შეწყყალება“ იხმარებოდა. მაგალითად: 1587 წ. გიორგი იმერთა მეფემ „შეიწყალა“ თავადი დავით წულუკიძე და მას მრავალი ყმა-მამული უბოძა⁷.

ასევე 1639 წ. იმერთა მეფე ალექსანდრე III-მ „შეიწყალა“ ბეჟან წერეთელი და მას საჩხერეში თავისი „სახასო ხვადაბუნის ნახევარი“ მისცა⁸.

„შეწყყალების“ ფაქტები მრავლადაა ფიქსირებული დასავლეთ საქართველოს ისტორიულ დოკუმენტებში.

„შეწყყალების“ ხელშეკრულებით არიან შეკრული იმერეთის მეფესთან XVI—XVIII სს. და მომდევნო საუკუნის დამდეგს თავადი წულუკიძეები, წერეთლები, აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები და სხვ⁹. მაგრამ ჩვენ აქ ახლა საქმე გვაქვს სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების არა თავდაპირველ დამყარებასთან, არამედ მის განახლება-შენარჩუნებასთან.

პატრონყმური ურთიერთობის განახლებაც ფეოდალურ საქართველოში, და კერძოდ დასავლეთ საქართველოში, სიტყვა „შეწყყალებით“ აღინიშნებოდა. ეს ნათლად ჩანს გიორგი მეფის მიერ 1451 წ. ვირშელ წულუკიძისა და მისი მემკვიდრეებისადმი ბოძებული სიგელიდან. ამ სიგელში მეფე აცხადებს: „გუეაჯნეს და

7 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. საბ. № 4.
8 იხ. იქვე, საბ. № 17.
9 იქვე, საბ. №№4, 17, 57, 70.



მოგუჯსენეს რათამცა“ ისინი (წულუკიძეები) „მრავალწლიანი სიგლითა ერთგულობა ნამსახურთა მათთასა შეგუეწყალნეს¹⁰, სიგლითა ამით დაგუემტკიცა და მათთვის მათისავე მკუიდრისა და გუარეულად მათგანვე ნაქონებისა მამულისა წყალობა გვეყო. დაგვაჯერა ღ(მერთმა)ნ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და ვუბოძეთ მათივე მკუიდრი და ნასისხლი მამული... სოფელი იწა მისითა... ნზღურეთაო“¹¹.

ამგვარად, ადრე ბოძებულის, „გუარეულად... ნაქონები მამულის“ ხელახლა წყალობაც „შეწყალებაა“.

მოვიტანთ სხვა მაგალითსაც: გიორგი III-ის მიერ 1615—1619 წწ. ბოქაულთუხუცეს დავით დავითიშვილისათვის მიცემულ წყალობის სიგელში ნათქვამია: „მას უამს ოდეს დაგვეაჯენით და ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენივე სამკვიდრო მამული¹², რაც მამა თქვენსა და თქვენს ძმებს ჰქონებოდა და ან თქვენ გქონდეს—ან აზნაურიშვილი და ან ვაჭარი — ისევ თქვენთვის გვიბოძებია“¹³.

ამ შემთხვევაშიც მეფის ვასალს ბოქაულთუხუცეს დავითს კვლავ ებოძება ის ყმა-მამული, რომელიც მის წინაპრებს, ძმებს და თვითონ მას ჰქონდა წინათ ნაბოძები და ამაში მდგომარეობს მისი „შეწყალება“.

ან კიდევ: ოტია ლორთქიფანიძისადმი ბოძებულ იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის 1733 წ. ახლო ხანის ერთ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „... ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, და ძუელათაც მამის და პაპის შენის ოული იყო, და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხოსია ყიფიანი და ბუჭუა მესხი—ეს ორი აზნაურისშვილი მათის კეთილისყოფით, რისაც პატრონი არიან...“¹⁴.

აქაც, როგორც ვხედავთ, ოტია ლორთქიფანიძის „შეწყალება“ ძველად მისი მამა-პაპისადმი ბოძებულ აზნაურთა ხელმეორედ მისადმი ბოძებაში გამოიხატება.

ასეთ განახლებულ „შეწყალებას“ საფუძვლად ედო მეფის ის პრეროგატივა, რომლითაც იგი წინაპართაგან გაცემულ მამულზე

10 ხაზი ჩვენია. — ო. ს.
 11 საქ. სიძვ. I. საბ. № 1.
 12 ხაზი ჩვენია.—ო. ს.
 13 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. საბ. № 6.
 14 იხ. იქვე, საბ. № 57. ხაზი ჩვენია.—ო. ს.



მფლობელობის განახლების უფლებას ინარჩუნებდა. ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, მეფის მიერ ყმისათვის მამულის თუ სხვა რამის ბოძების სიგელს ძალა ჰქონდა მხოლოდ მბოძებლის სიცოცხლეში და მას ყოველი ახალი მეფისაგან ახალი სიგელით განახლება სჭირდებოდა¹⁵: სწორედ ამით იყო გამოწვეული „შეწყალების“ განახლებაც. მართალია, სათავადოების სისტემის ბატონობის პირობებში მეფის ეს უფლება (მამულთა მფლობელობის განახლების უფლება) ნომინალური ხასიათისა იყო¹⁶. ნაწყალობევი მამული ფაქტიურად თავადის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ამ უფლებას, თუნდაც ნომინალურს, ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ფორმალურად, მაგრამ მიწის უზენაეს მესაკუთრედ მაინც მეფე ითვლებოდა. ამასთან, წყალობის სიგელის განახლება, ისე როგორც მისი პირველად ბოძება, მბოძებლისათვის გარკვეული საზღაურის, „ქრთამის“ მირთმევას მოითხოვდა, რაც მეფეს დიდ შემოსავალს აძლევდა.

ბატონის მიერ ერთხელ უკვე „შეწყალებული“ ყმისათვის დამატებით ადგილ-მამულის, აზნაურის, ყმა-გლეხის ან სხვა რამის ბოძებასაც „შეწყალება“ ეწოდებოდა. მაგალითად: 1660 — 1673 წწ. იმერთა მეფე გიორგი IV-მ „შეიწყალა“ ქაიხოსრო წერეთელი და უბოძა მას „სამი კვამლი კაცი გორისას შეყრილაშვილები, ორი კვამლი კაცი ნადირაძეები..., ბეგეასსოული პარტახი“ და „არგვეთს — მამუკა ღარშილაძე“¹⁷.

1680 წელსაც იმავე მეფემ კვლავ „შეიწყალა“ იგივე ქაიხოსრო წერეთელი და დამატებით კიდევ უწყალობა მას „საფალავანდიშვილოს“ გიორგი და სხვა ბასილაძეები მათის „ყოვლისფერთა“¹⁸.

ბაგრატ IV-საგან არაერთხელ „შეწყალებული“ ქაიხოსრო წერეთელი ამ მეფის მემკვიდრე ალექსანდრე IV-მაც „შეიწყალა“

15 ა. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. ქუთაისი, 1910, გვ. 17; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. 1974, თავი V, გვ. 199.

16 ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბილისი, 1958, გვ. 149.

17 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. საბ. № 31.

18 იხ. იქვე, საბ. № 30.



და 1682—1695 წწ. ადრე ნაწყალობეზე დამატებით „სადუნისშვილი დათა და გოჩია მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, მამულითა“ და სხვ.¹⁹

მოტანილი ფაქტებიდან ცხადია, რომ სიუზერენის მიერ ვასალისათვის დამატებით ყმათა და სხვათა ბოძებაც „შეწყალე-ბაა“. ასეთი დამატებით „შეწყალება“ მიზნად ისახავდა პატრონსა და ყმას შორის თავდაპირველი „შეწყალებით“ დამყარებული დამოკიდებულების გამტკიცებას.

დარღვეული ან შერყეული პატრონყმური დამოკიდებულების აღდგენასაც „შეწყალებას“ ეძახდნენ.

თავად წერეთლებსა და იმერეთის მეფეებს შორის, როგორც ზემოთ ითქვა, ადრიდანვე პატრონყმური დამოკიდებულება სუფევდა. 1739—1752 წწ. ეს დამოკიდებულება დარღვეულა თუ შერყეულა, მაგრამ იგი იმავე წლებში აღუდგენიათ. ამის შესახებ იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი ბოძებულ აღნიშნული წლების წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „გიწყრებოდით და ახლა შეგიწყალეთ²⁰ და შენი უფროსი ძმის ბეჟანის კერძი მამული გიბოძეთ“²¹.

სხვა შემთხვევებშიც დარღვეული პატრონყმური დამოკიდებულების აღდგენა „შეწყალებად“ არის სახელდებული. მაგალითად, ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი მიცემულ სოლომონ II-ის 1805 წ. სიგელში, აღწერილია რა იმერეთის მეფეებთან რაჭის ერისთავების ურთიერთობის ისტორია, ნათქვამია: პატრონყმური ვალდებულების მრავალგზის დამრღვევი როსტომ რაჭის ერისთავი მრავალგზისვე „შეიწყალა კ(ვალა)დ“ სოლომონ პირველმა და „მისცა ერისთავობა“ და „სამკვიდრებელი თვისიო“²².

ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ ვასალის მიერ დარღვეული პატრონყმური დამოკიდებულების აღდგენა კვლავ „შეწყალების“ წესით ხდებოდა.

¹⁹ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. საბ. № 35.

²⁰ ხაზი ჩვენია. — ო. ს.

²¹ იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა. I. საბ. № 100.

ამ საბუთში მოხსენიებული ბეჟან წერეთელი უძეო ჩანს. უძეოდ გადასული ყმის მამული, როგორც ცნობილია, „სამართლით“ სიუზერენისა იყო. ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადობის სისტემა). თბილისი, 1966, გვ. 104—105.

²² ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, საბ. № 1653.



სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების ხელშეკრულებების გარკვეული პირობის შესრულებას მოითხოვდა. ამ დამოკიდებულების აუცილებელი პირობა პატრონის წინაშე ყმის „ერთგულობა და სამსახური“ იყო. „შეწყალებული“ ყმის ეს ვალდებულება წყალობის წიგნში (ხელშეკრულებაში) ყოველთვის საგანგებოდაა დასახელებული²³.

ამ ვალდებულების კონკრეტულ მნიშვნელობასა და ყმის მიმართ პატრონის მოვალეობაზე ზემოთ უკვე ითქვა. აქ მხოლოდ ის უნდა დავძინოთ, რომ პატრონს მართებდა აგრეთვე ყმის „მწყალობელი და მოპატივე“ ყოფილიყო, „გაუკითხავად არ გასწყრომოდა“, „საძალოდ და საავკაცოდ“ არავისთვის „დაენებებინა“, სიგელით ბოძებული ყმა-მამული, სახელო თუ სხვა რაიმე არ „მოეშალა“ და არ დაემცრო იგი²⁴.

სიუზერენის მხრივ თავის მოვალეობის შესრულება ისევ ვასალის „ერთგულობითა და სამსახურით“ ანუ „ერთგული სამსახურით“ იყო შეპირობებული²⁵. თუ ვასალი ამ პირობას დაარღვევდა, თუ იგი თავის პატრონის „სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმა“ არ იქნებოდა, თუ ყოველ სხვა პატრონს თავისას არ „არჩევდა“, თუ მისი ორგული და მოღალატე გახდებოდა, სიუზერენი უფლებას იტოვებდა ვასალისათვის წყალობის წიგნი „მოეშალა“. ამის უფლებას სიუზერენს თვით ამ წიგნში დათქმული პირობა აძლევდა²⁶. მაგრამ წყალობის წიგნში ასეთი დათქმა ფეოდალური ურთიერთობის განვლილ საფეხურს გამოხატავდა. სათავადოთა სისტემის ბატონობის პირობებში მას ძალა დაკარგული ჰქონდა. ნაბოძებ ყმა-მამულს თავადი ფაქტიურად თავის საკუთრებად თვლიდა. სიუზერენის მიერ მასზე თავისი უფლების გამოყენების ცდას თავადი ძალმომრეობად მიიჩნევდა.

23 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. საბ. №№ 5, 6, 15, 17, 26, 30, 31, 35 და სხვ.

24 იქვე, საბ. №№ 6, 46.

25 იხ. დოკუმენტები... II. საბ. № 441; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. საბ. №№ 6, 15, 17, 26, 30 და სხვ.

26 „თუ თქვენ ჩვენი ერთგული, ჩვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმანი იყოთ, ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი და სიგელი აღაროდეს მოვიშალოთ“, ნათქვამია სხვადასხვა წყალობის წიგნში (იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა... I. საბ. №№ 30, 31, 35, 47 და სხვ.), ე. ი. წინააღმდეგ შემთხვევაში მწყალობელს წყალობის წიგნის „მოშლის“ უფლება ჰქონდა.

ზოგ საბუთში ეს ფორმულა მოკლედ არის მოცემული: „გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობაში“ (იქვე, საბ. № 23; დოკუმენტები... I. საბ. № 664).



წყალობის წიგნის „მოშლა“ ნაწყალობევი ყმა-მამულის მფლობელის ხელისა თუ სხვათა ჩამორთმევას ნიშნავდა. მაგრამ ამ უფლების განხორციელება სიუზერენს ახლა (XVI—XVIII სს. და მომდევნო საუკუნის დამდეგს) ომით უხდებოდა. მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შესძლო სოლომონ I-მა 1769 წ. თავისი მოღალატე ყმისათვის, როსტომ რაჭის ერისთავისათვის საერისთავოს ჩამორთმევა²⁷.

ასევე ომით ჩამოართვა 1786 წ. დავით იმერთა მეფემ თავის ორგულ ვასალს, „ზემო მხარის“ სარდალს თავად პაპუნა წერეთელს „საწერეთლო“ და მისი „უფროსობა“²⁸.

ამგვარად, სიუზერენის უფლების განხორციელება თვით მისივე ძალზე იყო დამოკიდებული. თუ ძალა არ შესწევდა, იგი მას ვერ განახორციელებდა.

ფეოდალთა შორის სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების დამყარება გარკვეული წესით ხდებოდა. დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში ეს წესი მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული, ქართული ფეოდალიზმი ამ მხრივ ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. მის დამახასიათებელ თვისებათა განხილვასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი შეეხო საპატრონყმო ხელშეკრულების დადების წესრიგის საკითხსაც საქართველოში და, უმთავრესად XII ს. წყაროს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მისთვის ჩვეული სიფრთხილით აღნიშნა: „ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძველ საქართველოშიაც არსებობდა მოხელეობისა და „წყალობის“ სიმბოლურად გადაცემა ე. წ. „ინვენსტიტურა“. მაგრამ რადგან მასალები ქართული „შეწყალების“ წესის მთლიან სურათს არ გვაძლევენ, ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, „თუ რამდენად ზედმიწევნით მიაგავდა“ იგი „დასავლეთ ევროპის შესატყვის მოვლენას (ინვენსტიტურის წესს). ცხადია მხოლოდ, რომ ტერმინი „წყალობა-კელდასხმული“²⁹ გვაფიქრებინებს, რომ საქართველოშიაც „შეწყალების“ მტკიცე და საჯარო წესი უნდა ყოფილიყო შემუშავე-

27 იხ. ო. სოსელია. ნარკვევები... I. გვ. 92—103.

28 იხ. დოკუმენტები... II. საბ. № 442.

29 ამ ტერმინს ხმარობს თამარის ისტორიკოსი. მისი სიტყვით, აბულასანი იყო „მეფეთ-მეფისაგან წყალობა-კელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა“ (იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბილისი, 1959, გვ. 36).

ბული. ისიც ვიცით, რომ საქართველოშიაც შეწყალებულ დარბაზობის წესი „თაყვანებას“ ავალბდაო³⁰.

„წყალობა-ველდასხმა“ ამა თუ იმ პირის მოხელედ დადგენისა და მასთან დაკავშირებული ყმა-მამულის ბოძების ანუ „შეწყალების“ დროს შესრულებულ მოქმედების წესს აღნიშნავდა³¹. „წყალობა-ველდასხმის“ პროცედურა „შეწყალების“ გარეგნული განსახიერება იყო. ეს წესი კონკრეტულად სიუზერენის მიერ „შეწყალებული“ ვასალის „დალოცვისა“ (კურთხევა თუ მისი მსგავსი მოქმედება?) და უკანასკნელის მხრივ დამლოცველისადმი „თაყვანებაში“ გამოიხატებოდა³². დალოცვის დროს მოხელედ დასალოცავს, როგორც ცნობილია, „მის მოხელოების საგანგებო ნიშანი ეძლეოდა“, მაგალითად, მანდატურთუხუცესს—„ოქროს არგანი“³³.

ასეთი ჩანს XII ს. საქართველოში ამავე საუკუნის ზემოდასახელებულ წყაროს მიხედვით, სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების დამყარების წესი. ამ წყაროს ცნობები, ვფიქრობთ, უფრო ადრინდელ და, საერთოდ, საქართველოს მთელს ერთიანობის ხანაზედაც შეიძლება გავავრცელოთ.

აღნიშნული წესი გარეგნულადაც („წყალობა-ველდასხმა“, „თაყვანება“) და შინაარსობრივადაც („შეწყალება“ — მოხელენისა და ყმა-მამულის ბოძება ვასალისათვის ყმური სამსახურის პირობით), როგორც ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, „დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას მიემსგავსება“, ისე, როგორც საერთოდ ქართული პატრონჟიმობა³⁴.

„ქართული ფეოდალიზმის ძირითადი დასავლეთევროპულ იერზე“ გ. მელიქიშვილიც უთითებს³⁵.

30 ივ. ჭავჭავაძის ი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. გვ. 98.

31 იხ. იქვე, გვ. 80.

32 იქვე, გვ. 80—81. „შეწყალებულის“ „დალოცვის“ შესახებ იხ. ს. ჭავჭავაძის ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები. II. თბილისი 1952, გვ. 465.

33 იხ. იქვე, გვ. 80; ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 33; ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და სძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბილისი, 1970, გვ. 46, მუხლი 30 („ველმწიფის კარის გარბეება“).

34 იხ. მისი ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. გვ. 97, 95—99.

35 იხ. მისი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1973, გვ. 130.



უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ქართული „მსოფლიო კელდასხმა“, „თაყვანება“ ფეოდალური ხანის დასავლეთ-აღმოსავლეთი „ომაეის“ (ვასალურ დამოკიდებულებაში მიღების ცერემონიის) და მის თანხლებ „ფუას“ (ვასალის მხრივ სენიორისადმი ერთგულების ფიცის) თავისებურ სახეს წარმოადგენს.

მართალია, დებდა თუ არა რაიმე ფიცს დალოცვის დროს დასალოცავი, ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება³⁶, მაგრამ საისტორიო წყაროში მოხსენიებული „თაყვანება“, რომელიც ამა თუ იმ პირის ვასალად მიღებისას საქართველოში წესად იყო დადებული³⁷, ფეოდალური დასავლეთ ევროპის სენიორის წინაშე ვასალის ერთგულების ფიცს („ფუას“) შესატყვისი სპეციფიკური წესი უნდა იყოს ქართულ სინამდვილეში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ზოგიერთი გამოხატულება, როცა იგი ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი III-ის მიერ ქ. ანისის მიხი უწინდელი მამპადიანი მფლობელის ნათესავისათვის გადაცემის შესახებ მოგვითხრობს, ამბობს: მეფემ „უბოძა ანისი იუსსავე მემამულესა და ითაყუნა თავისა თვისსა ყმადო“³⁸. ცხადია, აქ ანისის მპყრობელის ყმადნაფიცად მიღების ცერემონიასთან გვაქვს საქმე და „ითაყუნა“, „თაყვანება“ ამ შემთხვევაში მეფის წინაშე ვასალის

ს. ჯანაშიაძე ქართულ ფეოდალიზმსა და დასავლეთევროპულ ფეოდალიზმს შორის მსგავსებას ხედავს (იხ. მისი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები. II. თბილისი, 1952, გვ. 429—430).

აღრე ამ მსგავსებაზე უთითებდნენ მ. ბროსე, ალ. ხახანაშვილი, ნ. ურბნელი (იხ. ს. ჯანაშიაძე, ქართული პატრონჟიმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის (ისტორიოგრაფიული მიმოხილვა). თსუ-ს შრომები. ტ. 165 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), გვ. 223—249).

გ. სოსელიას აზრითაც, „დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წყობილებაში პატრონ-ყმათა შორის ურთიერთობაში ისეთ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი, როგორც ეს საქართველოში იყო...“ (იხ. მისი საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. 1956, გვ. 23).

³⁶ ამაზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „იმის თქმა სდებდა თუ არა რაიმე ფიცს მოხელედ დასალოცავი, ჯერ არ შეგვიძლიანო“ (იხ. მისი ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. გვ. 81).

³⁷ იხ. იქვე; ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 33.

³⁸ იხ. ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 15.



მხოლოდ თავის დახრას³⁹ კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ერთგულურად ლების ფიცის დადებასაც, რაც უთუოდ „თაყვანებასთან“, თაყვანისმცემად დახრასთან იყო დაკავშირებული.

ამასვე უნდა გულისხმობდეს ქ. შანჭორის ბოძებისას ახსართან შარვანშას სიძის ამირამირმანის „თაყვანება“ დავით სოსლანისადმი და ისიც თამარმა ივანე მხარგრძელი რომ „ითაყვანა დარბაზის ყმაღ“⁴⁰.

ამგვარად, „თაყვანება“. „ითაყვანა“ ჩვენ ფიცის რიგის წესად გვეჩვენება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხელეობის გარეშე ყმა-მამულთ „შეწყალების“ შემთხვევაში „შეწყალების“ წესი, უნდა ვიფიქროთ, სიუზერენისადმი ვასალის მხოლოდ „თაყვანებით“ განისაზღვრებოდა.

„შეწყალების“ ინსტიტუტი, როგორც ზემოთ ითქვა, დამახასიათებელი იყო XV ს. შემდეგდროინდელი საქართველოსა და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ურთიერთობისათვის. მაგრამ საერო ფეოდალთა შორის „შეწყალების“ დროს ახლა „კელდასხმა“, „დალოცვა“ და „თაყვანება“ არც ერთ წყაროში არ იხსენიება. „შეწყალება“ XVI ს. და მომდევნო საუკუნეებში უფრო მარტივი წესით ხდება. იგი ყოველგვარი „კელდასხმის“, „დალოცვისა“ და „თაყვანების“ გარეშე „შეწყალების“ ან „წყალობის წიგნით“ ფორმდება. მხოლოდ ამ წიგნის დადებას, როგორც ადრე ისე ახლაც, ჩვეულებრივ, წინ უძღვის სიუზერენისადმი ვასალის „აჯა და მოხსენება“ ან „შეხვეწება“ „შეწყალების“ შესახებ, რაც თვით „შეწყალების წიგნში“ საგანგებოდაა ფიქსირებული⁴¹. ამასთან „შეწყალების“ მამიებელი, უმეტეს შემთხვე-

39 „თაყვანება“, საბას განმარტებით, თავის დახრას (იხ. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედ., ტფილისი, 1928).

40 იხ. ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 33, 72.

„თაყვანება“ ზოგჯერ მორჩილების ფიცის დადებას უნდა გულისხმობდეს. ვიფიქრობთ, სწორედ ამას გულისხმობს ბაგრატ IV-ს (1027—1072 წწ.) წინაშე, „დარბაზობად... და მშედობისა ძებნად“ მოსული, გაგიკ აბთა მეფისა და მის დიდებულთა „თაყვანება“ (იხ. მათიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1955, გვ. 300).

41 იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I. საბ. №№ 4, 6, 14, 15, 17, 30, 31 და სხვ. შდრ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. გვ. 86, 87, 95.



ვაში, ახლაც სიუზერენის „გულის შემაჯერებელ“, „სრულ ქრთამს“ ან „ქრთამს“ იხდის⁴² და ესეც „შეწყალების“ ან „წყალობის წიგნში“ საგანგებოდ არის აღნიშნული⁴³.

ქართული „ქრთამიც“ თავისი ერთი მნიშვნელობით სავსებით ემთხვევა ფეოდალურ დასავლეთ ევროპაში გავრცელებულ ე. წ. „რელიეფს“. „რელიეფი“. როგორც ცნობილია, ვასალის მიერ ფეოდალის მიღების დროს სენიორისათვის მისაცემი „განსაკუთრებული გადასახადი“. («Особый взнос») იყო. „ქრთამიც“ ვასალის „შეწყალებისას“ — ყმა-მამულის, სახელოს თუ სხვა რაიმეს ბოძებისას, უკანასკნელის მიერ სიუზერენისათვის მისართმევი საგანგებო გამოსაღებია.

მართალია, „ქრთამი“ ფეოდალური ხანის საქართველოში მხოლოდ „შეწყალების“ შემთხვევაში გაღებულ გადასახადს კი არ აღნიშნავდა, არამედ სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა. მაგალითად, ხშირად იგი სასყიდელს, მისაგებელს, საჩუქარს, ძღვენს ან სამოხელეო ვასამრჩელოს ნიშნავდა⁴⁴, მაგრამ ამ მრავალი მნიშვნელობიდან მისი ერთი მნიშვნელობით „ქრთამი“, როგორც ითქვა, სწორედ „რელიეფს“ შეესაბამება და მისი ანალოგიური მოვლენაა.

ამრიგად, ქართული ფეოდალიზმი ამ მხრივაც დასავლეთ ევროპის ფეოდალური წესწყობილების შესატყვისია.

სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა ფეოდალურ საქართველოში „სამეფოსა პალატასა შინა თანაზრდილობა“ ანუ აღზრდა „სახლსა სამეფოსა შინა“⁴⁵.

42 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., I. საბ. №№ 4, 14, 23, 26, 28, 30, 45, 57 და სხვ.

43 იხ. იქვე.

დასავლეთ საქართველოს წყალობის წიგნებში „ქრთამის“ მნიშვნელობით ზოგჯერ „ფეშქაშიც“ იხმარება (იხ., მაგალითად, იქვე საბ. №№ 17, 18).

44 „ქრთამის“ მნიშვნელობის შესახებ იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბილისი, 1970, გვ. 28, 96—97. იხ. აგრეთვე, ლექსიკონი, გვ. 195, 832.

45 „ზრდილობის“ საკითხს ფეოდალურ საქართველოში მოკლედ შეეხო ნ. ბერძენიშვილი და ამ ინსტიტუტის შესახებ სახელმძღვანელო დებულებები წამოაყენა (იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. 1974, გვ. 85—87).



თანაზრდილობა-გაზრდილობის ინსტიტუტი იხსენიება კიდევ XI ს. ქართულ საისტორიო წყაროებში. გორგასალის მემატიანეს ჯუანშერს (XI ს.), V ს. ამბების თხრობასთან დაკავშირებით, ნათქვამი აქვს: „საურმაგ, ეჯიბი ვახტანგისი... თანაზრდილი იყო მისიო“⁴⁶. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ინსტიტუტი V საუკუნეშიც არსებობდა. იმ დროს (V ს.), როგორც იგივე მემატიანე გადმოგვცემს, „წესი იყო, რომელ შეილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან“⁴⁷. ვახტანგ გორგასალი საურმაგ სპასპეტის სახლში აღიზარდა⁴⁸. ვახტანგის ეჯიბი საურმაგიც (საურმაგ სპასპეტის ძმისწული) უთუოდ აქ იყო მასთან „თანაზრდილი“. ამ შემთხვევაში მეფის ვასალი კი არ იზრდება სამეფო კარზე, არამედ უფლისწული მეფის წარჩინებული ვასალის სასახლეში. მაგრამ უფლისწულის „აღმზრდელი“ ეს ვასალი თავის დროზე თვითონაც მეფის კარზე უნდა ყოფილიყო აღზრდილი.

ატენის სიონის XI ს. კედლის წარწერაში გვხვდება ყმა, რომელიც თავის „გამზრდელად“ თავის „პატრონს“ ასახელებს⁴⁹. ე. ი. ვასალი სიუზერენის კარზეა აღზრდილი.

დავით აღმაშენებელი, როგორც მისი ისტორიკოსი (XII ს. პირველ ნახევარი) გვაუწყებს, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს გიორგისთან იყო „თანააღზრდილი“ და იგივე იყო მისი „აღმზრდელი“⁵⁰. დავითისა და დიდი ფეოდალის ეს თანააღზრდილობა-აღმზრდელობა ამ დროს, უნდა ვიფიქროთ, მეფის კარზე ხდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, გიორგი III-სა და თამარის მეფობაში თანააღზრდილობა-აღმზრდელობას ადგილი აქვს თვით სამეფო კარზე. გიორგი III-ის კარზე იყვნენ „გაზრდილნი“ მეჭინბეთუხუცესი ჭიაბერი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონ

46 იხ. ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 189.

47 იხ. იქვე, გვ. 143.

48 იქვე.

49 იხ. И. Джавахов. К вопросу о времени построения грузинского храма в Атени... «Христианский Восток», т. I, вып. III, Спб., 1912, с. 289—291.

50 ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 336.



გლონისთავისძე⁵¹. ასევე ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი უბნასარიც იყო „გაზრდილი პატრონთაგან“⁵², ე. ი. მჭკვენიანი.

თანაზრდილი მემკვიდრეს გიორგი ლაშას, როგორც მისდროინდელი მემკვიდრის თხოვლებიდან ჩანს, ჰყავდა მისი „თანაზრდილნი“⁵³. ცხადია, ესენი იყვნენ უმთავრესად დიდებულ აზნაურთა შვილები, რომელნიც ლაშასთან ერთად იზრდებოდნენ სამეფო კარზე.

თანაზრდილობა-გაზრდილობის ინსტიტუტი ძალიან ხშირად ჩანს რუსთაველის ეპოქის საქართველოში. „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც საქართველოს რეალურ სინამდვილეს ასახავს, ამ ინსტიტუტს სწორედ ისე წარმოგვიდგენს, როგორც ეს საისტორიო წყაროებშია ნაჩვენებია: არაბეთის „დიდი სპასპეტი“ ავთანდილი არაბთა მეფის როსტევეანის „ზრდილია“⁵⁴. ასევე ინდოეთის ამირბარი ტარიელიც ინდოთ მეფის ფარსადანის „გაზრდილია“⁵⁵.

„გაზრდილებს“ „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდავთ არა მარტო მეფის კარზე, არამედ არიან ისინი დიდი ფეოდალისა და ხელისუფლის ავთანდილის კარზედაც; ავთანდილი თავის ყმის შერმადინის შესახებ აცხადებს: „გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილიო“⁵⁶. ავთანდილის „გაზრდილია“ ზოგი სხვა მისი ყმაც⁵⁷.

თანაზრდილ-შეზრდილ-გაზრდილები ხშირად გვხვდებიან ქართულ დოკუმენტურ და ეპიგრაფიკულ წყაროებშიც. მაგალითად, მეფე ალექსანდრე 1440 წ. ყმა-მამულის წყალობის სიგელს აძლევს თავის „თანაშეზრდილ-გაზრდილს“ ჯავახიშვილს გარეკელსა და მის მემკვიდრეებს⁵⁸.

გიორგი მეფის მიერ 1460 წ. ქუთულის შვილის გიორგისა და მისი ძმებისათვის მიცემულ „სისხლის განახლების“ სიგლიდან

51 იხ. ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 19, 32—33.

52 იქვე, გვ. 30.

53 ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე. ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 371.

54 იხ. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბილისი, სახ. უნივერსიტეტის 1937 წ. საიუბილეო გამოცემა, სტროფი 992. იხ. აგრეთვე სტროფები: 63, 82, 146, 821, 822, 824 და სხვ. (ქვემოთ ყველგან მითითებულია ეს გამოცემა).

55 იქვე, სტროფები: 332, 561, 562 და სხვ.

56 იქვე, სტროფი 169.

57 იქვე, სტროფი 165.

58 იხ. საქ. სიძვ. II. საბ. № 9.

ჩანს, რომ ისინი მათი პატრონის ქსნის ერისთავის შალვაზნააღზრდილ-შეზრდილი იყვნენ⁵⁹.

იმავე გიორგი მეფის იმავე წლის მეორე სიგელში იხსენიებიან მასთან „თანააღზრდილნი ზუიადისშვილნი მესტუმრე ვირშელი“ და ბეენა⁶⁰.

ასევე კოსტანტინე მეფის 1487 წ. წყალობის სიგელში ვხედავთ მასთან „თანააღზრდილ-გაზრდილს“ მის „საღვინის მოლარეს“ ქავთარისძეს ახალციხელს და „მმათა“ მისთა.⁶¹

ალექსანდრე კახთა მეფის 1584 წ. სიგელშიც მოხსენიებულია მასთან „თანააღზრდილ-გაზრდილი“ მისი ყმა ჯანდიერიშვილი არსლან⁶².

ჩვენს ხელთ არის უფრო გვიანდელი ხანის, როსტომ ქართლის მეფის 1656 წ. წყალობის წიგნი, რომელიც მას უბოძებია მასთან „აღზრდილ-შეზრდილთა“ მდივანბეგ-ბოქაულთუხუცეს როინ ჯავახიშვილისა და მისი შვილებისათვის⁶³.

ხოტევის ეკლესიის (რაჭაში) „კარის ბუის“ XVII ს. ლექსად თქმულ წარწერაშიც თავადი მერაბ წულუკიძე თავის „გაზრდელად“ ლევან II დადიანს ასახელებს⁶⁴.

მოგვეპოვება ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის 1730 წ. წყალობის წიგნიც, მიცემული სახლთუხუცეს ელიზბარ ორბელისშვილისათვის, სადაც „სულხან-ყოფილი საბა“ ორბელიანი გიორგი XI-ის „გაზრდილად“ იხსენიება⁶⁵.

ამრიგად, როგორც მეფისა და მთავრის, ისე დიდ ფეოდალთა კარზე იყვნენ მათი აღზრდილ-შეზრდილები⁶⁶, რომელ-

59 საქ. სიძვ. I. საბ. № 2, აზნაური ეჭრულები ქსნის ერისთავების ყმები იყვნენ (იხ. დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან... გვ. 239).

60 ქრონიკები. II. გვ. 277.

61 იხ. იქვე, გვ. 305. ზაზი ჩვენია. — ო. ს. ქვემოთაც ზაზი ყველგან ჩვენია, თუ სხვა შიითებულნი არაა.

62 დოკუმენტები... I. საბ. № 506.

63 საქ. სიძვ. II. საბ. № 54.

64 იხ. ქრონიკები. II. გვ. 470; გ. ბოქორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები. საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. VII. 1931—1932, ტფილისი, 1933, გვ. 222—223.

65 ქრონიკები. II. გვ. 503.

66 იხ. და შდრ. 5. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. 1974, გვ. 85—86 (თავი II).



ნიც მათ მიერ „შეწყალებულნი“ მათთან ვასალურ დამოკიდებულებაში იწყობდნენ.

კიდევ უფრო გვიანდელ, XVIII ს. მეორე ნახევრისა და მომდევნო საუკუნის დამდეგის იმერულ საბუთში აღზრდილობა-შეზრდილობის წესი უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი.

1772 წ. სოლომონ I-ის მიერ თავად პაატა წულუქიძისა და მისი ძმებისათვის ბოძებული წყალობის წიგნიდან ვგებულობთ, რომ ისინი იყვნენ სოლომონთან ერთად „სამეფოსა პალატსა შინათანაზრდილნი“⁶⁷, ხოლო ამ მეფის მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილს თავადი გიორგი წულუქიძე ზრდიდა⁶⁸.

1811—1812 წწ. ძმები ივანე, დავით და სვიმონ აგიაშვილები მარკიზ პაულიჩისადმი მირთმეულ „არზაში“, აღწერენ რა თავიანთ „წარჩინებულ ცხოვრებას“ და „განდიდებას“ იმერეთის მეფეების დროს, აღნიშნავენ: „აღგვზრდიდნენ ჩვენ თვით სახლსა სამეფოსა შინა და გვასწავლებდნენ ჩვენ ერთგულობასა“ მეფეთასაო. აქვე ხსენებული თავადები უთითებენ, რომ ასე ვიზრდებითო არ მხოლოდ ჩვენ, არამედ „ძველნი წინაპარნი ჩვენიო“⁶⁹.

აგიაშვილების ნათქვამი შეიძლება გავრცელდეს დასავლეთ საქართველოს სხვა თავადურ საგვარეულოებზედაც. არა გვგონია ამ მხრივ აქ არსებითი განსხვავება ყოფილიყო თავადებში. უეჭველია, „სახლსა სამეფოსა შინა“ იზრდებოდნენ არა მხოლოდ აგიაშვილები და წულუქიძეები, არამედ სხვა თავადთა გვარების წევრებიც.

ასე იყო ეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღმოსავლეთ საქართველოშიც.

გვიანდელ, XVIII ს. მეორე ნახევრის დოკუმენტებშიც იხსენიება, მაგალითად, თავადი იოვანე აბაშიძე, რომელიც „პატარაობიდანვე“ ერეკლე II-ის კარზე ყოფილა „შვილურად გაზრდილი“⁷⁰.

ასე „შვილურად გაზრდილი“ ამ მეფის კარზე, იოვანე აბაშიძის გარდა, სხვა თავადებიც უნდა ყოფილიყვნენ.

ამგვარად, აღზრდილ-შეზრდილობის ინსტიტუტი ჩანს რო-

67 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1790.
68 იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 111.
69 ქუთ. მუზ. საბ. № 1695.
70 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №2189, 2383.



გორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ძველი მკვლევართაგან იდან თვით რუსული მმართველობის სისტემის დამყარებამდე და, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, იგი „დამახასიათებელი“ იყო ჩვენი ქვეყნის ფეოდალური ურთიერთობისათვის⁷¹.

გამზრდელობა-გაზრდილობას სასულიერო ფეოდალთა სფეროშიც ჰქონდა ადგილი. გამზრდელ-გაზრდილები გვხვდებიან აქ XI ს. (მელქისედეკ ქართლის კათალიკოსის „დაწერილში“) ⁷² და შემდგომ საუკუნეებშიც⁷³. მაგრამ ვინ იყვნენ გამზრდელ-გაზრდილები, რა დამოკიდებულება იყო მათ შორის, როგორ ან სად ხდებოდა აღზრდა და რა ხასიათისა იყო აქ იგი, ეს სპეციალურ ძიებას მოითხოვს და ჩვენი კვლევის ფარგლებს ცილდება.

აქ ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ: როგორ უნდა გავიგოთ სამეფო კარზე დიდგვარიანი თუ დიდებული აზნაურის ან მერმინდელი თავადის გაზრდა, რას უნდა გულისხმობდეს ეს? ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ამ საკითხს რამდენადმე შუქს ჰფენს ზოგი არაპირდაპირი მონაცემი. მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსი სარგის მხარგრძელზე ამბობს: როცა იგი ამირსპასალარად „განაჩინეს“, იყო „კაცი... აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათაო“⁷⁴. ე. ი. აღზრდა სამხედრო საქმის („ლაშქრობის“) და რაინდული („ჭაბუკობის“) ⁷⁵ წესების სწავლებაში მდგომარეობდა. ფეოდალური ურთიერთობის ხანაში ასე უნდა ყოფილიყო აღზრდილი არა მარტო ამირსპასალარად დანიშნული პირი, არამედ გაბატონებული წოდების ყველა წევრი.

71 იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII, გვ. 86. (თავი II).

72 ქრონიკები. II. გვ. 34, 35.

73 იხ. იქვე, გვ. 125—126, 150—153, 228, 330.

74 ისტორიანი და აზმანი... ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 33.

75 ჭაბუკი ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად რაინდს ნიშნავს. იხ. ამაზე Н. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, «Тексты и разыскания»... кн. XII. Спб., 1910, с. XXX—XXXIV.

„ჭაბუკს“ ნ. ბერძენიშვილიც „მოყმის“, რაინდის სინონიმად თვლის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 84—85. თავი II). „ჭაბუკი“ რაინდის სინონიმად მიაჩნია ს. ჯანაშიასაც (იხ. მისი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრომები. II. გვ. 430).



იმავე ისტორიკოსის სხვა ცნობიდან ჩანს, თუ რას ეწოდებოდა და უფრო კონკრეტულად ეს „ჭაბუკობათა“ შინა აღზრდა; იგი რუსუდან დედოფლის კარზე დავით სოსლანის აღზრდის საკითხს ეხება, აღნიშნავს: „ესე დავით წელიწდის მოქცევამდე ესრეთ წაეჭობინა ყოველსა მშვლდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა. მწიგნობარსა და ყოველსა ნაწაველსა კელთა სიკეთითაო“⁷⁵.

ისე როგორც „გუარიანი“ კაცი სარგის მხარგრძელი, დავით სოსლანიც უეჭველია „ჭაბუკური“ ანუ რაინდული წესებით იზრდებოდა. თუ მას მშვილდოსნობას, ცხენოსნობას, ცურვას, ასპარეზობასა და მწიგნობრობას⁷⁷ ასწავლიდნენ, ცხადია რაინდული წესების სწავლების ძირითადი სახეები ესენი იყო. მაგრამ ეს სია სრული არაა. „ვეფხისტყაოსანში“ რაინდულ ანუ, როგორც იქ არის ნათქვამი, „სამამაცო ზნეთ“ ნაგულისხმევეია აგრეთვე ნადირობა და ბურთაობა⁷⁸. ასეა ეს არჩილ მეფის (XVII ს. მეორე ნახევარი) „საქართველოს ზნეობანშიც“⁷⁹, სადაც ფეოდალურ ზნეთს სწავლება მხატვრულად არის წარმოდგენილი⁸⁰.

ამავე ნაწარმოებიდან ჩანს, რომ „სამამაცო ზნე“ იყო კიდევ „ხრმლის ცემა, ლახტას თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა“ და სხვ⁸¹. არჩილის დროს ასეთ „ზნეთ დაიდვა“ აგრეთვე „მოუცდენი ზეთოფობაც“⁸².

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. ერთ დოკუმენტში გვხვდებიან „ყმანი“ (თავადნი) „ზნესრულ ცხენოსან მოასპარეზე“ ან კიდევ „ცხენოსან რაინდთა მოასპარეზე... მეთოფობით უცდურად მსროლი“⁸³.

75 ისტორიანი და აზმანი... ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 48.

77 მწიგნობრობაში მთავარი ძველი დროიდან ღვთისმეტყველება და ფილოსოფია უნდა ყოფილიყო. ეს ჩანს თითქოს ვახტანგ გორგასლის სწავლულობიდან: იგი „ისწავლიდა... ყოველსა მცნებასა უფლისასა“ და იზრდებოდა „ფილოსოფოსთა თანა“. (იხ. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 146—147).

78 იხ. სტროფები 62—83.

79 არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 3, სტროფი 3; გვ. 4, სტროფი 14 და სხვ.

80 იქვე, გვ. 3—14.

81 იხ. იქვე, გვ. 6, სტროფი 28.

82 იქვე, გვ. 4, სტროფი 14.

83 მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის..., გამოც. შზია იაშვილისა, გვ. 94—95.



გვიანდელი ჩანაწერების მიხედვით, რაინდული ტურნირის მონაწილეობა რთებოდა ქუთაისში სოლომონ II-ის (1789—1810 წწ.) სასახლის მოედანზე. აქ მეფე დაჯდებოდა ცაცხვის ქვეშ, ქვის დიდ სკამზე და უმზერდა, თუ როგორ ვარჯიშობდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა თავად-ახნაურები ჯირითში, ხელ-შუბის ტყორცნასა და მიზანში თოფით სროლაში.

სოლომონს უყვარდა განსაკუთრებით მიზანში სროლა და კარგ მსროლელებს აჯილდოებდა იარაღით, ცხენით და ზოგჯერ ყმა-გლეხებითაც⁸⁴.

ბოლოს, მეფის კარზე თავადების აღზრდა ცენტრალური ხელისუფლების ირგვლივ მათ შემოკრებასა და პოლიტიკურ წვრთნასაც ისახავდა მიზნად. ეს უკანასკნელი კი, როგორც ძმები აგია-შვილების შემოხსენებულ „არზიდან“ ჩანს, თავადებისათვის მეფის ერთგულების „სწავლებაში“ მდგომარეობდა: „გვასწავლებდნენ ჩვენ ერთგულობასა“ მეფეთაო, ამბობენ ამ „არზაში“ თავადი აგიაშვილები⁸⁵. მაგრამ, ცხადია, ეს სწავლება თავადებს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში არ აკავებდათ.

ანალოგიური უნდა ყოფილიყო გაზრდილობა მთავრისა და დიდ ფეოდალთა კარზედაც.

ასეთი იყო საქართველოში „სამამაცო ზნეთა“ კოდექსი, რომელიც საფუძვლად ედო სამეფო კარზე თავადების აღზრდას.

სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში აგრეთვე „მონაცვლის“ ბოძება. იმერთა უკანასკნელი მეფე სოლომონ II თავის გამონაცვალ ძველ ტანისამოსს ხშირად თავის კარისკაცებს უწყალობებდა განსაკუთრებული სიგელით⁸⁶.

ასევე ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი 1789 წ. სიგელით თავის „მონაცვალ შალვარსა და წაღას“ თავის „ერთგულათ ნამსახურს“ თავად ბერი ჩიქვანსა და მის შვილებს აძლევს „ყფვის კაცის უცილებლად“. ამ წყალობისათვის ჩიქვანმა დადიანს „ქრთამიც ჭეროვანი მიართვა“⁸⁷. ჩანს, სიუზერენის „მონაცვალი“ ვასალისათვის სათაქილო სრულებით არ ყოფილა.

⁸⁴ იხ. П. Гнилосаров. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении. Кавказский календарь, 1859, с. 425.

⁸⁵ ქთ. მუზ. საბ. № 1695.

⁸⁶ იხ. პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 424.

⁸⁷ ქთ. მუზ. საბ. № 1463.



„მონაცვლის“ წყალობის წესი დადასტურებულია სამთავროშიც, გიორგი V გურიელის 1776 წ. სიგელში⁸⁸.

სიუზერენულ-ვასალურ დამოკიდებულებას გამოხატავდა ფეოდალისათვის მის სამფლობელოში ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო პრივილეგიების მინიჭება, რომელსაც ფეოდალურ საქართველოში „შეუვალობა“ ეწოდებოდა და რომელიც თავისი შინაარსით შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ „იმუნიტეტს“ შეესატყვისებოდა.

იმუნიტეტი ანუ შეუვალობა საერთოდ ფეოდალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია; იმუნიტეტი, რომელიც ფეოდალიზმის განვითარების პირველ ხანაში სუსტადაა გავრცელებული და ხელისუფლების ცალკეულ ატრიბუტს მოიცავს, დროთა განმავლობაში, ფეოდალიზმის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, ფართო ხასიათს ღებულობს. იგი ამტკიცებს ფეოდალურ სენიორიათა დამოუკიდებლობას. ფართოდ იყო გავრცელებული იმუნიტეტი საქართველოშიც⁸⁹, უფრო მეტად — დასავლეთ საქართველოში⁹⁰ XV საუკუნიდან, სადაც იარსება ამ ინსტიტუტმა თვით რუსული მმართველობის სისტემის დამყარებამდე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალებს საქართველოს სამეფო-სამთავროებში არ გააჩნდათ ყოველთვის სიგელზე დაფუძნებული იმუნიტეტი, როგორც ეს დასავლეთ ევროპის სენიორიათა მფლობელებს ჰქონდათ. საქართველოში ფეოდალების საგადასახადო და

⁸⁸ იხ. Дм. Бакрадзе. АПГА, с. 310.

⁸⁹ იხ. ა. ხახანაშვილი. ბატონობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის. ქუთაისი, 1910, გვ. 163—180; ს. კაკაბაძე. იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ. საისტორიო მოამბე. 5. 1950, გვ. 165; ს. ჭანაშია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები. II. თბილისი, 1952, გვ. 429—430; Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბილისი 1965, გვ. 71—72; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის შრომა, ს. ჭანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. ს. ჭანაშაის რედაქციით, თბილისი, 1946, გვ. 302; ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში. თბილისი, 1958, გვ. 78—79; ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. I, გვ. 321—325, 461—464; თ. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან... გვ. 179—192, 195.

⁹⁰ იხ. ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 165; თ. სოსელია. დასახ. ნაშრ. გვ. 179—192, 195.



სხვა შეუვალობის საფუძველი უფრო ხშირად შეუვალობით მიტაცება-ხანდაზმულობაა, ვიდრე მეფის ან მთავრის მიერ ფეოდალისათვის მისი სიგელით მინიჭება⁹¹. ამასთან, ფეოდალთა სასამართლო შეუვალობა აქ შეზღუდულია: მათი იურისდიქციიდან ამოღებულია მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო საქმეები⁹².

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ქართულ ფეოდალიზმს თუმცა ზოგი თავისებურება ახასიათებს, რომელიც სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისი ძირითადი ინსტიტუტები (შეწყალება, შეუვალობა და სხვა) ტიპურია საერთოდ ფეოდალიზმისათვის. მათი აღმოცენება და განვითარება საერთოდ ფეოდალურ ურთიერთობათა ბუნებითაა გაპირობებული. ეს ინსტიტუტები და მათში გამოხატული სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულება, როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებითად ისეთივეა, როგორც იყო დასავლეთ ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში*.

91 ო. სოსელია. დასახ. ნაშრ. გვ. 179—192, 195.

92 ივ. სურგულაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 321—325, 463—464; ალ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. III. თბილისი, 1963, გვ. 241—246; ო. სოსელია. დასახ. ნაშრ. გვ. 188—192, 195.

* წიგნს საძიებლები არ ერთვის ტექნიკური მიზეზების გამო.

ОЧЕРКИ ИЗ СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОГО ПЕРИОДА

(Сеньории)

II

Резюме

Труд представляет собой вторую часть исследования, опубликованного под этим же названием в 1973 году. В нем последовательно рассмотрена конкретная история восьми сатавадо (сеньорий) Западной Грузии (феодалных домов Чиджавадзе, Гогоберидзе, Цулукидзе, Церетели, Нижарадзе, Накашидзе, Тавдгиридзе, Пагава). Установлены время и условия возникновения, развития и упразднения каждого из них, территория, границы, количество крепостных крестьян и азнауров (мелкие дворяне), административные центры; выяснены отношения между членами тавадского дома и взаимоотношения с центральной властью и соседними политическими образованиями; показана их историческая роль в общественно-политической жизни Имеретинского царства, Гурийского и Одишского владетельных княжеств (самтавро).

Формирование названных сатавадо датируется XV—XVI веками и последующим столетием. Их упразднение же в административном порядке происходит в Грузии с начала XIX века в связи с установлением системы русского управления.

Сатавадо (сеньория) в царстве и княжествах Западной Грузии было феодальной единицей, территориально и политически обособленной от центра, фактически бесконтрольно и в довольно большом объеме пользовавшейся прерогативами публичной власти.

XVI—XVIII века и начало следующего столетия были периодом засилья тавадгов в Западной Грузии. Большой частью поместий, крепостных крестьян, азнауров, а также замками и высокодоходными должностями здесь владели



საქართველოს
რესპუბლიკის
ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრალი

თავადი. Они стремились ко все большей независимости, вернитету и порой, в большей или меньшей степени, достигали цели. Царь же старался воспрепятствовать их стремлениям и на этой почве между ними шла непрерывная борьба.

История сеньорий Западной Грузии наглядно выявила и в грузинской действительности те два фактора, которые, как указывал Ф. Энгельс, на протяжении столетий действовали во взаимоотношениях сюзерена и вассала в странах средневековой Западной Европы: это — «переменчивая... сила притяжения вассалов» к центру, который «один был в состоянии защитить их от внешнего врага и друг от друга» и противоположная сила — «сила отталкивания от центра», проистекавшая из стремления вассалов к независимости. В настоящей работе приведены многочисленные факты, иллюстрирующие борьбу двух этих сил.

Таким образом, сатавадо, как в аспекте социально-политического института, так и с точки зрения сюзерено-вассальных отношений, аналогично сеньории в странах Западной Европы.

შენიშვნები

ანაწ. — ანაწერი.

ნაკვ. — ნაკვეთი.

საქ. — საქმე.

სსცია — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი.

ხელნაწ. ინსტ. — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

АВПР МИД СССР — Архив Внешней Политики России (Министерства Иностранных Дел СССР).

АПГА — Археологическое путешествие по Грузии и Аджаре.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

იმერეთის სამეფო

თავი I. ჩიქვაძეთა სათავადო	7
თავი II. ლოლობერიძეთა სათავადო	28
თავი III. წულუკიძეთა სათავადო	43
თავი IV. წერეთელთა სათავადო	79
თავი V. ნიქარაძეთა სათავადო	149

გურიის სამთავრო

თავი VI. ნაკაშიძეთა სათავადო	163
თავი VII. თავდგირიძეთა სათავადო	176

ოდიშის სამთავრო

თავი VIII. ფალავათა სათავადო	187
--	-----

დაწარბი

სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების ძირითადი ფორმები ფეოდალურ დასავლეთ საქართველოში	195
Резюме	216
შემაჯავებანი	217

რეცენზენტები: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
პროფ. მ. დუშბაძე,
ისტ. მეცნ. დოქტ. გ. აკოფაშვილი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საარქაეო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1587

რედაქტორი ქ. ჩხატარაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯეგბენავა
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
მხატვარი ე. ხმალაძე
კორექტორი ნ. შენგელია

გადაეცა წარმოებას 27.3.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.4.1981;
ქალაქის ზომა 60×90^{1/16}; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 13,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,9;

უე 01071;

ტირაჟი 3000;

შეკვეთა № 1207;

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Соселия Ольга Николаевна

ОЧЕРКИ ИЗ СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ
ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОГО ПЕРИОДА

(СЕНЬОРИИ)

II

(на грузинском языке)

